

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის

# მაცნე

ისტორიის  
არქეოლოგიის  
ეთნოგრაფიისა და  
ხელოვნების ისტორიის  
სერია

1. 1980

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის მაცნე  
ИЗВЕСТИЯ АКАДЕМИИ НАУК ГРУЗИНСКОЙ ССР

---

ისტორიის, არქეოლოგიის,  
ეთნოგრაფიისა და  
ხელოვნების ისტორიის  
სერია

СЕРИЯ  
ИСТОРИИ, АРХЕОЛОГИИ,  
ЭТНОГРАФИИ И  
ИСТОРИИ ИСКУССТВА



თბილისი  
ТБИЛИСИ

1. 1980

ჟურნალი გამოდის 3 თვეში ერთხელ  
Журнал выходит раз в 3 месяца.

**ს ა რ ე დ ა კ ტ ი ო კ ო ლ ე გ ი ა:** ა. აფაქიძე, ვ. ბერიძე, ვ. გაბაშვილი,  
ი. კაჭარავა (რედაქტორის მოადგილე), რ. კიკნაძე (რედაქტორის მოადგილე),  
გ. მელიქიშვილი (რედაქტორი), გ. ჩიტაია, ლ. ჭილაშვილი

**РЕДАКЦИОННАЯ КОЛЛЕГИЯ:** А. М. Апакидзе, В. В. Беридзе,  
В. Н. Габашвили, Ю. М. Качарава (зам. редактора), Р. К. Кикнадзе (зам. редактора),  
Г. А. Меликишвили (редактор), Г. С. Читая, Л. А. Чилашвили

პასუხისმგებელი მდივანი გ. ლორთქიფანიძე  
Ответственный секретарь Г. Г. Лордкипанидзе

---

რედაქციის მისამართი: თბილისი, 380060, კუტუზოვის ქ., № 19

**Адрес редакции:** Тбилиси, 380060, ул. Кутузова, 19

ტელეფონი 37-95-50 Телефон

ხელმოწერილია დასაბეჭდად 25.IV.80; შეკვ. 412; ანაწყოების ზომა 7×12;  
ქაღალდის ზომა 70×108<sup>1</sup>/<sub>16</sub>; ნაბეჭდი თაბახი 19,6; სააღრიცხვო-საგამომცემლო  
თაბახი 18,2; უე 07335; ტირაჟი 1200;  
ფასი 1 მან.

■

გამომცემლობა „მეცნიერება“, თბილისი, 380060, კუტუზოვის ქ., 19  
Издательство «Мецниереба», Тбилиси, 380060, ул. Кутузова, 19

■

საქ. სსრ მეცნ. აკადემიის სტამბა, თბილისი, 380060, კუტუზოვის ქ., 19  
Типография АН Груз. ССР, Тбилиси, 380060, ул. Кутузова, 19

## შ ი ნ ა ა რ ს ი

### წერილები

|                                                                                                                 |    |
|-----------------------------------------------------------------------------------------------------------------|----|
| ბ. შვანიძე, ვ. ი. ლენინი და საქართველო (ვ. ი. ლენინის დაბადების 110 წლისთავის გამო)                             | 5  |
| ნ. მიმინოშვილი, ფილიპე შახარაძე — საქართველოს ახალი ისტორიის მკვლევარი                                          | 16 |
| ი. ტაბაღშაძე, რუსეთი და დასავლეთის სახელმწიფოები 1916 წ. პირველ ნახევარში                                       | 28 |
| ნ. ბრეგვაძე, ბერძენობის ისტორიის შესწავლისათვის                                                                 | 43 |
| ნ. ურუშაძე, ძველი ქართველი ტომების რიტუალურ-მაგიური გამომხატვლობითი საქმიანობის ამოსავალი ფორმების კვლევისათვის | 66 |

### ცნობები და შენიშვნები

|                                                                                |     |
|--------------------------------------------------------------------------------|-----|
| ბ. ჯიქია, ლენინური „Правда“ ჟიურის მუშების 1913 წლის ზაფხულის გაფიცვის შესახებ | 78  |
| ლ. მიქიაშვილი, „ახალი ისტორიის“ ავტორის საკითხისათვის                          | 85  |
| მ. ჩხარტიშვილი, „წმ. ნინოს ცხოვრების“ მცირე და ვრცელი რედაქციები               | 96  |
| ბ. სილაგაძე, ხაზართა ერთი ლაშქრობის შესახებ VIII საუკუნეში                     | 107 |
| მ. წოწელია, კიდევ ერთხელ პიტიაშ პაპაქის თაისის შესახებ                         | 115 |
| პ. ჯღამაია, სოფელ ლიას შუა საუკუნეების ნაცხოვარი                               | 126 |
| დ. სუმბაძე, „მოქცეული“                                                         | 185 |

### პუბლიკაცია

|                                               |     |
|-----------------------------------------------|-----|
| ბ. სილაგაძე, უარის ციხის ერთი ქართული წარწერა | 161 |
|-----------------------------------------------|-----|

### დისკუსია და განხილვა

|                                                            |     |
|------------------------------------------------------------|-----|
| ი. კავთელაშვილი, ლესთავის მოხატულობის ქტიტორული პორტრეტები | 175 |
| ი. ანთელაშაძე, ნიკორწმინდის „დაწერილის“ დათარიღებისათვის   | 192 |
| დ. მუსხელიშვილი, ძველი კავკასიის ისტორიული გეოგრაფიიდან    | 198 |

### პრიტიკა და ბიბლიოგრაფია

|                                                                          |     |
|--------------------------------------------------------------------------|-----|
| ალ. რობაქიძე, სვანეთი ძველად და ახლა                                     | 208 |
| ბ. ლომინაძე, ტბეთის სულთა მატთანე                                        | 209 |
| ი. სურგულაძე, დ. ს. რავეჯი, სკვითურ-საქსური ტომების იდუალოგის ნარკვევები | 212 |

### პროზა და ინფორმაცია

|                                                                      |     |
|----------------------------------------------------------------------|-----|
| მ. ოგიაშვილი, ვ. ბარდაველიძის ხსოვნისადმი მიძღვნილი სამეცნიერო სესია | 219 |
| ნ. შენგელაია, ვ. ჩოჩიევი (ნეკროლოგი)                                 | 228 |

## СОДЕРЖАНИЕ

### СТАТЬИ

|                                                                                                                     |    |
|---------------------------------------------------------------------------------------------------------------------|----|
| Г. ЖВАНИЯ, В. И. Ленин и Грузия (К 110-летию со дня рождения В. И. Ленина)                                          | 5  |
| И. МИМИНОШВИЛИ, Ф. Е. Махарадзе — исследователь новой истории Грузии                                                | 16 |
| Н. ТАБАГУА, Россия и западные державы в первой половине 1916 г.                                                     | 29 |
| Н. БРЕГАДЗЕ, К изучению истории «берикаоба»                                                                         | 47 |
| Н. УРУШАДЗЕ, К исследованию исходных форм ритуально-магической изобразительной деятельности древнегрузинских племен | 66 |

### СООБЩЕНИЯ И ЗАМЕТКИ

|                                                                                |     |
|--------------------------------------------------------------------------------|-----|
| В. ДЖИКИЯ, Ленинская «Правда» о летней забастовке чиатурских рабочих в 1913 г. | 78  |
| Л. МИКИАШВИЛИ, К вопросу об авторе «Новой истории»                             | 85  |
| М. ЧХАRTИШВИЛИ, Малая и пространная редакции «Жития св. Нино»                  | 96  |
| Б. СИЛАГАДЗЕ, Об одном походе хазар в VIII в.                                  | 107 |
| М. ЦОЦЕЛИЯ, Еще раз о чаше питнакша Папака                                     | 116 |
| Д. ДЖГАМАЯ, Средневековая крепость в селе Лиа                                  | 126 |
| Л. СУМБАДЗЕ, «Мокцеули» (К генезису дарбазного жилища)                         | 136 |

### ПУБЛИКАЦИЯ

|                                                   |     |
|---------------------------------------------------|-----|
| В. СИЛОГАВА, Грузинская надпись Карсской крепости | 161 |
|---------------------------------------------------|-----|

### ДИСКУССИИ И ОБСУЖДЕНИЯ

|                                                             |     |
|-------------------------------------------------------------|-----|
| Е. КАВЛЕЛАШВИЛИ, Ктиторские портреты лехтагской росписи     | 175 |
| И. АНТЕЛАВА, К датировке «Писанья Никорцминдели»            | 192 |
| Д. МУСХЕЛИШВИЛИ, Из исторической географии древнего Кавказа | 198 |

### КРИТИКА И БИБЛИОГРАФИЯ

|                                                                      |     |
|----------------------------------------------------------------------|-----|
| А.Л. РОБАКИДЗЕ, Сванети в прошлом и в настоящем                      | 203 |
| Б. ЛОМИНАДЗЕ, Тбетский синодик                                       | 209 |
| И. СУРГУЛАДЗЕ, Д. С. Раевский. Очерки идеологии скифо-сакских племен | 212 |

### ХРОНИКА И ИНФОРМАЦИЯ

|                                                                   |     |
|-------------------------------------------------------------------|-----|
| Т. ОЧИАУРИ, Научная сессия, посвященная памяти В. В. Бардавелидзе | 219 |
| Н. ШЕНГЕЛИЯ, В. Г. Чочиев (некролог)                              | 223 |

პრიგოლ შვანია

## 3. ი. ლენინი და საპარტიო (3. ი. ლენინის დაბადების 110 წლისთავის გამო)

22 აპრილს დაბადების 110 წელი უსრულდება ჩვენი ეპოქის უდიდეს მოაზროვნეს, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის შემქმნელს, დიდი ოქტომბრის სულის ჩამდგმელს, მსოფლიოში პირველი მუშურ-გლეხური სახელმწიფოს ორგანიზატორს, იმპერიალიზმის წინააღმდეგ, ხალხთა განთავისუფლებისათვის, ბედნიერებისა და პროგრესისათვის მგზნებარე მებრძოლს, ყველა მშრომელთა მასწავლებელსა და მეგობარს ვლადიმერ ილიას ძე ლენინს.

3. ი. ლენინის მთელი მოღვაწეობის მწვერვალს წარმოადგენს მარქსისტული მოძღვრების გავრცელება და შემოქმედებითი განვითარება, კომუნიზმის მშენებლობის პრინციპების დამუშავება და მასების შემოქმედებაში მისი პირველად გამოყენება. ლენინიში წარმოადგენს მარქსიზმის განვითარების მაღალ ეტაპს, პარტიის საშინაო და საგარეო პოლიტიკის გენერალური კურსის ურყევ საფუძველს, მის სტრატეგიასა და ტაქტიკას, სოციალიზმისა და კომუნიზმის მშენებლობაში პარტიისა და ხალხის ყველა გამარჯვების დროშას. ლენინიზმი გამოასხივებს გარდამქმნელი იდეების წაკადს, რომელიც ჩაუქრობელი შუქით ანათებს კომუნიზმის დიდებული მწვერვალებისაკენ ჩვენი წინსვლის გზას.

„ლენინიზმის წარუვალ მიზნებზე, — ნათქვამია სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილებაში ვლადიმერ ილიას ძე ლენინის დაბადების 110-ე წლისთავის შესახებ, — ის არის, რომ იგი ღრმად და ზუსტად გამოხატავს მუშათა კლასის, ყველა მშრომელის ინტერესებს, მსოფლიო სოციალური პროგრესის მოთხოვნილებებს, შესაძლებლობას გვაძლევს სწორი პასუხი გავცეთ თანამედროვეობის საჭიროებებზე, ცხოვრებისეულ საკითხებს, გვასწავლის მომწიფებული პრობლემების გახედვლად, შემოქმედებით გადაჭრას, გვავიარაღებს საზოგადოებრივი განვითარების პერსპექტივების მეცნიერული გაგებით. ლენინის უმდიდრესი იდეური მემკვიდრეობა, მისი მოძღვრების რევოლუციურ-კრიტიკული სულისკვეთება, თანამიმდევრულობა და სიმტკიცე ოპორტუნიზმის დამახინჯებისაგან მარქსიზმის ძირითადი პრინციპების დაცვაში, მთელი მისი სიცოცხლე რევოლუციური აზროვნებისა და რევოლუციური მოქმედების უშრეტო წყაროა თანამედროვე საერთაშორისო-კომუნისტური, მუშათა და ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობისათვის“.

ასეა შეფასებული ამ ისტორიულ დოკუმენტში ლენინის თეორიული და რევოლუციურ-პოლიტიკური მოღვაწეობა.

3. ი. ლენინის მრავალმხრივ მოღვაწეობაში ერთ-ერთი საპატიო ადგილი ეკავა ამიერკავკასიის საკითხებს, ფანსაკუთრებით, საქართველოში სოციალ-დემოკრატიული მოძრაობის, მუშათა და გლეხთა რევოლუციური ბრძოლების საკითხებს.

ლენინი და საქართველო! ეს სიტყვები თითქმის 38 წლის წინათ შეერწყა ერთმანეთს და დიდი სიამაყითა და ჭიყვარულით წარმოითქმის ყოველი ქართველის მიერ. ეს შემთხვევითი როდია. საქართველო მჭიდროდ იყო დაკავშირებული ლენინის საქმესთან, მის ცხოვრებასთან და მოღვაწეობასთან. სწორედ ვ. ი. ლენინის ყურადღებითა და მზრუნველობით აღფრთოვანებულმა ამიერკავკასიის ბოლშევიკურმა ორგანიზაციებმა გადადგეს პირველი ნაბიჯები ახალი ისტორიის გაუქვალავ ბილიკებზე. მისი ნათელი გენიით არის გაცისკროვნებული ამიერკავკასიის ბოლშევიკების მიერ განვლილი მთელი გზა და მთელი ის ღრმა სოციალურ-პოლიტიკური და ეკონომიკური გარდაქმნები, რომლებიც განხორციელდა ამ მხარის რესპუბლიკებში, ისევე როგორც სხვა მოკავშირე რესპუბლიკებში.

საქართველოსთან და ამიერკავკასიასთან ლენინის კავშირი მრავალი ფორმით პოულობდა თავის გამოხატულებას. ჯერ კიდევ 90-იანი წლების პირველ ნახევარში დაიწყო მან ამიერკავკასიის ეკონომიკის, სოციალური ცხოვრებისა და დემოკრატიული მოძრაობის შესწავლა, ხოლო უფრო გვიან, XX ს-ის დასაწყისიდან ლენინის მრავალმხრივ მოღვაწეობაში ერთ-ერთ საპატიო ადგილს იკავებს საქართველოსა და ამიერკავკასიაში რევოლუციური მოძრაობისა და ბოლშევიკური ორგანიზაციების მოღვაწეობის საკითხები, ხოლო შემდეგ კი ამიერკავკასიის რესპუბლიკებში სოციალიზმის მშენებლობის საკითხები. ამიერკავკასიასთან თავის კავშირს ლენინი თანმიმდევრულად ავითარებდა და აფართოებდა.

ვ. ი. ლენინი განსაკუთრებით დიდ მზრუნველობას და ყურადღებას იჩენდა ამიერკავკასიის ბოლშევიკური ორგანიზაციებისადმი, მას უშუალო კავშირი, მუდმივი მიწერ-მოწერა ჰქონდა კავკასიელ ლენინელებთან — ი. ბ. სტალინთან, მ. ცხაკაიასთან, ს. შაუმიანთან, ლ. კეცხოველთან, ფ. მახარაძესთან, ს. სპანდარიანთან, ს. ორჯონიკიძესთან, მ. დავითაშვილთან და მრავალ სხვა მოღვაწესთან. იგი რჩევასა და მითითებას აძლევდა მათ პარტიულ მუშაობასა და რევოლუციურ მოძრაობასთან დაკავშირებულ მრავალ საარსებო მნიშვნელობის საკითხზე. ისინი ლენინის მითითებიდან, პარტიის აგების ლენინური გეგმიდან გამოდრიოდ, როცა ჯერ კიდევ გასული საუკუნის 90-იანი წლების მეორე ნახევარში ქმნიდნენ მარქსისტულ წრეებსა და ჯგუფებს, ხოლო XX ს-ის დასაწყისში ლენინურ-ისტორიული მიმართულების თბილისის, ბათუმის, ბაქოს კომიტეტებსა და ჯგუფებს. ეს კომიტეტები და ჯგუფები მიეკუთვნებიან იმ კომიტეტებისა და ორგანიზაციების რიცხვს, რომელთა გაერთიანებამ უზრუნველყო ახალი ტიპის პროლეტარული პარტიის შექმნა. ამ კომიტეტთა წარმომადგენლები გვერდით ედგნენ ლენინს პარტიის ისტორიულ მეორე ყრილობაზე ბოლშევიზმის შექმნისათვის გაჩაღებულ ბრძოლაში. თითქმის 150-ჯერ არის ფიქსირებული ყრილობის ოქმებში კავკასიელ დელეგატთა სიტყვები, შენიშვნები და რეპლიკები. ყოველი მათი გამოსვლა ისახავდა მხოლოდ ერთ მიზანს — ლენინისათვის მხარდაჭერას. და ამან ცოტა როლი როდი ითამაშა ყრილობაზე ლენინის იდეების გამარჯვების უზრუნველყოფაში.

კავკასიელი ბოლშევიკები, ბოლშევიკური ორგანიზაციები წარმომადგენდნენ ლენინისათვის საიმედო დასაყრდენს. პარტიის მეორე ყრილობის შემდეგ ბოლშევიზმსა და მენშევიზმს შორის გაჩაღებულ ბრძოლაში, მენშევიკების ძირგამომხრელი საქმიანობის შედეგად პარტიაში შექმნილი ღრმა

კრიზისის ლიკვიდაციასათვის ბრძოლაში, პარტიის III ყრილობის მოწვევისათვის ბრძოლაში.

ამიტომ არ იყო შემთხვევითი, პარტიის III ყრილობამ და პირადად ლენინმა დიდი ინტერესი გამოიჩინეს ამიერკავკასიაში ბოლშევიკური ორგანიზაციების მოღვაწეობისადმი, ამიერკავკასიაში რევოლუციური ბრძოლის საკითხებისადმი. ეს ყრილობა ლენინის წინადადებით გახსნა კავკასიის კავშირის დელეგატმა მ. ცხაკაიამ. ყრილობამ მოისმინა აგრეთვე მისი მოხსენება გლეხთა საკითხზე და მიიღო ლენინის მიერ დაწერილი რეზოლუცია „კავკასიის ამბების გამო“. ეს ლენინური დოკუმენტი მთლიანად ასახავდა კავკასიაში პარტიული ორგანიზაციების მოღვაწეობასა და რევოლუციური ბრძოლის ხასიათს.

განსაზღვრავდა რა რუსეთის სოციალ-დემოკრატიულ პარტიაში ამიერკავკასიის ბოლშევიკური ორგანიზაციების აღგილსა და როლს, ვ. ი. ლენინი რეზოლუციაში „კავკასიის ამბების გამო“ წერდა: „კავკასიის სოციალურ-პოლიტიკური ცხოვრების განსაკუთრებულმა პირობებმა ხელი შეუწყვეს იქ ჩვენი პარტიის ყველაზე უფრო მებრძოლი ორგანიზაციების შექმნას“.

ვ. ი. ლენინის მიერ ამიერკავკასიის ბოლშევიკური ორგანიზაციების მოღვაწეობის ასეთი მაღალი შეფასება, რომელმაც საყოველთაო აღიარება და მოწონება პოვა ყრილობის მიერ და მასმასაღამე, მთელი პარტიის მიერ აღაფრთოვანებდა ამიერკავკასიის ბოლშევიკურ ორგანიზაციებს ახალი პრაქტიკული ნაბიჯებისათვის, ახალი, კიდევ უფრო მძიმე, ბრძოლებისათვის.

ამრიგად, ვ. ი. ლენინის მუდმივმა კავშირმა, მისმა დახმარებამ და წარმმართველმა ხელმძღვანელობამ, კავკასიელი ლენინელების მრავალმხრივმა მოღვაწეობამ განაპირობეს ის საპატიო როლი, რომელსაც ასრულებდნენ ამიერკავკასიის ბოლშევიკური ორგანიზაციები ლენინური პარტიის მთელ მოღვაწეობაში.

საქართველოსა და ამიერკავკასიის ბოლშევიკური ორგანიზაციების შემდეგი მთავარი მიმართულება, რომელიც ლენინის მხრივ მაღალ შეფასებასა და მოწონებას იმსახურებდა, იყო ბურჟუაზიის წინააღმდეგ ბრძოლისათვის მუშათა და გლეხთა მასების მობილიზაციისათვის გაჩაღებული მუშაობა.

საგულისხმოა, რომ მოყოლებული 1893 წლიდან, საქართველოში პირველი მარქსისტული ორგანიზაციის „მესამე დასის“ შექმნის დროიდან მუშათა მოძრაობა საქართველოსა და ამიერკავკასიაში წარიმართებოდა სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციებისა და ჯგუფების ხელმძღვანელობით, 1901 წლიდან კი მუშათა და გლეხთა რევოლუციურ მოძრაობას ხელმძღვანელობდნენ ჯერ ლენინურ-ისკრული კომიტეტები, ხოლო შემდეგ 1903 წლიდან ბოლშევიკური ორგანიზაციები. ისინი თავიანთი რევოლუციური მოღვაწეობით ამაღლებდნენ მუშათა კლასობრივ შეგნებულობას, ზრდიდნენ მას სოლიდარობისა და შეუპოვრობის სულისკვეთებით, მოუწოდებდნენ მათ ევლოთ რუსეთის მუშათა კლასის ფეხდაფეხ, შეეთვისებინათ და გამოეყენებინათ პეტერბურგის, მოსკოვისა და რუსეთის სხვა მსხვილი ქალაქების მუშათა რევოლუციური ბრძოლების გამოცდილება. ბოლშევიკები იპყრობდნენ მერყევთა ახალ მასებს, ზრდიდნენ რევოლუციის მომხრეთა, პროლეტარიატის მოკავშირეთა რიგებს და, ამრიგად, მიჰყავდათ წინ რევოლუციის საქმე.

სწორედ ამით აიხსნება ის ფაქტი, რომ ამიერკავკასიაში ჯერ კიდევ რუსეთის პირველი რევოლუციის წინა პერიოდში ადგილი ჰქონდა რამდენიმე ათეულ გაფიცვას, პოლიტიკური ხასიათის დემონსტრაციას და აჯანყებას. 1905 წლის 9 იანვრის ამბების შემდეგ კი ახალი ძალით გაჩაღდა საგაფიცეო მოძრაობა თბილისში, ქიათურაში, ქუთაისში, სოხუმში, ფოთში და საქართველოს მთელ რიგ ქალაქებში. მთელი 1905 წლის განმავლობაში ყოველდღიურად, ყოველკვირა იზრდებოდა მუშათა მოძრაობა და იღებდა სულ უფრო და უფრო შეუპოვარ ხასიათს.

ამიერკავკასიის ბოლშევიკები ინტენსიურ მუშაობას ეწეოდნენ, აგრეთვე, გლეხებს შორის, სწორედ ამან განაპირობა ის ფაქტი, რომ როგორც რუსეთის პირველი რევოლუციის წინ, ისე რევოლუციის პერიოდში უაღრესად შეუპოვარი ხასიათი მიიღო გლეხთა მოძრაობამ ამიერკავკასიაში, განსაკუთრებით საქართველოში, კერძოდ კი გურიაში. საქართველოში რუსეთის პირველი რევოლუციის პერიოდში თითქმის არ იყო ისეთი კლასი, სადაც გლეხობას არ მიეღოს მონაწილეობა რევოლუციაში, ან არ გამოხმაურებოდეს მას. სწორედ ამიტომ მიიპყრო ლენინის, პარტიის ყურადღება ამიერკავკასიის გლეხთა რევოლუციურმა მოძრაობამ. სწორედ ამის გამო მოისმინა პარტიის III ყრილობამ ამიერკავკასიაში გლეხთა მოძრაობის საკითზე მოხსენება და მიიღო „კავკასიის ამბების გამო“ სპეციალური რეზოლუცია: „რევოლუციური მოძრაობა კავკასიის მოსახლეობის უმრავლესობაში როგორც ქალაქად, ისე სოფლად, უკვე მივიდა თვითმპყრობელობის წინააღმდეგ საყოველთაო სახალხო აჯანყებამდე, — წერდა ლენინი რეზოლუციაში, აფასებდა რა რევოლუციურ მოძრაობას — ამიერკავკასიაში. ამიერკავკასიაში რევოლუციური მოძრაობის ლენინური შეფასება მოიწონა III ყრილობამ, რომელიც რუსეთის შეგნებული პროლეტარიატის სახელით მხურვალედ მიესალმა კავკასიის გმირ პროლეტარიატსა და გლეხობას.

ეს იყო ლენინის მისალმებაც.

ამიერკავკასიის პროლეტარიატი და გლეხობა მომდევნო წლებშიც ამდიდრებდა თავის რევოლუციურ საქმეებს. ყოველთვის ინარჩუნებდა სარუსეთო ბრძოლაში საპატიო ადგილს.

ვ. ი. ლენინი დიდ ყურადღებას აქცევდა ამიერკავკასიის ბოლშევიკების საგამომცემლო მოღვაწეობას. რუსეთის პირველი რევოლუციის წინ და რევოლუციის პერიოდში საგამომცემლო მუშაობამ ამიერკავკასიაში მიიღო უაღრესად ფართო ხასიათი. აქ 1901—1907 წლებში გამოიცა ქართულ, რუსულ, სომხურ, აზერბაიჯანულ ენებზე დაახლოებით 30-მდე ჟაზეთი, ასეულობით პროკლამაცია, ფურცელი, მოწოდებები, სხვადასხვა სახელწოდების ნათარგმნი და ორიგინალური წიგნი თუ ბროშურა. ბოლშევიკური, ლენინური პრესა ამიერკავკასიაში წარმოადგენდა პროლეტარიატისა და ყველა მშრომელთა საბრძოლო დროშას.

ამრიგად, რევოლუციის საკითხებზე ვ. ი. ლენინის სახელმძღვანელო მითითებებმა, ბოლშევიკური ორგანიზაციების მასებს შორის გაწეულმა მუშაობამ, რუსეთის გმირი პროლეტარიატის გავლენამ განაპირობეს ამიერკავკასიის მუშათა და გლეხთა რევოლუციური მოძრაობის დიდი გაქანება და მათი საპატიო ადგილი ცარიზმისა და ბურჟუაზიის წინააღმდეგ სარუსეთო მასშტაბით გაჩაღებულ რევოლუციაში.

თავიდანვე ლენინის მაღალი შეფასება დაიმსახურა აგრეთვე იმ შეუპოვარმა და მრავალმხრივმა მუშაობამ, რომელსაც წარმოშობის პირველი დღეებიდანვე ეწეოდნენ ამიერკავკასიის ბოლშევიკური ორგანიზაციები პარტიის ეროვნული პროგრამის პროპაგანდისა და პრაქტიკულად განხორციელების დარგში. ბოლშევიკებმა მაღლა ასწიეს პროლეტარული ინტერნაციონალიზმის ლენინური დროშა. დარაზმეს მის ირგვლივ სხვადასხვა ეროვნებათა მუშები, შრომელები. შეუპოვარი ბრძოლა გამოუცხადეს თვითმპყრობელურ შოვინიზმს, ბურჟუაზიულ ნაციონალიზმს, სეპარატიზმს, რომელიც ფაქტიურად ესმარებოდა ცარიზმს მის ბრძოლაში რევოლუციის წინააღმდეგ. საქართველოსა და ამიერკავკასიის სხვადასხვა ეროვნების მშრომელთა ინტერნაციონალური შეკავშირების სურათი მკაფიოდ აღებეჭდა მეხსიერებაში დიდ რუს მწერალს ა. მ. გორკის, რომელიც შემდეგში იგონებდა: „კავკასიაში რომ ვიყავი ხოლმე, ყველგან ვხედავდი რა შეხმატკბილებულად და მშვიდობიანად მუშაობდნენ ერთმანეთის გვერდით, ქართველთ, თათარი და სომეხნი, რა ბავშვურად მხიარულად და უბრალოდ მღეროდნენ და იცინოდნენ ისინი...“

ხალხთა ეს მეგობრობა ღრმად იგრძნო მ. ი. კალინინმაც, როცა ის მეფის მთავრობამ 1900 წელს პეტერბურგიდან კავკასიაში გადმოასახლა. უფრო გვიან იგი წერდა „იმ შავხელ ღროს ჩემი ნების წინააღმდეგ თბილისში რომ აღმოვჩნდი, მაშინვე ვგრძენი, რომ ნაშობილურ წრეში მოვხვდი. ეს მთაბეჭდილება, ნათესაობის ეს გრძნობა მთელ სიცოცხლეში დამრჩა... ეს სავესებით ბუნებრივია, ვინაიდან მუშათა კლასის — საუკეთესო თვისებაა მეგობრობა, სოლიდარობა, ურთიერთშეშაობა“.

პროლეტარული ინტერნაციონალიზმის სულსკვეთებით მშრომელთა აღზრდისა და პარტიის ლენინური ეროვნული პროგრამის პროპაგანდის დარგში ამიერკავკასიის ბოლშევიკების მიერ გაწეული მუშაობისათვის არაერთხელ მიუძღოა მაღალი შეფასება ლენინს.

სტატიაში „თანამედროვე რუსეთი და მუშათა მოძრაობა“ ლენინი წერდა, რომ „ჩვენთვის ნიმუშს უნდა წარმოადგენდეს კავკასიის სოციალ-დემოკრატი, რომელიც პროპაგანდას ეწეოდა ერთ და იმავე ღროს ქართულ სომხურ, თათრულ და რუსულ ენებზე“. ლენინი შემდეგშიც მრავალჯერ მიუთითებდა იმ დიდ გამოცდილებაზე, რომელიც ამიერკავკასიის ბოლშევიკურ ორგანიზაციებს ჰქონდათ ეროვნული საკითხის გადაწყვეტის დარგში. იგი კვლავდაკვლავ აღნიშნავდა, რომ „მუშათა მოძრაობის ინტერესებსა და ამოცანებს შეეფერება ყველა ეროვნების ის სრული ერთიანობა (აღვილებზე, თავიდან ბოლომდე), რომელიც ასე დიდხანს და ასეთი წარმატებით ხორციელდებოდა კავკასიაში“. სიტყვებში — „ასე დიდხანს“ ლენინი გულ-სხმობდა 1898—1912 წლების მთელ პერიოდს — „...პარტიის ისტორიის მთელი 14 წლის განმავლობაში“. ახალი რევოლუციური აღმავლობის წლებში ლენინი გაძლიერებით განაგრძობს ეროვნული საკითხის დამუშავებას. იგი წერს: „თეზისებს ნაციონალურ საკითხზე“, გამოდის რეფერატებით, თეორიულად ასახულებს ეროვნებათა თვითგამორკვევის უფლებას, ქმნის „პროექტს კანონისა ერთა თანასწორუფლებიანობისა და ეროვნულ უმცირესობათა უფლებების დაცვის შესახებ“.. ამასთან ერთად ეროვნული საკითხის დამუშავებასა და გაშუქებაში აბამს პარტიის საუკეთესო პუბლიცისტურ ძალებს. იგი წინადადებს აძლევს ს. გ. შაუმიანს წეროს და მასვე ავალებს გაუგზავნოს მას „რაც შეიძლება მეტი

მასალა ეროვნულ საკითხზე კავკასიაში“. წერილს უკანასკნელ სტრიქონებში ლენინი მოაგონებს შაჰმიანს: „არ დაგავიწყდეთ, აგრეთვე, მოძებნოთ კავკასიელი ამხანაგები, რომლებსაც შეუძლიათ დაწერონ სტატიები ეროვნულ საკითხებზე კავკასიაში“.

1913 წლის თებერვლის მეორე ნახევარში ა. მ. გორკის სახელზე გამოგზავნილ ერთ-ერთ წერილში ლენინი წერს: „ნაციონალიზმის შესახებ ჰაესე-ბით გეთანხმებით, რომ ამას უფრო სერიოზულად მოვკიდოთ ხელი. ჩვენთან აქ ერთი შესანიშნავი ქართველი ჩაუჯდა და „პროსევეშჩენიესათვის“ წერს დიდ სტატიას, რისთვისაც შეკრიბა მთელი ავსტრიული და სხვა მასალები“ (ლაპარაკია ი. ბ. სტალინზე, — გ. ე.). ხოლო იმავე წლის ბოლოს ლენინმა თავის სტატიაში „რსდმპ ნაციონალურ პროგრამის შესახებ“ კმაყოფილებით აღნიშნა თეორიულ მარქსისტულ ლიტერატურაში არსებული ვითარება, რომ სოციალ-დემოკრატიის ნაციონალური პროგრამის საფუძვლები უკვე გაშუქებულია უკანასკნელ ხანებში და მიუთითა, რომ „აქ პირველ ადგილზეა სტალინის სტატია“. ამ შემთხვევაში ლენინს მხედველობაში ჰქონდა „მარქსიზმი და ნაციონალური საკითხი“.

ნაციონალური საკითხის დარგში ლენინის მუშაობას დიდი ყურადღებით ადევნებდა თვალს პარტიის ბევრი მოღვაწე, განსაკუთრებით ამიერკავკასიის ბოლშევიკებს მიწერ-მოწერა ჰქონდათ მასთან, უგზავნიდნენ მას ადგილობრივ მასალებს. როდესაც მ. ნ. დავითაშვილმა მიიღო ნ. კ. კრუპსკაიასგან ლენინური „პროექტი კანონისა და ერთა თანასწორუფლებიანობისა და ეროვნულ უმცირესობათა უფლებების დაცვის შესახებ“, რომლის შეტანა IV სახელმწიფო სათათბიროში განსახილველად გათვალისწინებული იყო ბოლშევიკური ფრაქციის მიერ, მან მაღლობა შეუთვალა ნადეჟდა კონსტანტინეს აულს აღნიშნული პროექტის გამოგზავნისათვის და აცნობა, რომ უკვე გადაწერა იგი თავისთვის და მალაქია ტოროშელიძისათვის და კიდევ უნდა გაუგზავნოს ფილიპე მახარაძეს. მართო ეს ფაქტიც ცხადად მიუთითებს იმაზე, თუ რა სწრაფად და როგორი ინტერესით ახდენდნენ რეაგირებას ამიერკავკასიის პარტიული მოღვაწენი ეროვნულ საკითხზე ლენინის ყოველ ახალ გამოსვლაზე.

ნაციონალური საკითხის თეორიული მარქსისტულ-ლენინური დამუშავება მიმდინარეობდა ყველა ჯურის ოპორტუნიტულ ელემენტებთან — ბუნდელებთან, ლიკვიდატორებთან, ნაროდნიკულ და „კულტურულ-ნაციონალისტურ ავტონომისტებთან“ შეუირიგებელ ბრძოლაში. ლენინი შეუწელებლად ადევნებდა თვალყურს ამიერკავკასიაში ნაციონალურ საკითხში ოპორტუნიზმის ყოველ გამოვლენას, განსაკუთრებით კი ნ. ჟორდანიას ყოველ ნაბიჯს. ლენინი იყო, ამიერკავკასიის ბოლშევიკების, პირველ რიგში ს. გ. შაჰმიანის, ნ. დ. კიკნაძის, ა. ს. ენუქიძის, მ. ნ. დავითაშვილის, მ. გ. ტოროშელიძის, ვ. მ. კასპაროვის დახმარებით ეროვნულ საკითხზე ადგილობრივი პრესის ფურცლებზე ყოველი გამოსვლის კურსში. ამასთან ერთად ლენინი თვალყურს ადევნებდა ბოლშევიკური ორგანიზაციების მიერ ეროვნულ საკითხში პარტიის პროგრამის განხორციელებას და მიუთითებდა, რომ „ნაციონალური საკითხი ყველა წევრებული მუშის მხრივ მოითხოვს ნათლად დაყენებას და გადწყვეტას“.

ამ მოთხოვნის განსაკუთრებული მნიშვნელობა მთელი სისრულით დამტკიცდა 1914 წელს დაწყებული პირველი მსოფლიო იმპერიალისტური ომის

აერიოდში, როცა პარტიამ ლენინის ხელმძღვანელობით გააჩაღა შეუპოვარი ბრძოლა სოციალ-შოვინიზმის სამხილებლად, რევოლუციისათვის პროლეტარული მასების, ყველა მშრომელისა და არმიის მოსამზადებლად.

მშრომელთა ინტერნაციონალური აღზრდის დარგში მთელი პარტიის და კერძოდ ამიერკავკასიის ბოლშევიკების მიერ გაწეული მთელი მუშაობის შეჯამებულ შეფასებად გაისმის ლენინის მიერ 1913 წელს ა. მ. გორკის სახელზე გაგზავნილი წერილის უკვედვი სტრიქონები: „ჩვენში და კავკასიაში ს. დ. +ქართველები+სომხები+თათრები, +რუსები ათ წელიწადზე მეტ ხანს მუშაობდნენ ერთად ერთიან ს. დ. ორგანიზაციაში ეს ფრაზა კი არ არის, არამედ ეროვნული საკითხის პროლეტარული გადაწყვეტაა, ერთადერთი გადაწყვეტა“.

ამრიგად, ამიერკავკასიის მშრომელთა ფართო მასების ინტერნაციონალური აღზრდა თავიდანვე ეყრდნობოდა პროლეტარული ინტერნაციონალიზმის, პროლეტარიატის კლასობრივი ბრძოლის მტკიცე მარქსისტულ-ლენინურ პრინციპებს. პროლეტარული ინტერნაციონალიზმის ლენინური პრინციპების განხორციელებისათვის ამიერკავკასიის ბოლშევიკების განუწყვეტლივ ბრძოლაში იქედნებოდა საარსებო ლოზუნგები, რომელთაგან ერთ-ერთი იყო ლოზუნგი: „გაუმარჯოს თანასწორუფლებიან ხალხთა ძმობას!“ რომელმაც ღრმად გამოხატა ამიერკავკასიის ხალხთა ოცნება და მისწრაფება რევოლუციის ყველა ეტაპზე და მათს საბრძოლო ღრმას წარმოადგენდა.

\* \* \*

კიდევ უფრო გაიზარდა ლენინის ზრუნვა და დახმარება, პარტიის ცენტრალური კომიტეტის ხელმძღვანელობა საქართველოსა და ამიერკავკასიის ბოლშევიკებისადმი ოქტომბრის დიდი სოციალისტური რევოლუციის გამარჯვების შემდეგ. ასევე მრავალმხრივი იყო მათი დახმარება ამიერკავკასიის მშრომელებისადმი საბჭოთა ხელისუფლებისათვის ბრძოლაში. მაგრამ, როგორც ცნობილია, მთელი რიგი საშინაო და საგარეო მიზეზების გამო დიდი ოქტომბრის მზემ დაგვიანებთ, შემოანათა ამიერკავკასიის რესპუბლიკებში, კერძოდ საქართველოში. აქ საბჭოთა ხელისუფლებისათვის მშრომელთა ხანგრძლივი ბრძოლა დაგვირგვინდა გამარჯვებით ოქტომბრის რევოლუციიდან დაახლოებით სამნახევარი წლის შემდეგ, 1921 წლის 25 თებერვალს.

ამ ისტორიული დღიდან კიდევ უფრო შეერწყა ერთმანეთს სიტყვები: „ლენინი და საქართველო“.

საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვების მესამე დღეს, 27 თებერვალს პარტიის ცენტრალური კომიტეტი სახავს მნიშვნელოვან ღონისძიებას საბჭოთა საქართველოსათვის დახმარების გასაწევად. კერძოდ, ამ დღეს რკპ(ბ) ცკ-ის საორგანიზაციო ბიურო განიხილავს საკითხს საქართველოსათვის პარტიული და საბჭოთა კადრების დაუყოვნებლივ მობილიზაციის შესახებ. სტალინი წინადადებას იძლეოდა, რომ საქართველოში გაგზავნილიყვნენ ანხ. ლ. ლოლობერიძე, ბ. ლომინაძე, ბ. ნანეიშვილი და სვერდლოვის უნივერსიტეტის რამდენიმე კურსანტი. ცენტრალური კომიტეტის საორგანიზაციო ბიუროს მიერ ერთხმად იქნა მიღებული დადგენი-

ლება რკპ(ბ) X ყრილობის შემდეგ საქართველოში აღნიშნული პირების გაგზავნის შესახებ.

მეორე დღეს, 28 თებერვალს რკპ(ბ) ცკ-ის პოლიტბიურომ მოისმინა საგარეო საქმეთა სახალხო კომისარის გ. ჩიჩერინის ინფორმაცია საქართველოს ამბების შესახებ. იმავე დღეს ლენინმა პოლიტბიუროს დავალებით საქართველოში საბჭოთა ხელისუფლებას დამყარების ფაქტი აცნობა მუშათა და გლეხთა დემუტატების მოსკოვის საბჭოს პლენუმს, სადაც იგი გამოვიდა სიტყვით საბჭოთა რესპუბლიკების საერთაშორისო და საშინაო მდგომარეობის შესახებ. პლენუმის მონაწილენი ამ სასიხარულო ცნობას ტაშის გრიალით შეხვდნენ. ლენინმა თავის სიტყვაში მოგვცა აგრეთვე ნაციონალისტური მთავრობების ბატონობის პერიოდში ამიერკავკასიის რესპუბლიკების, კერძოდ საქართველოს მძიმე საშინაო და საგარეო მდგომარეობის ღრმა დახასიათება. ამიერკავკასიის შესახებ თავმა სიტყვაში მან აღნიშნა: „ჩვენ ჩინებულად ვიცით, რომ ქართველი ბურჟუაზია და ქართველი მენშევიკები ეყრდნობიან არა მშრომელ მასებს, არამედ თავიანთი ქვეყნის კაპიტალისტებს. ეს კაპიტალისტები კი შარს ეძებენ, რათა საომარი მოქმედება დაიწყონ, მაგრამ ჩვენ სამი წელია ერთი ვარაუდით ვცხოვრობთ და უკანასკნელ ამოსუნთქვამდე გვექნება ეს ვარაუდი, — ესაა ვარაუდი მშრომელი მასებისა, თუნდაც ჩამორჩენილი და ჩაგრული ქვეყნის მშრომელი მასებისა“.

3 მარტს რკპ(ბ) ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიურომ მიიღო დადგენილება საქართველოს საბჭოთა მთავრობისათვის დახმარების გასაწევად თბილისში ა. ენუქიძის მივლინების შესახებ. იგი მაშინ მუშაობდა სრულიად რუსეთის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მდივნად. საქართველოში ენუქიძის მივლინების შესახებ პოლიტბიუროს დადგენილებასთან დაკავშირებით სრულიად რუსეთის ცენტრალურმა აღმასრულებელმა კომიტეტმა თხოვნით მიმართა ვ. ი. ლენინსა და ი. ბ. სტალინს მოსკოვში ა. ენუქიძის დატოვების შესახებ. ვ. ი. ლენინმა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის თხოვნის დაკმაყოფილება შეუძლებლად მიიჩნია მან ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მიმართვას წააწერა: „მე გამგზავრების მომხრე ვარ აბსოლუტურად საქროა საქართველოში მისი გამგზავრება. საქმე საერთაშორისო მნიშვნელობისაა. აქაურ საქმეებში ენუქიძის შეცვლა სავსებით შესაძლებელია თანამემყვებით“.

ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მიმართვაზე გაკეთებული ეს პატარა რამდენიმე სტრეჩონისაგან შემდგარი წააწერა ერთხელ კიდევ მიუთითებს იმ დიდ ზრუნვასა და ყურადღებაზე, რომელსაც იჩენდა ლენინი საქართველოს მიმართ. იგი მიუთითებს, აგრეთვე იმაზეც, თუ რა დიდ მნიშვნელობას ანიბეჭდა იგი საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვებას.

ვ. ი. ლენინის ინიციატივით და უშუალო მონაწილეობით მომდევნო წლებშიც არაერთხელ განუხილავს რკპ(ბ) ცკ-ის პოლიტბიუროს, საორგანიზაციო ბიუროს და სამდივნოს საქართველოს ეკონომიკურ და პოლიტიკურ ცხოვრებასთან და პარტიული ორგანიზაციების მუშაობასთან დაკავშირებული მრავალი დიდმნიშვნელოვანი საკითხი.

ვ. ი. ლენინი მაშინაც არ იგეგმებდა საქართველოს მშრომელებს, მაშინაც არ აკლებდა ზრუნვასა და ხელმძღვანელობას, როცა მძიმე ავადმყოფობის გამო მის

ხელეbs არ ემორჩილებოდა კალამი, რათა ქალღმრთელად გადაეტანა ქართველი კომუნისტებისათვის საარსებო მნიშვნელობის თავისი ბრძნული მითითებები.

საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვებით საქართველოს მუშათა კლასმა, მშრომელმა გლეხობამ გააკეთეს დიდი ისტორიული საქმე. მაგრამ ქართველი ხალხის წინაშე იდგა კიდევ უფრო ძნელად გადასაჭრელი ამოცანები. მას პირველ რიგში უნდა მოეხდინა ცარიზმის კოლონიური რეჟიმისა და საბჭოთა ხელისუფლებისათვის ბრძოლის წლებში ნაციონალისტური მთავრობების ანტინალხური საშინაო და საგარეო პოლიტიკის უმძიმესი მემკვიდრეობის ლიკვიდაცია. ხოლო შემდეგ კი გაეჩაღებინა ბრძოლა ჩვენს ქვეყანაში სოციალიზმის აშენებისათვის.

აქეთი ისტორიული ამოცანების განხორციელებისათვის ბრძოლას გზაზე საქართველოს მშრომელებისათვის, ქართველი კომუნისტებისათვის ლენინის მრავალრიცხოვანი დოკუმენტებიდან განსაკუთრებით დიდი სახელმძღვანელო მნიშვნელობა ჰქონდა მის წერილს ს. ორჯონიკიძისადმი, რომელიც დაწერა მან საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვების მეექვსე დღეს, 1921 წლის 2 მარტს. ეს წერილი მიმართული იყო ქართველი კომუნისტებისადმი. წერილი იმავე დღეს პირდაპირი მავთულით გადაეცა სერგო ორჯონიკიძეს ბაქოში.

ვ. ი. ლენინის ეს წერილი ორჯონიკიძისადმი უაღრესად საინტერესო და უნიკალური დოკუმენტია. იგი შეიცავდა საბჭოთა საქართველოს პოლიტიკური, ეკონომიკური და იდეოლოგიური ცხოვრების ძირეული გარდაქმნის მეცნიერულად დასაბუთებულ პროგრამას. აღნიშნული წერილი იწყებოდა მისაღმებით: „გადავცით ქართველ კომუნისტებს და სპეციალურად საქართველოს რევკომის ყველა წევრს ჩემი მხურვალე სალაშქრო საბჭოთა საქართველოსადმი“. წერილი შეიცავდა მთელ რიგ რჩევებსა და სახელმძღვანელო მითითებებს.

პირველ რიგში ლენინი ქართველი კომუნისტებისაგან მოითხოვდა მუშებისა და უღარიბესი გლეხების დაუყოვნებლივ შეიარაღებას და ამნაირად საქართველოს მტკიცე წითელი არმიის შექმნას.

ლენინი აუცილებლად საჭიროდ თვლიდა ქართველი ინტელიგენციისა და წვრილი ვაჭრების მიმართ დათმობათა განსაკუთრებული პოლიტიკის გატარებას.

შემდეგ, ლენინი მოითხოვდა ქართველი კომუნისტებისაგან არარუსული შაბლონის გამოყენებას, არამედ თავისებური ტაქტიკის მოხერხებულ და მოქნილად შემუშავებას.

თავის წერილში ლენინი ქართველი კომუნისტების, საქართველოს რევკომისაგან განსაკუთრებით თხოულობდა, რომ ეცნობებინათ მისთვის — ეთანხმებინათ თუ არა ისინი მას წერილში დასმულ საკითხებში.

ს. ორჯონიკიძე წერილის მიღების დღესვე (2 მარტს საღამოს) დეპეშით უგზავნის საქართველოს კომუნისტების პასუხს ვ. ი. ლენინს წერილში დასმულ საკითხებზე: „თქვენს მიერ მითითებულ საკითხებზე შემოიღია გაცნობით,

რომ საქართველოს კომუნისტებში არსებობს სრული ერთსულოვნება თქვენთან“.

ამასთან ერთად ორჯონიკიძემ ლენინს გაუგზავნა საბჭოთა საქართველოს რევკომის დეპუტა: „გადმოვცემთ, აი ახლახან, საქართველოს რევკომისაგან მიღებულ პასუხს თქვენს მისალმებებზე:“ გადავცით ამხ. ლენინს ჩვენი აღფრთოვანებული მადლობა. მისალმებისათვის და ჩვენი ღრმა რწმენა, რომ იგი არც ერთ წუთს არ დაგვივიწყებს ჩვენ და მოგვცემს თავის ბრძნულ რჩევებს. ჩვენი საშინაო და საგარეო ვითარების პირობებში ამხ. ლენინის მითითებას შეუძლია გვიხსნას უაღრესად საშიში შეცდომებისაგან“.

ვ. ი. ლენინის აღნიშნულ წერილში ჩამოყალიბებულ ბევრ პროგრამულ დებულებას სახელმძღვანელო მნიშვნელობა ჰქონდა მთელი ამიერკავკასიის ბოლშევიკებისათვის. ამიტომ შემთხვევითი როდი იყო, რომ ზოგიერთმა მათგანმა შემდგომი კონკრეტიზაცია პოვა ლენინის ცნობილ წერილში „აზერბაიჯანის, საქართველოს, სომხეთის, დაღესტნის და მთიულეთის რესპუბლიკის ამჟინავ კომუნისტებს“, რომელიც დაიწერა 1921 წლის 14 აპრილს. ლენინის ეს წერილი ამიერკავკასიის ბოლშევიკებს ამომწურავ პასუხს აძლევდა იმაზე, თუ რით დაეწყოთ და როგორ მოეწყოთ ცხოვრება და მუშაობა, და როგორი სამეურნეო საშინაო და საგარეო პოლიტიკა განსხორციელებინათ. ამ წერილის დასაწყისში, მიესალმა რა კავკასიის საბჭოთა რესპუბლიკებს. ლენინმა რწმენა გამოთქვა, რომ მათი მჭიდრო კავშირი შექმნიდა ბურჟუაზიის დროს არნახული და ბურჟუაზიულ წყობილებაში შეუძლებელი ეროვნული მშვიდობიანობის ნიმუშს.

კავკასიელი ბოლშევიკებისათვის შეუდარებლად მნიშვნელოვან, ამასთან ერთად ძნელ, მაგრამ საესებით შესასრულებელ ამოცანად ლენინი თვლიდა საბჭოთა ხელისუფლების, როგორც სოციალიზმზე გარდამავალი საფეხურის შენარჩუნებასა და განვითარებას. ამ ამოცანის წარმატებით გადაწყვეტის ყველაზე უფრო მნიშვნელოვან პირობად ლენინს მიაჩნდა ის, რომ ამიერკავკასიის კომუნისტებს შეეგნოთ თავიანთი მდგომარეობის, თავიანთი რესპუბლიკების მდგომარეობის თავისებურება, რუსეთის სფს რესპუბლიკის მდგომარეობისა და პირობებისაგან განსხვავებით, შეეგნოთ მათ იმის აუცილებლობა, რომ ბრმად კი არ გადაიღონ რუსეთის კომუნისტების ტაქტიკა, არამედ მოფიქრებულად შეუფარდონ იგი კავკასიის კონკრეტულ პირობებს. „ბრმად კი არ უნდა გადაიღოთ ჩვენი ტაქტიკა. არამედ დამოუკიდებლად უნდა გაიაზროთ მისი თავისებურების მიზეზები, მისი პირობები და შედეგები, ადგილობრივ უნდა გამოიყენოთ 1917—1921 წლების გამოცდილების არა ანბან-სიტყვა, არამედ სული, აზრი, გაცვეთილები“, — წერდა ლენინი. იგი ამასთან ერთად მიუთითებდა მთელ რიგ მიზეზებზე, რომლებიც აუცილებელს ხდიდნენ კავკასიის კომუნისტებისათვის საკუთარი ტაქტიკის შემუშავებას.

ამ რიგად, ვ. ი. ლენინის აღნიშნული წერილები მთელი სიდიადით წარმოგვიდგენენ, თუ როგორ ღრმად სწვდებოდა იგი კავკასიის ყველა უმნიშვნელოვანეს სამეურნეო-პოლიტიკურ, სამხედრო და საერთაშორისო საკითხებში, როგორ კარგად იცოდა მან ამიერკავკასიის ხალხების ისტორია, ტრადიცია, ეროვნული თავი-

სებურებანი და როგორ გენიალურად განსაზღვრავდა იგი კავკასიის რესპუბლიკების აყვავებისა და წარმატებების გზებს ახალი, სოციალისტური წყობის ბაზაზე.

ლენინის ეს წერილები ამიერკავკასიის ბოლშევიკებისათვის ბელადის ანდერძის მნიშვნელობისაა.

\* \* \*

მიდიოდა რა ლენინის მიერ ნაჩვენები გზით და ურყევად ასრულებდა მის ანდერძს, საბჭოთა საქართველომ, კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით, ბოლო მოუღო საუკუნეობრივ ჩაპორჩენილობას და განახორციელა უდიდესი გარდაქმნები ცხოვრების ყველა დარგში; საქართველო გადაიქცა მძლავრ ინდუსტრიულ რესპუბლიკად. შეიქმნა მსხვილი მექანიზებული სოციალისტური სოფლის მეურნეობა. უმაგალითოდმაველობას მიაღწია ფორმით ეროვნულმა, შანაარსით სოციალისტურმა კულტურამ. კიდევ უფრო გაღრმავდა ქართველი ხალხის ინტერნაციონალური სულისკვეთება, მილიონობით სასიცოცხლო ძაფებით დაუკავშირდა იგი დიდ რუს ხალხს, სსრ კავშირის ყველა ხალხებს, მათთან არის ყველა დიდ თუ პატარა საქმეებში, მათთან ერთად იბრძვის პარტიის XXV ყრილობის ისტორიულ გადაწყვეტილებათა განხორციელებისათვის, რომლებიც შეიცავენ ნათელ პერსპექტივებს ლენინური იმედებით განათებულ კომუნიზმის მშენებლობის გზაზე ძლევამოსილი წინსვლისათვის.

ლენინის გენიალური ნაანდერძევი ცოცხლობს საქართველოს კომუნისტების ყველა საქმეში, რესპუბლიკის მუშების, კოლმეურნე გლეხებისა და ინტელიგენციის ყოველდღიურ შემოქმედებით შრომაში. ლენინის ანდერძისადმი ერთგულებით ზოიბოვა ქართველმა ხალხმა მაღალი ჯილდოები, რომლებიც ამშვენებენ რესპუბლიკის ეროვნულ დროშას.

საქართველო იყო, არის და იქნება დიდი ლენინის ანდერძის ერთგული!

## ფილიპე მახარაძე — საქართველოს ახალი ისტორიის მკვლევარი

საქართველოს ახალი ისტორიის მეცნიერული შესწავლა მარქსისტულ-ლენინური ისტორიოგრაფიის დამსახურებაა, რომელიც ჩვენში XIX საუკუნის დასასრულსა და XX ს.-ის დასაწყისში ჩაისახა.

ქართული მარქსისტულ-ლენინური ისტორიოგრაფიის ჩამოყალიბებაში დიდი როლი შეასრულა ვ. ი. ლენინის შრომების თარგმნამ და გავრცელებამ. ამ საქმეში უაღრესად დიდი ღვაწლი მიუძღვის საქართველოს ახალი ისტორიის პირველ მკვლევარს—ფილიპე მახარაძეს. იგი არა მარტო ვ. ი. ლენინის შრომების პირველი მთარგმნელი იყო ქართულ ენაზე, არამედ მან თავისი ნა-შრომებითაც დიდი წვლილი შეიტანა ქართული მარქსისტულ-ლენინური ისტორიოგრაფიის განვითარებაში. ფ. მახარაძის დიდი დამსახურება ისიც არის, რომ იგი ქართული ისტორიოგრაფიის ლენინური ეტაპის ერთ-ერთი ფუძემდებელია. ფ. მახარაძემ თავის გარშემო შემოიკრიბა ისტორიკოსთა, ეკონომისტთა, თუ ლიტერატურის მკვლევართა მთელი ჯგუფი. მათ დიდი მუშაობა გასწიეს XIX და XX საუკუნეთა ისტორიული ფაქტებისა და მოვლენების მარქსისტული გაშუქებისათვის. ფ. მახარაძე იყო პირველი მარქსისტი მეცნიერ-ისტორიკოსი, რომელმაც სცადა საქართველოს XIX საუკუნის ისტორიის მეცნიერული გაშუქება, რისთვისაც გამოიყენა მრავალი წყარო. მან პირველმა აღნიშნა საქართველოს რუსეთთან შეერთების რბივტურად პროგრესული მნაშენელობა, კერძოდ, საქართველოს რუსეთთან შეერთების დადებითი შედეგები. მისი აზრით, «Установление русской власти в Грузии, не было результатом решения одного человека, оно явилось исторической неизбежностью». აქედან გამომდინარე, იგი დაასკვნდა: «... для тогдашней Грузии иного пути, кроме присоединения к России, не существовало, без этого ее ожидало лишь физическое вырождение»...<sup>1</sup>

ფ. მახარაძე დიდი ყურადღებით ეპყრობოდა ქართველი ერის ახლო წარსულის შესწავლას, საქართველოს ახალი ისტორიის მეცნიერული დამუშავების საკითხებს, კრიტიკულად განიხილავდა საქართველოს ისტორიის წყაროებს და კმაყოფილებით აღნიშნავდა, რომ XIX ს.-ის დასასრულს წყაროთმცოდნეობას პირველი სერიოზული მიღწევები აქვს და თანდათან უფრო მეტი მეცნიერულ საფუძველზე დგება. იგი წერდა: „საქართველოს წარსული ცხოვრებისა და მწერლობის შესწავლის საქმეს რამდენიმედ მხოლოდ XIX საუკუნის ბოლოს გაუღმა ბედა, ამ უკანასკნელ ხანებში მიაგნეს ხალხის ისტორიის და ლიტერატურის ნამდვილ წყაროებს, რითაც გადაღმეულ იქნა პირველი ნაბიჯი როგორც ერთის, ისე მეორეს შესასწავლად“<sup>2</sup>.

<sup>1</sup> Ф. Махарадзе, Грузия в девятнадцатом столетии, Тифлиси, 1933, გვ. 7.

<sup>2</sup> „კვალი“, 1901 წ., № 24.

თავის წერილში — „ძველი ქართული მწერლობის გამო“ ფილიპე მახარაძე მიუთითებს, რომ საჭიროა ენერგიულად გაგრძელდეს მუშაობა ძველი მატერიალური ძეგლების შესწავლის დარგში. ეს წარმოდგენას მოგვცემს იმაზე თუ როგორ ცხოვრობდა და აზროვნებდა ქართველი ხალხი. „აქედან აიხსნება, — წერს იგი, — როგორც სამეცნიერო, ისე პრაქტიკული მნიშვნელობა ძველი მწერლობის წყაროების საფუძვლიანი შესწავლისა და გამორკვევისა“<sup>3</sup>.

ქართველი ერის კულტურის, მისი ისტორიული წარსულის მატერიალურ-ტურპოზიციებიდან შესწავლის საჭიროებაზე ფილიპე მახარაძე მიუთითებდა პირველ რიგში წერილში „გ. წერეთელი — როგორც ისტორიკოსი და არქეოლოგი“, აგრეთვე მრავალ სხვა სტატიაშიც. საქართველოს ისტორიის მარქსისტული შესწავლის საქმეში დიდი როლი შეასრულა ფ. მახარაძის შრომებმა: „მეცნიერება გაკოტრდა თუ მეტაფიზიკა“, „ხალხური პოეზია და ბ—ნ მელიტონ კელენჯერაძე“, „შინაური ვითარება საქართველოში XIX საუკუნეში“ და სხვ.

სტატიაში „მეცნიერება გაკოტრდა თუ მეტაფიზიკა“, რომელიც მიმართული იყო იდეალიზმისა და ზუტობის წინააღმდეგ, ავტორმა აღნიშნა, რომ უპირველესი პირობა მეცნიერული აზროვნებისა არის „განხილვა მოვლენათა ერთი-მეორისაგან დამოკიდებულებაში და ურთიერთობაში, ხოლო რადგან ეს ურთიერთობანი მუდამ იცვლება, ამიტომ ამ ცვლილებათა პირობების სისწორის განსაზღვრა შეადგენს იმ პირობას, ურომლისოდაც მეცნიერება შეუძლებელია“<sup>4</sup>. მეცნიერული აზროვნების ასეთი მიმართულების შედეგი იყო, რომ ფილიპე მახარაძის ლიტერატურული მოღვაწეობის სარბიელი თავიდანვე ფართო იყო; იგი წერდა დიალექტიკური და ისტორიული მატერიალიზმის შესახებ, გამოდიოდა როგორც ლიტერატურის კრიტიკოსი, ისტორიკოსი; დაუნდობლად ებრძოდა ყველას, ვინც იდეალიზმისაკენ იხრებოდა, ვინც უგულებელყოფდა ქართულ კულტურას, ეროვნულ ენას<sup>5</sup>.

მარქსიზმის ფილოსოფიური საფუძვლების დაცვას ჩვენში პირველად ისევე ფილიპე მახარაძემ ჩაუყარა საფუძველი სტატიით — „ისტორიული მატერიალიზმი“, რომელიც 1901 წელს იბეჭდებოდა „კვალში“. დიდა ფ. მახარაძის დამსახურება ეროვნული საკითხის ისტორიის შესწავლაში. იგი ასაბუთებდა, რომ საერთო ტერიტორიაზე ცხოვრება, სამეურნეო და პოლიტიკური ურთიერთობის პროცესში ადამიანთა მიერ შემუშავებული ენის, კულტურის, ზნე-ჩვეულების, ეკონომიკური ცხოვრების ერთობა წარმოადგენს ერს, რომლის დამახასიათებელი ნიშნების ჩამოყალიბება ერთსა და იმავე დროს არ ხდება; ეს ნიშნები ხალხთა ისტორიული განვითარების შედეგია. ერის ძირითადი ფუძემდებელი ნიშანი — ეკონომიური ბაზისი — ყველაზე მეტად გამოკვეთილი ფორმით ჩამოყალიბდა კაპიტალიზმის დროს<sup>6</sup>.

წერილში „ჩვენი პუბლიცისტიკა და ეროვნული საკითხი“, რომელიც 1902 წლის დასაწყისს დაიბეჭდა, ფ. მახარაძე მარქსიზმის კლასიკოსების სახელმძღვანელო მითითებებზე დაყრდნობით არკვევს ერის არსს, მისი წარ-

<sup>3</sup> „კვალ“, 1901 წ. № 24.

<sup>4</sup> ფ. მახარაძე, თხზულებანი, ტ. 1. თბ., 1924, გვ. 124.

<sup>5</sup> ფ. მახარაძე, ფ. მახარაძე (ბიოგრაფიული ნარკვევი), თბ., 1958, გვ. 21.

<sup>6</sup> გ. ზაქარიაძე, ქართული საზოგადოებრივ-პოლიტიკური აზრის განვითარების ლენინური ეტაპი, თბ., 1974, გვ. 244.

2. „მაცნე“, ისტორიის სერია, 1980, № 1

მოშობა-განვითარების პირობებს. „მიახლოებით XV საუკუნიდან იწყება ევროპაში კაპიტალისტური წარმოების ხანა. საგარეო და საშინაო აღებ-მიცემობის განვითარებამ აუცილებელი გახადა წარმოების უფრო ფართო ნიადაგზე დაყენება, ვინემ ამას ხელოსნურ-ამქრული სისტემა წარმოადგენდა. ყოველივე ეს ძირს უთხრიდა ფეოდალურ, ვიწრო კარჩაკეტილ საზოგადოებას და ნიადაგს უმზადებდა ფართო ეროვნულ ნიადაგზე გაერთიანებულ საზოგადოებად. აი, ის ნიადაგი, რომელზედაც აღმოცენდნენ და განვითარდნენ თანამედროვე ეროვნებანი“ — წერდა ფილიპე მახარაძე<sup>7</sup>.

ფ. მახარაძე სრულიად სამართლიანად ერს მიიჩნევს ისტორიულ კატეგორიად, რომლის ელემენტები „ძველმა ისტორიამ გვიანდერძა“.

ფ. მახარაძე ებრძოდა ნაციონალურ-კულტურული ავტონომიის მომხრეებს. თავის სტატიაში — „ორიოდე სიტყვა ნაციონალურ-კულტურული ავტონომიის შესახებ“, რომელიც გამოქვეყნდა გაზეთ „სიბართლის ხმაში“ 1914 წლის თებერვლის ნომერში, წერდა: „ნაციონალურ-კულტურული ავტონომიის მომხრე ვალდებულია ნაციის ყველა კლასების მჭიდრო კავშირის დამტოვება თანამშრომლობა იქადაგოს. უამისოდ ეს ავტონომია კარგავს ფეხქვეშ ყოველივე ნიადაგს. ამიტომ რა არის არსებითად ნაციონალურ-კულტურული ავტონომია, თუ არა ლიბერალურ-ბურჟუაზიული ნაციონალიზმი?“<sup>8</sup>

ფ. მახარაძეს არ აკამაყოფილებდა ქართული ეურნალ-გაზეთების იდეური შინაარსი, ამიტომ დაუნდობლად აკრიტიკებდა მათ. მას ისტორიულ აუცილებლობად მიაჩნდა მშრომელთა ინტერესების დამცველი პრესის დაარსება, სურდა პუბლიცისტიკა და მთლიანად მწერლობა ჩამდგარიყო მუშათა კლასის განთავისუფლებისათვის ბრძოლის სამსახურში. „კერძოდ, ეურნალ-გაზეთები, ე. ი. პუბლიცისტიკა აახლოვებს მკითხველს მთელ ქვეყნიერებასთან, ხდის მას წევრად ერთი მთელისას, რომელსაც კაცობრიობა ეწოდება“<sup>9</sup> — წერდა იგი.

ფილიპე მახარაძემ 1895 წელს გაზეთ „კვალში“ გამოაქვეყნა სტატია „გაცვრით პასუხა“, რომელიც მისი პირველი ლიტერატურულ-პუბლიცისტური გამოსვლა იყო პრესაში. ამ დღიდან იგი თითქმის ნახევარი საუკუნის მანძილზე გულწრფელად ემსახურებოდა მარქსისტულ-ლენინური პუბლიცისტიკის კეთილშობილურ საქმეს. „კვალში“ 1895 წლიდან 1904 წლამდე (ე. ი. მის დახურვამდე) მან მოასწრო დაებეჭდა 100-ზე მეტი სტატია. მისი პუბლიცისტური წერილები ეხებოდა ეკონომიკის, პოლიტიკის, ისტორიის, ფილოსოფიის, ეროვნული ენისა და ლიტერატურის საკითხებს.

საკითხი საქართველოში კაპიტალიზმის განვითარების შესახებ, მარქსისტული მსოფლმხედველობის შექმნა — პირველად დაისვა ა. წულუკიძის და ფ. მახარაძის წერილებში, რომლებიც გამოქვეყნდა ქართულ პრესაში 90-იანი წლების მიწურულსა და 900-იანი წლების დასაწყისში, ხოლო საქართველოს სამრეწველო განვითარების ისტორიის გვეგმაზომიერ შესწავლას ქართულ საბჭოურ ისტორიოგრაფიაში საფუძველი ჩაეყარა 30-იან წლებში ფ. მახარაძის ნაშრომებით<sup>10</sup>.

<sup>7</sup> „კვალი“, 1902 წ., № 7.

<sup>8</sup> ფ. მახარაძე, თხზულებანი, ტ. IV, 1924, გვ. 69.

<sup>9</sup> „კვალი“, 1901 წ., № 7.

<sup>10</sup> ე. ხოშტარია, მრეწველობის განვითარება და მუშათა კლასის ჩამოყალიბება XIX ს. საქართველოში, თბ., 1966, გვ. 5.

ფილიპე მახარაძე სწავლობდა საქართველოს XVIII ს-ის დასასრულის და XIX ს-ის დამდეგის ეკონომიკურ მდგომარეობას. იგი კარგად ახასიათებს თავის ნაშრომებში ოჯახურ მრეწველობას, ხელოსნურ წარმოებას. არ ავიწყდება, რომ ეს პერიოდი მაინც ნატურალური მეურნეობის ბატონობით აღინიშნება, ზოლო თბილისს, საქართველოს დედექალაქს, განიხილავს, როგორც ქვეყნის ხელოსნური წარმოების ცენტრს.

ფ. მახარაძე საქართველოში ნატურალური მეურნეობის რღვევასა და კაპიტალიზმის ჩასახვას, ქვეყანაში სოციალურ-ეკონომიკური ხასიათის ძვრებს, სასაქონლო მიმოქცევის განვითარებას მიაწერს საქართველოს რუსეთთან შეერთებას. საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების საკითხებს საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ პერიოდში იგი შეეხო შრომებში: «Грузия в девятнадцатом столетии». და «История развития рабочего движения в Грузии».

საქართველოში კაპიტალიზმის განვითარების ფაქტი და ამ ფაქტის პროგრესული მნიშვნელობა აღნიშნა ფ. მახარაძემ ჯერ კიდევ თავის ისტორიულ გამოკვლევაში „საქართველოს შინაური ცხოვრება XIX საუკუნეში“, რომელიც იბეჭდებოდა ჟურნალ „კვალს“ 1900 წლის იანვრის ნომერში. ეს წერილი პირველი მარქსისტულ-მეცნიერული გამოკვლევაა საქართველოს XIX ს-ის ისტორიის შესახებ. ამ ნაშრომში ფ. მახარაძემ განიხილა XIX ს-ის საქართველოს პოლიტიკური და ეკონომიკური ვითარება და სათანადო ფაქტობრივი მასალის მეცნიერული ანალიზის საფუძველზე დაასკვნა, რომ „რეალური წარმოება, აღებ-მიცემობა და ვაჭრობა გაძლიერდა, ჩაისახა ბურჟუაზიული ურთიერთობათა საფუძველი, მამასადამე თვით ცხოვრებამ უარყო ბატონყმობა, ამას მოჰყვა მისი გაუქმება კანონით, მოიძაო იურიდიულად“<sup>11</sup>. ეს დებულება ფ. მახარაძემ 1904 წელს კიდევ უფრო დააზუსტა და აღნიშნა, რომ: „XIX საუკუნის დასაწყისშივე იწყება ჩვენში ნატურალური მეურნეობის დარღვევისა და ვაჭრობის ნელი პროცესი“.

კაპიტალისტური მრეწველობის განვითარება საქართველოში, ფ. მახარაძის აზრით, XIX ს-ის მეორე ნახევარში ხდება, თუმცა მას მხედველობიდან არ გამორჩენია არც XIX ს-ის პირველი ნახევრის კაპიტალისტური სამრეწველო წამოწყებები. იგი აღნიშნავდა, რომ მრეწველობის განვითარებისათვის იმ დროს, ე. ი. XIX ს-ის I ნახევარში, სათანადო წინამძღვრები, მართალია, საკმარისზე მეტი იყო, მაგრამ ისინი მაინც განწირული იყვნენ. მრეწველობის განვითარების შემადგერხებელ ფაქტორად, როგორც იმ დროისათვის, ასევე მომდევნო ხანებში, ფ. მახარაძე რუსეთის ცარიზმის კოლონიურ პოლიტიკას მიიჩნევდა.

საქართველოში კაპიტალიზმის განვითარების უმნიშვნელოვანეს პირობად ფ. მახარაძე მიიჩნევდა ბატონყმობის გაუქმებასა და რკინიგზების მშენებლობას. მას საკმარისად კარგად აქვს შესწავლილი ახალი დარგები — ნავთის ექსპორტთან დაკავშირებული ქარხნები ბათუმში, ჭიათურის მარგანეცისა და ტყიბულის ქვანახშირის მოპოვება. განხილული აქვს XIX საუკუნის მეორე ნახევარში არსებული კაპიტალისტური საწარმოები, მას უცდია მრეწველობის განვითარების ზოგადი სურათის დადგენა, საწარმოთა რაოდენობის

<sup>11</sup> ფ. მახარაძე, თხზულებანი, ტ. 1, თბ., 1924, გვ. 194.

დენობის, პროდუქციის მოცულობის, მუშათა რაოდენობის დადგენა 80-იანი და 90-იანი წლების მაჩვენებლების შედარების გზით.

ფ. მახარაძე მდიდარი ფაქტობრივი მასალის ანალიზის საფუძველზე ასახულებს, რომ XIX ს-ის მიწურულს საქართველოში წარმოება მნიშვნელოვნად გაიზარდა და მისი პროდუქცია ცნობილი გახდა შოთხლო ბაზარზე; მას მოჰყავს სათანადო ციფრობრივი მონაცემები მანგანუმის ექსპორტის მდგომარეობაზე 1880—1890 წლებში<sup>12</sup>.

ფ. მახარაძე განსაკუთრებული ყურადღებით ჩერდება ხელოსნობის განვითარების საკითხებზე. აღნიშნული აქვს ამქრული ხელოსნობის დაშლის პროცესი და მისი მიზეზები — რომ ამქრობა უკვე აღარ შეესაბამებოდა ახალ ეკონომიკურ ვითარებას. იგი მრეწველობის განვითარების თავისებურებასაც ეხება. აღნიშნავს, რომ ბათუმის წარმოების გარდა, უპირატესად ვითარდებოდა მსუბუქი მრეწველობა.

ფ. მახარაძე დამაჯერებლად ამტკიცებს, რომ კაპიტალისტური მრეწველობა და სოფლის მეურნეობა თავიანთი საფუძვლებით ერთიპიურია, მათი ეკონომიკური საფუძველი წარმოების საშუალებებზე კერძო საკუთრებაა, ხოლო მიზანი — ადამიანის მიერ ადამიანის ექსპლუატაციის შედეგად გამდიდრება. ამიტომ მათი დაპირისპირება, როგორც ამას ქართველი ნაროდნიკები აკეთებენ, უმართებულოა. სოფელი ქალაქის მრეწველობის ბაზარი და ნედლეულის წყაროა, ხოლო თავის მხრივ, სოფლის მეურნეობის დონე დიდად არის დამოკიდებული მრეწველობის, განსაკუთრებით წარმოების საშუალებათა წარმოების განვითარებაზე.

ფ. მახარაძე სოფლად კაპიტალიზმის განვითარების გარდუვალობას ხედავდა და აკრიტიკებდა ნაროდნიკების ბ. ნადირაძის, გ. ლასხივილის, ვ. წერეთლის და სხვათა თვალსაზრისს. ისინი სოციალიზმის სახელით ბურჟუაზიული სისტემის განმტკიცებას ემსახურებოდნენ. ფ. მახარაძე კი ასახულებდა, რომ კაპიტალიზმის განვითარებას აუცილებლად მოჰყვება მისი მოსპობა და შეცვლა სოციალიზმით, ხოლო მაშინდელი ეკონომიკური ცხოვრებიდან სოფლის მეურნეობის იზოლაცია, სულ ერთია მაინც ვერ მოხერხდებოდა, კაპიტალიზმის რელსებზე შემდგარი სოფელი მაინც თავის გზით წავიდოდა, ხოლო ნაროდნიკების აზრი, კაპიტალიზმის პირობებში სოფლის მეურნეობაში სოციალიზმის დამყარებაზე — ფ. მახარაძეს ზეცნიერულად უსაფუძვლოდ მიაჩნდა. გასაგებია, რომ მან ქართველ ნაროდნიკებთან იდეურ ბრძოლაში დაიცვა მარქსისტულ-ლენინური დებულება კაპიტალიზმის პროგრესულობის შესახებ. დაასაბუთა, რომ 70-იანი წლებიდან საქართველოს სახალხო მეურნეობაში სწრაფი ტემპით ვითარდებოდა კაპიტალიზმი და არავითარ ძალას არ შეეძლო მისი შეჩერება. ფ. მახარაძემ დიდი როლი შეასრულა ქართველი ნაროდნიკების იდეურ დამარცხებასა და მარქსისტულ-ლენინური იდეოლოგიის დამკვიდრებაში.

ფ. მახარაძე, როგორც ვხედავთ, ამხელს მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის დაპირისპირებასა და სოფლის მეურნეობაში კაპიტალიზმის განვითარების შეუძლებლობის თეორიას. იგი საქართველოსა და ამიერკავკასიის მაგალითზე ამტკიცებს, რომ კაპიტალისტური წარმოების განვითარება სოფ-

<sup>12</sup> ფ. მ ა ხ ა რ ა ძ ე, თხზულებანი, ტ. VIII, თბ., 1930, გვ. 7.

ლის მეურნეობაშიც მიმდინარეობს: „ძირითადი შეცდომა იმათი, ვინც სოფლის მეურნეობის და მრეწველობის განვითარებაში სხვადასხვა გზას და მიზანს ხედავს, იმაში მდგომარეობს, რომ მათი წარმოდგენით, სოფლის მეურნეობა და მრეწველობა თანამედროვე საზოგადოებაში ერთმანეთისაგან სრულიად დახშული არიან, თითქოს მათ ერთმანეთთან არავითარი მეცნიერული საფუძველი არა აქვთ. ხალხის მთელი თანამედროვე ეკონომიკური ცხოვრება ერთ განუყოფელ მოვლენას, ერთ მთელ პროცესს წარმოადგენს. განა შეიძლება, რომ წარმოვიდგინოთ ხალხის საზოგადოებრივი ცხოვრება, როგორც ერთი მთელი პროცესი, ერთ და იმავე დროს სხვადასხვა გზით, სხვადასხვა მიმართულებით მიდიოდეს?¹³.

ფ. მახარაძის მიერ ქართულ მარქსისტულ-ისტორიოგრაფიაში მნიშვნელოვანი მუშაობაა გაწეული საქართველოში საგლეხო რეფორმის მომზადებისა და გატარების ისტორიის მეცნიერული შესწავლისათვის: აქ აღსანიშნავია მისი ისეთი შრომები, როგორიცაა: „გლეხკაცობის განთავისუფლება ბატონყმური დამოკიდებულებისაგან“ (თხზულებანი, ტ. 1, 1924 წ.), „საგლეხო რეფორმა“ (თხზულებანი, ტ. III, 1926) და სხვა მრავალი წერილი, რომლებიც გაზეთის ფურცლებზეა გამოქვეყნებული.

На поясах из Ахтала, Санаина, Хачбулага лошади показаны в составе вооруженного отряда. Воинов погребали в военном убранстве и с боевым конем<sup>17</sup>. Хотя эти погребения более позднего времени, но в период бронзовых поясов и раньше так же происходили захватнические набеги с целью захвата скота, пастбищ, ирригационных путей<sup>18</sup>.

Различное использование лошади культивировало особые ее качества: «В Мегрелии до сегодняшнего дня существует порода ездовой лошади. Поэтому лошадь, — как замечает Г. А. Лордкипанидзе, — в Западной Грузии считалась транспортным, но не рабочим животным»<sup>19</sup>. Фантастическое животное с атрибутами «дождевания» больше имеет реального основания быть названным лошадью и по общему экстерьеру, и положению ног в движении «скачки», тем не менее художник остается верен очертанию морды собаковидного; именно это и создает общность с родственным животным, изображенным на упомянутом поясе из Самтаврского погребения № 211, но уже наделенным грозными атрибутами, превращающими его в символ беспощадной стихии (градобития).

<sup>15</sup> М. М. М а ш у р к о. Из области народной фантазии и быта. СМОМПК, в. XVIII, отд. III, с. 279-283.

<sup>16</sup> По Г. А. Л о р д к и п а н и д з е, Животноводство и промысла античной Колхиды, «Советская археология», 1967, с. 31.

<sup>17</sup> Г. А. Л о м т а т и д з е, Некрополь II в. н.э. в Клдети, Тб., 1957 с. 155 (на груз. яз.); Р. М. А б р а м и ш в и л и. Отчеты о проведенных работах Итхвисской арх. экспедиции, Тб., 1963, с. 227; Н. В. Х о ш т а р и я, Археологические раскопки в Вани. Кавказ ближневост., Тб., 1962.

<sup>18</sup> Г. А. М е л и к и ш в и л и. К истории древней Грузии, Тб., 1952, с. 71.

Возможно, что дальнейшее изображение лошади на пути к реалистическому воспроизведению дано в кобанском рисунке, хотя нетрудно заметить, что и оно сохраняет многие элементы, обычные для бронзовых поясов: характерные атрибуты «дождевания» и конфигурацию хвоста.

Остается перейти к последнему, вернее, к крайнему изображению нижнего ряда правой стороны — лисоподобному животному и рыбе (рис. 2е). Лисоподобному был посвящен подробный разбор при рассмотрении пояса из погребения № 211<sup>20</sup>. Тогда же было выявлено, что это одушевленный образ виноградной лозы. Виноградная культура, как видно, имела немаловажное значение в данном хозяйстве, поэтому в композиции сюжета она помещена так же, как и зерновой «ларь», под орнаментированным треугольником, символизирующим обрабатываемую землю. Это говорит о том, что виноградная культура после зерновой была крайне важна для тех, кто обрабатывал землю и владел ею. Земля эта, очевидно, принадлежала «джвари» (святыщу), на что указывает крест, помещенный на конце орнаментированного треугольника. Подобный крест мог означать воплощение божества, под покровительством которого находилось данное «джвари»<sup>21</sup>. В связи с этим становится еще более понятным, почему в рассматриваемой композиции уделено столь большое внимание образам жрецов, воинов. Только лица, наделенные даром предвидения, какими могли быть жрецы — «мкадре», «кадаг», «менее», «хуцес» или «вождь-воин» со своей неограниченной властью становились учредителями жизненного круговорота в природе: они устанавливали сроки трудовых процессов с соответствующими обрядами, обычаями и торжествами, веря, что неукоснительное исполнение всех этих ритуалов обеспечит обильный урожай, богатый приплод, благополучие общины. Об этом с убедительной наглядностью свидетельствуют четко зафиксированные факты грузинской этнографической действительности, в частности и особенности религиозные воззрения и связанные с ними установления и обряды, донесенные чуть ли не до нашего времени грузинами-горцами Восточной Грузии. И не может быть сомнений в том, что эти воззрения и обычаи в своих истоках восходят к тому времени, когда жили и творили мастера самтавских поясов, что придает последним еще большее историко-этнографическое и историко-художественное значение.

<sup>19</sup> Г. А. Лордкипанидзе, указ. соч., с. 31.

<sup>20</sup> Н. Е. Урушадзе, Религиозно-магические функции изображений на древнебронзовых изделиях, Изв. Акад. Наук. ГССР, № 3, Тб., (1978).

<sup>21</sup> В. В. Бардавеладзе, указ. соч., с. 171.

პალატიან ჯიშია

## ლენინური „ПРАВДА“ პიატურის მუშაების 1913 წლის ზაფხულის გაფიცვის შესახებ<sup>1</sup>

რევოლუციის ახალი, მძლავრი აღმავლობის პერიოდში საქართველოს მუშათა კლასის ერთ-ერთი დიდმნიშვნელოვანი გამოსვლა იყო პიატურის სამრეწველო რაიონის მუშების 1913 წლის ზაფხულის გაფიცვა. იგი დაიწყო ეკონომიურ ნიადაგზე და ჩქარა გადაიზარდა პოლიტიკურ გაფიცვაში და გამოიჩინა ორგანიზებულობით, შეუპოვრობით, ამასთან იყო ყველაზე ხანგრძლივი (გაგრძელდა 5 ივნისიდან 15 აგვისტომდე) მანამდე მომხდარ გაფიცვებს შორის.

გაფიცვის დაწყება და მიმდინარეობა ასე წარმოგვიდგება:

პიატურის სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაცია შექმნისთანავე აქტიურად შეუდგა მუშაობას. ამ ორგანიზაციის ხელმძღვანელობით 1913 წლის 2 ივნისს მუშებმა აირჩიეს საგაფიცო ბიურო 11 კაცის შემადგენლობით. იმავე დღეს, საღამოს შედგა ბიუროს პირველი სხდომა, სადაც შემუშავებულ იქნა მრეწველებისადმი წარსადგენი მოთხოვნები, აქვე დაადგინეს დაიწყო გაფიცვა 5 ივნისს დილიდანვე, საგაფიცო ბიურომ თავისი შემადგენლობიდან გამოჰყო 3 წევრი გაფიცვის მიმდინარეობისადმი თვალყურს სადევნებლად.

4 ივნისს, ღამით საგაფიცო ბიურომ რუსულ და ქართულ ენებზე გაავრცელა პროკლამაცია: „ამხანაგო მუშებო!“ ეს დოკუმენტი საინტერესოა იმით, რომ ისწორად ასახავს მუშათა კლასის მდგომარეობასა და მაშინდელ სოციალურ-პოლიტიკურ ვითარებას არამარტო კავკასიაში, არამედ მთელი რუსეთის მასშტაბით. დღეს, — ნათქვამია პროკლამაციაში, — გაფიცვის ბიურო მოგიწოდებთ თქვენ, მარგანეის მრეწველობის მუშებს, გაიფიცოთ... კაპიტალმა ხელიდან გაშვებტაცა ყოველივე ის, რაც შეიძლოდ წლის წინათ მოვიპოვეთ. შავი რეაქცია კაპიტალისტების ზეიმი იყო... ჩვენ, მუშებს, რეაქციამ უბედურება, შიმშილი, ცრემლები, საპყრობილეები და სახრჩობელები მოგვცინა, ჩვენი დამარცხება მდიდრების გამარჯვებაა. ისინი ძველებურად უკონტროლოდ ყვლეფენ და ჩვენი ოფლითა და სისხლით სუტდებიან... რეაქციის ძალებს აღარ შეუძლიათ დაიმონონ პროლეტარიატი. რუსეთის პროლეტარიატი უკვე დადგა ფეხზე და დაიწყო დიდი ბრძოლა შრომის განთავისუფლებისათვის და თქვენ უკვე გესმით ამ ბრძოლის გამოძახილი ჩრდილოეთიდან. ჩაგრულებმა, როგორც ჩვენ, ჩვენმა ძმებმა — ამხანაგებმა გამოიღვიძეს და აწარ-

<sup>1</sup> გაზ. „Правда-ს“ შესახებ მიმოწერა და გაფიცვასთან დაკავშირებული მასალები ამ გაზეთიდან ამონაჭრების სახით აღმოჩნდა ისტორიულ არქივში დაცული კავკასიის ოხრანკის, ჟანდარმერიის და პოლიციის ფონდებში.

მოებენ შეტევას მწყობრი რიგებით მტრის წინააღმდეგ. მათი საგაფიცო ბრძოლის ნათელმა მაგალითმა უნდა აღგვაფრთხილოს ჩვენ. პროკლამაცია მოუწოდებდა მუშებს — „ასე ცხოვრება არ შეიძლება, უნდა მოვუღოთ ბოლო თვითნებობას, გავერთიანდეთ და გავუწოდოთ ერთმანეთს ძმური ხელი, არ უნდა დავივიწყოთ დიდი მასწავლებლის სიტყვები — „მუშათა განთავისუფლება თვით მუშათა საქმეა“<sup>2</sup>.

პროკლამაციაში წამოყენებული იყო მუშათა შემდეგი მოთხოვნები: 1. 8 საათიანი სამუშაო დღე; 2. კვირა და უქმე დღეებში ყველგან მუშაობის შეწყვეტა; 3. 15 წელზე ნაკლები ასაკის მოზარდთათვის მუშაობის აკრძალვა; 4. ყველგან ანგარიშსწორების წიგნაკების გაცემა; 5. ყოველ შაბათს ხელფასის ღარიგება; 6. მუშების მიღება და დათხოვნა უნდა იყოს მუშების საქმე; 7. თავაზიანი მოპყრობა; 8. პიგიენურად მოწყობილი საცხოვრებელი ბინები; 9. მუშაობა უნდა იწყებოდეს ზაფხულობით დილის 6 საათზე და მთავრდებოდეს 4 საათზე, ზაფხულისათვის 2 საათი შესვენებით; 10. უნდა შემოღებულ იქნას ერთი საყვირი მუშაობის დაწყებისა და დამთავრების მაჩვენებლად.

აქვე იყო ჩამოყალიბებული მოთხოვნები ჰიათურის მუშების ცალკეული კატეგორიებისათვის:

ვაგონების მტვირთავი მუშებისათვის: 1. თითოეული ვაგონის დატვირთვისათვის — თუ მადანი დაშორებულია 7 საყენით — 3 მან. თუ დაშორება ამაზე მეტია, თითოეულ საყენზე 20 კაბ. მომატება; 2. კვირა და უქმე დღეებში მუშებს უნდა მიეცეთ ერთნახევარჯერ მეტი ხელფასი ჩვეულებრივზე; 3. ზაფხულში ვაგონი დასატვირთად ჩამოდგეს დილის 6 საათიდან საღამოს 6 საათამდე; ზამთრობით — დილის 7 საათიდან საღამოს 4 საათამდე.

მანგანუმის საწმენდი ფაბრიკის მუშებისათვის:

უნდა მოემატოს ხელფასის 40% იმ მუშებს, რომლებიც იღებენ 1 მანეთზე ნაკლებს, ვინც 1 მანეთზე მეტს იღებს — 20—30%.

მალაროს მუშებისათვის: 1. წერაქვით მომუშავე მუშებს მიეცეს არანაკლებ 1 მან. 80 კაბ. დღეში, ნიჩბით მომუშავეს — არანაკლებ 1 მან. 60 კაბ., ურიკით გადამზიდველს — 1 მან. 50 კაბ., მადნის გამრჩევე-დამხარისხებელს — 1 მან; 2. ცხელი წყალი გაიცეს უფასოდ; 3. ჩალვადრებისა და ფურგონებისათვის აღდგენილ იქნას 1906 წელს არსებული ფასები.

ფოთის მუშებისათვის: 1. „პოდრიასიკების“ დათხოვნის და სამუშაოს გადაცემის უფლების მიცემა თვით მუშებისათვის; 2. ღამით მუშაობის აკრძალვა; 3. აბანო, ბინა და მეურნალობა მეპატრონის ხარჯზე. 4. ხელფასის გადიდება ვაგონის მუშებისათვის, ვაგონის დაცლა — 2 მან. 50 კაბ. გემის დატვირთვა — 1 გზიდან ვაგონი — 3 მან. 50 კაბ., II გზიდან კი — 4 მან.

ბათუმის მუშებისათვის: 1. ღამით მუშაობის აკრძალვა; 2. აბანო, ბინა და მეურნალობა მეპატრონის ხარჯზე; 3. ხელფასის გადიდება, ვაგონის დაცლა 2 მან. 25 კაბ., გემის დატვირთვა — 1 გზიდან — 3 მან. II გზიდან — 3 მან. 75 კაბ.; 4. დღური ხელფასი 2 მან. 50 კაბ.

<sup>2</sup> ისტორიული არქივი (თბილისი), ფ. ვ-ს, საქ. 605<sup>2</sup>, ფურც. 19-20; იხ. ა. კიკვიძე, საქართველოს ისტორია, წიგნი II, 1959, გვ. 312-313; «Исторический архив», 1958, № 1, გვ. 122.

ეს მოთხოვნები ნათლად გვიჩვენებს, თუ რამდენად მოსაზრებულად და გონივრულად შეადგინა იგი, ჭიათურის ყველა კატეგორიის მუშების ინტერესებს გათვალისწინებით, საგაფიცო ბიურომ.

5 ივნისს მუშები არ გამოცხადდნენ სამუშაოზე, ამას ადმინისტრაციის სასწრაფო რეაგირება მოჰყვა: ასე მაგალითად, გაფიცვის შესახებ იმავე დღეს ქუთაისის გუბერნატორმა შეატყობინა კავკასიის ობრანკის უფროსს, ამ უკანასკნელმა 7 ივნისს პოლიციის დეპარტამენტს პეტერბურგში შემდეგი შინაარსის საიდუმლო დეპეშა გაუგზავნა: მუშების გაფიცვა დაიწყო ეკონომიურ ნიადაგზე, გაფიცვა გადაედო ფოთს, თუმცა იქ მუშებს შორის ეროვნული შელლის გამო ერთსულოვნება არ არის; ამასთან წერდა გაძლიერებული რაზმებით ჭიათურაში ქუთაისის გუბერნატორის სლავოჩინსკისა და ჟანდარმერის უფროსი გალიცინსკის, ხოლო ფოთში პოლკოვნიკ სამოილენკოს ჩასვლის შესახებ.

ქუთაისის გუბერნატორი 12 ივნისის მოხსენებაში აღნიშნავდა, რომ გაფიცვის სათავეშია ჭიათურის სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაცია, რომელმაც ჯერ კიდევ 1 მაისს წინა დღეს პროკლამაციის გავრცელებით შეეცადა შეეჩერებინა მუშაობა, მაგრამ მას მაშინ წარმატება არ მოჰყოლია. ახლა გაფიცვას ერთსულოვნად მხარს უჭერს მუშების უმრავლესობა<sup>4</sup>.

გუბერნიის ჟანდარმერიის უფროსის 13 ივნისის მოხსენებაში კი ნათქვამია, რომ ბოლშევიკური ორგანიზაციის მუშაობის შედეგად პოლიციის აგენტურის მოქმედება ჭიათურაში თითქმის პარალიზებულია<sup>5</sup>.

დოკუმენტური მასალებიდან თვალნათლივ ჩანს, რომ ჭიათურის სამრეწველო რაიონში საკმაოდ ძლიერი ბოლშევიკური ორგანიზაცია მოქმედებდა, სწორედ ბოლშევიკების ხელმძღვანელობით, მიუხედავად მენშევიკების წინააღმდეგობისა, ამ გაფიცვამ პოლიტიკური ხასიათი მიიღო და მუშების კამარჯვებით დამთავრდა.

ლენინური „Правда“ დიდ ინტერესს იჩენდა მუშათა გაფიცვისადმი და სისტემატურად აშუქებდა ჭიათურის სამრეწველო რაიონში შექმნილ ვითარებას. გაზეთი აღნიშნავდა, რომ ჭიათურა არსო ბაქოს შემდეგ ყველაზე მსხვილი სამრეწველო ცენტრი კავკასიაში<sup>6</sup>.

გაზ. „Правда“-ის 1913 წლის 13 ივნისის ცნობაში „გაფიცულთა სოლიდარობა“ ნათქვამია, რომ ჭიათურის მანგანუმის მრეწველობის ზოგიერთი ფირმა დათანხმდა მუშების მოთხოვნების დაკმაყოფილებას, მაგრამ მანამ არ შეუდგებიან მუშაობას, სანამ ყველა დანარჩენი ფირმა არ წავაო დათმობაზე<sup>7</sup>.

14 ივნისს გაზეთი ვრცლად წერდა ჭიათურის მალაროების მუშების მძიმე ეკონომიურ მდგომარეობაზე. გაფიცვის წარმატებით დამთავრების პირობად „Правда“-ას მიაჩნდა სოფელთან მუშების კავშირი. ამასთან აღნიშნავდა შტრეიკბრუხერების არსებობაზეც. მარგანეცის საწმენდი ერთი ქარხანა პოლიციის დაცვის ქვეშ მუშაობსო. მრეწველები გაფიცვის შედეგად დღელამე-

<sup>3</sup> ისტორიული არქივი, (თბილისი), ფ. 3-ს, საქ. 605<sup>2</sup>, ფურც. 13.

<sup>4</sup> ისტორიული არქივი (თბილისი), ფ. 3-ს, საქ. 605<sup>2</sup>, ფურც. 20-21.

<sup>5</sup> იქვე, ფურც. 22-24.

<sup>6</sup> გაზ. «П р а в д а», 1913 წლის 30 ივნისი.

<sup>7</sup> გაზ. «П р а в д а», 1913 წლის 13 ივნისი.

ში კარგავენ 2500 მან., რკინიგზა — 30 ათას მან; 10 გემის ზარალი, რომელიც ფოთისა და ბათუმის ნავსადგურებში დგას, ჯერ იგანსაზღვრული არ არის<sup>8</sup>.

„Правда“-ამ 18 ივნისს გამოაქვეყნა სახელმწიფო სათათბიროს 8 ივნისის სხდომის ანგარიში. აქედან ირკვევა, რომ ჟიურის მუშათა საგაფიცო ბიურომ თხოვა მეოთხე სახელმწიფო სათათბიროს სოციალ-დემოკრატიულ ფრაქციას დაეცვა გაფიცულები სისტემა რეპრესიებისაგან. სოციალ-დემოკრატიამ დეპუტატებმა კი სათათბიროში ამის თაობაზე შეკითხვით მიმართეს წინაგან საქმეთა მინისტრს<sup>9</sup>.

სათათბიროს თავჯდომარემ ამ საკითხის დასმის დროს სოციალ-დემოკრატი დეპუტატს რამდენიმეჯერ შეაწყვეტინა სიტყვა და მიუთითა არ შეხებოდა ჟიურის გაფიცვას. მიუხედავად ამისა, დეპუტატმა მოახერხა ჟიურის მუშების მდგომარეობის დახასიათება და შეადარა ის უღელში შებმული პირუტყვის პირობებს. ბოლოს მან წაიკითხა სათათბიროს სახელზე ჟიურისგან მიღებული დეპეშები: 7 ივნისის დეპეშა — გაფიცვა დაიწყო ეკონომიურ ნიადაგზე, პოლიცია მოქმედებს, დაპატიმრებულ მუშებს სცემენ. 8 ივნისის — გაფიცვა მწვევდება, მოიყვანეს შეიარაღებული ჯარისკაცები, მუშებს სცემენ და ემუქრებიან გასახლებით, აიძულებენ იმუშაონ; 9 ივნისის დეპეშა — პოლიცია მასობრივად ჩხრეკს, აპატიმრებს და ასახლებს გაფიცულებს ჟიურისგან<sup>10</sup>.

დეპუტატმა აღნიშნა, რომ ჟიურის მუშათა გაფიცვა არის პოლიტიკური, ის ორგანიზებულია, ჟიურის მრავალეროვნულ მუშებს ხელმძღვანელობს საგაფიცო ბიურო და მოითხოვს ამ საქმის სასწრაფოდ განხილვა, მაგრამ ეს მოთხოვნა სათათბიროს უმრავლესობამ უარყო<sup>11</sup>.

20 ივნისს „Правда“ კვლავ საზუსტეს უსვამდა ჟიურის მუშების მძიმე ეკონომიურ და საყოფაცხოვრებო პირობებს, რაც უმთავრესად გამოიხატებოდა სამუშაო დღის ხანგრძლივობასა (იგი გრძელდებოდა 15 საათსა და ზოგჯერ მეტ ხანს) და შრომის მცირე ანაზღაურებაში (ხელფასის მაქსიმუმი აღწევდა 1 მან. და 20 კაპ.)<sup>12</sup>.

„Правда“ 22 ივნისს აუწყებდა თავის მკითხველებს ქუთაისის გუბერნატორი სლავოჩინსკის შუამდგომლობის შესახებ კავკასიის მეფისნაცვლის წინაშე 17 კაცის გასახლების თაობაზე. რომლებიც დააპატიმრეს ჟიურის მუშებს შორის აგიტაციისათვის<sup>13</sup>. 25 ივნისს კი „Правда“ წერდა ფოთის მუშების სოლიდარული გაფიცვის შესახებ და აღნიშნავდა, რომ ეს გაფიცვა შესამე კვირაა, რაც გრძელდებოდა<sup>14</sup>.

გაფიცვის შედეგად მანგანუმის მადნის ამოღება, მისი გაწმენდა და გატანა საზღვარგარეთ შეწყდა, ამიტომ უცხოელმა ფირმებმა მოლაპარაკება გააპრთეს მრეწველებთან მაღაროებში გაფიცვის შეწყვეტის შესახებ. მაგრამ ამ უკანასკნელებმა ვერ შეძლეს მუშაობის განახლება, მუშები უარს აცხადებ-

<sup>8</sup> გაზ. „Правда“, 1913 წლის 14 ივნისი.

<sup>9</sup> იქვე, 1913 წლის 18 ივნისი.

<sup>10</sup> იქვე.

<sup>11</sup> იქვე.

<sup>12</sup> იქვე, 1913 წლის 20 ივნისი.

<sup>13</sup> იქვე, 1913 წლის 22 ივნისი.

<sup>14</sup> იქვე, 1913 წლის 25 ივნისი.

დნენ დათანხმებულიყვნენ კაპიტალისტთა ნაწილობრივ დათმობაზე და მოითხოვდნენ მათი ყველა მოთხოვნის სრულ დაკმაყოფილებას. მოლაპარაკება შეფერხდა და როგორც „Правда“ აღნიშნავს, ექსპორტიორებმა წაუყენეს მრეწველთა ყრილობის საბჭოს და ცალკეულ ფირმებს სარჩელი 1 მილიონ 500 ათასი მანეთის რაოდენობით<sup>15</sup>.

29 ივნისს გაზეთი აღნიშნავდა, რომ მრეწველები დათმობაზე არ მიდიან და ამასთან აჭიანურებენ მუშებთან მოლაპარაკებას იმ იმედით, რომ 1 ივლისათვის მიიღებენ მუშებს თურქეთიდან და სპარსეთიდან, მაგრამ რუსეთის კონსულმა თეირანში უარი თქვა შუამდგომლობაზე სპარსეთის მუშებთან მოლაპარაკების თაობაზე. თურქეთში შეგროვილი მუშები კი არ გამოუშვა საზღვარზე თურქეთის მთავრობამ ბალკანეთის ომის გამო. ამრიგად, — ასკენის „Правда“ — ჭიათურის მუშების გამარჯვება გარანტირებულია<sup>16</sup>.

3 აგვისტოს «Правда» (გამოდის «Северная Правда»-ს სახელით) იტყობინებოდა ჭიათურის მუშების პროფკავშირულ ორგანიზაციაში გაერთიანების შესახებ. ეს ღონისძიება შეამჭიდროვებს ყველა კატეგორიის მუშას. გაზეთი ხაზს უსვამდა პროფორგანიზაციის არსებობის აუცილებლობას გაფიცვის დროს და მის დიდ მნიშვნელობას განსაკუთრებით ჭიათურის სამრეწველო რაიონისათვის, სადაც მუშათა უმრავლესობა მუდმივად არ მუშაობს მაღაროში, არამედ სეზონურად და შედგება მახლობელი სოფლების გლეხებისაგან. <sup>17</sup>

გაზეთის აზრით, პროფკავშირული ორგანიზაცია პირველყოფლისა გააერთიანებს მუდმივ მუშებს და გახდება 15 ათასიანი მასის ბირთვი. ხოლო გლეხები, ე. ი. სეზონური მუშები, კავშირს წვევრთა შემადგენლობაში შესულნი, სოფლებში სასოფლო-სამეურნეო სამუშაოებზე დაბრუნების დროს შეიტანენ გლეხებში შეგნებას და ორგანიზებულობას<sup>18</sup>.

11 აგვისტოს დაბეჭდილ სტატიაში „გაფიცვა მარგანეცის მაღაროებში“ ნათქვამია: ერთი კვირაა წარმოებს მოლაპარაკება მუშებსა და „დარკვეთის საზოგადოების“ ფირმას შორის. შეთანხმება აქამდე არაა მიღწეული. ფირმა წინააღმდეგია დათმობისა და ჯიუტობს. მიზეზად ასახელებს იმას, რომ მარგანეცის გასაყიდი ფასის პირობები წინასწარ იქნა შეთანხმებული მყიდველებთან; ამიტომ ფასების ტაქსის შემცირება, რომელიც ხელშეკრულებით იქნა დადგენილი, ახლა არ შეიძლება მივიღოთ.

მუშები კი არც ფიქრობენ კომპრომისზე წასვლას — წერდა „Правда“, ისინი მტკიცედ დგანან თავიანთი მოთხოვნების დასაცავად. გაფიცვა შეიძლება გაგრძელდეს. მუშებს მხნე განწყობილება აქვთ.<sup>19</sup>

ზოგიერთი მრეწველი იძულებულ გახდა დაეკმაყოფილებინა მუშების მოთხოვნები და სათანადო ხელშეკრულებაც გააფორმეს მათთან, მაგრამ მუშებმა ვერ მოასწრეს განემტკიცებინათ თავიანთი მონაპოვარი. კომისიამ, რომელიც თვალყურს ადევნებდა მრეწველებთან დადებული ხელშეკრულების შესრულებას, ვერც მოასწრო შედგომოდა თავის საქმიანობას, მეწარმეებმა

<sup>15</sup> გაზ. «Правда», 1913 წლის 26 ივნისი.

<sup>16</sup> იქვე, 1913 წლის 29 ივნისი.

<sup>17</sup> გაზ. «Северная Правда», 1913 წლის 3 აგვისტო.

<sup>18</sup> იქვე.

<sup>19</sup> იქვე, 1913 წლის 11 აგვისტო.

რომ დაიწყეს ხელშეკრულების პირობების დარღვევა, რომელსაც რამდენიმე დღის უკან მათ ხელი მოაწერეს<sup>20</sup>.

პირობების დარღვევის გამო გილერტის ქარხანაში, რომლის მეპატრონემ შულცის ფირმის წარმომადგენლებთან ერთად პირველმა მოაწერა ხელი ხელშეკრულებას, დაიწყო ახალი გაფიცვა, საბაბი გახდა კაპიტალისტის მიერ ზოგიერთი მუშის დათხოვნა და ხელფასის შემცირება (ამას „Правда“ უწოდებს ხელშეკრულების მთავარი პუნქტების ყველაზე უსინდისო დარღვევას). ამ ბატონებისათვის, წერდა გაზეთი — როგორც ჩანს, არ არსებობს არავითარი იურიდიული და მორალური ვალდებულებები. მუშები აღშფოთებული არიან, ქარხნის ერთ-ერთი გამგე, კაცი „სოციალისტური წარსულით“, ახლა ხდება თვით მუშების შეგნებული მტერი. ის ახლა თავგანწირვით იცავს თავის მეპატრონეებს.

ხელახლა გამოცხადდა გაფიცვა პანასიეს ფირმაში, რომელმაც აგრეთვე აღრე ხელი მოაწერა მუშებთან დათმობის ხელშეკრულებას. მაგრამ მეორე დღეს დაარღვია იგი, როცა მუშებს დააკისრა გასამრჯელოს გარეშე მძიმე სამუშაო — მანგანუმის სარეცხ ქარხნებში აუზების ტალახისაგან გაწმენდა. ამას აქამდე, როგორც გაზეთიდან ჩანს, ასრულებდა მუშების სპეციალური კატეგორია. პანასიემ დათმო ერთი, მაგრამ გადაწყვიტა მისი ანაზღაურება მეორით; ეს არ გამოუვიდა, მუშებმა, როგორც ერთი კაცი, მიატოვეს სამუშაო და განუცხადეს კაპიტალისტს, რომ ისინი მოითხოვენ ხელშეკრულების ძალით ნორმის ზევით შესრულებულ ყველა სამუშაოზე ნორმალურ ხელფასზე ერთნახევარჯერ მეტ ანაზღაურებას<sup>21</sup>.

პანასიემ დათმო და მუშაობაც განაჩლდა.

პერსინაჟის ფირმა დიდხანს ჯიუტობდა და წინააღმდეგობას უწევდა მუშებს, მაგრამ ბოლოს აქაც დააკმაყოფილეს წაყენებული ყველა მოთხოვნა<sup>22</sup>.

ამრიგად, გაზ. „Правда“ ჰიათურის 1913 წლის ზაფხულის მუშათა გაფიცვის მსვლელობას შეუწელებლივ აღევნებდა თვალყურს და დაწვრილებით ვალმოცემდა გაფიცვის მიმდინარეობის პროცესს. ეს ბუნებრივია, რადგან ლენინური „Правда“ მუშების საყვარელი გაზეთი იყო. იგი ბოლშევიკური პარტიის მასობრივ, ყოველდღიურ, ლეგალურ ორგანოს წარმომადგენდა. გაზეთის ფაქტიურად რედაქტორობდა და ხელმძღვანელობდა ვ. ი. ლენინი.

ცარიზმის მკაცრი პოლიტიკური რეჟიმის პირობებში ბოლშევიკური პრესა სასტიკ დევნას განიცდიდა. „Правда“ ბევრჯერ იყო რეპრესირებული, მაგრამ კვლავ გამოდიოდა ახალი სახელწოდებით. პირველი მსოფლიო ომამდე „Правда“-მ მ-ჯერ გამოიცვალა სახელი, ხოლო ომის დაწყების წინ, ის სავსებით აკრძალეს. მხოლოდ 1917 წლის თებერვლის რევოლუციის გამარჯვების შემდეგ კვლავ განაჩლდა მისი გამოცემა.

ახალი რევოლუციური აღმავლობის წლებში „Правда“-მ დიდი როლი შეასრულა ბოლშევიკური ლოზუნგებისა და ტაქტიკის პროპაგანდის საქმეში. ის ერთმანეთთან ახამებდა მასებში პარტიის ლეგალური და არალეგალური მუშაობის ფორმებს მენშევიკი ლიკვიდატორების და სხვა ოპორტუნის-

<sup>20</sup> გაზ. «Северная Правда» 1913 წლის 11 აგვისტო.

<sup>21</sup> იქვე.

<sup>22</sup> იქვე.

ტების წინააღმდეგ ბრძოლაში, ხელს უწყობდა მუშათა კლასის ორგანიზებულ შემჭიდროებასა და პოლიტიკურ აღზრდას, მასობრივი პოლიტიკური მოძრაობის განვითარებას, აქვეყნებდა წერილებს საგაფიცვო მოძრაობის, მუშათა შრომის და ცხოვრების პირობების შესახებ.

„Правда“-ში იბეჭდებოდა მასალები სოფლის ცხოვრებიდან. იგი მოითხოვდა მემამულეთა მთელი მიწების კონფისკაციას გლეხების სასარგებლოდ, მოუწოდებდა მშრომელ მასებს მუშათა კლასის ხელმძღვანელობით ცარიზმისა და კაპიტალიზმის წინააღმდეგ. ებრძოლათ სოციალური და ეროვნულ ჩაგვრის მოსაშპობად.

„მუშათა გაზეთი — წერდა «Северная Правда» — არის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი იარაღი მუშათა კლასის ყოველდღიურ ბრძოლაში. მუშათა გაზეთი არამარტო განმარტავს მიმდინარე ამბებს, არამარტო ქადაგებს მუშათა კლასის იდეალებს, ის არის მოქმედების შეუცვლელი საშუალება“<sup>23</sup>.

გაზეთის რედაქციას კარგად ესმოდა საგაფიცვო ქრონიკების გამოყენების მნიშვნელობა მუშათა მოძრაობის შემდგომი გაშლა-გაფართოებისათვის და ამიტომ „Правда“ სისტემატურად აშუქებდა საგაფიცვო მოძრაობას ისე, რომ მოგვცა მუშათა კლასის ბრძოლის ამ მნიშვნელოვანი ფორმის გაშუქების ნიმუში.

საგაფიცვო ქრონიკამ, გაფიცვებისა და ფაბრიკა-ქარხნებში მუშათა ცხოვრების შესახებ ცნობების გამოქვეყნებამ გამოიწვია ლენინური „Правды“-ს გაძლიერებული დევნა, მისი აქტივისტების რეპრესია, ხოლო გაზეთის არაერთგზისი კონფისკაცია და დახურვა.

<sup>23</sup> გაზ. «Северная Правда», 1913 წლის 8 აგვისტო.

В. И. ДЖИКИЯ

## ЛЕНИНСКАЯ «ПРАВДА» О ЛЕТНЕЙ ЗАБАСТОВКЕ ЧИАТУРСКИХ РАБОЧИХ В 1913 ГОДУ

### Резюме

Забастовка рабочих Чиатурского промышленного района летом 1913 года под руководством большевиков явилась наиболее организованной массовой и длительной забастовкой того времени.

В статье рассматривается роль газеты «Правда» в освещении процесса забастовочной борьбы чиатурских рабочих; показано, что газета не только систематически публиковала материалы забастовки, но и дала образец большевистской партийности в освещении этой важной формы борьбы рабочего класса.

წარმოადგინა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის უახლესი ისტორიის განყოფილებამ

## ლელა მიქიაშვილი

### „ახალი ისტორიის“ ავტორის საკითხისათვის

XVIII ს-ის II ნახევრის და XIX ს-ის დასაწყისის საქართველოს ისტორიის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ნარატიული წყაროა „ახალი ისტორია“, რომლის ავტორად სამეცნიერო ლიტერატურაში მიჩნეულია დავით ბატონიშვილი (გიორგი XII-ის ძე).

„ახალი ისტორია“ შეიცავს საქართველოს ისტორიის მასალებს 1744 წლიდან 1812 წლამდე — საქართველოს მთავარმართებლად რტიშხევის დანიშვნამდე. თხზულება აგებულია ქრონიკის წესზე. ავტორი ეხება ხსენებული პერიოდის საქართველოს ისტორიის თითქმის ყველა მნიშვნელოვან მოვლენას სამხედრო-პოლიტიკურ, საყოფაცხოვრებო თუ კულტურულ დარგში.

ამ ძეგლის ტექსტი შემონახულია აკად. კ. კეკელიძის სახ. ხელნაწერთა ინსტიტუტში დაცულ ოთხ ხელნაწერში 1) A—1766 2) H—25 3) H—26 4) S—3860. არც ერთი მათგანი არ წარმოადგენს დავითის ავტოგრაფს. სსრკ მეც. აკად. აღმო-საველემტოდნეობის ინსტიტუტის (ლენინგრადის განყოფილებაში) ინახება ამ ძეგლის სამი ხელნაწერი: 1) M—17; 2) E—67 და 3) E—229. ამათგან M—17 და E—67 წარმოადგენენ ხელნაწერთა ინსტიტუტში დაცულ H—25-ის გვიანდელ პირს (გადაწერილია 1842 წელს იოსებ ნაზაროვის მიერ); E—229 კი A—1766-ის პირია. იგი გადაწერალია ბროსეს მიერ და სათანადო შენიშვნები ახლავს ფრანგულ ენაზე.

ტექსტის ნაწილი, კერძოდ, პერიოდი 1744 წლიდან ქართლ-კახეთის გამგებლად დავითის დანიშვნამდე, გამოსცა დავით ჩუბინაშვილმა სათაურით: «შედგეი კახეთის ცხოვრებისა». წინასიტყვაობაში იგი მას იხსენიებს როგორც: «Продолжение Вахуштиева истории, т. е. История Карталинии, Кахетии и, отчасти, Имеретии, с 1744 г. по 1800 г. царевича Давида»<sup>1</sup>.

1905 წ. მ. ჯანაშვილმა გამოაქვეყნა ხელნაწერი H — 25 სათაურით: „მასალები საქართველოს ისტორიისათვის, შეკრებილი ბატონიშვილის დავით გიორგის ძისა და მისი ძმებისა, 1744—1840 წწ.“

1941 წ. კი აკად. ნ. ბერძენიშვილის რედაქტორობით თ. ლომოურმა გამოსცა ხელნაწერი A — 1766<sup>2</sup>.

ამ წყაროს შესახებ სამეცნიერო ლიტერატურაში გამოთქმული მოსაზრებებიდან ჩვენი ყურადღება მიიქცია „ახალი ისტორიის“ ავტორის ვინაობის საკითხმა.

<sup>1</sup> ქართლის ცხოვრება დასაბამითგან მეათცხრამეტე საუკუნემდის, ნაწ. II, გამოცემული ჩ უ ბ ი ნ ო ე ს ა გ ა ნ, სპბ., 1854, გვ. XXXII; ს. ყაუხჩიშვილი ამ ტექსტს მიიჩნევს უცნობი ავტორის თხზულებად (იხ. ქართლის ცხოვრება, I, თბ., 1955, გვ. 010).

<sup>2</sup> დ ა ვ ი თ ბ ა ტ ო ნ ი შ ვ ი ლ ი, ახალი ისტორია; ბ ა გ რ ა ტ ბ ა ტ ო ნ ი შ ვ ი ლ ი, ახალი მოთხრობა, გამოსცა თ. ლ ო მ ო უ რ მ ა, თბ., 1941.

ლევან ასათიანის შრომის „ვოლტერიაზობა საქართველოში“<sup>3</sup> ერთ-ერთი თავი მიძღვნილია დავით ბატონიშვილისადმი, სადაც „ახალი ისტორიის“ შესახებ მკვლევარი წერს: „დავით ბატონიშვილს დაუწერია თითქოს ისტორიული ხასიათის შრომაც, რომლის სათაურია: „ნანდვილ ისტორია ესე, აღწერილი მეფის გიორგის პირშშოს ძისაგან დავითის მიერ, ისტორია ესე ახლად შედგენილი ქართლის ცხოვრებისად“. ეს თხზულება შეიცავს საქართველოს ისტორიის მასალებს 1744—1841 წლებისას, გამოცემულია მ. ჯანაშვილის მიერ 1905 წ. სათაურით: „მასალები საქართველოს ისტორიისათვის“. გამოცემლის აზრით, ეს შრომა დავითს მთლიანად არ ეკუთვნის, არამედ 1819 წლამდე (დავითის გარდაცვალების წელია. — ლ. მ.), შემდეგ კი ბატონიშვილს ბაგრატი<sup>4</sup>. შემდეგ ავტორს მოჰყავს კ. კეკელიძის აზრი, რომ დავითს 1819 წლამდეც არ უნდა ეკუთვნოდეს, ვინაიდან „დავითი იყო ურწმუნო კაცი, ვოლტერიაწელი, წიგნი კი სავსეა სასწაულებით და რელიგიური ელემენტით. სტილი მისი თავიდან ბოლომდე ერთია“<sup>5</sup>.

ეს შეეხება H—25 ხელნაწერს, რომლის შესახებაც ჩვენ ქვემოთ გვექნება საუბარი.

თ. ლომოური თავის გამოცემაში ყურადღებას ამახვილებს ტექსტის იმ ნაწილზე, რომელიც, მისი აზრით არ უნდა ეკუთვნოდეს დავით ბატონიშვილს. აი ეს ადგილიც:

ხოლო შემდგომად მისაჲ ჰყვეს გამგედ და მართებულად ქართლისა პირშშო ძე მისი დავით... ამან იწყო მართად ქართლისა ფრად გონიერად, ვინაითგან იყო ესე აღზრდილი მეცნიერებასა შინა, ვითარცა საღმრთოთა და ფილასოფიათა, ეგრეთვე სამეცდროსასა შინა, ვინაითგან უწყობდა მან ვითარცა კანონი სამოქალაქო და სამეცდრო აზრისა, ეგრეთვე ევროპისაცა. გარნა ვინაითგან იყო ესე დავით ფრად დედათა მოყვარე. ესე შეატუნა თანა აღზრდილმან მისთანა მთავარ-დაიკომან ეგნატემ, ონისიმეს ძემან, მარტყოფელმან, რომელიცა იყო ფრად ფილასოფოს, და ესე წაეთ ერთადცა ამას და დავითსა, რომელიცა იყო ფრად მისანდო მისი. ამან მოიბირა და შეაუღლა ქალსა სომხისა მოქალაქისა ალა ტერსიმონაშვილის ასულსა ზედა ელენეს, რომლისა გამო გულ-ნაკლულ იქმნენ ვითარცა ძმანი, ეგრეთვე ჩინებულნიცა ქართველანი, და მხედველი ამისდავით იქმნა მცირე რაი მწუხარებისა გამო ცნობა ენებულ. ამან მიუღო ქსანი ძმისა თვისსა ივანეს და ბაგრატს და ლიახვი და გვერდის-ძირი ბიძისა თვისსა იულონს და მიცა კვალად ქსნის ერისთვიანთა რომელიცა აქენდათ გამორთველი ორშეოცსა წელსა მეფისა ირაკლისაგან, ერთგულებისა გამო მათისა...<sup>6</sup>

ამ მონაცემთა შესახებ თ. ლომოური თავის გამოცემის წინასიტყვაობაში წერს: „მოყვანილი ვრცელი ამონაწერი, ყოველივე ეპკეს გარეშეა, არ ეკუთვნის დავით ბატონიშვილს, არამედ გადამწერ-რედაქტორს, საფიქრებელია,

<sup>3</sup> ლ. ასათიანი, ვოლტერიაზობა საქართველოში, რჩეული ნაწერები, ტ. 1, თბ., 1958.

<sup>4</sup> აქვე მოიყვანთ მ. ჯანაშვილის აზრს: „... მთლად ეს წიგნი დავითის მიერ შედგენილი არ არის: ხელნაწერის 203 გვერდზე წერია: „ამავე წელსა(1819) მათის 13-ს მიიღვა მეფის გიორგის პირშშო და მემკვიდრე ქართლისა დავით“. მაშასადამე დავით ბატონიშვილს შეეძლო ამ მასალების წერა მხოლოდ 1819 წლის დასაწყისამდე. ამის შემდეგ მასალები განუგრძედათ მის ძმებს, მაგ., ბაგრატს, რომელიც დედანში მრავალგან აცხადებს თავის სახელს საკუთარს ხელმოწერით. ეს ბაგრატი ფრად ცრუმორწმუნე კაცი ყოფილა: ხელნაწერის ბოლო ნაწილი გაუვსია მრავალგვარ სასწაულების აღწერით“ (მასალები საქართველოს ისტორიისათვის შეკრებილი ბატონიშვილის დავით გიორგის ძისა და მისი ძმებისა, 1744-1840 წწ. გამოსცა, მ. ჯანაშვილმა, ტფ., 1905 (წინასიტყვაობა).

<sup>5</sup> ლ. ასათიანი, დასახ. ნაშრომი, გვ. 73.

<sup>6</sup> ახალი ისტორია გვ. 26.

ბაგრატ ბატონიშვილს. აქ ჩვენ, რასაკვირველია, გვაქვს დავითის საქციელით გამოწვეული გაკიცხვისა და გულწრფელობის გამოთქმა და არა „თვითკრიტიკა“ დავითისა, რომელიც აღიარებს და ინანიებს თავის მიერ ჩადენილ შეცდომას, როგორც ეს ჰგონია ალ. ბარამიძეს<sup>7</sup>.

მაგრამ, ჩვენი აზრით, დაქვეყნებას იწვევს არა მარტო აღნიშნული მონაკვეთი, არამედ თვით ის ფაქტი, რომ თხზულებაში დავით ბატონიშვილი ყველა შემთხვევაში მოხსენიებულია მესამე პირში. მაგალითად:

... შემთხვევასა ამას წარატანა მეფემან ირაკლიმ ძის ძესა თვისსა, ძესა გიორგისასა დავითს, ძეი არჩილსა დავით, რათა წარგზავნოს იგი ოდიშსა<sup>8</sup>.

„კვალად მოვიდნენ ახალციხიში შეყრილობანი ლეკთანი და დაეცნენ ძევე<sup>9</sup>“. ას, გარნა მეფის ძის ძე დავითმან სძლო მათ და განაბნინა<sup>9</sup>.

„მაშინ მეფის ძის ძეი დავით იმყოფებოდა ბორჩალოსა შინა. სცნა რა მან, მოიკრიბნა ბორჩალოველნი ვიღრე ას კაცადე, ეწია იედიბოლუქსა, სძლო მათ და მიუღო ყოველივე ნატყვენაი“<sup>10</sup>.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, თ. ლომოური შენიშნულ მონაკვეთს თვლის გადამწერ-რედაქტორის (ბაგრატ ბატონიშვილის) მიერ ჩამატებულად. თუ ასე ავსხნიდით ამ შეუსაბამობას, მაშინ ჩამატებულად უნდა მიგვეჩნია ყველა ის ადგილი, სადაც დავითი მოხსენიებულია მესამე პირში. მაგრამ ასეთი ახსნა არამართებული ჩანს, რადგანაც საერთოდ თხზულებაში არ გვხვდება დავითის მოხსენიება პირველ პირში, და მაშასადამე, ავტორი მას კანონზომიერად ყველგან იხსენიებს მესამე პირში. რა თქმა უნდა, არ არის გამორიცხული ისიც, რომ დავით ბატონიშვილს არა მარტო დასაშვებად, არამედ (გარკვეული მიზეზების გამო) აუცილებლადაც მიეჩნია თხზულებაში საკუთარი თავის მესამე პირში მოხსენიება. ამ შემთხვევაში, უნდა ვიფიქროთ, რომ მას საერთოდ უნდა ჰქონოდა შემუშავებული თხზულების წერის ასეთი სტილი, მაგრამ ამ ვარაუდს ერთი გარემოება ეწინააღმდეგება: თავის სხვა ნაწარმოებებში დავით ბატონიშვილი სულაც არ ერიდება პირველ პირში თხრობას და თხრობის დროს საკუთარი თავის მოხსენიებას. ასეთი სტილი ახასიათებს დავითის „სამართალსაც“, რომლის წინაპიტიყვაობაში ვკითხულობთ:

ბრძანებითა მისის უმაღლესობის მეფისა გიორგისათა წარმოუდგენ ყოველთა საზოგადოებათა გონებისა ჩემისა სჯათა.

...ვინათგან სოფლისა ცელილებისა გამო მწერალთა მიერ და თვით მსაჯულთაგანცა იხილევბოდა მეტ და ნაკლულევანებაჲ და ამით ოდესმე იხილევბოდა უთანხმოებაჲცა სჯულსა შინა და კარგსა, — ამად მებრძანა უმაღლესისა მამისა ჩემისაგან და შეესთხზე, რომელსაცა აქვს უმეტეს მღერეკილებაჲ ბუნებთისა მიმართ სჯულისა...

საქართველოს მეფის ძე, მემკვიდრე, რუსეთის ლენერალ-ლეიტენანტი და კავალერი დავით. წიგნების 26, 1800 წ. ტფილისი<sup>11</sup>.

<sup>7</sup> თ. ლომოური, დასახ. ნაშრომი, გვ. XVI. აქვე მოიყვანთ ალ. ბარამიძის თვალსაზრისს ძეგლის ავტორის ვინაობის შესახებ: „დავითი უდავოდ „საისტორიო მასალების“ შეკრების ინიციატორი და პირადად მის კალამს ეკუთვნის ამ „მასალების“ მომეტებული ნაწილი. როგორც მოსალოდნელი იყო, დავითისათვის უცხოა ყოველგვარი სასწაულებრივი მოვლენი და სხვებთან შედარებით ერთგვარ ისტორიულ ობიექტურობასაც იჩენს სხვათა შორის, თვითკრიტიკის“ წესითაც (ალ. ბარამიძე, ლ. ასათიანი, ვოლტერიანობა საქართველოში, მნათობი, 1934, № 7-8 გვ. 345).

<sup>8</sup> ახალი ისტორია, გვ. 19.

<sup>9</sup> იქვე, გვ. 19.

<sup>10</sup> იქვე, გვ. 24.

<sup>11</sup> სამართალი ბატონიშვილის დავითისა, გამოსცა დ. ფურცელაძემ, თბ., 1964, გვ. 3-4.

გარდა ამისა, 1805 წელს პეტერბურგში დავით ბატონიშვილმა რუსულ ენაზე გამოსცა თხზულება «Краткая история Грузии». ამჟამად ეს ნაწარმოები ორი ვარიანტის სახით არსებობს<sup>12</sup>, ხოლო მესამე, შედარებით უფრო ვრცელი ვარიანტია «История Грузии»; მისი ტექსტი გამოცემულია 1971 წელს თბილისში, აკ. როგავას მიერ<sup>13</sup>.

ამ ტექსტშიც ჩვენთვის საინტერესოა ის გარემოება, რომ ავტორი საკუთარ თავს ყველა შემთხვევაში პირველ პირში იხსენიებს. მაგალითად:

Царь Ираклий... послал меня с войсками во владение Карсское. Поступая по пред-  
назначениям царя Ираклия, я взял три турецкие крепости—Инджадару, Жомушли и  
Полдереван... Во время же сражения напал на меня один знатный по фамилии турок.  
Он... семь раз успел поразить меня ударами сабли своей, от которой защищен был  
щитом панцирем<sup>14</sup>.

А в 1798-м скончался царь Ираклий и, по смерти его, вошел на грузинский престол  
сын его, а мой родитель Георгий XIII<sup>15</sup>.

აქედან გამომდინარე, ვფიქრობთ საეჭვოა, რომ დავით ბატონიშვილს ჰქონოდა წერის ასეთი მანერა.

რაც შეეხება თ. ლომოურის აზრს ბაგრატიის რედაქტორობის შესახებ, უნდა აღვნიშნოთ, რომ ბაგრატიის წერის სტილი ძალზე მარტივია, მისი თხზულება („ახალი მოთხრობა“) წარმოადგენს საქართველოს ისტორიის მასალის, რუსული გაზეთებიდან გადმოთარგმნილი ცნობებისა და სხვადასხვა სასწაულების აღწერის კრებულს, ასე რომ, თუკი „ახალი ისტორია“ იქნებოდა ბაგრატიის მიერ რედაქტირებული, ეს თხზულებაში უნდა ასახულიყო. მაგრამ ბაგრატიის გავლენა შეიმჩნევა მხოლოდ H—25 ხელნაწერში, სადაც ორივე თხზულება („ახალი ისტორია“ და „ახალი მოთხრობა“) ბაგრატს გაუერთიანებია ერთი სათაურით — „მოთხრობა ახალი“. იქ, სადაც მთავრდება „ახალი ისტორიის“ ტექსტი, ბაგრატს პირდაპირ გაუგრძელებია თავისი თხზულება § 91-დან, რითაც დაუცავს ქრონოლოგიური თანმიმდევრობა; ამავე დროს, „ახალ ისტორიაშიც“ შეუტანია ცვლილებები, რაც გამოიხატება მის მიერ ჩამატებული სხვადასხვა სასწაულებრივი ეპიზოდის აღწერაში. ასეთი რამ A—1766-ში არ შეიმჩნევა.

დავით ბატონიშვილის ავტორობას, ჩვენი აზრით, ეწინააღმდეგება შემდეგი გარემოებაც: თხზულებაში რამდენიმე ადგილას მისი გადაჭარბებული შექება მოცემული, მაგალითად:

მუნ თვით მეფ ს ძის ძეი დავით იყო ფრიად მკნეთ, რომელმანცა კელითა თვისითა მოკლა თიქ-  
ნისელი ზანი თოფითა, რჩეული მკედარი თურქთა შორის... ესე იყო საეკირველი, რომელ ყრმაჲ  
წლისა ოცდასამისა და გამოუცდელი ბრძოლისა ესრეთ იყო დღესა მას მკნედ რომელ განაკ-  
ვირნა ვითარცა ქართველნი და ეგრეთვე თურქნი<sup>16</sup>.

ცხადია, ძეგლის ავტორი საკუთარ თავზე ასე ვერ დაწერდა;

არის კიდევ ერთი დამაფიქრებელი გარემოება: დაახლოებით ამავე პერიოდს განეკუთვნება დავითის უმცროსი ძმის — თეიმურაზ ბაგრატიონის ნა-

<sup>12</sup> პირველი ვარიანტი მოკლეა და არ არის გამოცემული. მეორე ვარიანტი შედარებით უფრო ვრცელია. იგი პირველად 1805 წელს გამოიცა პეტერბურგში, ხოლო მეორედ — 1896 წ. ბეგიჩეშვი გამოსცა.

<sup>13</sup> დატულია ლენინგრადში სრულად, აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტის ხელნაწერთა განყოფილების ფონდში, M-25.

<sup>14</sup> Д а в и д Б а г р а т и о н и, История Грузии. Текст издал и снабдил вступительной статьей и указателями А. А. Р о г а в а, Тб., 1971, გვ. 167.

<sup>15</sup> იქვე, გვ. 169.

<sup>16</sup> ახალი ისტორია, გვ. 20.

შრომი „დავით ბაგრატიონის ისტორია“<sup>17</sup>. იგი ქრონოლოგიურად 1789—1819 წლების ამბებს მოიცავს. „ავტორის მიზანია წარმოაჩინოს დავით ბატონიშვილის საბრძოლო დამსახურებანი. ამიტომაც, რომ იგი მოცემული პერიოდის საქართველოს თანმიმდევრულ ისტორიას კი არ გადმოგვცემს, არამედ იფარგლება რამდენიმე საბრძოლო ეპიზოდით, რომლებშიც მონაწილეობა მიუღია დავით ბატონიშვილს<sup>18</sup>. ნაშრომის ორ მესამედზე მეტი ალა-მაჰმად-ხანის შემოსევას და XVIII ს-ის მიწურულის აღმოსავლეთ საქართველოს ისტორიულ მოვლენებს ეხება. ბოლო, მე-9 თავში კი დავით ბატონიშვილის ვრცელი დახასიათება, გარდაცვალება და საფლავის ეპიტაფიაა მოცემული. აქვე გვინდა შევნიშნოთ, რომ თეიმურაზ ბატონიშვილს თავისი ნაშრომის წერისას ხელთ ჰქონია დავითის ავტობიოგრაფიული ჩანაწერები და ის გამოუყენებია გარკვეულ გეგმად<sup>19</sup>.

ეს ნაშრომი ჩვენთვის საყურადღებოა იმდენად, რამდენადაც „ახალი ისტორიისთან“ მისი შედარებისას აღმოჩნდა, რომ ფაქტები ერთმანეთის მიმსგავსებულად არის აღწერილი, იმ განსხვავებით, რომ თეიმურაზის ნაშრომში ფაქტები უფრო გავრცობილად არის გადმოცემული. შევადაროთ ზოგიერთი ადგილი:

დავით ბაგრატიონი — „ახალი ისტორია“

1. ამავე წელსა (1790-ლ. მ.) მეფის ძემან დავით შემოიკრიბნა კიზიყელნი, მოუხდა ბაიმათლოს და ფადარს და მოსტყუშნა. დღესა მას სამჯერ სძლო გამოსრულთა ლეკთა მღევართა და მოვიდა გამარჯვებული და აღაფთა საესე<sup>20</sup>

2. მაშინ მეფის ძის ძემან დავითმან, მყოფმან მატანსა შინა, მოიკრიბნა მწედრობანი ახმეტელნი ვიღრე ას კაცამდე, შეუკრიბნა გზანი კიზიყისა, სძლო მათ და მიუღო ყოველივე ნატყვენაი და ტყვენი. ესრეთ შიშვნელ იქმნენ ლეკნი, რომელ ოდეს იწყეს რა ლტოლვაჲ, ერთი მეორესა ჰყრიდნან ფლატესა ზედა ილტოსასა, ვინ წინა უსწროს ურთი ერთარს, რომელნიცა იყვნენ უმეტეს ხუთასისა.

სისხლმან მათ ლეკთა დახოცულთამან სრულად შეღება წყალი იგი ილტოსა წითლად<sup>21</sup>.

თეიმურაზ ბაგრატიონი — „დავით ბაგრატიონის ისტორია“

1. მასვე წელსა, გორგობისთჳს 25-სა (რომელ არს ნოენბერი) ბრძანებითა პაპისა თჳსისა, მეფისა ირაკლსათა, მხედრობითა კიზიყელთათა განვიდა გაღმართ ალაზნის მდინარისა დღესა ს.მ.შაფათსა და ზედა დაესხა ლეკთა, ქარელთა და გარემოთა ადგილთა მისთა... მივიდა მათ ზედა მეფის ძე დავით და სოფელნი ფადრისა გარემოთა მისთა და ბაიმათლუ და გარემოთა მათ ადგილთა მსახლობელნი ლეკნი და ავაზაკნი... სრულად მოარბივნა<sup>22</sup>

2. ამავე წელსა 1790-სა ენკენისთჳს 8-სა (რომელ არს სექტემბერი). დღესა ჯარსა ლეკთასა დაუხედა პანკისის ხეობის გადმოღმართ, არაღია შორს დაბნა მატნისა, ილტოს მდინარესა ზედა; მეფის ძეს დავითს მცირედი მხედრობაჲ ჰყვა...

... და აოტნა იგინი და ივლტოდეს და ესრეთ შიშვნულ იქმნეს, რომელ ყოველნივე ნატყვენავნი და ტყვენი და ანუ რაჲცა აქვნდათ მათ, ყოველნივე დაჰყარნეს მუნ და ესრეთ ივლტოდეს შეჰრწუნებულნი, რომელ ლტოლნი ჰყრიდეს ურთიერთსა ფლატეთა ზედა მდინარისა ილტოსათა, რათა ერთიმეორესა წინა უსწრობდენმცა და მოსწყდეს მათგანნი კაცი ვიღრე ხუთასამდე, რომელთაცა სისხლმან შეღება სრულად მდინარე ილტოსა<sup>23</sup>.

<sup>17</sup> თ ე ი მ უ რ ა ზ ბ ა გ რ ა ტ ი ო ნ ი, დავით ბაგრატიონის ისტორია, ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, გამოკვლევა და ტერმინთა სპიხებლები დ.უფრო თ. ე ნ უ ქ ი ძ ე მ, თბ., 1972.

<sup>18</sup> იქვე, გვ. 15.

<sup>19</sup> იქვე, გვ. 12.

<sup>20</sup> ახალი ისტორია, გვ. 22.

<sup>21</sup> თ ე ი მ უ რ ა ზ ბ ა გ რ ა ტ ი ო ნ ი, დასახ. ნაშრომი, გვ. 29.

<sup>22</sup> იქვე, გვ. 26-28.

<sup>23</sup> ახალი ისტორია, გვ. 21.

3. ხოლო მეფის ძემ დავითმა შთაყარა ვეფსა შინა საგუბრისათა ზარბაზანი იგი, რომელიცა აქენდა მას თაბორის კერძო, რათა არა დაუშვეს სპარსთა და ესრეთ განარინა<sup>24</sup>.

4. წელსავე ამას 1789 ბრძანებთა მეფისათა მიუხედავად მეფის ძის ძეი დავით ყარსსა ათასთა კაცითა და მოსტყვენა ინჯადარა, ფალდერევენი და ჯიმუშლი, და იალაფეს უმეტეს ათასისა ტყვისა.

მაშინ მოეწივით უკანა მჭედრობად დღიოთურქთა მძღვანელობითა ალიბეგისათა და მაჰმად ბეგისა, ძეთა ზათუნისათა. მუნ თეით მეფის ძის ძეი დავით იყო ფრიად მკნეთ, რომელმანცა ტელითა თვისითა მოკლა თიქნისელი ხანი თოფითა, რჩეული მჭედარი თურქთა შორის. უკანასკნელ მოვიდა მას ზედა იშოყ-ბეგ, გამოჩენილი მჭედარი ყოველსა ყარსსა და ქუთისსა ზედა, სადაც მეფის ძესა სცა მან შვიდი ხმალი, გარნა დაიცუა იგი ჯაქმან. ვინათგან აქენდა დაჟარვით ტანსა ჯაჭვი. უკანასკნელ, მოკლდა ესეცა ტელითა მეფის ძისათა.

ესე იყო საკვირველი, რომელ ყრმაჲ, წლისა ოცდა სამისა და გამოუტყდელი ბრძოლისა, ესრეთ იყო დღესა მას მკნელ, რომელ განაკვირნა ვითარცა ქართველნი და ეგრეთვე თურქნი.

გარნა ბრძოლასა მას დაეფლა ცხენი ლიასა და გარდმოვარდა, გაექცა ცხენი, რომელიცა შეიპყრა და მოართვა გულმაჰმადსა სარვანშან, ძემან შარიფისამან, და აღადა კვალად.

3. ხოლო იხილა რა, რომელ აღაფსო ტფილისი მხედრობითა სპარსთათა და მეფეცა განვიდა ტფილისით, მაშინ იძულებულ იქმნა იგიცა (დავითი—ლ. მ.). მიქცევად მთაბორისა კერძ მთათა მათ და კლდერითა იწროთა განსავალთა გორათა. და დამალნა ზარბაზანი იგი, რომელნიცა აქენდა თჳს თანა ხეცსა შინა საგუბრისასა... და ესრეთ განარინნა ზარბაზანი იგი, რათა არა მისცნა იგინი კელთა შინა მტერთასა და ეგრეთ იწროთა გზით განვიდა და განეშორა მტერთა<sup>25</sup>...

4. მასვე წელსა (1789-ლ. მ), ღვინობისთვის (რომელ არს ოკლობრის თვე) 16-სა ბრძანებითა პაპისა თჳსისა მეფისა ირაკლისათა ადგილნი იგი, რომელნი უპყრესთ თურქთა საფაშოსა შინა ყარსისასა: ინჯადარა, ფალდერევენი და გომუშლი და სხვანი, წარმოსტყვევნა სრულიად და მცხოვრებნი მუნებურნი ტყვედ წარმოიყვანა...

ხოლო უკუმობრუნებულსა მეფის ძეს დავითს დევნა უყვეს ყოველთა ერთბაშად მხედრობითა თურქთა და მცხოვრებთა და მდევართა მათ. მხედართმძღვანე იყვნეს ალი-ბეგ და მაჰმად ბეგ ძენი ზათუნისანი...

ოდეს მივახლა მათ ეკვეთა მხედ და ფაცხელად და მოკლა მეფის ძემათ თოფითა თჳსითა სახელოვანი მხედარი თიქსინელი სახელით სანი. მაშინ მოუხდა მეფის ძესა სხვაჲ უძლიერესი მისსა მხედართმძღვანე თურქთა იშოყ-ბეგ და სცა ექვსგზის მეფის ძესა ძლიერად კრმლითა თჳსითა და ვერა რა აგნო მას, ვინაჲდგან მეფის ძესა ჩოხასა ქვეშე თჳსსა ეცეა ჯაჭვის პერანგი მოკლე. მაშინ განრისხებული მეფის ძე მიუხდა იშოყბეგს და ესრეთ ძლიერად სცა კრმალი, რომელ, რომელსაც ხელსა შინა ეპყრა კრმალი ძლიერსა მას თურქსა, მხრითურთ მისით სრულიად მოჰკვეთა მკლავეთა ესრეთ მყისვე მოაკვდინა იგი.

უკვრდათ სიმხნე მისი ესევეთარი არა მხოლოდ თუ ქართველთა, მტერნიცა განცუფრებული იყვნეს ამას ზედა.

ხოლო ბრძოლასა ამას შინა დაეფლა ცხენი მეფის ძესა ლიასა შინა, დაქვევითა, ხილო ცხენი მისი ივლტოდა. და შეიპყრა ცხენი იგი გულმაჰმად ძემან შარიფისამან სარვანელმან, მსახურმან მეფის ძისამან და მოჰვლარა მას...

<sup>24</sup> ახალი ისტორია, გვ. 23-24.

<sup>25</sup> თ ე ი მ უ რ ა ზ ბ ა გ რ ა ტ ი ო ნ ი, დასახ. ნაშრომი, გვ. 38.

მუნ მოსყდნენ ბრძოლასა წინაშე მისსა ორნი ყრმანი ბებურის შვილები, რომელნიცა იყვნენ მკნენი მამადნი<sup>26</sup>.

... არამედ, მოიკლნეს ბრძოლასა ამას შინა წინაშე მეფის ძისა ერთბამად ორნი ძმანი კახელი თავადთა ძენი, გვარად ბებურიანნი, რომელნიცა დიდისა სიმხნით ბრძოდეს თურქთა და რაოდენნიმე ძლიერი თურქთანი მოიკლნეს მათ მიერ<sup>27</sup>...

ზემომოყვანილის გარდა, სხვა ადგილების შედარებითაც ჩანს, რომ „ახალი ისტორიის“ თხრობა 1789 წლიდან მისდევს თეიმურაზ ბაგრატიონის „დავით ბაგრატიონის ისტორიას“ და მისგან განსხვავდება მხოლოდ იმით, რომ საკვლევ ძეგლში შემოკლებულია ზოგიერთი დეტალი. ვფიქრობთ, ეს მსგავსება არ უნდა იყოს შემთხვევითი.

ბოლოს, გვინდა ყურადღება შევაჩეროთ A—1766 ხელნაწერის წინასიტყვაობაზე, რომელშიც ნათქვამია:

ესე ქართლის ისტორია ახალი აღწერილი არს და გაკეთებული მეფის თეიმურაზისა და მეფის ირაკლისა და ძისა მისისა, მეფის გიორგის პირშოს ძის მიერ, დავითისაგან, საქართველოს შემკვდრისა და რუსეთის დიანარალ-ლეიტენანტის მიერ და სენატორისა და მკონეთა კავალერთა წმოდისა ალექსანდრე ნევესკისათა და წმოდისა ანნასისა პირველისა ხარისხისა, რომელმანცა აღწერა ყოველივე ჭეშმარიტი...

ამ სიტყვის შემდეგ მელნით გადაშლილია ექვსი სტრიქონი და ტექსტის ბოლოში განსხვავებული ხელით მიწერილია: „... და უნაკლულო“. თ. ლომოურს ეს გადაშლილი ადგილი შემდეგნაირად აქვს ამოკითხული: „და რომელიცა აკლდა ამას, შედარულა უმცროსმან ძმამან მისმან, მეფის გიორგის ძემან ბაგრატ ფრიადითა შრომითა და რულუნებითა. გთხოვთ მკითხველთა...“<sup>28</sup> დანარჩენი გაურკვეველია.

ჩვენ შევამოწმეთ ტექსტის ეს ადგილი ხელნაწერში და აღმოჩნდა, რომ იქ, სადაც თ. ლომოური კითხულობს სახელ „ბაგრატს“, სავსებით შეუძლებელია რაიმეს ამოკითხვა. ჩვენ შევეცადეთ ხელნაწერთა ინსტიტუტთან არსებული ფოტოლაბორატორიის დახმარებით გადაგვეწყვიტა ეს საკითხი, მაგრამ აღმოჩნდა, რომ ეს ადგილი გადაშლილია ტექსტისავე მელნით, რაც შეუძლებელს ხდის მის ამოკითხვას. ამის გამო, აქ „ბაგრატის“ წაკითხვას არავითარი საფუძველი არა აქვს. შინაარსის მიხედვით კი უფრო მართებული იქნებოდა ამ ადგილზე გვევარაუდა თეიმურაზი, რომელიც ყველაზე უმცროსი იყო ძმებს შორის და ამიტომ უფრო მეტად მას შეჰფერის ტექსტში მოცემული ეპითეტი „უმცროსი ძმა“.

ვინ შეიძლება იყოს ამ წინასიტყვაობის ავტორი: რომელიმე ბატონიშვილი (დავითი, ბაგრატი, თეიმურაზი) თუ სხვა გადამწერი?

თ. ლომოურის აზრით, „გაჭირვებით ამოკითხული რამდენიმე სიტყვა და წინასიტყვაობის ხელი შესაძლებლობას აძლევს დავასკვნათ, რომ დავითის მოთხრობა ამ ხელნაწერში მისი ძმის—ბაგრატ ბატონიშვილის მიერ არის შეტანილი“<sup>29</sup>.

ე. ი. თ. ლომოურის აზრით, აქ საქმე გვაქვს ბაგრატ ბატონიშვილის ავტოგრაფიულ წინასიტყვაობასთან; მაგრამ ეს ვარაუდი არ მართლდება ჯერ

<sup>26</sup> ახალი ისტორია, გვ. 20-21.

<sup>27</sup> თეიმურაზ ბაგრატიონი, დასახ. ნაშრომი, გვ. 23—25.

<sup>28</sup> ახალი ისტორია, გვ. III.

<sup>29</sup> იქვე, გვ. VI.

ერთი იმიტომ, რომ, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, წინასიტყვაობის ტექსტის გადამლილ ადგილზე შეუძლებელია რაიმე სახელის ამოკითხვა, გარდა ამისა, წინასიტყვაობა, ჩვენი აზრით, საერთოდ არ ეკუთვნის არც ერთ ბატონიშვილს წემდეგი გარემოების გამო: ბატონიშვილის (დავითი, იოანე, ბაგრატის, თეიმურაზი) თხზულებებში წინასიტყვაობის ტექსტებს (№ 1766; H—25; S—3860; S—58; S—370;) ბოლოში, როგორც წესი დართული აქვთ ავტორის ხელრთვა. აქ კი ასეთი ხელრთვა არ ჩანს. ამდენად, უნდა ვივარაუდოთ. რომ წინასიტყვაობა ეკუთვნის ხელნაწერის რომელსაზე გადამწერს და არა ერთ-ერთ ბატონიშვილს.

რაც შეეხება H—25 ხელნაწერში მოთავსებულ ბაგრატის წინასიტყვაობას, იგი აკინძვისას შეცდომით აღმოჩნდა № 1766-ში (როგორც ეს დაადგინა თ. ლომოურმა). მაგრამ, თუ მას თავის ადგილზე მოვათავსებთ (ე. ი. H—25-ის პირველ გვერდად ვიგულისხმებთ), მაშინაც გაუგებრობას ექნება ადგილი. მოვიყვანთ ამ წინასიტყვაობის ტექსტს:

“მე, საქართველოს მეფის გიორგის ძემან და რუსეთის იმპერატორის კარის კამერლერმან და სხვათა და სხვათა ორდენთა და კავალერთა მექონმან ბაგრატმან ვიგულსმოდგინე და შევპყრიბნე ესე მოთხრობანი სანატრელის და ღვთისადმი განსვენებულისა, მხნისა და სახელოვანისა მეფისა თეიმურაზისა და ძისა მისისა მეფისა ირაკლისა, პაპისა ჩემისა, რომელიცა დაუშრომელად დღეთა თჳსთა სიყრმიტგან ვიდრე სიბერედმდე არა ზოგევედა თავსა თჳსსა ერთგულებისათვის და ზრუნვისათვის ერისა თჳსისა, რომელიცა სახელოვანმან ამან კაცმან მრავალგზის აღადა სახელი თჳსი ბრძოლისა თეიატრსა ზედან.

ხოლო მე, განღვიძებულმან სიყვარულისა მისისამან, შევპყრიბნე ესენი, რაოდენიცა ეპოვნენ ქორონიკონი, და წელნი, და მოქმედებანი მისნი ყოველნივე, და შემდგომად მისსა ძისაცა მისისა მეფისა გიორგისა, და შემდგომად მეფისა გიორგისა დაპყრობისაგან რუსთა საქართუშელოისა, და რუსეთსა შინაჲ მიერთი, რაჲცა შეემთხუა, ყოველივე დიდისა ცითთა და უტყუელითა აღმიწერეს ჭეშმარიტებით, რათა არა დაეწყებულ იყო საქმენი ნეტარქსენებულთა მეფეთანი, ვინაჲთგან ამ ეამს ჰქლობდნენ რუსნი მამულთა ჩვენთა და ჩვენ განზნულ ვიყვენით როსისა შინა მათ მიერ. აღიწერა წელსა 1819: ქქს: ფჳ. სპბ. თჳშსა მარტსა 4, მეფის ძე ბაგრატ“.

ძალაუვნებურად იბადება კითხვა: რა უნდა აქ ბაგრატის წინასიტყვაობას, როცა მისი მომდევნო მოთხრობა დავითს ეკუთვნის, დავითი კი წინასიტყვაობაში საერთოდ არ არის მოხსენიებული.

მხოლოდ „მოთხრობის“ დასაწყისში, ფურცლის ზედა აშიაზე მოთავსებულია შემდეგი წარწერა: „ნამდვილ ისტორია ესე აღწერილი მეფის გიორგის პირმშოს ძისაგან დავითის მიერ. ისტორია ესე ახლად შეძინებული ქართლის ცხოვრებისადა“. ეს ტექსტი (როგორც თ. ლომოურიც ვარაუდობს) შემდეგ მაუწყებრიათ ფურცლის ზედა კადეზე, უსწორმასწოროდ. ხელი ამ ტექსტისა წაავაგს ხელნაწერის ხელს.

გარდა ამისა, დავით ბატონიშვილის ავტორობას თითქოს ერთი გარემოებაც ადასტურებს: № 1766 ხელნაწერში „ახალ ისტორიას“ მოსდევს ბაგრატის „ახალი მოთხრობა“, რომელსაც, წესისამებრ, წინ უძღვის ავტორისეული წინასიტყვაობა. აქ რა თქმა უნდა, დავითი არ არის მოხსენიებული, მაგრამ ამავე გვერდზე, ფურცლის ზედა აშიაზე მოთავსებულია ბაგრატის უფრო გვი-

ანდელი მინაწერი (განსხვავებული ხელით წესრულებული): „ეს ზემო-  
აღწერილი ჩემის ძმის დაეთიშაგან არის აღწერი-  
ლი. აწ ეს ახალი მოთხრობა ჩემგან, მეფის ძის ბაგრა-  
ტისაგან“.

ერთი შეხედვით, ამ ორი მინაწერის არსებობა თითქოს დავითის ავტო-  
რობაში ყოველგვარი ეჭვის შეტანის შესაძლებლობას სპობს, მაგრამ თუ უფ-  
რო გულდასმით დავუკვირდებით, სხვა სურათს მივიღებთ:

პირველ ყოვლისა, № 1766 ხელნაწერში მოცემული წინასიტყვაობების  
გაცნობისას ჩვენი ყურადღება მიიქცია მათ ქვეშ მოთავსებულმა თარიღებმა.  
ხელნაწერში პირველად აკინძულია „ახალი ისტორია“, შემდეგ კი მოსდევს  
ბაგრატის „ახალი მოთხრობა“, მაგრამ „ახალი ისტორიის“ წინასიტყვაობას  
უზის თარიღი: „1814 წლის დეკემბრის 26“, ხოლო „ახალი მოთხრობისას“ —  
„1814 წლის დეკემბრის 11“.

ე. ი. ბაგრატ ბატონიშვილის მოთხრობა უფრო ადრე დაიწერა, მაგრამ  
ჩვენთვის უცნობი მრწანლების გამო, ხელნაწერში იგი მოთავსებულია „ახალი  
ისტორიის“ შემდეგ. ეს გარემოება შემდეგნაირად შეიძლება აიხსნას:

ხელნაწერის დაკვირვებით შესწავლის შედეგად აღმოჩნდა, რომ „ახალი  
ისტორია“ დაწერილია სულ ცისფერ ქაღალდზე, „ახალი მოთხრობა“ — თე-  
თრზე. საფიქრებელია, რომ ეს ორი მოთხრობა დაიწერა და არსებობდა ერთ-  
მანეთისაგან დამოუკიდებლად, ცალ-ცალკე, ხოლო რამდენიმე ხნის შემდეგ  
ბაგრატ ბატონიშვილმა ისინი ერთ წიგნად აკინძა, ამასთან, „ახალი ისტორია“  
თავისი თზულების წინ მოათავსა. შემდეგ კი ბაგრატს ეს ორივე თხზულება  
გაუერთიანებია ერთ მოთხრობად, რომელმაც ჩვენამდე მოაღწია H—25  
ხელნაწერის სახით. ამ ხელნაწერის წინასიტყვაობაში ბაგრატს მოცემული  
აქვს მისი შედგენის ზუსტი თარიღიც — 1819 წლის 4 მარტი.

როგორც ზემოთაც აღვნიშნეთ, ამ წინასიტყვაობაში ბაგრატი ერთი სი-  
ტყვითაც არ მოიხსენიებს დავითს და მხოლოდ მოგვიანებით, მოთხრობის  
დასაწყისში, ფურცლის ზედა კიდეზე აკეთებს მინაწერს: „ნანდვილ ისტორია  
ესე აღწერილი არს და გაკეთებული...“ აქედან გამომდინარე, უნდა ვიცვარუ-  
დოთ, რომ ბაგრატ ბატონიშვილს მხოლოდ 1819 წლის შემდეგ შეუტყვია,  
რომ ახალი ისტორიის ავტორად ითვლებოდა მისი ძმა დავითი და ხელნაწერ-  
შიც შესაბამისი მინაწერები მოუთავსებია.

თავის მხრივ, ეს გარემოება უცნაური ჩანს: რით შეიძლება აიხსნას ის  
ფაქტი, რომ ბაგრატმა თავისი ძმის ამბავი ასე გვიან შეიტყო. ამ საკითხის  
გადაწყვეტაში ისევ „ახალი ისტორიის“ ტექსტი გვეხმარება: — იქ, სადაც და-  
ვითის მმართველად დანიშვნაზეა საუბარი, ტექსტში ვკითხულობთ:

ესე (დავითი—ლ. მ.) შეაცთუნა თანა აღზრდილმან მისთანა მთავარ-დიაკონმან ეგნატემ, ონისი-  
მეს ძემან, მარტყოფელმან... და შეაუღლა ქალსა სომხისა მოქალაქისასა აღა ტერსიმონაშვილის  
ასულსა ზედა ელენეს, რომლისა გამო გულნაკლულ იქმნენ ეითარცა ძმანი, ეგრეთვე, ჩინებულ-  
ნოცა ქართველთანი და მხედველი ამისი დავით იქმნა მცირე რაი მწუხარებისა გამო ცნობა ენებულ-  
ჟან მიულო ქსანი ძმასა თვისსა ივანეს და ბაგრატს, ლიახვი და გვერდისძირი ბიძასა თვისსა იუ-  
ლონს და მიცა კვალად ქსნის ერისთვიანთა...<sup>30</sup>.

საფიქრებელია, რომ ამ ფაქტს — დავით ბატონიშვილის მიერ იოვანესა  
და ბაგრატისათვის ქსნის ჩამორთმევას — ძმებს შორის ურთიერთობის დაძაბ-

<sup>30</sup> ახალი ისტორია, გვ. 26-27.

ვა მოჰყოლოდა. შესაძლებელია ეს დაძაბული ურთიერთობა იყო მიზეზი იმისა, რომ ბაგრატი არაზუსტი წარმოდგენა ჰქონდა დავით ბატონიშვილის საქმიანობის შესახებ.

ზემოთ წარმოდგენილი მასალა, ვფიქრობთ, ეწინააღმდეგება ტრადიციულ თვალსაზრისს დავით ბატონიშვილის ავტორობის შესახებ, მაგრამ, სამწუხაროდ, სულაც არ აადვილებს თხზულების ნამდვილი ავტორის ვინაობის დადგენას.

ამიტომ, ჩვენ იძულებული ვართ, კვლევის ამ ეტაპზე მცირედით დავკმაყოფილდეთ და თხზულების მხოლოდ საფარაუდო ავტორად მივიჩნიოთ თეიმურაზ ბატონიშვილი, რომელსაც თხზულების წერას გვემად უნდა ჰქონოდა დავითის ჩანაწერები.

აქვე გვინდა შევნიშნოთ ისიც, რომ თეიმურაზ ბატონიშვილი იზრდებოდა დავითის უშუალო მეტყაფურობისა და მზრუნველობის ქვეშ. თვითონ თეიმურაზი დავითს თავის აღმზრდელად და მოჭირნახულედ თვლიდა: „კურთხეული გარდაცვალებული ძმა იგი ჩემი ძმობის გარდა ჩემი მოჭირნახულე იყო და აღმზრდელ და სხვათა ძმათა შორის განსაკუთრებული ვიყავ მისი“-ო, წერდა იგი მარი ბროსეს<sup>31</sup>.

ხოლო იმას, თუ რატომ არის ასე საგულდაგულოდ ბურუსით მოცული თეიმურაზ ბაგრატიონის, როგორც „ახალი ისტორიის“ ავტორის პიროვნება, ეფიქრობთ, ნათელს მოჰფენს იმავე თეიმურაზის წერილი მარი ბროსესადმი (თეიმურაზ ბაგრატიონის „დავით ბაგრატიონის ისტორიის“ ლითოგრაფიულ გამოცემასთან დაკავშირებით):

ჩემი ძმის — მეფის ძის დავითის ისტორია, ჩემგან წარმოვლენილი თქვენდამი, მეაზილის საზოგადოების მიმართ ძღვანელი ვითარგმნით დრანციულს ენაზე და რომლისთვისაც მკითხავთ, რომ გსურს დააბეჭდინოთ და მე რჩევასა რომ მკითხავთ, მოგახსენებთ რომ დია კარგი იქმნება. რომ დაიბეჭდოს, მაგრამ მხოლოდ მაგ წიგნში ინებენ, რომ ჩემი სახელი არ იყოს და არც ჩემ მიერ შეთხზვა მაგ წიგნისა, მე სხვა არა რა მიზეზი მაქვს, რომ ჩემს სახელს არ გაჟერინებთ მაგ წიგნში, რადგან ეს წიგნი მე აღვსწერე. იქმნება წამკითხველთ ასე იფიქრონ, რომელ თავის ძმით სიყვარულით მეტეხი და მომატებული ქებაები დაუწერიათო, მაგრამ მე წინაშე ღმრთისა და წინაშე თქვენსა ქეშმარიტებით ამას აღვიარებ რომელ, რაც ჩემს ძმას, მეფის ძეს დავითს სიკეთეები სქირდა და საქებელი საქმეები ჰქონდა, იმის ღირს-სახსოვართა საქმეთაგანი მეთადიცა ნაწილი არ აღმიწერია. მგონი რომ საჭირო არ იყოს მაგ წიგნში მოხსენება ვისგანაც არის აღწერილი მაგრამ ამაზე არამც თუ ნებას არ დაგრთავ, არამედ ვედრებოდაც გთხოვ...<sup>32</sup>.

მარი ბროსეს კეთილსინდისიერად შეუსრულებია თეიმურაზისათვის ეს თხოვნა, მაგრამ ტექსტის ერთი ადგილი მაინც ამხელს ავტორის ვინაობას. კერძოდ, იქ, სადაც აღწერილია ერეკლე II-ის გარდაცვალება, ვკითხულობთ:

ხოლო ძეთაგან მეფისათა არაჲნ იყოფებოდა მუნ, თვნიერ ვახტანგისა და ასულნი მეფისანი, სახლულენანი მეფისა გიორგისანი და ვიყოფილი მეცა, თვთ აღმწერიელი ამა მოთხრობათა, მეფის გიორგის ძე თეიმურაზ...<sup>33</sup>

<sup>31</sup> შოთა მეისხია, თეიმურაზ ბატონიშვილის ცხოვრება და მოღვაწეობა, მასალები, საქართველოსა და კავკასიის ისტორიისათვის, ნაკ. 1, თბ., 1939, გვ. 21.

<sup>32</sup> თეიმურაზ ბაგრატიონის წერილები აკადემიკოს მარი ბროსესადმი. ს. ყუბანეიშვილის რედაქციით, 1964, გვ. 11, წერილი № 2.

<sup>33</sup> თეიმურაზ ბაგრატიონი, დასახ. ნაშრომი. გვ. 71.

დაბოლოს, კადევ ერთი საყურადღებო ფაქტი: აღმოსავლეთ-მცოდნეობის ინსტიტუტის ლენინგრადის განყოფილებაში Н — 27 შიფრით დაცულია თეიმურაზ ბაგრატიონის კუთვნილი ხელნაწერი, რომელიც შეიცავს დავითის ნაშრომთა სიას შემდეგი სათაურით: „რაც ნეტარდხსენებულს სრულიად საქართველოს უფლისწულს მეფის გიორგი მეათცამეტის პირმშოს ძეს დავითს სიცოცხლესა შა თესსა წიგნი უღუაწიეს ქუჭმორე ამისსა დაწერების:...“ ეს სია თეიმურაზის მიერ შედგენილია XIX ს-ის 20-იან წლებში (რ. ორბელის აზრით — არა უადრეს 1827 წლისა<sup>34</sup>) პეტერბურგში. იგი შეიცავს დავით ბატონიშვილის ცამეტ ორიგინალურ ნაშრომს, აგრეთვე მის მიერ რუსულიდან და სპარსულიდან თარგმნილი შრომების დასახელებებს, მათ შორისაა „გეოგრაფია“, „არტილერია“, „ღრამატიკა“, „რომანიული ბარათები“ და სხვ. მაგრამ საინტერესო ის არის, რომ ამ სიაში თეიმურაზი არ ასახელებს „ახალ ისტორიას“.

ეს ფაქტი, როგორც ჩანს, იმით უნდა აიხსნას, რომ თეიმურაზს „ახალი ისტორია“ არ მიაჩნდა დავითის ნაშრომად.

Л. В. МИКИАШВИЛИ

## К ВОПРОСУ ОБ АВТОРЕ «НОВОЙ ИСТОРИИ»

### Резюме

В грузинской историографии автором «Новой истории» — нарративного памятника второй половины XVIII и начала XIX вв. по истории Грузии — признан Давид Багратиони (сын Георгия XII). Однако некоторые исследователи (К. Кекелидзе, М. Джанашвили) ставили под сомнение его авторство. Высказано также предположение (Т. Ломоури), что текст названного памятника отредактирован и дополнен Багратом Багратиони.

На основе анализа текста и его сопоставления с сочинениями Давида, Баграта и Теймураза Багратиони в статье высказано предположение, что автором исследуемого текста является Теймураз Багратиони.

წარმოადგინა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის საბჭოთა კავშირის ხალხებთან საქართველოს ურთიერთობის განყოფილებამ

<sup>34</sup> Р. Орбели, Грузинские рукописи Института востоковедения АН СССР, Л., 1956, гл. 158.

## „წმ. ნინოს ცხოვრების“ მცირე და ვრცელი რედაქციები

### (ურთიერთმიმართების საკითხისათვის)

„მოქცევაჲ ქართლისაჲ“-ს სახელით ცნობილ ძეგლში მკვლევრები ორ ძირითად ნაწილს, ისტორიულ ქრონიკას და „წმ. ნინოს ცხოვრებას“ გამოყოფენ. ქართლის ქრისტიანიზაციის და მისი განმანათლებლის შესახებ ცნობებს შეიცავს ისტორიული ქრონიკაც, რომელშიც წარმოდგენილი მოქცევის ისტორია. ქრონიკის მოცულობის თითქმის ნახევარს რომ შეადგენს, ხასიათდება „წმ. ნინოს ცხოვრების“ არსებზე უფრო ნიშნებით. ამიტომ „მოქცევაჲ ქართლისაჲ“-ში მისი ცალკე ერთეულად გამოყოფა მიზანშეწონილია და გარკვეული თვალსაზრისით აუცილებელიც.

✱ „წმ. ნინოს ცხოვრების“ ისტორიის შესწავლისათვის საინტერესოა „მოქცევაჲ“-ში წარმოდგენილი „ცხოვრების“ ორი რედაქციის ურთიერთმიმართების დადგენა. სპეციალურ ლიტერატურაში არსებობს აზრი მათი სხვაობის შესახებ<sup>1</sup>. წინამდებარე სტატიაში ამ შეხედულების მაგალითებით განმტკიცების ცდაა მოცემული. ნაშრომი მიზნად ისახავს აგრეთვე მკვლევარი მასალის ანალიზის საფუძველზე „წმ. ნინოს ცხოვრების“ მცირე (ქრონიკისეული) და ვრცელი (სხვაგვარი ნომენკლატურით „ფსევდო-ეპიგრაფიკული“) რედაქციების კავშირის ტიპის გარკვევას<sup>2</sup>.

როგორც ითქვამს, „წმ. ნინოს ცხოვრების“ ვრცელი რედაქცია სხვაობას გვიჩვენებს მცირე „ცხოვრებასთან“ შედარებისას. ეს სხვაობა მარტოოდენ მოცულობას როდი შეეხება. მოვიყვანთ მაგალითებს:

ა) მცირე რედაქციის მიხედვით ჯვართა აღმართვის აღგილებად შეარჩიეს მცხეთა და თხოთის მთა: „სამ გუამად შექმნნეს ხისა მის ტანისაგან სამნი ჯუარნი და აღმართნეს მცხეთას, ვითარცა სწერია მცირესა მას მოკლედ აღწერილსა მას წიგნსა ქართლისა მოქცევისასა, გრიგოლი დიაკონისა მიერ აღწერილსა. და ერთი ჯუარი აღმართა მირიან მეფემან მთასა ზედა მალნარისასა, რომელსა ჰქვან თხოთისა, და ერთი-გი მახლობელად პატიოსნისა ჯუარისავე“<sup>3</sup>.

<sup>1</sup> იხ. ე. გ. რ. ი, ახალი წყარო საქართველოს ისტორიისა, ვაზ. ივერია, № 4, 1889; თ. უ. ო. რ. - დ. ა. ნ. ა., ქრონიკები და სხვა მასალა საქართველოს ისტორიისა, 1, ტფ., 1892, გვ. XVII, ივ. ჯ. ა. - ვ. ა. ხ. ი. მ. ე. ი. ლ. ო, ქართველი ერის ისტორია, I, თბ., 1979, გვ. 216. 240-241.

<sup>2</sup> „მოქცევაჲ ქართლისაჲ“-ში წარმოდგენილი „ცხოვრებების“ შესწავლას ძეგლის პროტოგრაფის სტადიაზე წარემართეთ, ამიტომ ნაშრომში ტერმინებით „წმ. ნინოს ცხოვრების“ მცირე რედაქცია, „წმ. ნინოს ცხოვრების“ ვრცელი რედაქცია პროტო „მოქცევაჲ“-ს შემადგენელ ნაწილებს აღწინააღმდეგ და „მოქცევაჲ ქართლისაჲ“-ს ორივე ჩვენამდე მოღწეული (შატბერდული და ქელიშური) რედაქციების მონაცემებს ურთიერთშესავსებად და შესაჯერებლად ეყენებთ.

<sup>3</sup> ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, I, ილ. ა. ბ. უ. ლ. ა. ძ. ი. რ. - დ. ა. ქ. ი. თ. ბ., 1963, გვ. 86.

განსხვავებულ ცნობას გვაწვდის ვრცელი „ცხოვრება“. ნინოს მითითებით, ჯერები აღმართეს თხოთს, მცხეთას, უყარმას<sup>4</sup>.

ბ) მცირე რედაქცია გვაუწყებს, რომ მირიან მეფემ ქრისტეს სამოსლის და ელიას ხალენის მცხეთაში ყოფნის შესახებ გაიგო მთავარეპისკოპოსისაგან: „ალიგო ურვითა (მირიანი — მ. ჩ.) და დააყენა საქმე მოსწრაფებისა, ვიდრე არა ისწავა მთავარეპისკოპოსისაგან, ვითარმედ: „შენ თანა არს ამას ქალაქსა შინა სამოსელია ქრისტესი ყოლად ზეგარდამო ქსოვილი, რომელი ჟუარის მცუ-მელთა მათ განიყვეს, და კუართი იგი ამათ იხუედრეს, ჩრდილოსა ამას ქალაქსა შინა დაფარეს, და აწ შვილნი მათნი არიან, ვინ უწყის, თუ აღგილიცა იყო-დენ. ხოლო ჟამი მისი მერმე არს, ოდეს გამოჩნდეს დიდებით ქვეყანასა ზედა ეგრეთვე ხალენი ელიამსი აქვე დამარხულ არს“<sup>5</sup>.

✓ამავე ცნობას ვრცელი რედაქციის მიხედვით შევსდის ნინო: „მე ვხე-დავ, რამეთუ არს ამას ქალაქსა სასწაული ერთი, სამოსელი ძისა ღმრთისაჲ, და ხალენისა მის ელიამსი ყოფად ვიეთმე აქა თქუეს“<sup>6</sup>.

გ) ლაკონური ხასიათის მიუხედავად, „წმ. ნინოს ცხოვრების“ მცირე რე-დაქცია ქრისტეს ჯვარცმის ცერემონიაზე დასასწრებად მცხეთიდან გაგზავ-ნილ ებრაელთა უფრო სრულ სიას იძლევა, ვიდრე ვრცელი. იგი მოგვით-ხრობს: „აქეთ წარვიდეს ელიოზ მცხეთელი და ლონგინოზ კანისელი და თა-ლენავ და მისაელ“<sup>7</sup>.

— ვრცელ რედაქციაში კი ვკითხულობთ: „და წარვიდა ელიოზ და ყოველნი პურიანი ქართლით“ (C) ან „წარვიდა ელიოზ და ყოველნი ქართველნი“ (V)<sup>8</sup>.

დ) მცირე „ცხოვრების“ მიხედვით, მირიან მეფემ ქრისტიანული სარწმუ-ნოების სიკეთეში დარწმუნებისთანავე „მსწრაფლ აღაშენა ეკლესიაჲ ქუეშომო სამოთხესა შინა“. და მხოლოდ აღშენების შემდეგ (ერთარცა აღაშენეს ეკლე-სიაჲ“) „წარავლინა მოციქული და წიგნი ნინოჲსი საბერძნეთა, მეფისა კონს-ტანტინესა. თხოვად მღვდელთა“<sup>9</sup>.

ვრცელი „ცხოვრების“ მიხედვით კი, ქრისტიანობის აღიარებისთანავე („ხვალისა დღე“) მირიანმა მოციქულები გაგზავნა საბერძნეთს და მხოლოდ ამის შემდგომ იწყო ზრუნვა ეკლესიის მშენებლობისათვის<sup>10</sup>. აქ ნინოს „წიგნის“ შესახებაც არაფერია ნათქვამი.

ე) „წმ. ნინოს ცხოვრების“ მცირე რედაქცია მოგვითხრობს, რომ საჯა-რე ხის შერჩევაში მონაწილეობა მიიღეს მეფის ძემ რევმა და მთავარ-დიაცონმა<sup>11</sup>.

ვრცელი „ცხოვრების“ ჩანს, რომ სასულიერო პირთაგან ჯერის დამზა-დებაში მონაწილეობს იაკობ მღვდელი, რადგან ამ საკითხისადმი მიძღვნილი თავი მას მიეწერება<sup>12</sup>.

<sup>4</sup> ძველი ქართული აგოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, I, გვ. 150-151.

<sup>5</sup> იქვე, გვ. 87.

<sup>6</sup> იქვე, გვ. 133.

<sup>7</sup> იქვე, გვ. 87.

<sup>8</sup> იქვე, გვ. 128.

<sup>9</sup> იქვე, გვ. 84-85.

<sup>10</sup> იქვე, გვ. 137. აღნიშნული მაგალითის შესახებ პირველად მიუთითა ივ. ჯავახიშვილმა და-სახელებულ ნაშრომში, იხ. გვ. 241.

<sup>11</sup> იქვე გვ. 87.

<sup>12</sup> იქვე, გვ. 147.

ვ) მცირე რედაქციის მიხედვით, კონსტანტინე მეფემ სამღვდელოებასთან ერთად ქართლში გამოგზავნა „წიგნი ელენე დედოფლისაჲ, ხატი მაცხოვრისაჲ და ძელი ცხოვრებისაჲ ნინოასთვის“<sup>13</sup>.

ერცელი „წმ. ნინოს ცხოვრება“ კი მარტოოდენ სამღვდელოების მოსვლის შესახებ აღნიშნავს<sup>14</sup>.

ზ) მცირე რედაქცია მოგვიხრობს, რომ მირიანმა ქვემო ეკლესიის აგების და ჯვართა აღმართვის შემდეგ საეკლესიო მშენებლობის ფართო მასშტაბით გაჩაღება მოისურვა. ამ მიზნით მეორედ აახლა მოციქულნი ბერძენთა მეფეს და ამჯერად „ქვისა მთელნი და კირით ხურონი“ ითხოვა მისგან. კეისარის წარმოგზავნილებმა ეკლესიათა საძირკველები დადეს ერუშეთს, მანგლისს. მათივე შემწეობით მირიანმა გარეუბნის ქვის ეკლესიის მშენებლობა იწყო მცხეთაში<sup>15</sup>.

ერცელი რედაქცია არ იცნობს მირიანის მიერ მოციქულთა მეორედ წარგზავნის ფაქტს. მას არც მირიანის საეკლესიო მშენებლობის ასეთი ფართო მასშტაბების შესახებ მოუპოვება ცნობები. ამ რედაქციით მირიანის დროს ქართლში მხოლოდ ერთი ეკლესია აშენებულა<sup>16</sup>.

თ) მცირე „ცხოვრება“ მოგვითხრობს, რომ მომავლადე ნინოს სანახავად მოვიდნენ „რევ, ძმ მეფისაჲ, და სალომე, ცოლი მისი და ასული მისი, და ზედაადგეს მოურნედ. და მიუვლინეს მცხეთით მეფემან და ცოლმან მისმან ნანა იოვანე მთავარეპისკოპოსი ხილვად და წარუყვანებად. ხოლო მან არა ინება, არამედ დაჰვედრა იაკობ მღვდელი, რამთა შემდგომად შენსა მან დაიპყრას საყდარი“<sup>17</sup>. სიკვდილის წინ ნინომ გააჩუქა ძვირფასი რელიკვიები: ელენე დედოფლის „წიგნი“ და „ძელი ცხოვრებისაჲ“. ზიარების რიტუალი იოვანე მთავარეპისკოპოსმა შეასრულა<sup>18</sup>.

ერცელი „ცხოვრების“ მიხედვით კი, მომავლადე ნინოს თავზე ადგანან (და ჩანს, სხვებს შორის უმთავრესნიც არიან, რაზან „ცხოვრება“ მათ ასახელებს) სალომე უყარმელი და სივნელი პეროუყერი, რომლებიც განმანათლებლის მონათხრობს იწერენ. ამ რედაქციიდან არ ჩანს, რომ ნინოს სიკვდილის წინ იაკობ მღვდელზე ეზრუნოს, ან რელიკვიები გაეჩუქებინოს. ერცელმა „ცხოვრებამ“ არ იცის, რომ ნინოსთან მთავარეპისკოპოსიცაა. იგი არც რევს იხსენიებს „მოურნეთ“ შორის, მხოლოდ ზოგადად აღნიშნავს: „მეფენი ქუეყნისანი და მთავარნი დედებითურთ“<sup>19</sup>.

ი) მცირე რედაქციით, ნინომ მთიანეთის გასაქრისტიანებლად მოწყობილ სამისიონერო ექსპედიციაში წაიყვანა იაკობ მღვდელი, ერისთავი და მთავარეპისკოპოსი (C), ან მთავარეპისკოპოსი, მღვდელნი და ერისთავი და დედოფალი ნანა (ყ)<sup>20</sup>.

ერცელის მიხედვით კი, ამ ექსპედიციაში ნინოს თანმხლებ პირად არავინ

<sup>13</sup> ძველი ქართული აგოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, I, გვ. 86.

<sup>14</sup> იქვე, გვ. 144.

<sup>15</sup> იქვე გვ. 86-87.

<sup>16</sup> იქვე, გვ. 137.

<sup>17</sup> იქვე, გვ. 89.

<sup>18</sup> იქვე, გვ. 90.

<sup>19</sup> იქვე, გვ. 104, 105.

<sup>20</sup> იქვე, გვ. 88.

ჩანს: „მაშინ დაუტევა წმიდამან ნინო მცხეთაჲ ქალაქი და წარვიდა მთიულთა ხარებად“<sup>21</sup>.

კ) მცირე რედაქცია გვამცნობს, რომ მთიელთა მოქცევა საძნელო შეიქნა. მხოლოდ წმინდანის ქადაგებამ არ გაჭრა და ძალის გამოყენება საჭიროდ ჩათვალეს: „ერისთავმან მცირედ წარჰმართა მახული და შიშით მოსცნეს კერპნი მათნი დაღეწად“. მთიელთა ნაწილის მოქცევა კი მაინც ვერ მოხერხებულა<sup>22</sup>.

ვრცელ „წმ. ნინოს ცხოვრებაში“ დაცული ნინოს წერილი მირიან მეფისადმი კი ვითარებას სხვაგვარად გვიხატავს: „აჲა ესერა, მე მოვლე სანახები ქართლისაჲ, ზოგადი ადგილი მთათა და ბართაჲ და აღვასრულე სახარებაჲ ჩემი. და ვპოვე შეწევნაჲ უფლისამიერი, და შეიწყნარეს ყოველთა ქადაგებაჲ ჩემი, და მისცნეს კერპნი მათნი ცეცხლსა დასაწუელად“<sup>23</sup>.

ლ) მცირე და ვრცელი „ცხოვრებანი“ ერთმანეთისაგან განსხვავდებიან საერთო გეგმითაც: ვრცელში თხრობა ნინოს გარდაცვალებით იწყება და აღრიხდელი ამბები შემდგომად წარმოდგენილი, მცირე კი იცავს ქრონოლოგიური თანამიმდევრობის პრინციპს. ვრცელი რედაქციის ნაწილი პირველ პირშია ნაწერი და ნინოს „ანდერძის“ სახით წარმოგვიდგება, განსხვავებით მცირე „ცხოვრებისაგან“, რომელშიც თხრობა თავიდან ბოლომდე მესამე პირში წარმოებს.

ზემოთ დამოწმებულ მასალაში შეიძლება მაგალითების სამი ჯგუფი გამოიყოს: 1) მცირე „ცხოვრება“ მეტ ინფორმაციას იძლევა ვრცელთან შედარებით<sup>24</sup>; 2) მცირე და ვრცელი რედაქციებს ცნობები განსხვავებულია; 3) მცირე და ვრცელი „ცხოვრებების“ მიერ მოწოდებული ინფორმაცია საპირისპირო შინაარსისაა.

პირველი ორი ჯგუფი ამტკიცებს, რომ აღნიშნულ რედაქციებს შორის არ არის უშუალო დამოკიდებულება: არც ერთი წარმოადგენს მეორის შემოკლებას და არც მეორე პირველის გავრცობას. მაგალითების მესამე ჯგუფი კი გვაფიქრებინებს, რომ მცირე და ვრცელი „ცხოვრებანი“ განსხვავებული გენეალოგიური შტოს წარმომადგენლებია.

დასკვნა, რომელიც „წმ. ნინოს ცხოვრების“ ციკლის თხზულებებში სულ მცირე ორი გენეალოგიური შტოს არსებობას ვარაუდობს, შეიძლება განმტკიცდეს შესაღარებელი რედაქციების სტილისტური ანალიზით.

ავტორის სტილს გარკვეული გრამატიკული კავშირებისაქენ მიდრეკილება ახასიათებს, რაც რაოდენობრივად გამოხატულებას გრამატიკული კლასების წყვილადი შეხვედრის სიხშირეებში პოულობს. ამ სიხშირეების აღწესება და შემდგომ მათი შედარება სტილისტური ანალიზის მიზნით შესაძლებელია ფორმალური მეთოდით, რომელიც რამდენიმე საშუაო ეტაპით წარმოგვიდგება: 1) თავდაპირველად ზღბა მოცემული პერიოდის ენისათვის დამახასიათებელი გრამატიკული კლასების სისტემის შერჩევა. თითოეულს ანიჭებენ ინდივიდუალურ საკოდო ნომერს. მოცემული კოდით გადაიწერება შესაღარებელი ნაწარმოებების ერთნაირი მოცულობის ნაწყვეტები; 2) შემდეგ ითვლიან გრამატიკული კლასების შეხვედრის სიხშირეებს. ამ დროს ითვალისწინებენ მხოლოდ ისეთ კავშირებს, რომლებიც წინადადების გაშლის მიმართულებას შეესაბამებინ. წერტილით გაყოფილ გრამატიკულ კლასებს შორის კავშირი არ აღირიცხება. შედეგებს თვალსაჩინოდ წარმოაჩენენ

<sup>21</sup> ძველი ქართული აგოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, გვ. 152.

<sup>22</sup> იქვე, გვ. 89.

<sup>23</sup> იქვე, გვ. 100.

<sup>24</sup> ვრცელი „წმ. ნინოს ცხოვრება“ ბევრ დეტალს შეიცავს მცირე რედაქციისაგან განსხვავებით. ყველა მათგანის მიზეზი არის, ცხადია, მოცულობა. ამიტომ მათ ცალკე არ ვიხილავთ და არც სხვაობის საჩვენებლად ვიყენებთ.

წყვილადი შეხვედრის მატრიცებში; 3) მატრიცებში აისახებიან როგორც ძლიერი (მაღალი სიხშირის), ე. ი. კანონზომიერი, ასევე სუსტი (დაბალი სიხშირის), ე. ი. არაკანონზომიერი კავშირები. მათ გასამიჯნად შეარჩევენ ზღვარს (მატრიცების კონკრეტული სახის გათვალისწინებით) და ყველა დაბალი სიხშირის  $\alpha_j < \alpha$  კავშირი ირიცხება მოცემული კავშირების სიმრავლიდან, დარჩენილი მაღალი სიხშირის  $\alpha_j \geq \alpha$ , ანუ ძლიერი კავშირების გათვალისწინებით კი აიღება ძლიერი კავშირების გრაფი  $G_{\text{ძლ.}}$ , რომლის წევრობებს გრამატიკული კლასები, ხოლო რკალებს ძლიერი კავშირები ( $\alpha_j \geq \alpha$ ) შეესაბამებიან.  $G_{\text{ძლ.}}$  კანონზომიერი გრამატიკული კავშირების ამსახველი გრაფია; 4) ავტორის სტილისათვის დამახასიათებელი გრამატიკული კავშირები კანონზომიერი კავშირების მხოლოდ ნაწილია. ამ უკანასკნელთა ნაწილი კი საერთოენობრივი თუ ქანობრივი ნორმებითაა გამოწვეული და ავტორისეულ საწყისზე არას მითითებს. ავტორის სტილისტური თავისებურებებით განპირობებული კავშირების გამოსაყოფად ავტორს ე. წ. „საერთოენობრივი ბოროტის“ გრაფი —  $G_{\text{საერთო.}}$  ამ გრაფში შეიტანება ის კავშირები, რომლებიც ყველა ან უმეტესი შესაღარებელი ტექსტების ძლიერი კავშირების გრაფებს ამაშიათებენ. ავტორის სტილის ინდივიდუალურობის მაჩვენებელია ე. წ. „არსებითი კავშირების“ გრაფი  $G_{\text{არს.}}$ , რომელიც, ცხადია, ძლიერი კავშირების გრაფიდან საერთოენობრივი ბოროტის გრაფის გამორიცხვით მიიღება:  $G_{\text{არს.}} = G_{\text{ძლ.}} - G_{\text{საერთო.}}$ ; 5) შესაღარებელი ტექსტების სტილისტური სიახლოვის დადგენა ხდება მსგავსების კოეფიციენტით, რომელიც, ჯერის აღებული ორი ტექსტის არსებითი კავშირების გრაფების ერთნაირი წევრობის რიცხვის შეფარდებას წევრობების მთელ რიცხვთან. უფრო ვრცლად ამ მეთოდის შესახებ იხ. Л. И. Бородин, Л. В. Милов, Л. Е. Морозова, К вопросу о формальном анализе авторских особенностей стили в произведениях древней Руси, в кн.: Математические методы в историко-экономических и историко-культурных исследованиях, М., 1977

შესაღარებლად ავიღეთ მცირე „წმ. ნინოს ცხოვრება“ „მოქცევაჲ ქართლისაჲ“—ის შატბერდული რედაქციის მიხედვით  $L$ , რომელიც თავსდება  $83_{12}$ — $91_9$  სტრიქონებზე<sup>25</sup>. მას მხოლოდ  $88_2$ — $88_4$  სტრიქონებზე მოთავსებული ტექსტის ნაწილი გამოვაკელით, როგორც ქრისტიანული სარწმუნოების სიმბოლოს პერიფრაზი, რომელშიც ავტორისეული სტილის გამოვლენის ალბათობა ძალიან მცირეა.  $L$  აღნიშნული ადგილის გარეშე შეიცავს 513 ნიშნად სიტყვას. ვრცელი „წმ. ნინოს ცხოვრებიდან“ შერჩეულ იქნა ამავე მოცულობის ორი ნაწყვეტი ნებისმიერად  $N'$ ,  $N''$  ე. წ. ნინოს „ანდერძის“ ნაწილია ( $106_{20}$ — $114_{38}$ ); რიგი ადგილების გამოტოვებით, რაც მოტივირებულია ტექსტის დიალოგებისაგან განტვირთვის და აგრეთვე „ანდერძის“ სხვადასხვა მონაკვეთის წარმოდგენის მიზნით. გამოტოვებული ადგილებია:  $107_{18}$ — $107_{24}$ ,  $108_1$ — $108_{15}$ ;  $108_{35}$ — $108_{38}$ ,  $109_{14}$ — $109_{17}$ ,  $109_{22}$ — $109_{28}$ ,  $110_3$ — $110_{23}$ ,  $111_8$ — $114_{25}$ .  $N''$  კი აღნიშნავს თავს „პატრონისა ჭუარისათჳს, რომელი აღწერა იაკობ“ ( $147_{40}$ — $152_{24}$ ). აქ გამოტოვებულია მხოლოდ  $150_4$ — $150_{13}$  სტრიქონებზე მოთავსებული ტექსტი.

პარამეტრებად არჩეული გრამატიკული კლასების რაოდენობა 23-ით განისაზღვრა<sup>26</sup>, მათი რიცხვის მეტი ზრდის შესაძლებლობა არ იძლევა  $L$ -ის მოცულობა ( $513$  ნიშნადი სიტყვა), რომლის შესაბამისად ავიღეთ  $N'$  და  $N''$ . საკოდო ნომერთა მიხედვით გრამატიკულ კლასთა განლაგება შემდეგია: ზმნა აწმყოს მწკრივში (1); ზმნა უწყვეტელში (2); ზმნა წყვეტილში (3); ზმნა მეორე კავშირებითში (4); ზმნა მეორე ხოლმეობითში (5); ზმნა მეორე თურმეობითში (6); არსებითი სახელი წრფელობით ბრუნვაში (7); არსებითი სახელობითში (8); არსებითი მოთხრობითში (9); არსებითი მიცემითში (10); არსებითი ნათესაობითში (11); არსებითი მოქმედებითში (12); არსებითი ვითარებით-

<sup>25</sup> გვერდები „ძველი ქართული ავთოგრაფიული ლიტერატურის ძეგლების“ I წიგნის დსახელბეულო გამოცემის მიხედვითაა მითითებული.

<sup>26</sup> პარამეტრების შერჩევისას ვხელმძღვანელობდით ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორის, პროფ. ზურაბ სარჯველაძის კონსულტაციებით.

ში (13), ნაცვალსახელი წრფელობით ბრუნვაში (14); ნაცვალსახელი სახელობითში (15); ნაცვალსახელი მოთხრობითში (16); ნაცვალსახელი მიცემითში (17); ნაცვალსახელი ნათესაობითში (18); ნაცვალსახელი მოქმედებითში (19); ნაცვალსახელი ვითარებითში (20); ზედსართავი სახელი (21); რიცხვითი სახელი (22); ზმნიზედა (23). ზმნისთვის მახასიათებლად ავიღეთ მწკრივი, როგორც რთული კატეგორია, რომელიც რამდენიმე ელემენტისაგან შედგება<sup>27</sup>. შრომის გასაიოლებლად მწკრივთა მთელი სიმრავლიდან პარამეტრებში შევიტანეთ მხოლოდ დასახელებული ექვსი, რადგან დანარჩენები ტექსტის შიგნით მონაკვეთებში დადასტურებული არ ყოფილან. ქართულში სახელთათვის უმთავრესი კატეგორია არის ბრუნვა. ჩვენ მიერ შერჩეულ გრამატიკულ კლასებში არსებითი სახელისა და ნაცვალსახელისათვის შვიდ-შვიდი ბრუნვაა აღებული. ძველი ქართული ენისათვის დამახასიათებელ ბრუნვათა სისტემიდან გამოკლებულია მიმართულებითი, როგორც ბრუნვა, რომელიც სხვაზე (ვითარებითზე) დაიყვანება, და წოდებითი. ეს უკანასკნელი შესაძარებელი ტექსტების კონკრეტულად აღებულ მონაკვეთებში არ შეგვხვედრია.

პარამეტრების სიაში თითო-თითო საკოდო ნომრით შევიტანეთ ზედსართავი და რიცხვითი სახელები, ე. ი. მათთვის არ გაგვითვალისწინებია არც ერთი გრამატიკული კატეგორია. ვფიქრობთ, ზედსართავი და რიცხვითი სახელებს ხარჯზე პარამეტრების რიცხვის შემცირება არ ჩაითვლება დიდ შეცდომად. თუ გავითვალისწინებთ, რომ წინადადებაში მათი ბრუნვა ხშირ შემთხვევაში მექანიკურად განისაზღვრება არსებითი სახელით და ნაცვალსახელით, რომელთა მსაზღვრელებადაც ისინი გვევლინებიან. ასევე ერთი საკოდო ნომერი მივაჯთენეთ ზმნიზედას, რომლის მიერ დამყარებული კავშირები მეტყველების სხვა ნაწილებთან მის შინაარსზე დამოკიდებული არაა.

აღნიშნული პარამეტრებითაა აგებული  $L$ ,  $N'$  და  $N''$  მატრიცები<sup>28</sup>. ძლიერი კავშირების ქვედა საზღვრად ავიღეთ  $\alpha=5$  შემდეგი მოსაზრების გამო:  $a_{ij} < 5$  — იან სიხშირეების რაოდენობა დიდია, რომელიც ერთი სიხშირიდან მეორეზე გადასვლისას ნახტომისებურად იცვლება. მეორე მხრივ,  $a_{ij} \geq 5$  — იანი სიხშირეების რიცხვი მცირეა და პრაქტიკულად სტაბილური. ცხადია, რომ  $a_{ij} < 5$  შეესაბამება სუსტ, შემთხვევით კავშირებს, ხოლო  $a_{ij} \geq 5$  ძლიერ კანონზომიერ კავშირებს. სწორედ ამიტომ ჩავთვალეთ, რომ გამართლებულია  $\alpha=5$ .

მატრიცების მიხედვით ვაგებთ  $L$ ,  $N'$  და  $N''$  ტექსტებისათვის ძლიერი კავშირების გრაფებს (იხ. ნახ. 1, 2, 3).

სამივე ტექსტში არსებული კავშირებით იგება საერთოენობრივი ბირთვის გრაფი (იხ. ნახ. 4).


ძლიერი კავშირების გრაფებიდან საერთოენობრივი ბირთვის გრაფის გამოკლებით თითოეული ტექსტისათვის ნიილება არსებითი კავშირების გრაფი (იხ. ნახ. 5, 6, 7).

არსებითი კავშირების გრაფები ახასიათებენ ავტორისეულ სტილს. მათი

<sup>27</sup> ა. შ ა ნ ი ძ ე. ქართული ენის გრამატიკის საფუძვლები, 1, თბ., 1973, გვ. 216.


<sup>28</sup> მატრიცები დათვლილია გამოთვლელი მანქანის საშუალებით საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გეოფიზიკის ინსტიტუტში. მათემატიკურ ენაზე ამოცანის ჩამოყალიბებაში დახმარება გავეწიო ამ ინსტიტუტის დირექტორის მოადგილემ, ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა დოქტორმა მერაბ ალექსიძემ. პროგრამა მანქანისათვის შეადგინა უმცროსმა მეცნიერმა თანამშრომელმა გუგა წულუკიძემ.

ლ-ის ძლიერი პავშირების გრაფი ( $\alpha=5$ )




გამ. 1.

ნ-ის ძლიერი პავშირების გრაფი ( $\alpha=5$ )




გამ. 2.

$N'$ -ის ძლიერი კავშირების გრძივი ( $\alpha = 5$ )




ნახ. 3.

$L-N'-N''$ -ის სპეციფიკურობის გრძივი ( $\ell = 3$ )




ნახ. 4.

# L-ის ანსამბლითი პავშირეპის პრეპი




ნახ. 5.

# N'-ის ანსამბლითი პავშირეპის პრეპი



ნახ. 6.

№"-ის ატლანტიკური საზღვრების გეოგრაფიული



Exh. 7.

ცხრილი 1

|          | პრემიის<br>წევრობები                         | შანსვაპივლი<br>წევრობები                            | შესავსების<br>კოეფიციენტი                          |
|----------|----------------------------------------------|-----------------------------------------------------|----------------------------------------------------|
| $L-N'$   | 3, 8, 9, 10<br>სულ 4                         | 2, 11, 12, 13, 15, 16, 17, 18, 21, 22, 23<br>სულ 11 | $P_{L-N'} = \frac{4}{4+11} \times 100\% = 27\%$    |
| $L-N''$  | 3, 8, 9, 10<br>სულ 4                         | 2, 11, 12, 13, 15, 17, 21, 22, 23<br>სულ 9          | $P_{L-N''} = \frac{4}{4+9} \times 100\% = 31\%$    |
| $N'-N''$ | 2, 3, 8, 9, 10, 11, 15, 17, 21, 23<br>სულ 10 | 16, 18<br>სულ 2                                     | $P_{N'-N''} = \frac{10}{10+2} \times 100\% = 83\%$ |

თვისობრივი ანალიზიც ნათლად გვიჩვენებს, რომ  $N'$  და  $N''$  ტექსტების სტილი ერთმანეთის მსგავსია. განცალკევებით დგას  $L$ . რაოდენობრივადაც არსებითი კავშირების გრაფების შედარება იძლევა იმავე სურათს (იხ. ცხრილი).

როგორც მოსალოდნელი იყო, სტილისტურად ვრცელი „წმ. ნინოს ცხოვრების“ ორი ნაწყვეტის სიახლოვე დადასტურდა თვალსაჩინოდ. ( $p_{N'N''}=83\%$ ) ორივე მათგანს კი თითქმის თანაბრად დაცილდა ამ მხრივ მცირე რედაქცია ( $p_{LN'}=27\%$  და  $p_{LN''}=31\%$ ). ის გარემოება, რომ მცირე „წმ. ნინოს ცხოვრებაში“ გარკვეული მსგავსება მაინც გვიჩვენა ვრცელთან შედარებისას, დასახელებული თხზულებების ხანგრძლივი თანაარსებობით უნდა აიხსნას.

✓ ამრიგად, ტექსტოლოგიური კვლევის შედეგად მიღებული დასკვნა „მოქცევაჲ ქართლისაჲ“-ში წარმოდგენილ „წმ. ნინოს ცხოვრების“ ორ რედაქციას შორის უშუალო კავშირის არარსებობის და განსხვავებული წარმომავლობის შესახებ დასტურდება მათი ავტორების სტილის ფორმალურ-რაოდენობრივი მეთოდით ანალიზის დროსაც.

М. С. ЧХАРТИШВИЛИ

## МАЛАЯ И ПРОСТРАННАЯ РЕДАКЦИИ «ЖИТИЯ СВ. НИНО»

### Резюме

В статье дана попытка обосновать конкретными примерами высказанную ранее в грузинской историографии мысль о различии двух редакций «Жития св. Нино», представленных в уникальном памятнике древнегрузинской литературы «Обращение Грузии» («Мокцевай Картлисай»). Изучая подобранный материал, автор приходит к выводу, что эти редакции (т. н. малая и пространная) хотя длительное время фигурировали вместе, относятся к разным генетическим ветвям «Жития».

Вышеупомянутое предположение, сделанное на текстологической основе, подтверждается и формально-количественным анализом авторских особенностей стиля изучаемых редакций.

წარმოდგინა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის ძველი და შუა საუკუნეების საქართველოს ისტორიის წყაროთმცოდნეობის განყოფილებაში

## ხაზართა ერთი ლაშქრობის შესახებ VIII საუკუნეში

VIII ს-ის 20—30-იან წლებში ამიერკავკასიის აღმოსავლეთი ნაწილი ხაზარ და არაბ დამპყრობთა გამუდმებული ომების ასპარეზი იყო. ჯერ კიდევ VII ს-ის 40-იან წლებში აქ მოსული არაბები მიხვდნენ, რომ თუ კავკასიის ჩრდილოეთ ნაწილში დამკვიდრებულ ხაზარებს არ დაამარცხებდნენ, თავს მშვიდად ვერასდროს იგრძნობდნენ, რადგან ხაზარები ან თვითონ აწყობდნენ ლაშქრობებს ამიერკავკასიაში, ანდა ზურგს უმაგრებდნენ და ეხმარებოდნენ არაბთა წინააღმდეგ აღმდგარ ხალხებს, მათ შორის ქართველებსაც. ამიტომ ამ საშიში მეტოქის თავიდან მოსაცილებლად არაბები ხშირად ესხმოდნენ ხაზარებს და არბევდნენ მათ ქვეყანას. ხაზარები კი ასეთ შემთხვევაში თავს იცავდნენ, მაგრამ თუ შესაძლებლობა მიეცემოდათ, არაბთა სამფლობელოების დალაშქვრასაც არ ერიდებოდნენ.

ერთ-ერთ ასეთ დიდ ლაშქრობაზე, რომელშიც ქართველი მეფის ხელიც ერია, ვრცლად მოგვითხრობს არაბი მწერალი აბუ ჯა'ფარ მუჰამად იბნ ჯა-რირ ატ-ტაბარე (838 — 923). მისი ცნობით, არაბთა სახელმწიფოს მბრძანებელმა ჰიშამმა (724—743) გახალიფებისთანავე არმინიის გამგებლად დაამტკიცა მაშინ შაქში მყოფი სარდალი ჯარაჰ იბნ აბდალლაჰი, მას ჯარი გაუგზავნა და ხაზარეთში ლაშქრობა უბრძანა. ჯარაჰმა ბრძანების მიღებისთანავე შაქი დატოვა, ჰასინზე და ბარდაზე გავლით ის ბაილანის გაემართა, იქიდან არღებლის მივიდა და თვითონ ქალაქში დარჩა, ხოლო ლაშქარი მულანა და გილანს დაგზავნა ყველას გასაწყვეტ-დასატიყვევებლად.

ქართველმა „მალიქმა“ ხაკანს კაცი გაუგზავნა და ურჩულობა სახელით ბუსლიმთა წინააღმდეგ სალაშქროდ მოუწოდა. თხოვნა დაკმაყოფილებულ იქნა. ხაკასარ ხაკანმა 300 ათასი კაცი თავისი ვაჟიშვილის ბარჯიქის<sup>1</sup> სარდლობით, ჯარაჰის წინააღმდეგ აზერბაიჯანისაკენ დასძრა. ბარჯიქი ჯერ ვარკანა<sup>2</sup> მიადგა და იგი სასტიკად დალაშქრა, შემდეგ კი ჯარაჰთან შესაბრძოლებლად გასწია და აზერბაიჯანის ქალაქებში გაფანტული მისი ჯარი მოაპო. ამასობაში ჯარაჰი საილანს<sup>3</sup> მივიდა და იქ დადგა. ხაზარები რიცხოვნობიდან დიდად სჭარბობდნენ არაბებს. ამიტომ ჯარაჰს მისმა თანმხლებმა მარდანშაჰმა ურჩია, ბრძოლაზე თავი შეეკავებინა, საილანის მთასთან დაბანაკებულიყო და სირიიდან ლაშქრის მოსვლას დალოდებოდა. მაგრამ ამირმა ეს სიმხდალედ მიიჩნია და ალლაჰის მტრებთან შეხება არ მოიშალა. ბრძოლა უსასტიკესი გამოდგა. მეღვარი წინააღმდეგობის მიუხედავად, არაბები იძლივნენ. მათი ლაშქრიდან მხოლოდ ასმა კაცმა უშველა თავს გაქცევით, სხვები დაიღუპნენ. დახოცილთა შორის იყვნენ გამუსლიმებული მარდანშაჰი, რომელაც ხაზარებს მამაცურად ერ-

<sup>1</sup> სხვაგან წერია: „ბარაჰაჰი“, „ბარჰილ“, „ბარჯანქ“ (B. Dorn, Tabary's Nachrichten über die Chazaren, nebst Auszügen aus Hafis Abru, Ibn Asam el-Kufy, U. A. Mémoires de l'Académie imp. des Sciences, politiques etc, de St. Petersburg, 1844, VI ser., t. VI გვ. 517-522) „პაშენქ“, „პაშენაქ“ (Тарихи дербенд-наме, Тифлис, 1898, გვ. 74, 104, 107), „ბარჯინქ“ (В. В. Бартольд, Туркестан в эпоху монгольского нашествия, СПб., 1900, ч. II, გვ. 79), „ტარბახ“ (Гевонд, История халифов, СПб., 1862, გვ. 71), „ბარჯილ“ (М. И. Артамонов, История хазар, Л., 1962, გვ. 211).

<sup>2</sup> იგივეა, რაც სხვაგან მოხსენიებული „ვარსანი“ და „ვარზანი“, ქალაქი ვარდანაკერტი მდ. არაქსზე.

<sup>3</sup> იგივე „საბალანი“, დიდი მთა, რომელიც გადაჰყურებს ქ. არღებლის აზერბაიჯანის მიწაზე (ახუთის ცნობები საქართველოსა და კავკასიის შესახებ, არაბული ტექსტი ქართული თარგმნითურთ და შესავლით გამოსცა ე. ს. ხაზარულიძემ, თბ., 1964, გვ. 61).

კინებოდა, და თვით ჯარაპი. არაბთა მთელი ზიმდიდრე, აგრეთვე ჯარაპის თავი, მისი ცოლები, შვილები და ჰარამხანა მტრის ხელში აღმოჩნდა. ხაზარები არღებილს დაეუფლნენ და მის მოსახლეობას სასტიკად გაუსწორდნენ. მუსლიმებს ყველგან სდევნიდნენ, ჰარცავდნენ, კლავდნენ, ატყვევებდნენ<sup>4</sup>.

ატ-ტაბარის ამ ცნობას ზუსტი თარიღი არ უზოა. თუ მასში მოთხრობა-ლა ამბის მიხედვით ვიმჯგულებთ, ხსენებული ლაშქრობა ჰიშამის ხალიფობის დასაწყისში, ე. ი. 724-725 წლებში უნდა მომხდარიყო. მაგრამ ამას სხვა წყაროები არ ეთანხმებიან.

იბნ ალ-ასირ ალ-ჯაზირის თანახმად, ატ-ტაბარის ცნობაში ნახსენებია არაბთა თავდასხმა ხაზართა ქვეყანაზე და ამის საპასუხო ხაზართა ლაშქრობა, რომლის დროსაც არმინიის გამგებელი ალ-ჯარაპი დაიღუპა, ჰიჯრის 111-112 წლებში მომხდარი ამბავი ჩანს: „ამ (111) წელს, — აღნიშნავს იბნ ალ-ასირი, ალ-ჯარაპი თბილისის მხრიდან ხაზართა ქვეყანაში შევიდა, მათი ქალაქი ალ-ბაიდა დაიპყრო და შინ მშვიდობით დაბრუნდა... მას შემდეგ, რაც ალ-ჯარაპმა ხაზარები და თურქები უკუაქცია, ისინი შეიკრიბნენ და 112 წელს ისევ ალანთა მხრიდან გამოჩნდნენ. ალ-ჯარაპ იბნ აბდ ალლაჰი მასთან მყოფი სირიელებით მათ შეეგება. გაიმართა არნახული ბრძოლა. ორივე მხარე თავდადებით იბრძოდა, მაგრამ იმის გამო, რომ ხაზარები მუსლიმებს სჭარბობდნენ, ალ-ჯარაპი და მასთან მყოფნი მოწამებრივი სიკვდილით დაეცნენ არღებილის ველზე... გამხრევებული ხაზარები კი ქვეყანაში ისე ღრმად შეიჭრნენ, რომ მოსულამდე მიაღწიეს“<sup>5</sup>.

ზემოხსენებული ლაშქრობები რომ ჰიშამის ხალიფობის დასაწყისში კი არა, უფრო გვიან, 111-112 წლებში ყოფილა, ეს ჩანს ატ-ტაბარის თანამედროვე ალ-იაკუბის ცნობიდანაც, რომელშიც ნათქვამია: „112 წელს თურქები არღებილის მიწა-წყალზე შეიჭრნენ, მათ თავს დაესხა ალ-ჯარაპ იბნ აბდ ალლაჰ ალ-ჰაჰამი და თურქთა მეფესთან შეტაკებისას დაიღუპა“<sup>6</sup>. მართალია, აქ საუბარია მხოლოდ 112 წლის ლაშქრობაზე, რომლის დროს ალ-ჯარაპი მოკლეს, მაგრამ თუ გავითვალისწინებთ იბნ ალ-ასირისა და თვით ატ-ტაბარის ცნობებს იმის შესახებ, რომ ეს შემოსევა ამიერკავკასიაში იყო პასუხი არაბთა მიერ საქართველოდან, დარიალის გზით, ხაზართა ქვეყანაზე განხორციელებული ამასწინანდელი თავდასხმისა, მაშინ, ეჭვი არაა, ეს უკანასკნელი მოხდებოდა 111 წელს.

ჰიჯრის ანუ მუსლიმური წელთაღრიცხვის 111 წელი ევროპული კალენდრით 729 წლის 5 აპრილს დაიწყო და 730 წლის 25 მარტს დამთავრდა, ხოლო 112 წელი — 730 წლის 26 მარტიდან 731 წლის 14 მარტამდე გაგრძელდა. გამორიცხულია, რომ ზამთარში, და ისიც დარიალის გზით, რომელიმე მხარე სალაშქროდ წასულიყო. ამიტომ ხაზარებზე არაბთა თავდასხმის თარიღად უნ-

<sup>4</sup> В. Д о р н, დასახ. ნაშრომი, გვ. 468-471 და 516-520; В. Д о р н, Известия о хазарах восточного историка Табари с отрывками из Гафис-Абру, Ибн ал-Азем-эл-Куфи и др. (Журнал министерства народного просвещения, СПб., август 1844, гв. 67-69). ეინადან ცნობა ვრცელია და აქ დიდ ადგილს დაიკავებდა, მის ზუსტ თარგმანს, მოკლე შინაარსის გადმოცემა ვაშკობინეთ. ჩვენი მიზნისათვის მეტი არ არის საჭირო.

<sup>5</sup> ابن الاثير الجزري، تاريخ الكامل، الطبعة الاولى بمطبعة الأزهرية المصرية، سنة ١٣٠١، ج ٥، ص ٧٣ — ٧٤.

<sup>6</sup> Я' К у б и, История, текст и перевод. Перевод с арабского П. К. Ж у з е, Баку, 1927, ტექსტი, გვ. 5. სინამდელიში ჯარაპი მეფესთან კი არა, მის ვაჟთან ბრძოლაში დაიღუპა.

და მივიჩნიოთ 729 წელი, ხოლო ხაზართა ლაშქრობის დროდ 730 წელი. ასეთი დასკვნის საფუძველს გვაძლევს მ. კალანკატვაციის თხზულების ის ადგილიც, სადაც აღნიშნულია: „სომხური წელთაღრიცხვის 178 (729) წელს ჯარაპი აბხაზიდან (საქართველოდან) მეორედ შეიჭრა ხაზარეთში, ხოლო მომდევნო წელს ხაზართა მხრდანელების ეჭი გამოვიდა და იგი მოკლათ“<sup>7</sup>.

არსებობს ვერსია, რომ ალ-ჯარაპი ბალანჯარში მოკლეს<sup>8</sup>, მაგრამ ეს არ არის სწორი. იგი დაიღუპა არდებეილის ახლოს<sup>9</sup> მდებარე საილანის ველზე, სოფელ „შაპარანთან“ (შაპარავარანთან)<sup>10</sup>.

ხაკანის ბრძანებით<sup>11</sup> აზერბაიჯანისაკენ წამოსულ ხაზართა ლაშქარს ამიერკავკასიაში შემოსვლა შეეძლო ორი გზით. ერთი იყო ბაბუ ლ-აბუბაბის (დარუზანდის) გზა, მეორე — ალანთა (დარიალის), რომელიც გვიან შემოდგომიდან აღრე გაზაფხულამდე ჩაყვრილი იყო (თოვლით) და არ მოქმედებდა.

მ. არტამონოვს მიაჩნია, რომ ხაზართა ეს ლაშქრობა დარუზანდის გზით განხორციელებულა<sup>12</sup> და იპოვნებს ლევონდის ცნობას, სადაც მართლაც ნათქვამია: „ტარმაჩმა ურიცხვი ჯარით განვლო ჰუნთა ქვეყანა, ჩორის გასასვლელი“<sup>13</sup>, მასკუტთა მიწები<sup>14</sup> და ფაიტარაკანი დაარბია<sup>15</sup>. მაგრამ არსებობენ ისეთი, ჩვენი რწმენით არანაკლებ სანდო, წყაროებიც, სადაც ვითარება რაღღუნადმე სწავალირდება წარმოდგენილი აბუ'ალრ მუჰამმად ალ-ბალაძის თანახმად, ხაზარები დარიალიდანაც მოსულან<sup>16</sup>. ხოლო იბნ ალ-ასირის ცნობაში, ზემოთ რომ მოვიტანეთ, პირდაპირაა მითითებული, „ხაზარები და თურქები ალანთა მხრიდან გამოჩნდნენ“<sup>17</sup>, ე. ი. ალანეთიდან დარიალის გზით შემოვიდნენ. ისინი რომ დარიალიდანაც უნდა მოსულიყვნენ, ამას ისიც გვაფიქრებინებს, რომ ხაზარები, როგორც უკვე აღვნიშნეთ, საქართველოს „მალექს“ მოუწვევია<sup>18</sup>.

არაბული სიტყვა „მალექუნ“ (ملك), ჩვეულებრივ, მეფეს. იმპერატორს, მფლობელს (იშვიათად ერისმთავარსაც) ნიშნავს. მაშ ვინ იყო ის ქართველი მეფე თუ ერისმთავარი, ვინც VIII ს-ის 20—30-იანი წლების მიჯნაზე

<sup>7</sup> История Агван Мойсея Каганкатваци, писателя X века. Перевод с армянского К. П а т к а н о в а, СПб., 1861 г. 261; Г е в о н д, დასახ. ნაშრომი, გვ. 151.

<sup>8</sup> იბნ ალ-ასირი, დასახ. ნაშრომი. ტ. V, გვ. 74.

<sup>9</sup> იქვე; Я 'К у б и, დასახ. ნაშრომი, ტექსტი გვ. 5, თარგმანი გვ. 7.

<sup>10</sup> Б. Д о р н, Известия о хазарах, გვ. 66-69; М. К а г а н к а т в а ц и, დასახ. ნაშრომი, გვ. 210, 271; З. Б у н и я т о в, Азербайджан в VII-IX вв. Баку, 1965, გვ. 111.

<sup>11</sup> ლევონდის ცნობით, ხაკანი მაშინ ცოცხალი აღარ ყოფილა და ჯარი დედამისს „პარსიტს“ გამოუგზავნია (Г е в о н д, გვ. 71).

<sup>12</sup> М. И. А р т а м о н о в, დასახ. ნაშრომი, გვ. 212.

<sup>13</sup> იგივე დარუზანდის (დერბენდის) გასასვლელი.

<sup>14</sup> მასკუტთა (მასაგეტთა) მიწები დარუზანდის სამხრეთით იყო გადაშლილი.

<sup>15</sup> Г е в о н д, დასახ. ნაშრომი, გვ. 72.

<sup>16</sup> В. Д о р н, Tabary's Nachrichten über die Chasaren..., გვ. 517; З. Б у н и я т о в, დასახ. ნაშრომი, გვ. 110-111.

<sup>17</sup> იბნ ალ-ასირი, დასახ. ნაშრომი, ტ. V, გვ. 74.

<sup>18</sup> و ملك جرز بخاق کسی فرستاد و همه اصناف (كفره) و ایشانرا (بحرب مسلمانان) (خوان و) اجات کردند و بیامدند (و خاقاسر) (خاقان پسر) خویشر — ბრძანა საქართველოს მალექმა ხაკანს კაცი გაუგზავნა და ურჩულოთა სახელით მუსლიმთა წინააღმდეგ საომრად მოუწოდა... (ხაზარები) დასთანხმდნენ და მოვიდნენ. ხაკასარ ხაკანმა თავისი ეჭი უფროსად განუწესა და გაისტუმრა (В. Д о р н, დასახ. ნაშრომი, გვ. 516. ცნობის ქართული თარგმანი ეკუთვნის კ. ტ ა ბ ა ტ ა ძ ე ს).

არაბების წინააღმდეგ ამიერკავკასიაში ხაზარები იხმო? არაბი მემკვიდრე მის სახელს არ იხსენიებს. ქართულ ისტორიოგრაფიაში კი ამ საკითხს შესახებ, ერთმანეთის გამომრიცხველი და ბუნდოვანი ცნობების გამო, ერთიანი, საბოლოოდ დადგენილი და მიღებული მოსაზრება ჯერ არ გვაქვს. 1977 წელს გამოქვეყნებულ ნაშრომში ატენის სიონის ფრესკული წარწერისა და სხვა მონაცემების საფუძველზე გ. აბრამიშვილი ამტკიცებს, რომ 719-745 წლებში საქართველოს მართავდა არჩილ II<sup>19</sup>, რომელიც ლეონტი მროველთან მეფედაა მოხსენიებული<sup>20</sup>. რთული წიაღსელების შედეგად მიღებულ ამ ახალ და საყურადღებო დასკვნას რამდენადმე მხარს უჭერს კიდევ ერთი ცნობა — „ქართლის ცხოვრების“ მოთხრობის მიხედვით, არჩილი გამეფებულა „ქტს აქეთ ლ. ი. მ. (718) წელს“<sup>21</sup>. მართალია, როგორც ს. ყაუხჩიშვილი აღნიშნავს, ეს შემდეგაა ჩამატებული ტექსტში „სხვა ხელითა და სხვა მელნით“, მაგრამ ამას, ვფიქრობთ, არსებითი მნიშვნელობა არ აქვს. მთავარი აქ ისაა, რომ ჩამატება შემთხვევითი არაა. ჩამატებელს უსათუოდ ხელთ ჰქონია რომელიღაც წყარო, რომელშიც ზუსტად ყოფილა მითითებული არჩილის აღზევების თარიღი. თუ არჩილ II ნამდვილად 718-719 წლებში გამეფდა და 745 წლამდე<sup>22</sup> იყო ტახტზე<sup>23</sup>. მაშინ, ცხადია, ჩვენთვის საინტერესო პერიოდში (729-730 წლებში) არაბი მწერლის მიერ მოხსენიებული ქართველი „მალქი“ მხოლოდ ის უნდა იყოს. მის მიერ გადამთიელ ხაზართა მოწვევა კი უეჭველად, მძიმე მდგომარეობით იქნებოდა ნაკარნახები.

ცნობილია, რომ არაბები პირველ ხანებში დაპყრობილ ქვეყნებში, მათ შორის საქართველო-სომხეთ-აზერბაიჯანშიც, უცვლელად ტოვებდნენ იმ საგადასახადო და ადმინისტრაციულ სისტემას, რაც ირანელთა და ბიზანტიელთა ბატონობის დროს მოქმედებდა. ისინი მათ ახდევინებდნენ „ხარაჯს“ (ხარკს, გადასახადს), რომლითაც იბეგრებოდა ქვეყანა, მიწა. საამისო მაგალითად შეიძლება გამოდგეს მართლმორწმუნე ხალიფა ალის (656—661) წერილი, რომელიც 658 წელს გაუგზავნა ეგვიპტის არაბ გამგებელს ალ-იმტარს. ხალიფა თავის ამირს აფრთხილებს: „უდიდესი ყურადღებით მოეციდე არა ხარაჯის აკრეფას, არამედ მიწის დამუშავებას, რადგან ხარაჯი მხოლოდ დამუშავებული მიწიდან აიღება. ვინც ამ წესს არღვევს და ხარაჯს ითხოვს მიწის დამუშავების

<sup>19</sup> გ. აბრამიშვილი, სტეფანოზ მამფალის ფრესკული წარწერა ატენის სიონში, თბ., 1977, გვ. 35, 53.

<sup>20</sup> ქართლის ცხოვრება, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით. ს. ყაუხჩიშვილი, თბ., 1955, ტ. I, გვ. 245.

<sup>21</sup> იქვე.

<sup>22</sup> დ. მუსხელიშვილის მიხედვითაც ამ წელს აწამეს არჩილი (იხ. მ. ი. ს. ციხე ქალაქი უჯარმა, ივერია-ალბანეთის ურთიერთობის ისტორიიდან, თბ., 1966, გვ. 95).

<sup>23</sup> 1979 წ. გამოქვეყნებულია „მეცნიერება-მ დაბეჭდა ა. ბოგვერაძის წიგნი „ქართლის პოლიტიკური და სოციალურ-ეკონომიკური განვითარება IV-VIII საუკუნეებში“, სადაც ავტორი იმ დასკვნამდე მიდის, რომ 739 წლამდე ქართლს განაგებდა არჩილ II-ის მამა სტეფანოზი, და ამდენად, შეუძლებელია არჩილის მოღვაწეობა წინ უსწრებდეს მურვან ყრუს ლაშქრობას (735 წ.) საქართველოში. იგი უფრო VIII ს-ის 40-50 წლების მოღვაწე უნდა იყოს (გვ. 101-104), ეს საყურადღებო დასკვნა, მაგრამ მის სისწორეს საეჭვოს ხდის ჟუანშუის თხზულებაში დაცული ვრცელი ცნობა, რომლის თანახმად სტეფანოზი დასავლეთ საქართველოში გარდახვეწილა და იქვე გარდაცვლილა მურვან მუჰამადის ძის სარდლობით საქართველოში მოწყობილ არაბთა ლაშქრობამდე. ეს ლაშქრობა კი მოხდა 732-733 წლებში (იხ. ალ-ასირი, V, გვ. 83) და მაშინ მურვანს სტეფანოზი კი არა, მისი ვაჟები, მძორი და არჩილი ებრძოდნენ (ქართლის ცხოვრება, ტ. I, გვ. 232-239).

გაუთვალისწინებლად, ის ქვეყანას აქცევს, ხალხს ანადგურებს და ასეთი კაცის მოღვაწეობა ხანმოკლე იქნება. თუ სტიქიური უბედურების, რწყვის შეწყვეტის, ნიადაგის დაჭაობების ან გამოფიტვის გამო გადასახადი დამძიმდეს და ჯალხმა უკმაყოფილება გამოთქვა, შეამსუბუქე მათი მდგომარეობა ისე, როგორც საჭიროდ მიაჩნევ. იცოდე, ეს არ არის ასეთი ტვირთი, რომელსაც არ შემოევლება»<sup>24</sup>. წერილის შინაარსიდან ვგებულობთ არა მარტო იმას, თუ რას ედებოდა გადასახადი, არამედ იმასაც თუ რაოდენ ღმობიერებას იჩენდნენ დამპყრობლები გადასახადებით. დაბეგრული დაპყრობილი მოსახლეობის მიმართ პირველ ხანებში<sup>25</sup>.

ხარაჯით იბეგრებოდა მიწის ნაყოფი — სასოფლო-სამეურნეო პროდუქტები, რის აწონაც შეიძლებოდა. ხალიფა უმარ იბნ ალ-ხატაბის (634—644) დროს ჯარიბი ვენახიდან აიღებოდა 10 ღირჰემი (დრაჰმა), ჩნდისხურმიდან — 5, პალმიდან — 8, ხორბლიდან — 4, ქერიდან — 2, ლერწმიდან — 6 ღირჰემი<sup>26</sup>. გარდა ხარაჯისა სახალიფოში მისი წარმოქმნის დღიდანვე არსებობდა აგრეთვე მეორე სახის გადასახადი — ჯიზია.

ეს იყო საკომლო გამოსაღები, რომლითაც იბეგრებოდა არაბთა მიერ დაპყრობილი არამუსლიმი მოსახლეობა. ხალიფა უმარ იბნ აფანის დროს (644—656) ჯიზიის ოდენობა წელიწადში შეადგენდა ერთ დინარს კოჰლზე<sup>27</sup>. მაგრამ მას შემდეგ, რაც სახალიფოს სათავეში მოექცნენ უმაიელები (661 წ.), საგადასახადო სისტემაში ხდება ცვლილებები: იზრდება გადასახადები და იბეგრება ხელოსნური ნაწარმიც. სამუელ ანეცის ცნობით, უმაიელები ამიერკავკასიაში თითოეული კომლიდან იღებდნენ 4 ღირჰემს, 3 მუდ (9,792 კგ.) გაცხრილული ხორბლის, თითო თოკს და ხელთათმანს. გადასახადებისაგან თავისუფლდებოდნენ სასულიერო პირნი, აზატები და ამხედრები<sup>28</sup>.

მორიგი ცვლილება სახალიფოს საგადასახადო სისტემაში მოახდინა ხალიფა აბდ ალ-მალიქმა (685—705). მისი ბრძანებით, ყველა უნდა დაბრუნებოდა დაბადების ადგილს, რათა დავთარში გატარებულიყო და გაეტარებინა

<sup>24</sup> علي ابن ابي طالب، نهج البلاغة، بيروت، ١٨٨٩، ج ٢، ص ٢٣—٢٥.

<sup>25</sup> ამ მხრივ კიდევ უფრო საყურადღებოა ხალიფა აბუ ბაკრის (632-634) მიმართვა თავისი სარდლებისადმი, რომლებსაც აფრთხილებდა არ დაესახიჩრებინათ მტერი, არ გაეწყვიტათ ახალგაზრდები, ქალები და ღრმა მოხუცები, არ მოესპოთ პალმის ხეები და ნაყოფის მოშენები სხვა მცენარეები; არ დაეკლათ იმაზე მეტი ცხვარი, ძროხა და აქლემი, რაც საქმელად ეყოფოდათ; მორღებოდნენ სენაკებში მყოფ მოღლესაწაულენს, არ შეეშალათ ხელი მათი საქმიანობისათვის (T a b a r i, I, 1850; ი ბ ნ ა ლ - ა ს ი რ ი, II, 310; Н. А. М е д н и к о в, Палестина от завоевания ее арабами до крестовых походов, СПб., 1902, II(1), გვ. 139-140; 3. Б у н и я т о в, დასახ. ნაშრომი, გვ. 79). ყველა ხალხსა და ქალაქს, რომლებიც მივიღებენ, დაუდეთ ხელშეკრულება და იყავით ნაქისრ ვალდებულებათა ერთგულნი. დაე იცხოვრონ თავიანთი ძველი წესებისა და კანონების მიხედვით; დაუწყსეთ გადასახადი როგორც საზღაური მათი ტერიტორიისა და რელიგიური მრწამსის შესანარჩუნებლად. ომი გამოუცხადეთ მხოლოდ იმთ, ვინც უარს გეტყვით მიღებაზე (Н. В. П и г у л е в с к а я, Византия и Иран на рубеже VI-VII веков, М.-Л., 1945, გვ. 270-274).

<sup>26</sup> ე. ს ი ხ ა რ უ ლ ი ძ ე, აბასელთა სახალიფოს სოციალურ-ეკონომიური ვითარება VIII-IX საუკუნეებში (ნარკვევები მახლობელი აღმოსავლეთის ისტორიიდან, თბ., 1957, გვ. 88).

<sup>27</sup> Из сочинений Балазори «Книга завоевания стран». Текст и перевод. Перевод П. К. Ж у з е, Баку, 1927, არაბ. ტექსტი, გვ. 8, თარგმანი, გვ. 12; ანუშთის ცნობები საქართველოსა და კავკასიის შესახებ, გვ. 40; ი. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, ქართველი ერის ისტორია, თბ., 1965, ტ. II, გვ. 75-76.

<sup>28</sup> 3. Б у н и я т с в, დასახ. ნაშრომი, გვ. 117.

თავისი მეურნეობა, გამას რომ ჰქონდა: ვენახი, ზეთისხილის ნარგავები, ქონება, შვილები და ყველაფერი, რასაც ის ფლობდა. ამ აღწერას, რომელიც, დიონისე ტელ-მაჰრის მიხედვით, 691-692, ხოლო მიხეილ სირიელს თქმით, ერთი წლით გვიან ჩაუტარებიათ<sup>29</sup>, შედეგად მოჰყვა „ურჯულოთა“, მათ შორის ამიერკავკასიის ქრისტიანი მოსახლეობის მდგომარეობის ყველაზე მეტად გაუარესება. ამიერიდან მდიდრებს წელიწადში უნდა გაეღოთ 48 ღირპემი (ღირპემი — 15 კაპ.), საშუალოებს — 24, ხოლო ღარიბებს 12 ღირპემი<sup>30</sup>. მუსლიმებს შეწერილი ჰქონდათ „უშრი“ (მეათედი), რომელიც ქრისტიანებსაც უნდა გადაეხდათ, თუ საქონელს საავაჭროდ გაიტანდნენ ბაზარზე. 200 ღირპემის ან 20 მისკალს ღირებულების საქონელზე ქრისტიანთათვის გადაკვეთილი იყო ნახევარი უშრი ან 10 ღირპემი, მუსლიმებზე — 1/4 უშრი ან 5 ღირპემი<sup>31</sup>. ატ-ტაბარის ცნობით, ამ გადასახადების აკრეფა ხდებოდა ძალდაუტანებლად, დადებული შეთანხმების საფუძველზე<sup>32</sup>, ე. ი. მისი გადაუხდელობა გამოიციხული იყო.

აბდ ალ-მალიქის მიერ გატარებული ეს ღონისძიება ხელს უწყობდა ცენტრალური ხელისუფლების ეკონომიური (უმთავრესად ფინანსური) მდგომარეობის გაუმჯობესებას, მაგრამ აუარესებდა მოსახლეობის საარსებო პირობებს, აჩქარებდა გამუსლიმების პროცესს და იწვევდა სახალიფოს მშრომელი მასების, უფრო მეტად მისი არამუსლიმი ნაწილის მხარდ უკმაყოფილებას. მდგომარეობა, რომ ნაწილობრივ მაინც გაუმჯობესებულებოდა, ამისათვის VIII ს-ის 10-იან წლებში ხალიფა 'უმარ იბნ აბდ ალაზიზმა (717—720) გააუქმა ძველი საშანური გადასახადები, „ნოვრუზისა და მაჰრაჯანის“ შეწირულებას რომ ეხებოდა<sup>33</sup>, და ამით ერთგვარი შედეგითი მიეცათ „ამიერკავკასიის ქრისტიანებს“, მაგრამ ეს „წყალობა“ ხანმოკლე გამოდგა. იაზიდ II-ის ხალიფობისას (720—724) მათი მდგომარეობა კვლავ გაუარესდა. ლევონდის, სტეფანოს ტარონაის (ასოლიკის) და ვარდან დიდის დახასიათებით, ამ ბოროტმა, ვერაგმა და მძვინვარე ხალიფამ სახალიფოში ღირის სინაილის ამოწყვეტა<sup>34</sup> და ქრისტიანთა ჯვრისა და ხატის მოსპობა განიზრახა<sup>35</sup>. მისი განკარგულებით, სახელმწიფოს სახარაჯო საქმეთა გამგებელმა (საჰიბ ალ-ხარაჯ) უსამა იბნ იაზიდ

<sup>29</sup> Chronique de Denys de Tell-Mahre; 4-e parte, publ. par I. B. Chabot. Paris, 1895, გვ. 10; La Chronique de Michel le Sirien, Trad. par. Chabot, Paris, 1895, t. II, გვ. 473.

<sup>30</sup> Адам Мейн, Мусульманский ренессанс. Перевод с немецкого, предисловие, библиография и указатель. Д. Е. Бертельса, М., 1966, გვ. 49; З. Буниятов, დასახ. ნაშრომი, გვ. 118.

<sup>31</sup> ე. სიხარულიძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 95.

<sup>32</sup> الطبري، تاريخ الرسل و الملوک، اثناء عشر جزءا، القاهرة المطبعة الحسينية، ج—II، ص—١٣٦٧.

<sup>33</sup> В. В. Бартольд, Халиф Омар II и противоречивые известия о его личности, «Христианский Восток», 1920, VI, გვ. 228.

<sup>34</sup> ამ მიზნით შემოღებულ იქნა გადასახადი, თითო ღორზე 4 დინარი (Адам Мейн, დასახ. ნაშრომი, გვ. 49).

<sup>35</sup> Гевонд, დასახ. ნაშრომი, გვ. 70-71; Степанос Таронский, Асохик по прозванию, Всобщая история. Перевод с арм. Н. Эмина, М., 1864, გვ. 96; Всобщая история Вардана Великого, Перев. с арм. Н. Эмина, М., 1861, გვ. 94.

ალ-მანუშიმ 102 (721/2) წელს „ქრისტიანებს გაუზარდა ხარაჯი, გადაახდევინა დიდძალი თანხა და ბერებს ხელები დაუღალა“<sup>36</sup>.

განსაკუთრებით ძნელბედობის ხანა იყო ქრისტიანებისათვის ჰიშამის ხალიფობის (724—743) წლები. ალ-მაჟრიზის ცნობით, მის დროს ამიერკავკასიაში მკვეთრად „გაიზარდა ქრისტიანთა ჩაგვრა და გადიდდა ხარაჯი“<sup>37</sup>, რასაც ადასტურებს სტეფანოს ტარონაცი<sup>38</sup>.

ბოროტი ზრახვებით შეპყრობილმა ხალიფამ, თავისი ზეობის პირველ წლებში, სომხეთს სარდალი ჰარის იბნ ამირი<sup>39</sup> მიაგვლინა საყოველთაო აღწერის მოსახდენად და „მოსახლეობის კიდევ უფრო დასამონებლად“<sup>40</sup>. ჰიშამის მიერ არმინია-აზერბაიჯანის გამგებლად დამტკიცებულ ალ-ჯარრაჰს არარანში შემოუღია ახალი საწონ-საზომი ერთეულები, რომლებსაც თურმე „ალ-ჯარრაჰული“ ეწოდებოდა<sup>41</sup>. ცხადია, ეს ერთეულები ძველზე ნაკლები არ იქნებოდნენ.

ჰიშამის დროს მოწყობილი საყოველთაო აღწერის შემდეგ დაწესებული საგადასახადო ღისტება ითვალისწინებდა საქორწინო გადასახადის შემოღებას. ზალიფა უმარ II-ის მიერ გაუქმებული პასანური გადასახადების აღდგენას<sup>42</sup> და ბერების დაბეგვრას ჯიზიით<sup>43</sup>.

მოსახლეობის, მიწის, პირუტყვისა და ყოველგვარი ქონების ამ საყოველთაო აღრიცხვამ, რომელიც მ. კალანკატეცის თქმით, 174 (725. V. 29—726. V. 28) წელს მოეწყო, „ხალხი და მთელი ქვეყანა მონობის უღელქვეშ მოაქცია“<sup>44</sup>. სწრაფად იკლო პირუტყვის სულადობამ, მოსავლიანობამ, დაიწყო ხანგრძლივი შიმშილიანობა. ამასთან, ამიერკავკასიის ქრისტიან მოსახლეობას სარწმუნოებისა და ეროვნული გაქრობა-გადაშენების აშკარა საფრთხეც დაემუქრა. დიდი და პატარა, ერი და მთავარნი განსაცდელში იყვნენ. ერისმთავრებს ყველაზე მეტად ის აღონებდათ, რომ არაბები აღარ სჯერდებოდნენ დაპყრობილ ხალხებთან დადებული ზელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების — გადასახადის გადახდასა და მაშველი ჯარის გამოყვანის შეარულებას და უხეშად ერეოდნენ ქვეყნის უზენაეს მართვა-გამგეობაშიც. ისინი თავიანთი შეხედულებისამებრ ნიშნავდნენ, ხსნიდნენ, სახალიფოს დედაქალაქში იბარებდნენ და სჯიდნენ კიდევაც ქართველ მეფე-მთავრებს<sup>45</sup>. პოლიტიკურმა დევნამ, სარ-

<sup>36</sup> المقريزي، المواعظ و الاعتبار بذكر الخطط و الآثار، القاهرة، ج—ع،

390—ص; З. Бунятов, დასახ. ნაშრომი, გვ. 118. მოსახლეობის დადღვის ფაქტს ადასტურებს დონისე ტელეჟაქელიც (იხ. მისი დასახ. ნაშრომი, გვ. 148).

<sup>37</sup> ალ-მაჟრიზი, დასახ. ნაშრომი, გვ. 395.

<sup>38</sup> Стефанос Таронский, დასახ. ნაშრომი, გვ. 96.

<sup>39</sup> ლევენთან... გერტ... (Гевонд, დასახ. ნაშრომი, გვ. 71).

<sup>40</sup> იქვე.

<sup>41</sup> Бладзори, Книга завоевания стран. Текст и перевод. Перевод с арабского П. К. Жузе, Баку, 1927, გვ. 16.

<sup>42</sup> ატ-ტაბარი, დასახ. ნაშრომი, ტ. II, გვ. 1366-1667, ტ. VIII, გვ. 129.

<sup>43</sup> ალ-მაჟრიზი, დასახ. ნაშრომი, გვ. 394.

<sup>45</sup> История Агван Моисея Каганкатваци, 261: Гевонд, დასახ. ნაშრომი, გვ. 71, Хронологическая история, Составленная отцом Мехитаром Вардагетом. Перев. с древнеармянского К. Патканова, Труды Восточного отдела Российского археологического общества, СПб., 1869, т. XIV, გვ. 399. ქართველი ხალხის გაჭირვებული მდგომარეობის შესახებ ქართულ წყაროებშიც არის ცნობილი, მაგრამ ისინი მტრთან ყრუს ლაშქრობის შემდეგ შექმნილ ვითარებას ასახავენ.

<sup>46</sup> ი.ე. ჯაფარიძე, ქართველი ერის ისტორია, თბ., 1965, ტ. II, გვ. 87.

Е. „მაცნე“, ისტორიის სერია, 1980, № 1

წმუნობები და ეკონომიურმა შევიწროებამ იმ ზომამდე მიიღწია, რომ ლევონის ცნობით, მეტი ატანა აღარ შეიძლებოდა, „ყველა კვნესოდა“<sup>47</sup>.

ასეთ ვითარებაში მოსახლეობა ან იყრებოდა და სხვაგან იხიზნებოდა, ან და დამპყრობთა ძალადობას აჯანყებით პასუხობდა. ცნობილია, რომ ერთ-ერთ ასეთ მძლავრ აჯანყებას არაბ მოძალადეთა წინააღმდეგ ამიერკავკასიაში ადგილი ჰქონია ხალიფა აბდ ალ-მალიქის ზეობის მეორე (686) წელს. ეტყობა, მსგავსი გამოსვლები გრძელდებოდა VIII ს-ის 20-იანი წლების დასასრულსაც. ამაზე უნდა მიგვითითებდეს ატ-ტაბარის ჩვენ მიერ ზემოთ მოტანილი ეროცელი ცნობის ის ადგილი, სადაც აღნიშნულია: ალ-ჯარაჰმა „ჯარები მულანსა და ჯილანს დაგზავნა ყველას გასაწყვეტ-დასატყვევებლად“. მულანსა და ჯილანში ანუ გილანში კი მის დროს ადგილობრივი მოსახლეობის მეტი სხვა არაფერ იყო.

ამბოხებული ამიერკავკასიის მოსახლეობა ხშირად საკუთარი ძალით ცდილობდა არაბთა მიმე უფლიდან თავის დაღწევას და, როგორც ფაქტები მეტყველებენ, ზოგჯერ ახერხებდნენ კიდევაც განთავისუფლებას. მაგ., 686—689 წლებში აჯანყების მოთავე ნერსე ქართლის ერისთავმა<sup>48</sup>. ოანე დრასხანაქერტელის გადმოცემით, დაამარცხა არაბთა სარდალი „ბარაბა და გააძევა არმინიიდან“<sup>49</sup>.

მაგრამ ძლიერი მტრის წინააღმდეგ საბრძოლველად აღმდგარ ამიერკავკასიის ქვეყნების მოსახლეობის საკუთარი ძალა ყოველთვის არ ჰყოფნიდა გამარჯვების მისაღწევად და მაშინ ის დამხმარეს ეძებდა. სწორედ, ასეთ შემთხვევასთან გვაქვს საქმე VIII ს-ის 20-იანი წლების დასასრულს. თანამედროვეის გადმოცემით, ამ დროს „არავითარი შესაძლებლობა აღარ არსებობდა აუტანელი ტანჯვისაგან თავის დახსნისა“<sup>50</sup>. ამიტომ გასაყვრი არაფერია თუ ქართლის ხელისუფალმა (შესაძლოა ბიზანტიის წაქეზებითაც) არაბთმოდულე ხაზარებს უხმო და მათ მიუღია.

ალ-ბალ'ამის ცნობით, ქართველი მეფე ხაკანის სარდალს აძლევდა სასარგებლო რჩევა-დარიგებას, უჩვენებდა არაბი რაზმების ადგილსამყოფელს<sup>51</sup>, რითაც მნიშვნელოვან დახმარებას უწევდა საზართა ლაშქარს, რომელმაც იოლად სძლია მოწინააღმდეგეს და გააძევა ის ამიერკავკასიის ფარგლებს გარეთ<sup>52</sup>.

მართალია, ეს წარმატება ხანმოკლე გამოდგა, არაბებმა სულ მალე შესწლეს ამიერკავკასიაში თავიანთი ბატონობის აღდგენა და, ვინ იცის, ეგებინა

<sup>47</sup> Гевонд, დასახ. ნაშრომი, გვ. 71.

<sup>48</sup> ს. ჯანაშია, არაბთა საქართველოში, შრომები, II, თბ., 1952, გვ. 366-368, ნ. ბერძენიშვილი, ვ. დონდუა, და სხვები, საქართველოს ისტორია. 1, თბ., 1958, გვ. 115, 116, ივ. ჯავახიშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 77; საქართველოს ისტორიის ნარკვევები, თბ., 1973, II, გვ. 287; გ. აბრამიშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 25.

<sup>49</sup> ოანე დრასხანაქერტელი თარგმანი შენიშვნებითა და საძიებლითურთ ილია აბულაძისა, თბ., 1937, გვ. 14. ივ. ჯავახიშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 77.

<sup>50</sup> Гевонд, დასახ. ნაშრომი, გვ. 71.

<sup>51</sup> М. И. Артамонов, დასახ. ნაშრომი, გვ. 213; З. Буниятов, დასახ. ნაშრომი, გვ. 111.

<sup>52</sup> Amer Ali, A Short History of The Saracens, London, 1834, გვ. 140; كتاب الدول

ამან აიძულა არჩილი დასავლეთ საქართველოში გადახვეწილიყო<sup>58</sup>, მაგრამ მიუხედავად ამისა, 730 წლის გამარჯვებას მთლად უქმად მაინც არ ჩაუვლია. მან არაბებს ერთხელ კიდევ აგრძნობინა, რომ მათი მდგომარეობა ამიერკავკასიაში მყარი ვერ იყო, ხოლო დაპყრობილი ადგილობრივი მოსახლეობა კი დააარწმუნა, რომ ერთიანი, ორგანიზებული და თავდადებული ბრძოლით შეიძლებოდა დამპყრობთა უფლიდან თავის დახსნა.

დასასრულ, ყოველივე ზემოთქმულის საფუძველზე შეიძლება დავასკვნათ, რომ 1. ხაზართა ლაშქრობა, რომლის დროსაც დაიღუპა არმინია-აზერბაიჯანის არაბი გამგებელი ალ-ჯარრაჰი, მოეწყო 730 წელს; 2. ლაშქრობის ინიციატორი იყო ქართველთა მეფე მთავარი არჩილ II, ხოლო ჯარის სარდალი ხაზართა ხაჯანის ვაჟი ბარჯიქი; 3. ნაწილი ბარჯიქის ლაშქრისა ამიერკავკასიაში შემოვიდა ღერბენდიდან, ნაწილი — დარიალიდან და გაემართნენ აზერბაიჯანისაკენ. მაშასადამე, დარიალის გზით მოსულ ხაზართა რაზმებს უნდა გაველოთ აღმოსავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე და გაეთავისუფლებინათ ის მუსლიმებისაგან; 4. ლაშქრობაში უშუალოდ მონაწილეობდა საქართველოს გამგებელი, რომლის დახმარებით ბარჯიქმა იოლად დაამარცხა არაბები და განდევნა ისინი ამიერკავკასიიდან.

В. Г. СИЛАГАДЗЕ

## ОБ ОДНОМ ПОДХОДЕ ХАЗАР В VIII ВЕКЕ

### Резюме

На основе грузинских, армянских и арабских источников в работе изучен вопрос о походе хазар в Закавказье в 730 году.

Поход был совершен по просьбе грузинского царя Арчила, который умело использовал хазар против арабских поработителей.

წარმოადგინა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის არქეოლოგიის და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის ძველი და შუა საუკუნეების საქართველოს ისტორიის წყაროთმცოდნეობის განყოფილებამ

<sup>58</sup> გ. ა ბ რ ა მ ა შ ვ ი ლ ი არჩილ II-ის გადასვლის თარიღად 682-686 წლებს ვარაუდობს, ხოლო წასვლის მიზეზად ის ასახელებს ქართლის საერისმთავრო ტახტისათვის ატეხილ შფოთს, რომელიც მისივე თქმით, 682 წელს სტეფანოზ II-ის საგვარეულო სახლის მარცხითა და ნერსეს გამარჯვებით დასრულებულა (გ. ა ბ რ ა მ ა შ ვ ი ლ ი, დასახ. ნაშრომი, გვ. 25-26). მაგრამ რაკი ცნობილია, რომ ქართული წყარო არჩილს მეფედ იხსენიებს, მისი მეფობა კი 719-745 წლებზე მოდის და 730 წ. ხაზართა შემოსვლა ამიერკავკასიაში "ქართლის მეფის" მოწვევით მოხდა, გამორიცხული არაა, სწორედ ხაზართა ამ ლაშქრობის დამარცხების შემდეგ გაქცეულიყო იგი ეგრისში, რადგან ამიერკავკასიიდან ხაზართა გასაძევებლად ხალიფას მიერ (730 წელსვე) გამოგზავნილი მასლამა იბნ აბდ ალ-მალიქი და მის ლაშქარში მყოფი მრისხანე სარდალი მურვანი, ლაშქრობის ინიციატორს, არაბთ მოძულე ქართლის გამგებელს, ცხადია, დაუსჯელს არ დატოვებდნენ.

## კიდევ ერთხელ კიტიანუ პაპაქის თასის შესახებ

სასანიანთა დინასტიის მმართველობის ხანაში (227—651 წწ.) ირანში წარმოიშვა ცივილიზაცია, რომელიც მის წინამორბედებთან შედარებით ყველაზე უკეთ გამოხატავდა ირანელი ხალხის სულსა და თვითმყოფადობას. სწორედ ამ დროს შეიქმნა ირანში ოფიციალური პროკლამაციური ხელოვნების ბრწყინვალე ძეგლები. III საუკუნეს ეკუთვნის ამგვარი ხასიათის მთელი რიგი ნიმუშებისა, რომლებიც შემდგომ გადაიქცნენ სასანიელი მეფეთ მეფეებისა და მათი მოხელეების „იდეალურ“ სახეებად.

სასანიური ვერცხლის ჭურჭელი წარმოადგენს სასანიური მონარქიის საუკეთესო მხატვრულ მემკვიდრეობას. ირანელი ხელოსნები საუცხოოდ ფლობდნენ ლითონის დამუშავების ტექნიკას. მათ შექმნეს ვერცხლის, როგორც ფუფუნების, ისე ფართო მოხმარების მრავალი ნაკეთობა, რომელთა საუკეთესო ნიმუშები აღმოჩენილია ამიერკავკასიის და ურალის ტერიტორიაზე.

III ს-ის სასანიური ოფიციალური ხელოვნება იფარგლებოდა მეფეთ მეფისა და მისი მოხელეების პორტრეტებისა და ნადირობის სცენების ამსახველი სიუჟეტებით, რომლებმაც შემდგომ მკაცრად დაკანონებული სახე მიიღეს. სულ რამდენიმე ათეული წლის მანძილზე პირველ სასანიურ რელიეფებზე, გემებზე და მონეტებზე ჩამოყალიბდა ირანისათვის სრულიად ახალი მეფეთ მეფის, მისი მოხელეების, ქურუმების „ოფიციალური პორტრეტების“ კანონები.

ადრესასანიური თასები მცირე რაოდენობითაა შემორჩენილი. სწორედ მათ რიცხვს ეკუთვნის III ს-ის მეორე ნახევარში შექმნილი ადრესასანიური ტორეტიკის ისეთი ცნობილი ნიმუში, როგორიცაა შაჰანშაჰების ვარაპრან II-ის და ნერსეს კაროს დიდი მოხელის, კიტიანუ პაპაქის თასი, რომელიც საქართველოს ტერიტორიაზეა ნაპოვნი.

აღსანიშნავია, რომ ირანული ხელოვნების ძეგლები საქართველოში III ს-ის დასასრულს გვხვდებიან, რაც ზუსტად ასახავს იმ პერიოდში შექმნილ პოლიტიკურ ვითარებას — რომის იმპერიის გავლენის შესუსტებას აღმოსავლეთში<sup>1</sup>.

III ს-ის შუა წლებში იბერია წარმოადგენდა შედარებით დამოუკიდებელ სამეფოს, რომელსაც ადგილობრივი სამეფო გვარის წარმომადგენელი — ამასპი მართავდა. შაჰანშაჰ შაპურ I-ის მეფობის დროს (242—272 წწ.) რომთან წარმოებულმა ომებმა გააფართოვეს ახლად შექმნილი სასანიური ირანის სახელმწიფოს საზღვრები. ქვეყნები, რომლებიც ჩამოთვლილია შაპურ — I-ის „ქაბა ზოროასტრის“ წარწერაში, როგორც ერანშაჰრის შემადგენლობაში შემაჯავლი, ირანისაგან სხვადასხვაგვარად იყვნენ დამოკიდებულნი. იბერია ამ

<sup>1</sup> К. Г. М а ч а б е л и, Основные проблемы позднеантичного искусства Грузии (по материалам торевтики), Сборник статей. Античность и античные традиции в культуре и искусстве народов советского Востока, М., 1978, гл. 114—118.

დროს უკვე შედიოდა ირანის გავლენის სფეროში<sup>2</sup>. ამ ორ ქვეყანას შორის დამოკიდებულების ფორმა იყო მეხარკეობა<sup>3</sup> (pty b'z).

ირანის უმაღლესი ქურუმის — მაგუპატ ქარტირის წარწერების მიხედვით, რომლებიც III ს-ის 80-იანი წლების დამლევს არის შექმნილი (KNRu, KSM)<sup>4</sup>, ირკვევა, რომ შაპურ I-ის დროს იბერიაში ძალდატანებით ვრცელდებოდა ზორასტრიზმი<sup>5</sup>.

III ს-ის 90-იან წლებში ირანის გავლენა იბერიაში კიდევ მეტად გაძლიერდა. ქვეყნის მმართველობაში განსაკუთრებული ადგილი დაიკავეს ირანელმა პიტიახშებმა — სასანელი მეფეების მიერ დაყენებულმა ნაცვლებმა. შედეგად ირანის გავლენა იბერიაში — იბერიელთა ერისთავის სამარხში აღრესა-სანური ვერცხლის თასის აღმოჩენა წარჩინებულის პორტრეტული გამოსახულებით, სწორედ იბერიის ირანზე უფრო მჭიდროდ დამორჩილებასზე მიუთითებდეს. ამიერიდან სასანელ მეფეთა ძალაუფლებას იბერიაში ახორციელებდა სასანელი მეფეთა მეფის ნაცვალი „პიტიახშის“ ტიტულით.

მცხეთაში აღმოჩენილმა თასმა არაერთგზის მოიპყრო საბჭოთა და უცხოელ მეცნიერთა ყურადღება<sup>6</sup>.

<sup>2</sup> საქართველოს ტერიტორიის ირანის მიერ დაქვემდებარების შესახებ იხ. В. Г. Луконин, Завоевание Сасанидов на Востоке и проблема кушанской абсолютной хронологии, ВДИ, № 2, 1969.

<sup>3</sup> სომხეთი, იბერია, ალბანეთი, ბალასაკანი წარმოადგენდნენ მიწებს, რომლებიც მიეკუთვნებოდნენ ან-ერანს (არაერანს). SKZ (შაპურ I-ის წარწერა: „ქააბა ზორასტრზე“) პართული ტექსტი, სტრქ. 11 [ʾrṁny wryšn sykn ʾrd'n blskn]. KNRu (ქარტირის წარწერა ნაყში-ი რუსთაშვი) ფალაური ტექსტი სტრქ. 39. [ʾl m [ny]ʔ [Wlwč'n] [ʾ] l d [n] b[ʾ]skʔ]n. KSM (ქარტირის წარწერა სარ-ი მეშხედში სტრქ. 1. 18 wlwč'n l(d)'n bl's (k'n) KZ (ქარტირის წარწერა „ქააბა ზორასტრზე“), სტრქ. 1. 12. 'lmny [Wlwč'n] 'l'ny bl'sk'n

Ph. Gignoux, La liste des Provinces de l'ÉRÂN dans les inscriptions de Šābuhr et de Kirdir. Acta Antiqua Academiae scientiarum Hungaricae, XIX, fasc. 1-2, 1971, გვ. 94.

<sup>4</sup> მაგუპატ ქარტირის წარწერების ნაყში-ი რუსთაშვილის და სარ-ი მეშხედის რელიეფებზე იხ. ლიტ. E. Herzfeld, „Reisebericht“. Zeitschrift der Deutschen Morgenländischen Gesellschaft, 80, 1926, გვ. 225-284; E. Herzfeld, Iran in the Ancient East, Princeton, 1947, გვ. 325; W. B. Henning, The Inscription of Naqš-e Rostam. Corpus Inscriptionum Iranicarum, London, 1957, p. III, V, II, გვ. 2; R. N. Frye, The report on a Trip to Iran, Oriens 2, Leiden, 1949, გვ. 209; R. N. Frye, Remarks on the Paikuli and Sar Mašhad Inscriptions. Harvard Journal of Asiatic Studies, v. 20, № 3-4, December 1957, Harvard-Yenching Institute, გვ. 702-708; L. Vanden Bergh, Archeologie de l'Iran ancien, Leiden, 1959, გვ. 52; R. Ghirshman, Parther und Sasaniden, München, 1962, გვ. 364; В. Г. Луконин, Варахран II и Нарсе, ВДИ, 1964, № 1, გვ. 48-68; Ph. Gignoux, L'inscription de Kirdir à Sar Mašhad. Journal Asiatique, Paris, CCLVI, fasc. 3-4, 1966, გვ. 387-418; Ph. Gignoux, დასახ. ნაშრომი, გვ. 94; P. Lecoq, Remarques sur l'inscription de Sar Mašhad Studia Iranica, v. I, Paris, 1971.

<sup>5</sup> В. Г. Луконин, Завоевания Сасанидов... გვ. 32.

<sup>6</sup> Г. В. Церетели, Эпиграфические находки в Мухета, ВДИ, 1948, № 2, გვ. 49-57; Ш. Я. Амиранашвили, Серебряная чаша раннесасанидской эпохи из раскопок в Армазисхери. Сборник в честь И. А. Орбели, М.-Л., 1960, გვ. 289-291; შ. ამიანაშვილი, არმაზისხევში გათხრების დროს ნაპოვნი აღრესანური გზოქის ვერცხლის თასი, თბ., 1500 სათუბოლეო კრებული, 1958, გვ. 90-91; В. Г. Луконин, Иран в эпоху первых Сасанидов, ВДИ, 1961, გვ. 61; А. А. Апакидзе, Герсда лрсვეი Грузии, Тб., 1968, გვ. 207-212; К. Г. Мачабадзе, Төрөвтика Грузии, Тб., 1976, გვ. 106-116; W. Henning, A Sasanian Silver Bowl from Georgia, BSOAS, 24, 1961, გვ. 252-256; C. Toumanoff, Studies in christian Caucasian History, Georgetown University Press, 1963, გვ. 183; T. T. Rice, Ancient Arts of Central Asia, London, 1965, გვ. 24-25; W. Hinz, Altiranische Funde und Forschungen, Berlin, 1969, გვ. 206.

ჩვენ შევეცადეთ დაგვეზუსტებინა თასის დამზადების დრო, მასზე გამო-  
სახული პიროვნების ვინაობის გარკვევის მეშვეობით.

თასის გარეთა მხარეს მოთავსებულია პუნქტირით (*pointillé*) ფალაურ ენა-  
ზე შესრულებული წარწერა: p'ky bthšy BRH 'rthštry [BRH...?] sy 'rthštry  
bthšy MN ZWZN'symy s xxxxxxiii ZWZN» „წარმოადგენს პიტიახშ პაპაის  
(საკუთრებას) არტაშირის ვაჟისა, ვაჟისა... არტაშირ პიტიახშის. 253 ვერცხლის  
დრაქმა».<sup>7</sup>

წარწერა წარმოადგენს სტანდარტულ ფორმულას, რომელშიც მოხსენე-  
ბულია თასის მფლობელის სახელი, წოდება (აგრეთვე მისი მამის და პაპის  
სახელი) და წონა დრაქმებში. ასეთი სახის წარწერები ტიპურია III-IV სს.  
სასანური ტორევეტიკის ნიმუშებისათვის.<sup>8</sup>

წარწერაზე, რომელიც მოთავსებულია თასსზე, მოხსენიებულია პიტიახ-  
ში პაპაი.<sup>9</sup>

სიტყვა „პიტიახშის“ წარმოშობა დღემდე არაა ნათელი და იწვევს მეც-  
ნიერთა შორის აზრთა სხვადასხვაობას<sup>10</sup>, რაც შეეხება ამ თანამდებობას, მას

<sup>7</sup> ამ წარწერის წაკითხვის შესახებ, იხილე ლიტ. Г. В. Церетели, *დასახ. ნაშრომი*,  
გვ. 55; Ш. Н. Амиранашвили, *დასახ. ნაშრომი*, გვ. 289, В. Г. Луконин,  
Иран в эпоху первых Сасанидов, გვ. 61; В. А. Лившиц, В. Г. Луконин, Сред-  
неперсидские и согдийские надписи на серебряных сосудах, ВДИ, 1964, № 3, გვ. 163; W.  
B. Henning, *დასახ. ნაშრომი*, გვ. 354. (ე. პენინგს ხელთ ჰქონდა ცუდი ფოტოები, რის გა-  
მოც ვერ შეძლო ზუსტად ამოეკითხა პაპაის მამის სახელი და წარწერა შემდეგნაირად წაიკითხა.  
„პაპაიკ პარიახში, არტაშირ პიტიახშის ვაჟი, ვაჟი შაპურ პიტიახშისა“).

Ch. I. Brunner, *Middle Persian Inscriptions on Sasanian Silverware*. Metropolitan  
Museum Journal, vol. 9, 1974, გვ. 104.

<sup>8</sup> W. B. Henning, *New Pehlevi Inscriptions on Silver Vessels*. BSOAS, XXII, 1959.  
I, გვ. 132-134.

<sup>9</sup> ამ საკუთარი სახელის ეტიმოლოგია შემდეგნაირია: Pāpak (ფალაური) Bābek (არაბული):  
F. Justi *Iranisches Namenbuch*, Marburg, 1895, გვ. 241.

Pap-შემოკლებული ფორმა Pāpak-იდან, რაც ფალაურად ნიშნავს „მამას“. სასანური დინასტიის  
დამაარსებელს ერქვა არტაშირი პაპაიკინი, რაც იმას ნიშნავდა, რომ „არტაშირი იყო პაპაის ვაჟი“. *ცნობილია*, რომ პაპი (Pap) იყო ქურუმი ფარსში, ირანის ერთ-ერთ უდიდეს პროვინციაში. A.  
Gafurov, Лев и Кипарис, М., 1971, გვ. 56.

<sup>10</sup> ამ ტერმინის სხვადასხვაგვარი გაგება მოცემულია შემდეგ შრომებში: F. Justi, *დასახ.*  
*ნაშრომი*, გვ. 254; H. Hübschmann, *Armenische Gramatik*, I, Leipzig, 1897, გვ. 119,  
I. Markwart, *Erforschung der Geographie des Ps. Moses Horenaci*, Berlin, 1901, გვ.  
23, 25, 45, 165; R. von Stackenberg, *Beiträge zur persischen Lexikographie*, Wi-  
ener Zeitschrift für die Kunde des Morgenlandes, XII, 1903, გვ. 52; Th. Nöldeke, *Geschichte  
der Perser und Araber zur Zeit der Sassaniden*, Aus der arabischen Chronik des Tabari, Lei-  
den, 1879, გვ. 449; E. Herzfeld, Paikuli, *The Monument and inscriptions on the  
Early History of Sasanian Empire*, I, Berlin, 1924, გვ. 155-156; P. Lagarde, *Gesamelte  
Abhandlungen*, Leipzig, 1866, გვ. 187, N. C. Debevoise, *A political History of  
Parthia*, Chicago, 1938, გვ. 241, n. 5. A. Pagliaro, *Mediopersiano bitaxš, armeno bdeaxš*,  
*Rivista degli studi orientali* XII, 1923/30, გვ. 160-168; A. Christensen, *L'Iran  
sous les Sassanides*, Copenhagen, 1944, გვ. 22, f. 102; N. S. Naber, *Quelques insc-  
riptions antiques découvertes récemment en Georgie*, *Eranos*, Bd. 44. Upsala, 1946, გვ. 237-  
242; M. Sprengling, *Third century Iran, Sapor and Kardir*, Chicago 1953, გვ. 31; W.  
Henning, *Mitteliranisch Handbuch der Orientalistik*, Leiden—Xöln, 1958, გვ. 61; B. M.  
Metzger, *A greek and arameic inscriptions discovered at Armazi in Georgia*. INES, XV,  
1956, გვ. 21; R. N. Frye, *The Heritage of Persia*, Oxford, 1962, გვ. 239, 263; R. N.  
Frye, *Some early Iranian titles*, *Oriens* 15, Leiden, 1962, გვ. 354; R. N. Frye. *The Gol-*

ფლობდნენ სამეფო და წარჩინებულ გვართა პირები. ეს თანამდებობა შაპურის „ქააბა ზოროასტრის“ წარწერაში მოხსენიებულია მეფის ოჯახის წევრებისა და ირანის ვაზურგფრამატარის შემდეგ<sup>11</sup>.

I-II სს იბერიის პიტიახშები (შარაგასი, ზევასი, ასპარუგი) ქვეყნის უმაღლესი თანამდებობის პირები იყვნენ. III-IV სს აღმოსავლეთ საქართველოს პიტიახშები წარმოგვიდგებიან, როგორც სასანური ირანის მოხელეები, მისი სახელმწიფო აპარატის აგენტები იბერიაში (ქართლში).

მცხეთაში ნაპოვნ თასზე გამოსახული პიტიახში უდავოდ სასანელი მეფის მიერ დაყენებული პირია და ირანელია წარმოშობით. მისი ვინაობა დღემდე იწვევს მეცნიერთა და ირანის ხელოვნებით დანტერესებულ პირთა აზრთა სხვადასხვაობას.

ვინ იყო ეს პიტიახში პაპაი? საკუთარი სახელი „პაპაი“ გაერცელებულ იყო და ხშირად იხმარებოდა III ს-ის ირანში<sup>12</sup>. ვინმე პაპაი მოხსენიებულია შაპურ I-ის წარწერაში (ŠKZ) არდაშირ I-ის კარის მოხელეთა ჩამოთვლისას<sup>13</sup>.

პაპაის თასის წარწერაში მოხსენიებულნი არიან პაპაის მამა და პაპა, რომლებიც აგრეთვე „პიტიახშის“ წოდებას ატარებდნენ. პიტიახშ პაპაის მამა — არდაშირი, პიტიახშის ვაჟი — მოხსენიებულია შაპურ I-ის „ქააბა ზოროასტრის“ წარწერაში შაპურ I-ის მოხელეებს შორის, ხოლო პაპა მ-ში — არდა-

den Age of Persia. The Arabs in the East. London, 1975, გვ. 9; E. Benveniste, Titres et noms propres en iranien ancien, Paris, 1966, გვ. 51; W. Hinz, დასახ. ნაშრომი, გვ. 153; G. Toupinoff, დასახ. ნაშრომი, გვ. 189, A. A. Фрайман, Несколько замечаний к Армазской билингве Г. В. Церетели. И. А. Н. отделение языка и литературы, т. V, вып. 2. М., 1946, გვ., 163; Г. А. Капаниця, О двух социально-экономических терминах древнего Ближнего Востока, ВДИ, 1949, № 3, გვ. 11-13; Г. Меликишвили, К истории древней Грузии, Тб., 1960, გვ. 460; В. Г. Луконин, Культура сасанидского Ирана, М., 1969, გვ. 43, Г. Ш. Амирапашвили, Сасанидские эпиграфические памятники как источник по социально-экономической истории Ирана (автореферат) Тб., 1975, გვ. 15. იბერიის პიტიახშების წარმოშობის საკითხი განხილული აქვს გ. შამუღას (Г. С. Мамуля, Розыскания по социальной и политической истории Картлийского (Иберийского) государства (автореферат). Тб., 1975, გვ. 26, 29, 33, 37; პ. ი. ნ. გ. როსტომაძე, „მოქცევა ქართლისაი“, და ანტიკური ხანის იბერიის მეფეთა სია, მუსხეუმის მოამბე, XI-B, თბ., 1941, გვ. 293; გ. წერეთელი, არმაზის ბილინგვა, ენოქის მოამბე თბ., 1941, XIII, გვ. 293; ს. ჯანაშიას შრომები, I, თბ., 1949, გვ. 266-267; ე. გ. როგოლია, V-VI სს ქართლის პიტიახშები და მათი სახელის საკითხისათვის. „მნათობი“ 1959, № 4, გვ. 172-174; ა. ბ. გ. ე. რაძე, ქართლის პიტიახშთა ხელისუფლებისა და ვინაობის საკითხისათვის, მასალები საქართველოსა და კავკასიის ისტორიისათვის, 35, 1963, გვ. 55-68, თ. გ. ამსახურდია, პიტიახშის ინსტიტუტის საკითხისათვის, „მაცნე“ № 6, 1970, გვ. 49-74.

<sup>11</sup> ვაზურგფრამატარი — მეფის მთავარი მრჩეველი.

<sup>12</sup> Bābek — სასანის ვაჟი, Pāpak — არტაშირ I-ის მამა (F. Iusti, დასახ. ნაშრომი, გვ. 241; არდაშირ I-ის რელიეფზე ნაყვ-ი რუსთაში მოხსენიებულია პაპაი, მეფე არდაშირ I-ის მამა (В. Г. Луконин, Культура..., გვ. 186). ცნობილია მონეტები, რომლებზეც გამოსახულია პაპაი თავის ვაჟიშვილთან ერთად.

<sup>13</sup> სიას ხსნიან „შაპრების მეფეები“, შემდეგ მოხსენიებულია დენაკი, პაპაის დედა; რუტაკი — არდაშირის დედა; არდაშირის და და ცოლი — დენაკი, პიტიახში, პაპარაპეტი და ირანის წარჩინებულ გვართა წარმომადგენლები (В. Г. Луконин, Культура..., გვ. 37-38, 39-41). ŠKZ-ში მოყვანილია 260 წელს.

ŠKZ (საშ. სპ). სრქ. 32-33; P'pky zy prywz špwpłry, ZY šnbytkn «პაპაი šnbytkn-ს გვარადანა.

შაპურ I-ის წარწერაში ნაყვ-ი რაქაბში მეფის გვარდიის მხედარმთავარი იწოდება პაპაკად (В. Г. Луконин, Культура..., გვ. 67).

შირი. პიტიახში — იმავე წარწერაში, სასანელთა პირველი მეფის არდაშირ I-ის სამეფო კარის წარმომადგენელთა შორის<sup>14</sup>.

პირველად არმაზისხევეში ნაპოვნი თასის ანალოგიურ ლეგენდა, რომელიც შეიცავს მასზე წარმოდგენილი პირის საკუთარ სახელს. ტიტულს, აგრეთვე მისი მამის სახელსა და წოდებას, ჩნდება ფარსის მონეტების III ტიპზე. ამ მონეტების ავერსზე გამოსახულია მმართველი პროფილში მარჯვნივ, ძვირფასი ქვებით მორთულ მაღალ თავსაბურავში, რომელზეც გამოსახულია ნახევარ-მთვარე<sup>15</sup>.

პიტიახში პაპაქის ვინაობის გარკვევაში გვეხმარება ირანის შაჰანშაჰის ნერსეს წარწერა პაიკულიში<sup>16</sup>.

წარწერა ამოკვეთილია ნერსეს ბრძანებით 293 წელს და მასში მოთხრობილია ირანის III ს-ის 90-იანი წლების პოლიტიკური მდგომარეობა. 275—286/7 წწ.-ში ნერსე იყო „სომხეთის დიდი მეფე“<sup>17</sup>. ირანის სამეფო ტახტის ხელში ჩაგდებაამდე ის იწოდებოდა „საკასტანის, ინდოეთის და ტოხარისტანის მეფედ“<sup>18</sup>. შაჰანშაჰ ვარაჰრან II-ის გარდაცვალების შემდეგ, ნერსე გაემგზავრა ქ. ქტესიფონს (293 წ.), სადაც აღდიღ პაიკულში (თანამედროვე პანიკიმის ჩრდილოეთით) ვარაჰრან III-თან ბრძოლაში გამარჯვების აღსანიშნავად აღმართა წარწერიანი მონუმენტი.

წარწერა შედგება ორი ერთნაირი ტექსტისაგან ჩრდილო-დასავლეთ (პართულ) და სამხრეთ-დასავლეთ (ფალაურ) ირანულ ენებზე. ეს წარწერა ერთ-ერთი ყველაზე გრძელია ჩვენამდე მოღწეული სასანური ხანის წარწერებს შორის და წარმოადგენს სასანური ისტორიის ამასხველ თვალსაჩინო ძეგლს.

წარწერაში ნერსე იღებს მილოცვებს ირანის გაბატონებული კლასის წარმომადგენლებისაგან, მთავარმმართველებისა, ირანის სახელმწიფოს გამოჩენილი მოხელეებისა და ქურუმებისაგან. სხვადასხვა პიროვნებებისა და მათი წოდებების ჩამოთვლა გვეხმარება ირანის თანამედრობრივი პირების რიგის დადგენაში და მათი წოდებრივი მდგომარეობის განსაზღვრაში. რასაც დიდი მნიშვნელობა აქვს III ს-ის ირანის ისტორიისათვის.

ნერსე იტყობინება, რომ მას მინიჭებული აქვს ღვთაებრივი მინდობილობა ირანის მმართველობისა, მისი თქმით, ირანს უნდა განაგებდეს ნერსესადიკო უცოდველი ზნეობის მქონე ადამიანი და ღმერთის გულმოდგინე მლოცველი. მისი აზრით, მხოლოდ ის ფლობს ირანის გამგებლისათვის აუცილებელ თვისებებს<sup>19</sup>.

<sup>14</sup> SKZ-პართული ტექსტი სტრქ. 24.

<sup>15</sup> В. Г. Луконин, Искусство древнего Ирана, М., 1977, гл. 166.

<sup>16</sup> ამ წარწერის შესახებ იხ. შემდეგი გამოცემები და თარგანები: E. Herzfeld, Paikuli v. I, გ. 96, 100; W. B. Henning, A. Farewell to the Khagan of the Ag-Aqataran, BSOAS, XIV, p. 3, London, 1952, 507-522, R. N. Frye, Notes of the Early Sasanian State and Church, Studi Orientalici in onore di Giorgio Levi Della Vida, I, Roma, 1956, გვ., 322-324; R. N. Frye, Remarks on the Paikuli, გვ. 702-708; В. Г. Луконин, Варахран II и Нерсе, гл. 117-120; В. Г. Луконин, Культура, гл. 114-118.

<sup>17</sup> А. А. Мартиросян, Армения и первые Сасаниды, Историко-филологический журнал № 3 (70), 1975, (на армян. яз.) гл. 172.

<sup>18</sup> Sakānshah hindē Sakastan u tuxaristān dabīrā dabīr.

<sup>19</sup> E. Herzfeld, Kushano-Sasanian Coins. Memory Arch. Survey of India, № 38, გვ. 36; W. B. Henning, The Great inscription of Shahpur I, BSOS, vol. 9, part 4, London, 1939, გვ. 847. 19 P. O. Skjærv, Interpreting the Paikuli inscription. VII. Internationaler kongress für iranische Kunst und Archäologie. München, 1976, თეზისები.

პაიკულის წარწერაში ჩამოთვლილი არიან ვარაპრან III-ის მოწინააღმდეგენი, რომელთაც მხარი დაუჭირეს ნერსეს. ამ უკანასკნელთა შორის მოხსენიებულია პიტიახში პაპაკი<sup>20</sup>.

ე. ჰერცფელდი, იხილავდა რა შაპანშაპ ნერსეს წარწერაში მოხსენიებული პიტიახში პაპაის პიროვნებას, თვლიდა, რომ პაპაკი იყო ამ პიროვნების საკუთარი სახელი, ხოლო მიპრანი (ქართული წყაროების მიხედვით — მირიანი) წარმოდგენდა მისი გვარის სახელს. NPK-ში ნახსენებ პიტიახშ პაპაკს ის აიგივებს ქართლის მეფე მირიანთან<sup>21</sup>.

თანამედროვე გერმანელი ირანისტის ე. ჰინცის აზრით, ირანის შაჰის ვარაპრან II-ის მეფობის წლებში (276—293 წწ.) ირანის პიტიახში იყო პაპაკი<sup>22</sup>. მცხეთის თასზე გამოსახული პაპაის პიროვნებას აიგივებს ნაყში-ი რუსთაშვილი ვარაპრან II-ის რელიეფზე მეფის ხელმარჯვნივ გამოსახულ მესამე ფიგურასთან<sup>23</sup> და მას საქართველოს სატრაპს უწოდებს<sup>24</sup>. რელიეფზე გამოსახული პიროვნების თავსაბურავი შემკულია ნახევარმთვარიტა და წერტილით. ე. ჰინცს მიაჩნია, რომ 292 წელს პაპაკმა ვარაპრან II-გან მიიღო ირანის პიტიახშის წოდება; ამასთან დაკავშირებით შეიცვალა „ნეშანი“ მის თავსაბურავზე — გაჩნდა სამფოთლიანი ყვავილი<sup>25</sup>. ვარაპრან II-ის რელიეფზე ნაყში-ი ბაპრამში<sup>26</sup> მეფის ხელმარჯვნივ მდგომ მეორე პიროვნებაში ჰინცი კვლავ პიტიახშ პაპაკს ხედავს ახალი თავსაბურავით, რომელზეც სამფოთლიანი ყვავილია წარმოდგენილი; იმსიგნიის სხვაობას ე. ჰინცი პაპაის დაწინაურებით ხსნის: ამ დროისათვის (292 წ.) მას უკვე პიტიახშის წოდება უბოძეს. არმაზისხევის თასზე გამოსახულ პიროვნებას ხელში უჭირავს მსგავსი სამფოთლიანი ყვავილი. რაც ე. ჰინცის აზრით მიუთითებს იმაზე, რომ ის პიტიახშების გვარის წარმომადგენელია.

დ. კრასნაია პოლიანაში ნაპოვნ სინზე გამოსახული უფლისწულის თავსაბურავი აგრეთვე მორთულია რთული ფორმის ყვავილებით და პაპაის თასისაგან განსხვავებული ნიშნით. ე. ჰინცის აზრით კრასნაია პოლიანას თასზეც

<sup>20</sup> პაიკულის წარწერის ეს ადგილი (სტრქ. 7-8) ერთ-ერთი მთავარია წარწერაში, რადგან სწორედ აქაა მოხსენიებული მისი შექმნის მიზეზი. ქ. ქტესიფონიდან ნერსესთან ჩამოდის ელჩი წინადადებით-დაიკავოს მისი წინაპრების ტახტი. ნერსე ქარით შიზიდან მომგზავრება ქტესიფონს და ადგილ HAYAN, DKTL (პაიკული „ნომრაჰ“-ში) მას ხედებთან წარჩინებულნი, რომელთა შორის პიტიახში პაპაკი მოხსენიებულია მესამე ადგილას NP(სტრქ. 7-8); šhpwhry i, rgwpt nrshi, vsph. ry sl'snkn]v p'pky i bñhšy 'rtwthst'r i h[z'rp't 'rtsry]swryn [r'sn i sp'hp't hmdzy... შაპური პარგუპატი, და ნერსე, უფლისწული, ს[ასანის]ყავი და პაპაკი პიტიახში და არდამირი, პა (ზარაპეტი და არდამირი) სურენი და რაშნ სპაპეტი და... პორმიზდი... NP(სტრქ. 16): šhpwhry hrgpt (pyrwc) vsphry nrshy (vsphry) v'hr'k'n s's'n p'p'ky bytxš'r't [s'ry h'z']r'pt 'rt [šr] surn „შედეგე შაპური, პარგუპატი [და ფეროზი, უფლისწული და ნერსე უფლისწული, სასანის ყავი და პაპაკი პიტიახში და არტა [შირი, პაპა] რაპეტი და არტა [შირი] სურენი... შეიკრიბნენ Hayan·DKTL'-ში და აქ ეს მონუმენტი აღმართულ იქნა...“

E. Herzfeld, Paikuli, გვ. 96-97, 100-101.

<sup>21</sup> E. Herzfeld, Paikuli, vol. I-II, Berlin, 1924.

<sup>22</sup> W. Hinz, დასახ. ნაშრომი, გვ. 201.

<sup>23</sup> ვარაპრან II-ის რელიეფი ნაყში-ი რუსთაშვილი NRU-თარიღდება 283 წლით. В. Г. Л у к о н и н, Культура сасанидского Ирана, გვ. 194.

<sup>24</sup> W. Hinz დასახ. ნაშრომი, გვ. 207, ტაბ. 126.

<sup>25</sup> W. Hinz, დასახ. ნაშრომი, გვ. 214, ტაბ. 133.

<sup>26</sup> ვარაპრან II-ის რელიეფი ნაყში-ი ბაპრამში-თარიღდება 283 წლით. В. Г. Л у к о н и н, Культура..., გვ. 192. ე. ჰინცი ამ რელიეფს ათარიღებს ვარაპრან II-ის მეფობის ბოლო წლით 292 წ.

პიტიაში პაპაკია გამოსახული<sup>27</sup>. ანალოგიური ყვავილებითაა მორთული მეფეთ მეფის პორმზიდ II-ის მტრის თავსაბურავი, მის რელიეფზე ნაყმ-ი რუსთაში<sup>28</sup>. ამ პიროვნებასაც ვ. ჰინცი მიიჩნევს პიტიაში პაპაკად.

ამგვარად, ვ. ჰინცი III ს-ის II ნახევარში ირანში მცხოვრებ სხვადასხვა წარჩინებულ პიროვნებებს აიგივებს ერთ და იმავე პირთან — პიტიაში პაპაკთან და თავსაბურავებზე ინსიგნიების სხვადასხვაობას ხსნის პაპაკის კარიერის სხვადასხვა ეტაპით.

პაპაკის თასი წარმოადგენს სასანური პორტრეტული ხელოვნების ერთ-ერთ საუკეთესო ნიმუშს. თასის ფსკერზე, ცენტრში, წრიულ მედალიონში წარმოდგენილია მდიდრულ ტანსაცმელში გამოწყობილი მოწიფული აპაკის მოხელის პორტრეტი წელზევით, ლამაზად დაყენებული თავით, შეერთებული წარბებით, დიდი თვალებით, დაკუთლულებული წვერით, ზევით აპრეხილი ულვაშებით, პორტრეტული გამოსახულება თითქოს ამოზრდილია სიმეტრულად გაშლილი სტილიზებული ფოთლებიდან, რომლებსაც მედალიონის ქვედა ნაწილი უჭირავთ.

მოხელის პორტრეტის ხასიათის გადმოცემაში იგრძნობა დაწყებითი სასანური ხელოვნების დამოკიდებულება აღმოსავლეთის ქვეყნების საერთო ტრადიციებისგან. კერძოდ, აღსანიშნავია გამოსახულების „ძველალმოსავლური“ ხასიათი: მოხელის თავი მოცემულია პროფილში<sup>29</sup> მარჯვნივ, ხოლო ტორსი მოტრიალებულია ფასში<sup>30</sup>. გამოსახვის ამგვარი პრინციპი გვხვდება ძვ. წ. I — II ს-დან ფარსის მონეტებზე<sup>31</sup>, ინდო-პართულ მმართველთა მონეტებზე დაწყებული გონდოფარიდან (ახ. წ. I ს)<sup>32</sup>, ქუშანების<sup>33</sup> და ეფტალიტების მმართველების მონეტებზე<sup>34</sup>.

პაპაკის თავსაბურავზე გამოსახულია ინსიგნია — ნახევარმთვარე ვარსკვლავით<sup>35</sup>. ნახევარმთვარის გამოსახულება დამახასიათებელია სასანელ მეფეთ

<sup>27</sup> დ. კრასნაია პოლიანაში აღმოჩენილი სინისა და მასზე წარმოდგენილი პიროვნების ატრიაბუციის შესახებ იხ. მ. წოწელია, სასანური ვერცხლის სინი დ. კრასნაია პოლიანადან, საქართველოს მუზეუმის მოამბე XXXIV - 1979 წ. გვ. 79-86.

<sup>28</sup> W. Hinz დასახ. ნაშრომი გვ. 216. ტაბ. 133 J. რელიეფი თარიღდება 302-309 წლებით (А. Г. Луконин, Культура..., გვ. 195).

<sup>29</sup> III ს-ის სასანურ თასებზე გამოსახული პირნი, წარმოდგენილი არიან პროფილში, ამ მდგომარეობას მიმართავენ ირანელი ხელოსნები უფრო გვიანი ხანის V-VI სს თასებზე. P. O. Harper, The Heavenly Twins, Bulletin of the Metropolitan Museum of Art, January, 1965, № 23.

<sup>30</sup> მცხეთის თასის დეტალების ხასიათი და მასზე გამოსახული პიროვნების იკონოგრაფიული დეტალები განხილული აქვს ე. მაჩაბელს. (К. Мацабелли, «Позднеантичная торевтика Грузии», ТБ., 1976, გვ. 106-116, ტაბ. 40-41).

<sup>31</sup> I. de Morgan, Manuel de Numismatique orientale, Paris, 1923-1936, გვ. 282.

<sup>32</sup> იხ. R. B. Whitehead, Catalogue of coins in the Punjab Museum v. I, Indo-Greek Coins, Lahore, Oxford 1914, გვ. 94; I. de Morgan, დასახ. შრომები. გვ. 381-383; В. М. Массон, В. А. Ромодон, История Афганистана, т. I. (с древнейших времен до начала XIV в) М., 1964 გვ. 147.

<sup>33</sup> იხ. Е. В. Зеймал, Монеты великих кушан в собрании Гос. Эрмитажа, ТГЭ, IX, Л., 1967, გვ. 57.

<sup>34</sup> R. Göbl, Dokumente sur Geschichte der iranischen Hunnen in Baktrien und Indien, Wiesbaden, 1967, v. IV.

<sup>35</sup> ანალოგიური „ნეშანი“ გვხვდება პაპაკის უფროსი ვაჟის-შაპურის ხუთ ვერცხლის დრაქმაზე, იხ. F. Paruck Sasanian Coins, Bombay, 1924, № 1-3.

მეფეთა თავსაბურავების სხვადასხვა ტიპებისთვის<sup>36</sup>. ასტრალური სიმბოლოები (ნახევარმთვარე ვარსკვლავით) გამოსახულია ანტიკურ მონეტებსა<sup>37</sup> და II-III სს გემებზე ჩრდილო შავიზღვისპირეთიდან<sup>38</sup>. ნახევარმთვარის გამოსახულება გვხვდება პართულ მონეტებზე (ფრაატ IV — ძვ. წ. I ს-ის დასასრული), ფარსის ნუმიზმატიკაში (ძვ. წ. II ს-დან) და ეფტალიტებთან. პართულ ნუმიზმატიკაში ნახევარმთვარე რვაქიმიანი ვარსკვლავით თავსდება მეფის სახის წინ, მონეტის კიდეზე<sup>39</sup>. ეფტალიტების თავსაბურავებზე ის თითქმის მუდმივად სიმბოლოა<sup>40</sup>. ფარსის მონეტებზე ის პირველად ჩნდება ძვ. წ. II ს-დან — დარიოს I-ის მონეტებზე არწივის პროტომისმაგიერ თავსაბურავზე; ეს სიმბოლო შემდეგ მუდმივად არსებობდა ფარსის ნუმიზმატიკაში<sup>41</sup>, საიდანაც აღწევს არაღმირ I-ის მონეტებზე<sup>42</sup>. ხორეზმის ნუმიზმატიკაში ნახევარმთვარე ჩნდება ა. წ. III ს-ის მესამე მეოთხედში<sup>43</sup>.

თასზე წარმოდგენილი პიტიაშ პაპაის თმის ვარცხნილობის ტიპი — მჭიდროდ დაწნული „ნაწნავეები“ — გაკრცელებული იყო ა. წ. IV ს-ის დასაწყისამდე. სამოსელი წარმოდგენს ხიფთანს, მრგვლად ამოჭრილი საყელოთი; ის შემკულია სამმაგი რგოლებით — ძვარფასი თვლებით (მარგალიტებით?)<sup>44</sup>.

სტილიზებული მცენარის მოტივი, რომლითაც შემკულია პორტრეტული მედალიონი გაკრცელებული იყო სასანურ ტორეეტიკაში<sup>45</sup>.

<sup>36</sup> არტაშირ I-ის თავსაბურავზე მისი მონეტების 1 ტიპზე, შემდეგ ჩნდება იზდიგერდ I-ის მონეტებზე და ავლა შემდგომი შაჰნაშაჰების თავსაბურავებზე. იხ. R. G o b l, Die Münzen der Sassaniden, S-Gravenhage, 1962.

<sup>37</sup> მეფე დინაშას (17-16 წწ. ძვ. წ.) და ასანდრეს სპილენძის მონეტებზე. იხ. A. H. З о г р а ф, Античные монеты, Материалы и исследования по археологии СССР, 1941 № 16, გვ. 191, ტაბ. XLIV, 14, 20; М. М. К о б ы л и н а, Изображения восточных божеств в северном причерноморье в первые века н. э. М., 1978, გვ. 53, ტაბ. 48, 49.

<sup>38</sup> იხ. Античная художественная бронза. каталог выставки, Л., 1973, №12, 13, 18; О. Я. Н е в е р о в, Изображения на геммах-печатах, металлических перстнях и амулетах в книге «Изображения восточных божеств...» გვ. 165.

<sup>39</sup> P. G a r d n e r, The Coins of the Greek and Scythic kings of Bactria and India in the British Museum, London, 1903, ტაბ. XX, 9-13.

<sup>40</sup> R. G o b l, Dokumente vol. IV ტაბ. 1, და მომდევნო.

<sup>41</sup> A d e l a F u y e, Monnaies incertaines de la Sogdiane et de contrées voisines. Revue Numismatique, Paris, IV serie, 1926, ტაბ. XXIX, გვ. 577; G. F. H i l l, Catalogue of the Greek Coins of Arabia, Mesopotamia and Persia, London, 1922

<sup>42</sup> В. Г. Л у к о н и н, Иран в эпоху..., გვ. 28 და მომდევნო.

<sup>43</sup> Б. Н. В а й н б е р г, Монеты древнего Хорезма М., 1977 გვ. 29. ნახევარმთვარის ნიშნის ღებობასთან კავშირის შესახებ იხ. А. М. Б е л е н и к и й, Новые памятники искусства древнего Пянджикента, Опыт иконографического истолкования, сб. «Культура и живопись древнего Пянджикента», М., 1959, გვ. 30.

<sup>44</sup> ანალოგიური სამმაგი წერტილები გვხვდება გვიანი ხანის სასანურ ვერცხლის თასზე, მოცუკვავე ქალის სამოსელზე, იხ. R. G h i r s h m a n n, Parthes et Sasanides, Paris, 1962, გვ. 203, ტაბ. 242.

<sup>45</sup> Г. А. К о ш е л е н к о, Серебряная ваза с Диоскурами, Советская Археология, 2, 1968, გვ. 266-269. ავტორი ამ თასს მიაკუთვნებს პართულ ხანას, მაშინ როცა ავტოიკლი ირანისტი ქალის პ. პარპერის აზრით თასი უნდა შექმნილიყო IV საუკუნეში. (P. O. H a g p e r, The Heavenly Twins, Bulletin of the Metropolitan Museum 1965, January, № 23. ხის ტრეს ოლითაგანე სიმბოლური მნიშვნელობა ჰქონდა. ის კარგადაა ფიქსირებული სახეითი ხელოვნების მრავალრიცხოვან ძეგლებში. ხშირად ტრეტი, ჩვეულებისამებრ პალმის, გვხვდება არშაკილური ხანის მონეტების რევერსზე. სასანელი მეფეთმეფის ნერსეს გვირგვინი წარმო-სახულია ხის ტრეტებით. (А. Я. Я к у б о в с к и й, Живопись древнего Пянджикента, М., 1954 ტაბ XIX).

დღემდე ცნობილია ადრესასანური დროის სულ შვიდი ისეთი თასი, რომლებზეც მედალიონებში ჩასმული პორტრეტებია წარმოდგენილი. ყველა მათგანზე სასანური ირანის მაღალი წრის წარმომადგენლები არიან გამოსახული. ადრესასანური ტორეეტიკის ამ ძეგლებს შორის მცხეთის თასს მოეპოვება ანალოგიები. უახლოეს სტილისტურ ანალოგიას წარმოადგენს ორი თასი, მოხელებების პორტრეტული გამოსახულებებით, ნაპოვნი ირანში 1950-იან წლებში — თასი ქ. ცინცინატის მუზეუმიდან<sup>46</sup> და თასი, რომელიც ქ. ვაშინგტონის ფრიერ გელერიშია დაცული<sup>47</sup>.

სამსავე თასზე გამოყენებულია ჩადგმული მედალიონი: პორტრეტული გამოსახულებები წელსზევითაა გადმოცემული. ისინი წარმოდგენილია პროფილში მარჯვნივ. ბიუსტებს უჭირავთ თასების ცენტრალური ნაწილი. მათ ქვემოთ მოთავსებულია პალმეტები<sup>48</sup>. ერთნაირი, გულის მოყვანილობის ფოთლით შუაში; ფოთლები ბოლოებით ბიუსტებისაკენ არის მიმართული.

მცხეთის თასის კალთები შიდა მხრიდან დაფარულია ნახევარსფერული ჩაღრმავების ოთხი კონცენტრული რიგით. ანალოგიური ჩაღრმავებების შვიდი რიგითაა მორთული ცინცინატის მუზეუმში დაცული თასი.

პიტიაზშ პაპაქის თმის ვარცხნილობა იდენტურია ფრიერ გელერის თასზე წარმოდგენილი მამაკაცის თმის ვარცხნილობისა; ერთნაირადაა შესრულებული მათი წვერ-უღვაშიც (წვერი ოვალურია, ქვევითკენ მომრგვალებული).

სამსავე თასზე წარმოდგენილია III ს-ის სასანური ირანის მოხელები.

პიტიაზშ პაპაქის თასი იმითაცაა აღსანიშნავი, რომ სასანური ტორეეტიკის სხვა ძეგლებისაგან განსხვავებით, ის ნაპოვნია მღლდარ სამარხეულ ინვენტართან ერთად არქეოლოგიური გათხრების შედეგად. დღემდე ცნობილი თითქმის ყველა სასანური ვერცხლის ნაკეთობა წარმოადგენს შემთხვევით აღმოჩენებს და ბევრი მათგანის პოვნის გარემოება უცნობია.

ამრიგად, არმაზისხევში ნაპოვნი თასზე წარმოდგენილია ირანის III ს. 90-იანი წლების წარჩინებული — პიტიაზში პაპაქი. თასი დამზადებული უნდა იყოს 293 წელს ან ოდნავ მოგვიანებით<sup>49</sup> და დამზადებისთანავე უნდა მოხვედრილიყო იბერიაში.

<sup>46</sup> M. S. D i m a n d, A Group of Sasanian Silver Bowls. Aus der islamischen Kunst. Festschrift für Ernst Kühnel, Berlin, 1959, გვ. 11-14, ფიგ. 2; B. G o l d m a n, Early Iranian Art in the Cincinnati Art Museum. Art Quarterly, 27, 1964, გვ. 339; O. G r a b a r, Sasanian Silver. The University of Michigan Museum of Art, 1967, გვ. 99, ფიგ. 11. O. G r a b a r, Sasanian and Islamic Art through the ages. Apollo Magazine, 93, April 1971, გვ. 255, ფიგ. 2; P. O. H a r p e r, Sasanian Medallion Bowls with Human Busts. Near Eastern Numismatics, Iconography and History. Studies in Honor of George C. Miles, Beirut, 1974, გვ. 65, ფიგ. 4. P. O. H a r p e r, The Royal Hunter Art of the Sasanian Empire, New-York, 1978, გვ. 31-32, ფიგ. 2.

<sup>47</sup> R. N. F r y e, A parthian Silver Bowl. Artibus Asiae, XVII, 1954, გვ. 143-144; M. M. N e g r o P o n z i, Some Sasanian moulds. Mesopotamia, II, 1967, გვ. 75; Exhibition of 2500 years of Persia, Art, Washington, O. C. 1971, გვ. 15, ფიგ. 45.

<sup>48</sup> ანალოგიური პალმეტები გვხვდება სასანურ გეგმებზე (იხ. G. G r o p p, Some Sasanian clay Bullae and Seal Stones, American Numismatik Society, Museum Notes, 19, 1974, გვ. 130).

<sup>49</sup> პ. პარპერი პაპაქის თასის დამზადებას მოკუთვნებს 260-270 წლებს (P. O. H a r p e r, Sassanian Medallion Bowls, გვ. 21); ვ. ლუკონინი პიტიაზშ პაპაქის პორტრეტს ათარილებს 293-300 წლებით. (В. Л у к о н и н, Искусство древнего Ирана, გვ. 163).

სასანური პერიოდის ვერცხლის ჭურჭელი იმდროინდელი ირანის ქვეყნის პოლიტიკური და კულტურული ცხოვრების ამსახველად გვევლინება და მისი მეზობელ ქვეყნებზე პოლიტიკური გავლენის მაჩვენებელია<sup>50</sup>.

აღრესასანური ტორეგტიკის ამ ძეგლის საქართველოს ტერიტორიაზე აღმოჩენა შემთხვევითი არ არის. ცნობილია, რომ საჩუქრები ვერცხლის ჭურჭლის სახით დაქვემდებარებული ქვეყნების გამგებლების პოლიტიკური სიმპათიების მოგების ერთ-ერთი საშუალება იყო.

VII ს-ის ალბანელი ისტორიკოსის მოსე კალანკატუელის ცნობით, შაპურ II-მ (309—379 წწ.) ერთ-ერთი წვეულების დროს ჩამოსულ წარჩინებულ სტუმრებს უბოძა ვერცხლის სასმისები<sup>51</sup>, იმპერატორმა ვალერიანემ შაპურ I-გან ძღვნად მიიღო თასი<sup>52</sup>.

ჩვენამდე შემორჩენილია წერილობითი წყარო, რომელშიც ახსნილია ვერცხლის ნივთების ირანიდან ამიერკავკასიაში ჩამოტანის მიზეზი. სომეხი ისტორიკოსის ელიშეს ცნობით, იეზიდერდ II-ის დროს (438—457 წწ) სპარსეთის „სამეფო სახლიდან“ მრავალი თასი იქნა ჩამოტანილი ჯილდოს სახით და ალალმართალი ხალხი შეცდენილ იქნა მრავალი ცდუნებით და ამ ხერხით მათ თავიანთ მხარეზე იბირებდნენ<sup>53</sup>.

სასანური ვერცხლის ჭურჭელის მოხვედრა III-ს იბერიაში სწორედ სასანური ირანის საგარეო პოლიტიკით უნდა აიხსნას.

М. В. ЦОЦЕЛИЯ

## ЕЩЕ РАЗ О ЧАШЕ ПИТИАХША ПАПАКА

Резюме

Серебряная чаша сасанидского времени с портретным изображением вельможи, найденная во Мцхета, неоднократно привлекала внимание исследователей. Изображенный на чаше питиахш Папак, несомненно, иранец, вероятнее всего, начал свою деятельность при Варахраме II в конце 80-х — начале 90-х годов III века. То, что чаша с портретным изображением представителя знати сасанидского государства III века находилась в гробнице иберийского эристава, может свидетельствовать о подчинении Иберии сасанидскому Ирану. В это время, возможно, именно питиахш Папак и осуществлял власть сасанидских царей в Иберии и являлся их ставленником.

Мцхетская чаша, по-видимому, изготовлена в то же время, что и надпись шаханшаха Нарсе в Пайкули, т. е. в 293 году или чуть позже.

<sup>50</sup> P. O. Harper, Royal Images on Sasanian Silver. (Vessels) proposals for a stylistic and chronological arrangement. VII. Internationaler Kongress für iranische Kunst und Archäologie, München, 1976, თეზისები.

<sup>51</sup> К. В. Тревер, Новое сасанидское блюдо Эрмитажа, История культуры народов средней Азии, М.-Л., 1960, გვ. 260.

<sup>52</sup> M. I. Rostovtzeff, The Excavations at Dura-Europos. Preliminary Report of the Fifth Season, New Haven, 1934, გვ. 308.

<sup>53</sup> Египши, О Вардане и армянской войне, Критическое издание текста выполненное Е. Тер-Миносьяном, Ереван, 1957, გვ. 63, К. В. Тревер, Очерки по истории и культуры Кавказской Албании М.-Л., 1959, გვ. 205.

## სოფელ ლიას შუა საუკუნეების ნაციხვარი

სოფელი ლია მდებარეობს წალენჯიხის რაიონში. სახელი — ლია, სულხან საბას მიხედვით საფლობ ტალახს აღნიშნავს<sup>1</sup>.

აღნიშნული სოფელი გაშენებულია მდ. ენგურის მარცხენა ნაპირზე, მის ნაკალაპოტარზე და როგორც ჩანს, სოფელმა აქედან მიიღო სახელწოდება — ლია.

სოფელს აღმოსავლეთის მხრიდან ბორცოვანი ზოლი გასდევს. ერთ-ერთ ბორცვზე, რომელსაც ადგილობრივი მოსახლეობა „დიდა ქირსას“ უწოდებს, მდებარეობს შუა საუკუნეების ციხის ნანგრევები.

ტოპონიმი „დიდა ქირსა“, ქრისტეს დედას ანუ ღვთისმშობელს ნიშნავს ზეგრულად. ეს კი იმის მანიშნებელი უნდა ყოფილიყო, რომ აღნიშნულ ბორცვზე თავის დროზე ღვთისმშობლის სახელზე ნაგები ეკლესია იდგა, რომლის ნაშთი გათხრამდე ზედაპირულად არ ჩანდა.

ბორცვი „დიდა ქირსა“ კვერცხისებური მოყვანილობის, 70—80 მ სიმაღლის გორაა, რომელიც დამხრობილია ჩრდილო-დასავლეთიდან, სამხრეთ-აღმოსავლეთით. მას საკმაოდ ციცაბო ფერდობები აქვს, რომლებზედაც ალაგ-ალაგ ზელოვნური ტერასებია გაკეთებული ისტორიულ ხანაში.

ბორცვის ფერდობები მოფენილია სხვადასხვა დროის კულტურული ნაშთებით — დაწყებული ელინისტური ხანიდან, ვიდრე გვიანფეოდალური ხანის ჩათვლით, რაც ამ ბორცვზე ხანგრძლივი პერიოდის მანძილზე უწყვეტ ცხოვრებაზე მიუთითებს.

ბორცვის ჩრდილო-დასავლეთ მხარეს, მის თხემზე შემორჩენილია ციხის ნანგრევები, რომლის ფართობი დაახლოებით 1200 კვ. მ-ია. გალავნის კედლები ნაგებია რიყის ქვით, დულაბად გამოყენებულია სილანარევი კირი. გალავნის კედლის ყველაზე მაღალი ნაშთი შემორჩენილია ნაციხვრის სამხრეთ-აღმოსავლეთ მხარეს. მისი სიმაღლე 4 მ-მდეა, ზოლო სიგრძე — 10 მ.

აღსანიშნავია, რომ გალავნის შემორჩენილი კედლების სისქე არათანაბარია. ასე მაგალითად, „გოჩის ღელეს“ მხარეს, რომელიც ციხის სამხრეთ-აღმოსავლეთით მდებარეობს კედლის სისქე 1 მეტრს არ აღემატება, ხოლო ზოგან 2 მ-მდეც აღწევს. აღნიშნული კედლები ერთმანეთისაგან განირჩევიან არა მარტო სისქით, არამედ მათ შორის საგრძნობი განსხვავებაა მშენებლობის ტექნიკის მხრივაც, რაც ნათლად მეტყველებს აღნიშნული ციხის არაერთგზის დანგრევა-განახლებაზე, მის რამდენიმე სამშენებლო პერიოდზე.


ციხის თხემზე ერთმანეთის გასწვრივ, ერთ ხაზზე შემორჩენილია სამი კოშკის ნანგრევები, რომლებიც ენგურის ხეობას გადაჰყურებენ (სურ. 1). მათ შორის შედარებით უკეთ დაცულია ის ორი კოშკი, რომლებიც გვიანფეოდალურ ხანაში, „დიდა ქირსაზე“ ციხის შექმნასთან დაკავშირებით გალავნით იქნა შემოზღუდული. აღნიშნული კოშკები ნაგებია რიყის ქვით სილანარევი კირზე. მათი კედლების სისქეც არათანაბარია, ზოგან 1,20 მ, ზოგან 1,65 მ.

მათი ძირა ფენა, ნაგებია ჰორიზონტალური წყობით და საგანგებოდ შერჩეული ერთნაირი ზომის დიდრონი რიყის ქვებით, რაც დასავლეთ საქართველოს პარალელური მასალების საფუძველზე (შხეფის ციხე, ჭაქვინჯი და სხვ.) ჩვენში ადრეფეოდალური ხანის ძეგლებს ახასიათებთ.


<sup>1</sup> ს. ს. ო რ ბ ე ლ ი ა ნ ი, სიტყვის კონა, თბ., 1949, გვ. 189.

<sup>2</sup> ძეგლი გათხარა ჩვენ მიერ 1968-69 წწ., ენგურის არქეოლოგიურ ექსპედიციაში მონაწილეობის დროს.

1968  
T1714-1010  
T1714-1010



01011 11 200



11 200

აღნიშნული ციხის ტერიტორიის რელიეფი უსწორმასწოროა და შესამჩნევადაა დაქანებული სამხრეთ-აღმოსავლეთისაკენ. ციხის მშენებლებს ეს გარემოება თავიდანვე გაუთვალისწინებიათ, რათა ციხის ტერიტორიაზე ნაღებების დროს წყალი არ დატბორებულყო მის სამხრეთ-აღმოსავლეთ გალავნის კედელში დაუტანებიათ ოთხი სადრენაჟო ხვრელი, ოთხი ბრტყელი ქვით ამომენებულნი.

სოფელ ლიას ციხის ნანგრევები პირველად დაიხვერა 1964 წელს ენგურისა და ერისწყლის ხეობებში დიდი ელექტროსადგურის მშენებლობის დაწყებასთან დაკავშირებით შექმნილ ენგურის არქეოლოგიური ექსპედიციის მიერ, რომელსაც ევალეზოდა მშენებლობის ზონაში მოქცეული მატერიალური კულტურის ძეგლთა შესწავლა.

იმავე წელს ბორცვ „დიდა ქირსას“ თხემზე გავლებულ იქნა საძიებო თხრილები, რომელშიც თავი იჩინა აგურით ნაშენმა, გეგმაში წრიული მოყვანილობის ნაგებობის ნაშთმა, რაც გამთხრელების მიერ პირობით კოშკად იქნა მიჩნეული<sup>3</sup>.

ამავე თხრილებში აღმოჩნდა რამდენიმე უინვენტარო ორმოსამარხი, რომლებშიც მიცვალებულები დაკრძალული იყვნენ ქრისტიანული წესით — გულამა, თავით დასავლეთისაკენ. ეს ადგილი სამაროვნად იყო გამოყენებული ზემოაღნიშნული ნაგებობის დანგრევის შემდეგ.

1968 წელს ენგურის არქეოლოგიურმა ექსპედიციამ განაახლა არქეოლოგიური სამუშაოები ბორცვ „დიდა ქირსაზე“. მის მიზანს წარმოადგენდა უშუალოდ ციხის ტერიტორიაზე და მის გარეთ შემორჩენილ ნანგრევთა რაობის გარკვევა და მათი ქრონოლოგიური თარიღის დადგენა.

პირველ რიგში გადაწყვიტეთ იმ ნანგრევის რაობის გარკვევა, რომლის ნაწილი გამოვლენილი იყო 1964 წელს გავლებულ სადაზვერვო თხრილში და რაც, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, კოშკად იყო მიჩნეული.

ჩვენი დაეჭვება ამ ნაგებობის ნაშთის ასეთი განსაზღვრის მიმართ დიდი იყო რამდენადაც იგი მოხაზულობით ეკლესიის ნააფსიდარს უფრო გავდა.

ამ პოსტულატს ისიც აძლიერებდა, რომ, როგორც ზემოთ უკვე აღვნიშნა, ადგილობრივი მოსახლეობა ამ ბორცვს „დიდა ქირსას“ უწოდებდა, თუმცა მათთვის უცნობი იყო ამ ტოპონიმის წარმომავლობა და მით უმეტეს ბორცვზე ეკლესიის მსგავსი რაიმე ნაშთის არსებობაც კი.

ნანგრევის კონტურების მთლიანად გამოჩენის მოზნით დავიწყეთ ადრე-გავლებული საძიებო თხრილის გაფართოება, რამაც შემდეგი სურათი გადავიშალა.

ეს ნანგრევი, უდავოდ, წარმოადგენდა ეკლესიის აფსიდის ნაშთს, სამწუხაროდ, ძლიერ დანგრეულს.

ეკლესია თავის დროზე ნაგები ყოფილა რიყის ქვით, რომლის კედლებში გამოყენებული ყოფილა სწორკუთხოვანი აგურის (32X22X5 სმ) ფენა, ე. ი. იგი აშენებული ყოფილა ადრეზიზანტიური ხანისათვის დამახასიათებელი არქიტექტურული წესით<sup>4</sup>, რომლის წყობა ცნობილია „opus mixtum“-ის სახელწოდებით და რომელიც პარალელებს პოულობს, ღვსავლეთ საქართვე-

<sup>3</sup> რ. აბრამიშვილი, თ. შიქელაძე, რ. რამიშვილი, მ. ბარამიძე, ენგურის არქეოლოგიური ექსპედიციის შედეგები, XIV სამეცნიერო სესია მიძღვნილი 1964 წელს საეკლესიო-არქეოლოგიური კვლევა-ძიების შედეგებისადმი, მოკლე ანგარიშები, თბ., 1965, გვ. 13

<sup>4</sup> Cagnat et Clapot, Les monuments, Paris, 1910, გვ. 110.

ლოში შემორჩენილი ამ პერიოდის ძეგლებში (ბიჭვინთა, ვაშნარი, სეფიეთი, ვარდციხე, სკანდე, შორაპანი, ტოლები და სხვ.).

გაირკვა, რომ ეკლესიის საძირკვლის ამოყვანისთანავე მშენებლებს მიწის ზედაპირი მოუსწორებიათ და მოყვითალო თიხის სქელი ფენით (30 სმ) მოუტყეპნიათ, შემდეგ მასზე მოუხავეთ 3 სმ სისქის სილანარევი კირის ხსნარი, რომელშიც დანაყილი აგურია შერეული, რის გამოც იატაკს მოწითალო-ელფერი დაჰკრავს.

აქ ბლომად აღმოჩნდა წითლად შეღებილი ბრტყელი კრამიტის ნატეხები, რომლებიც აშკარად აღრეფეოდალურ ხანას მიეკუთვნებიან.

აღნიშნული ეკლესია აღრეფეოდალურ ხანაშივე ჩანს დანგრეული და მისგან მხოლოდ ნააფსიდარის ნაშთმა მოაღწია ჩვენამდე. ეკლესიის დანგრევის შემდეგ, მასში ორმოსამარხები ჩაუჭრიათ, რომლებიც გვიანფეოდალურ ხანას ეკუთვნიან. მათში მიცვალებულთა ძაღზე დაშლილი ნაშთებია აღმოჩნდა. ისინი დაკრძალული იყვნენ ქრისტიანული წესით — გულამბა, თავით დასაველეთისაკენ. სამარხთა დიდი უმრავლესობა უინვენტარო აღმოჩნდა.

მიცვალებულები, კბილების მოცვეთილობის მიხედვით, ძირითადად ახალგაზრდანი ჩანან და, შესაძლოა, ამ შემთხვევაში ციხის დამცველთა სამარხებთან გვქონდეს საქმე.

იმ მიზნით, რომ ეკლესიის ნააფსიდარის გარდა მისი კონტურები გაგვერკვია, ციხის ცენტრალურ ნაწილში გავავლეთ ფართო თხრილები.

პირველ თხრილში 30 სმ სისქის მიწის ფენის ალების შემდეგ აღმოჩნდა ადამიანის ძვლების ნაშთები, რომლის პრეპარაცია არ მოხერხდა, რადგანაც ძლიერ დაშლილი იყო. იქვე აღმოჩნდა წითლად გამომწვარი ქოთანის, რომელსაც ეელი ჰქონდა მომტყრეული და მხრებზე ჭდეული, ფრჩხილებისებრი ორნამენტი ამშვენებდა ორ რიგად.

მეორე თხრილი, პირველი თხრილის დასაველეთით გაიჭრა. აქ აღმოჩენილი ორმოსამარხში ლამბაქის მოყვანილობის რკინის ჭრაქი იღო, სამი კოპისმაგვარი ფეხით.

მესამე თხრილში აღმოჩნდა ადამიანის დაშლილი და არეული ძვლები. სამივე საცდელი თხრილი, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, გაიჭრა ნაეკლესიარის კონტურების დასადგენად, მაგრამ უშედეგოდ, რადგანაც ეკლესია საფუძვლიანად იყო დანგრეული.

ციხის ტერიტორიაზე ამჟამად არსებული მიწის ფენის სისქე 50—90 სმ-ია, შემდეგ კი დედაქანია. ბუნებრივია, ციხის ტერიტორიაზე უნდა ყოფილიყო რაიმე საცხოვრებელი ნაგებობაც, მაგრამ როგორც დასაველეთ საქართველოს ამ ტიპის ნაგებობებს ახასიათებთ, მათ ძირითად სამშენებლო მასალად ხეა გამოყენებული, და ამიტომაცაა, რომ მისი ნაშთი უკვალდაა გაშქრალი.

ამ მიზნით იყო გავლებული სადაზვერვო თხრილები № 4, 5, 6, რომლებშიც აღმოჩნდა ჭურჭელთა რამდენიმე უსახური ნატეხი და ერთი კაჯის ლამელა (იხ. ენგურის არქ. ექსპედიციის საინვენტარო დავთარი, № 1).

გვიანფეოდალურ ხანაში, ე. ი. იმ დროს, როდესაც ბორცვ „დიდა ქირსაზე“ ციხე აშენდა, მასზე მდებარე სამ კოშკთან ორი შემოიზღუდა გალავნით. ამ გალავნის მერმინდლობა დაუევირვებელი თვალისათვისაც ადვილად შესამჩნევია, რადგანაც იგი სარტყელივით გარშემოუყვება აღრეფეოდალურ ხანაში ნაგებ კოშკებს.

ციხის ტერიტორიის გარეთ, მის უშუალო მისადგომთან მერვე თხრილი გაიჭრა, თხრილში მრავლად აღმოჩნდა ბრტყელი და ღარისებრი კრამიტის ნატეხები, რომლებიც თავიანთი იერით (წითლად შეღებილობა, აკეცილი გვერდების სიმაღლე, მათ ძირში საწვებარი ღარის არსებობა და სხვა), ადრეფეოდალურ ხანას განეკუთვნებიან.

როგორც ჩანს, აქ უნდა მდგარიყო კრამიტით დაბურული რაღაც ნაგებობა, რომელიც ციხის შექმნის დროისათვის უკვე აღარ არსებობდა.

„დიდა ქირსაზე“ ციხის მშენებლობის დამთავრების შემდეგ ციხის უკეთ დაცვის მიზნით, მის აღმოსავლეთით, გალავნის ძირას, მთელს სიგრძეზე გაუჭრიათ ღრმა თხრილი, რომელიც ბორცვსაც ორ ნაწილად ჰყოფს.

მეცხრე თხრილი გავლებულ იქნა მერვე თხრილს ჩრდილოეთით წელარებით მოწორებულ ადგილას. აქ მიწის ფენის სისქე 30 სმ არ აღემატებოდა და პირველი ფენის ალებისთანავე თავი იჩინა ბრტყელი და ღარისებრი კრამიტის უამრავმა ნატეხმა, რაც იმ ფაქტის ნათელი დადასტურებაა, რომ კოშკებიც თავის დროზე კრამიტით ყოფილა გადახურული.

ამავე თხრილში აღმოჩნდა პატარა ქვევრი, დამტვრეული ქოცო, რომლის პირს ჭდეული ორნამენტი შემოუყვება, ხოლო მუცელზე ხელოსნის ცერის ანაბეჭდებით შექმნილი ორნამენტის რამდენიმე რიგი.

როგორც ზევით დავინახეთ ციხის ტერიტორიაზე თუ მის გარეთ გავლებულმა საცდელმა თხრილებმა, მეტყველი მასალა არ მოგვცა, ამიტომ ვადავწყვიტეთ პირველ რიგში იმ კოშკის გათხრა, რომელიც ციხის დასავლეთ მხარეს მდებარეობს და რომლის შემორჩენილი სიმაღლე 4 მ-მდეა. კოშკის ფართობი 12 კვმ-ია. მისი კედლები არათანაბარი სისქისაა. ჩრდილო კედლის სისქე 1,40 მ-ია, აღმოსავლეთის — 1,65 მ, სამხრეთ კედლისა კი 1,20 მ. კოშკს შიდა კუთხეები ოდნავ მომრგვალებული აქვს. მისი დასავლეთი კედელი, როგორც ჩანს, მშენებლობის ტექნიკის მიხედვით, მთლიანადაა აღდგენილი იმ დროს, როდესაც მას გალავანი შემოავლეს და ციხე შეიქმნა, ე. ი. გვიანფეოდალურ ხანაში.

კოშკის პერანგის ძირა ფენის ოთხრიგი წყობა, ნაგებია თითქმის სავანგებოდ შერჩეული ერთნაირი ზომის რიყის ქვით სილანარევე კირზე და იგი მეტნაკლებად ჰორიზონტალურია. მას გარე შელესილობის კვალიც ემჩნევა. შემდეგი წყობა კი შედგება შედარებით მომცრო რიყის ქვებისაგან, რომლის მშენებლობაშიც აგურის ნატეხებიც არის გამოყენებული. მათი სისქე 4 სმ-ია.

ეს ნატეხები უეჭველად ეკლესიის ნანგრევებიდან მომდინარეობენ, რადგანაც მათი ფაქტურა იდენტურია ნაეკლესიარზე წყობაში შემორჩენილი მთელი აგურებისა. ეს კი ამ დასკვნის საშუალებას იძლევა, რომ კოშკის კედლების ეს ნაწილი შეკეთებულია ეკლესიის დანგრევის შემდეგ. აღნიშნული კოშკის ქვედა წყობა არა მარტო თვალნათლივ განსხვავდება აგურნარევი ზედა წყობისაგან, არამედ დუღაბის შემადგენლობითაც.

ქვედა წყობის დუღაბი მოთეთრო ფერისაა და სილანარევი კირისაგან შედგება, ზედა წყობისა კი უფრო მონაცრისფროა და სილა უფრო ჭარბად არის ნახმარი.


კოშკის ქვედა წყობის სიმაღლე 1 მეტრამდეა, მის მომდევნო წყობისა კი 1,20 მ-ია.

ამის შემდგომ იწყება ამ ორი წყობისაგან სრულიად განსხვავებული წყო-

ბა, რომელიც შედგება რიყის წვრილი ქვებისაგან. ეს უკანასკნელი მსგავსია გალაგნის წყობისა, ე. ი. ციხის გალაგნის აშენების დროს, მშენებლებს გამოუყენებიათ ამ კოშკის შემორჩენილი სიმაღლე და მისი კედლები აუმაღლებიათ.

ამჟამად ამ მესამე სამშენებლო პერიოდის კედლებს შემორჩენილი სიმაღლე 2,65 მ-ს უდრის.

ამრიგად, ამ კოშკში მშენებლობის ტექნიკის განსხვავების მიხედვით სამი სამშენებლო პერიოდი გამოიყო.



სურ. 2.

ზემოთ აღნიშნულ სამშენებლო პერიოდებს შეესაბამება ის არქეოლოგიური მასალა, რომელიც კოშკის ამოწმენდისას აღმოჩნდა (სურ. 2).

პირველი კოშკის ამოწმენდის შემდეგ გადავედით მეორე კოშკზე, რომელიც ციხის ჩრდილო-დასავლეთ კუთხეში მდებარეობს. იგი პირველ კოშკთან შედარებით უფრო დაზიანებულია და შემორჩენილი სიმაღლე 2 მ-მდე აღწევს. იგი თავისი მოყვანილობისა და წყობის მიხედვით პირველი კოშკის მსგავსია.

მასში კორდოვანი ფენის აღებისთანავე აღმოჩნდა XVIII ს-ის თურქული ფაიანსის ქურჭლის ნატეხები, რომლებიც საყრდენ მასალას იძლევა ციხეზე ცხოვრების ზედა თარიღის გამოსარკვევად (სურ. 2).

ეს კოშკიც ბოლომდე იქნა გათხრილი. მისი თხრის დროს ძირითადად ჩნდებოდა სხვადასხვა სისქის კეცის მქონე ქურჭელთა უსახური ნატეხები, ხოლო კოშკის საძირკვლის ძირში (სურ. 2) აღმოჩნდა კოლხური ქვევრის ძირგვერდის ნატეხი, რომელიც პარალელური მასალების მიხედვით გვჩანს ელინისტურ ხანას მიეკუთვნება (II—I სს.). ამ აღმოჩენის საფუძველზე უფლება გვაქვს ვამტკიცოთ, რომ ციხე დაფუძნებულია ელინისტური ხანის ნასახლარ ფენაზე (აქვე აღვნიშნოთ, რომ ელინისტური ხანა ბორცვ „დიდა ქირსას“ ფერდობებ-

ზე ანაკრებ თუ განათხარ მასალებში ყველაზე მძლავრად არის წარმოდგენილი, სხვა პერიოდთან შედარებით).

როგორც ზემოთ იყო აღნიშნული ბორცვ „დიდა ქირასას“ საკმაოდ დამრეცი ფერდობები აქვს. ბუნებრივია, ციხეს შესასვლელი კარი უნდა ჰქონოდა, რომლის კვალი ამჟამად არა ჩანს, მისი გალავნის კედლების ცუდად დაცულობის გამო, მაგრამ საგულისხმოა, რომ იგი ციხის გალავნის ჩრდილო-დასავლეთ კედელში უნდა ყოფილიყო, რადგანაც ამ მხარეს ბორცვის ფერდობი ნაკლებად დაქანებულია და ამრიგად, ქვეითისა თუ ცხენოსანისათვის უკეთ მისადგომი.

ექსპედიციის მიერ ამ ბორცვის ფერდობებიც იქნა მოსინჯული. ბორცვის ჩრდილო ფერდობზე, ერთ-ერთ ტერასაზე გავლებულ თხრილში აღმოჩნდა ოთხი დიდი ქვევრის ძირგვერდი. ქვევრები დაკირული იყვნენ და გვიანფეოდალური ხანით დათარიღდნენ. ამჟამად, რომ აქ საქმე გვქონდა ციხესთან ქვეშირში მყოფ ღია მარანთან.

ბორცვ „დიდა ქირასას“ ძირას მის სამხრეთ-დასავლეთ მხარეს, მშრალი ხევის დასაწყისში მდებარეობს კლდე-კარი, რომელსაც ადგილობრივი მოსახლეობა „გოხორხილს“ უწოდებს (რაც, გახეხილს ნიშნავს).

როგორც ჩანს, ამ მშრალ ხევიში დროთა განმავლობაში ნალექების დროს ნოვარდნილ წყალს მის გზის გადამლობი ათიოდე მეტრის სიგანისა და დაახლოებით ამდენივე სიმაღლის კლდე თანდათანობით დაუღრმავებია, ხოლო ადამიანის ხელს იგი გაუფართოვებია და საურმე გზად უქცევია. ეს მშრალი ხევი უძველეს ნაგზაურს წარმოადგენს, ამჟამადაც იგი წალენჯიხისაკენ მიმავალ უმოკლესი გზაა.

გავეცნოთ არქეოლოგიური თხრის შედეგად მოპოვებულ ზოგიერთ ნიმუშს, რომლებიც ძეგლის დათარიღებისათვის საიმედო მასალას იძლევა.

1. ქრთანი, წითლად გამომწვარი, ნაკლული (პირყელის ნაწილი აკლია), მუცელგანიერი, თხელკედლიანი, მხრებზე შემოუყვება ორმწკრივი ამოკაწრული ხაზოვანი ორნამენტი.

2. ორი სხვადასხვა კოჭობის პირგვერდის ნატეხი, რუხი ფერისა. ერთ მათგანს დაბალ ყელზე ჭდეული ორნამენტი გასდევს, ხოლო მხრებზე კი ხაზოვანი, მეორეს ყელი უფრო მაღალი და სწორი აქვს, ხოლო მხრებზე ჯერ კიდევ სველ თიხაზე ჩხირით დატანილი ზიგზაგისებრი ორნამენტი გასდევს.


3. მრგვალი რკინის „ჭრაქი“, რომელსაც ძირზე სამი კოპი აზის საყრდენად. გვიანფეოდალური ხანა (სურ. 3, 7).

4. პატარა „ჭინჭილა“, თხელკანიანი, მოთეთრო-მოყვითალო ფერის, ნაკლული (აკლია პირყელის ნაწილი და ყური). მხრებზე ოდნავ შესამჩნევი ორი პარალელური ხაზი შემოუყვება. ეტყობა წითლად შეღებილობის კვალიც, ადრეფეოდალური ხანისა (სურ. 3, 12).

5. შინის ჭურჭლას ნატეხები, რომლის მსგავსიც პარალელური მასალების მიხედვით, V—VI სს. ეკუთვნის (სურ. 3, 1).

6. მოჭიქული ჯამის ნატეხი, რომელიც (რუსთავის, დმანისის, თბილისის) პარალელურ მასალებთან შედარების საფუძველზე XI-XIII სს. თარიღდება (სურ. 3, 11).

<sup>6</sup> განსაზღვრა ისტ. მეცნ. კანდ. ნ. უგრელიძემ.



სურ. 3.

7. ბრტყელი კრამიტის ნატეხი, წერანქიანი, ავეცილი გვერდის სიმაღლე — 5 სმ, კეცის სისქე — 2 სმ, ადრეფეოდალური ხანის (სურ. 2, 1, 2).

8. კოლხური ქვევრის ძირგვერდის ნატეხი, კეცი დამზადებულია მსხვილ-მარცვლოვანი თიხისაგან, რომელსაც მინდვრის შპატის მსხვილი ნაწილაკები აქვს შერჩენილი. ზედაპირი შეშეულია ე. წ. „სავარცხლის ტექნიკით“ გამოყვანილი ირიბი მიმართულების რელიეფური ვიწრო ხაზებით (II-I სს. ძვ. წ. აღრიცხვით (სურ. 2, 4).

ამრიგად, ბორცვ „დიდა ქირსაზე“ წარმოებულმა არქეოლოგურმა თხრამ დაგვანახა, რომ: 1. ბორცვის თხემზე ცხოვრების კვალი გვიანელინისტური ხანიდან ჩანს სავარაუდებელი (მხედველობაში გვაქვს მეორე კოშკის საძირკვ-

ლის ქვეშ აღმოჩენილი კოლხური ქვევრის ნაშთი); 2. აღრეფეოდალურ ხანაში აქ აუცილათ ჭერ ეკლესია და შემდეგ კოშკები; 3. ბორცვ „დიდა ქირსაზე“ ციხე შეიქმნა გვიანფეოდალურ ხანაში, როდესაც შემოიზღუდა გარკვეული ტერიტორია მასში მოქცეული ორი კოშკით, რომ ეს გალავანი გვიანდელია, ამას ადასტურებს გალავნის საძირკვლის ქვეშ მერვე თხრილში აღმოჩენილი მოჭიქული ჭამის ნატეხი, რომელიც პარალელური მასალების მიხედვით XI-XIII საუკუნით არის დათარიღებული (სურ. 3, 11).

„დიდა ქირაას“ ციხის შესახებ ცნობა ისტორიულ წყაროებში არ მოიპოვება, მაგრამ ცხადია, რომ ამ ადგილას ჯერ კოშკების აგება და შემდგომ ციხის შექმნა თავისებური პირობებით იყო განსაზღვრული.

ცნობილია, რომ განცალკევებით მდგარი კოშკი სიმაგრის მარტივ სახეს წარმოადგენს და ფუნქციონალურად იგი სადარბაზო ან საცხოვრებელ-თავდაცვითია. ამას გარდა კოშკი ჩვენში არსებული ყველა ციხე-სიმაგრის, ანტიკური ხანიდან დაწყებული, ვიდრე გვიანდელდღაღური ხანის ჩათვლით, აუცილებელი ატრიბუტია.

ციხისთვის ადგილს შერჩევას მრავალი მიზეზი განაპირობებდა.

საერთოდ ციხე, ეს პოლიტიკური (და სოციალური) ბატონობის საშუალება (და ნიშანი) არა მარტო გზის ყელზე იდგა, არამედ გზას თავისაკენ ეწეოდა. ამა თუ იმ ციხის „შეშავალ“ ქვეყანაში გამგლეოი, რასაკვირველია, გვერდს ვერ აუქცევდა ამ ციხეს, ხოლო მთელი საქართველო ხომ გარკვეულ დროს ასეთ საციხისთაო ტერიტორიული ერთეულებსაგან შედგებოდა<sup>6</sup>.

ამრიგად, „დიდა ქირსას“ ციხეს ენგურის ხეობაში მნიშვნელოვანი ადგილი უნდა სჭეროდა. ეს ხეობა კი დასავლეთ საქართველოში უძველეს დროიდან ერთ-ერთ უმთავრეს სავაჭრო არტერიას წარმოადგენდა, რომელიც შავი ზღვის სანაპიროს კავკასიის მთიანეთთან აკავშირებდა.

ციხე „დიდა ქირსა“ თავისი მოხერხებული გეოგრაფიული მდებარეობის გამო კონტროლს უწევდა, ერთი მხრივ, სვანეთისაკენ მიმავალ დიდ სავაჭრო გზას, ხოლო, მეორე მხრივ, წალენჯიხისაკენ მიმავალ უმოკლეს გზასაც.

<sup>10</sup> ნ. ბერძენიშვილი, საქართველოს ისტორიის საკითხები, I, თბ., გვ. 307.

Д. К. ДЖГАМАЯ

## СРЕДНЕВЕКОВАЯ КРЕПОСТЬ В СЕЛЕ ЛИА

## Резюме

Статья посвящена археологическому изучению развалин средневековой крепости на холме «Дида Кирса» в селе Лиа (Цаленджихский р-н). Раскопками выяснилось, что холм был освоен в эллипстическую эпоху. В раннем средневековье на нем были построены церковь и башни. Ограда крепости относится к позднему средневековью. Крепость, благодаря удобному местоположению, имела определенное значение в Энгурском ущелье, контролируя древнейшую торговую дорогу.

წარმოადგინა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ი. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის არქეოლოგიის და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის შუა საუკუნეების არქეოლოგიის განყოფილებამ.

## ლონგინო სუმბაძე

### „მოქცეული“

(დარბაზული საცხოვრებლის გენეზისისათვის)

„მოქცეულის“ პირველი გრაფიკული გამოსახულება და ნოკლე აღწერა მოცემული აქვს ცნობილ ეთნოგრაფს სერგი მაკალათიას 1933 წ. გამოცემულ მონოგრაფიულ ნარკვევში „ფშავი“. ფშაური ნაგებობის ეს სახე მან სამართლიანად ქართლური დარბაზის ტიპის საცხოვრებლად მიიჩნია.

გაცილებით გვიან ამ ტერმინის შესაბამე. ჩვენთვის საინტერესო მნიშვნელობა „აღმოვაჩინეთ“ ს. ს. ორბელიანის სიტყვის კონაში. „მოქცეულის“, როგორც გადახურვის სახეობის არსებობა ს. ს. ორბელიანის ლექსიკონში, რომელშიც არ მოიპოვება არა მხოლოდ დარბაზის, ძველქართული საცხოვრებლის ამ უმნიშვნელოვანესი ტიპის განმარტება, არამედ მისი მთავარი დამახასიათებელი ნაწილების — გვირგვინის, ერდოს (სასინათლო სარკმლის მნიშვნელობით) დედაბოძის, ცნებებიც, ღიდმნიშვნელოვან ფაქტად უნდა ჩაითვალოს.

ზემოხსენებულ მონოგრაფიაში ს. მაკალათიას, „მოქცეულის“ მხოლოდ ერთი ნახაზი — განივი ჭრილი აქვს გამოქვეყნებული. ფშაური მოქცეულის მიგნება და მისი ნატურაში გამოკვლევა ამიერიდან ძველქართული საცხოვრებლის შესწავლის უმნიშვნელოვანეს ღონისძიებად დაგვეთავაზოს.

ჩვენმა ექსპედიციამ ფშავ-ხევსურეთში (თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიის არქიტექტურის კათედრა) 1966 წ. მდიდარი მასალა შეაგროვა ფშაურ საცხოვრებელ ნაგებობებზე, ძირითადად უკანაფშავის სოფლებში. (რაიონში, სადაც ს. მაკალათიამ მოქცეული დააფიქსირა), მაგრამ ამ ტიპის საცხოვრებლის კვალს ვერ მიაგნო. ფშავ-ხევსურეთის შესანიშნავი მცოდნის განხევენებული აღ. ოჩიაურის სიტყვით, (რომლის კონსულტაციითაც დაზუსტდა ექსპედიციის მარშრუტი), ს. მაკალათიას გამოკვლეული მოქცეული სოფ. შუიფხოში ნი-იანი წლების დასაწყისში ყოფილა დანგრეული.

აკად. გ. ჩიტაიასა და განსვენებულ ვ. ბარდაველიძის რჩევით 1972 წელს გავეცანით ივ. ჯავახიშვილის მოთავეობით 1935 წ. შეკრებილი მასალები დედანს შინამრეწველობისა და ხელოსნობის ისტორიისათვის.

ჩვენთვის სრულიად მოულოდნელად ამ მასალებში აღმოჩნდა მოქცეულის ვრცელი და ძირითადად გასაგები აღწერილობა. მოულოდნელად, რადგან ივ. ჯავახიშვილის კაპიტალურ ნაშრომში, რომელიც ამ მასალების შესწავლის საფუძველზე იყო დაწერილი, და რომელშიც გარკვეული იყო დარბაზულ საცხოვრებელთან დაკავშირებული მრავალი საკითხი, (ტერმინ „დარბაზის“ წარმომავლობის ჩათვლით) — „მოქცეულზე“ არაფერია ნათქვამი.

<sup>1</sup> ს. მაკალათია, ფშავი თბ., 1933 გვ. 109.

ამ აღწერილობის განსაკუთრებული მნიშვნელობა იმაში მდგომარეობს, რომ შიგ მოცემულია გვირგვინული გადახურვის დღემდე უცნობი სახე, ის დაკარგული რგოლი, რომელიც ერთმანეთთან აკავშირებს გრძივგვირგვინულ (ოღურ, შირვანულ) და ცენტრულ-გვირგვინულ (დარბაზულ) გადახურვებს.

ცნობები მოქცეულის შესახებ ჩაწერილია ვ. ჩოხელაშვილის მიერ ს. შარახევში ანუ მარაულებში (ზემო თიანეთი) მცხოვრებ მთხრობლებთან. ამ ობიექტის ნატურაში მიგნება უკანასკნელად ვიღონეთ გ. ჩიტაიასთან ერთად 1973 წელს. ხალხური ხუროთმოძღვრებისა და ყოფის მუზეუმის ხაზით ჩვენ მოვინახულეთ ქვედა ფშავის რამდენიმე სოფელი, სადაც ზოგიერთი ცნობებით ამ ტიპის სახლები უნდა ყოფილიყო შემორჩენილი, მაგრამ უშედეგოდ.

ეს უმნიშვნელოვანესი, რელიქტური ფორმა, ძველქართული საცხოვრებელი სახლისა, როგორცაა ჩანს უკვალოდ არის გამქრალი.

ამ გამოკვლევის მიზანია, არსებული, დაე არასრულყოფილი, მაგრამ დიდ-მნიშვნელოვანი მასალების საფუძველზე გაარკვიოს საცხოვრებლის ამ რელიქტური ფორმის, ფშავში ფიქსირებული „მოქცეულის“ მნიშვნელობა და აღგილი ქართული საცხოვრებლის ძირეული ფორმის წარმოშობასა და განვითარებაში.

#### 1. მოკლე აღწერა ს. მაკალათიას „ფშავის“ მიხედვით


ფშავური ძველი ქვეტყირის სახლის აღწერის შემდეგ ს. მაკალათია განმარტავს, რომ „ჭერის საკომი თავისი კონსტრუქციით ორგვარია: ერთია სადა და ოთხკუთხედი, რომელსაც ბანზე „საკმად კოდი“ (საკომურის კოდი) აყუდია, მეორე კი ქერში გვირგვინივითაა გამოწყვანილი და მას „მოქცეულს“ უწოდებენ“. შემდეგ მოდის ამ სახლის მოკლე აღწერა:

„ამ მოქცეული სახლის ეს გვირგვინი ისეთივეა, როგორიც არის ქართლის დარბაზის გვირგვინი<sup>2</sup>, საიდანაც სახლში შუქი შემოდის და კერის კვამლი ბანიდან გადის.



ფშავური დარბაზის გვირგვინი გამართულია წინა ბოძზე და დედაბოძზე. დედაბოძი მოჩუქურთმებულია და სხვადასხვა გეომეტრიული ფიგურებითაა ნაჭრელი. დედაბოძს თავზე აყუდია დათვი, ამგვარი დედაბოძიანი და გვირგვინიანი სახლი დღეს კარგად დაცულია სოფ. შუაფხოში“. (გვ. 109), ნახ. 1-ზე (ს. მაკალათიასთან სურ. 41) მოცემულია ამ მოქცეულის ჭრილი და გეგმის ჩვენი რეკონსტრუქცია.

უნდა ვიფიქროთ, რომ დარბაზი სამშალიანია ორი განივი თავხით, რომლებსაც შუაში დედაბოძები აქვთ შედგმული. ეს ჩანს იქიდან, რომ „გვირგვინი გამართულია წინაბოძზე და დედაბოძზე“. სახლი რომ ოთხმშალიანი იყოს (როგორც შარახევის მოქცეული), მაშინ გვირგვინის წინა მხარე წინა ბოძზე კი არა—შუაბოძზე უნდა ყოფილიყო დაყრდნობილი. ს. მაკალათიას მიხედვით<sup>3</sup> გამოდის, რომ „მოქცეული“ ეწოდება საშუა-საკვამურ ერდოსაც, გვირგვინსაც, რომელიც ამ ერდოთი მთავრდება და დარბაზსაც, რომელიც ამ გვირგვინითაა დახურული. ეს მოქცეული, არც საერთო აღწერაში და არც დეტალებში, მართლაც არაფრით განსხვავდება უმარტივესი ქართლუ-

<sup>2</sup> მითითებულია გ. ჩუბინაშვილის რედაქციით 1926-1927 წწ. გამოცემული „ქართლის დარბაზი“ დილოში, წილქანში, მცხეთაში, ყარაღაჯსა და ნადარბაზევში.



ფშაური  
 «მოქცეული სახლი»  
 სოფ. შუაფხოვდან  
 ს. მაყალათის  
 მიხედვით



- 1 ღედაბოძი
- 2 წინაბოძი
- 3 დათვი
- 4 თაქხე
- 5 მოღვნი
- 6 ფიქრები  
და ლაჭი
- 7 საკომი

ქრილი შეასწორა  
 და გეგმა აღადგინა  
 ლ. სუმბატუმი 1978 წ.

რი დარბაზებისაგან, რომლებიც წარმოდგენილია ავტორის მიერ მითითებულ გ. ჩუბინაშვილის გამოცემებში.

ამგვარად „მოქცეული“ ს. მაკალათიას მიხედვით უმარტივესი სახის ორ დედაბოძიანი ქართლური ტიპის დარბაზია დასურული პარალელური წყობის დაბალი ოთხკუთხოვანი გვირგვინით. იგი გათლილი (ოთხკუთხოვანი კვეთის) მასალისაგანაა აგებული; მისი დედაბოძი და ბალიში („დათვი“) ტრადიციული ჩუქურთმითაც კია შემკული. ქართლ-კახური დარბაზებისაგან განსხვავებით, თავზე ამ მოქცეულისა სწორხაზოვანია, არა აქვს მას მშვილდური ფორმა, რაც ჩვენი აზრით გამომხატველის (თუ ამზომველის) უყურადღებობას უნდა მიეწეროს.

## II. „მოქცეული“ „შინამრეწველობისა და ხელოვნების ისტორიის მასალების“ მიხედვით

შარახეველი მთხრობლების კიტესა და პართელი მარაულების ცნობები მოქცეულის შესახებ მოცემულია ტექსტში, სათაურით „საცხოვრებელი სახლის აგება“<sup>3</sup>;

ამ წყაროს მიხედვით „მოქცეული“ წარმოადგენს მიწურ-ბანიანი სახლის თავისებურ გადახურვას, კერის ზემოთ.



ნახ. 2-ზე მოცემულია ამ სახლის ჩვენი რეკონსტრუქცია „მასალებიდან საქ. შინამრეწველობისა და ხელოსნობის ისტორიისათვის“ (ტაბ. 12). როგორც ჩანს, ამ ტექსტის ჩამწერს, ვასილ ჩოხელაშვილს „მოქცეული“ თვითონ არ უნახავს, რადგან მარაულების ცნობები შეეხება სახლის აგების ძველ წესებს:

სახლი ოთხმალიანია სამი განივი თავებით. პირველ თავზეს ერთი ბოძი აქვს შედგმული, მეორე და მესამე მალის თავზეს კი — ორ-ორი ბოძი, რომლებიც თავზეც „ადრეც იმათათვის მიზომილი და მიყენებული დათვებია გადადებულნი“. ამ თავებების ზემოთ, ეწყობოდა შოლტები, „პირველ ოთხ შოლტს დასდებენ ორ თავზედ დედაბოძებს შორის, ორ შოლტს ერთი გვერდის კედლისავე, და ორ შოლტსაც მეორე გვერდის კედლისავე ისე, რომ ამ დაწყობილ შოლტებს შორის დარჩენილი დიდი სივრცე დასცქეროდა კერისათვის მოსაზრულ შუაგულს...“ ამის შემდეგ მოდის მოქცეულის აგების აღწერა:

„დედაბოძებს შორის და ოთხი შოლტის შორის თავზედ იწყებენ მოქცეულის აგებას. თავებების გასწვრივ, შოლტების ბოლოებზე დასდებენ მოკლე შოლტებს: ერთს ზემოთა დედაბოძების თავზედ. მეორეს ქვემო დედაბოძების თავზედ, ისე რომ ახლად დადებული მოკლე შოლტის ბოლოები მოხმოდან დედაბოძებს შორის დადებულ შოლტებს, ერთს იქეთ და ერთს აქეთ. ასეთივე შოლტი ამნაირადვე უნდა დადებულიყო ქვემოთა დედაბოძების თავზედ. ამ ახლად დადებულ შოლტებზედ კიდევ დაწყობოდა ორი შოლტი აღმა-დაღმა ისე, რომ ოთხივე შოლტის ბოლოები ერთმანეთზე დადებებოდა. ამ შოლტებს ეძახოდნენ სხვადასხვა სახელს: ზოგნი იტყოდნენ სახანობლებიო, ზოგნი ასამაღლებელიო და ზოგნი სამკერებიო. ამ სახანობლების დაწყობა მეორდება სამამუხლად ისე, რომ ქვემოთა და გვერდების მხრის სახა-


<sup>3</sup> მასალები საქართველოს შინამრეწველობისა და ხელოსნობის ისტორიისათვის, ტ. I, აღმშენებლობა და ავეჯი, თბ., 1976, გვ. 174.

# გრძევიკუბრილი



1. დუდბოძი 2. სახანობელი სამსახურისა 3. სახანობელი 4. მუხრამილი, ფერხალი (სარიტუელისა) 5. სახანობელი (საქონლისა) 6. ხეხილი (დუდბოძისა) 7. სახანობელი 8. სახანობელი 9. სახანობელი 10. სახანობელი 11. სახანობელი 12. სახანობელი 13. სახანობელი 14. სახანობელი 15. სახანობელი 16. სახანობელი 17. სახანობელი.

სახ. 2. ფშუბი „მოქმედი სახლი“ ნ. მამუკაშვილისა და ხელისმძღვანელისა მასალების მიხედვით.



## ტრეკი

ტრეკი

«ტრეკი სახლი»

სოფ. შარაშვილი

შარაშვილისა და ხელისმძღვანელისა მასალების მიხედვით

0 1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17 18 19 20 21 22 23 24 25 26 27 28 29 30 31 32 33 34 35 36 37 38 39 40 41 42 43 44 45 46 47 48 49 50 51 52 53 54 55 56 57 58 59 60 61 62 63 64 65 66 67 68 69 70 71 72 73 74 75 76 77 78 79 80 81 82 83 84 85 86 87 88 89 90 91 92 93 94 95 96 97 98 99 100

აღადგინა ლ. მამუკაშვილი 1927 წ.

ნობლების თვითეულ წყობის დროს სივრცე თანდათან ვიწროვდებოდა და შიგნით მოიწევდა. უკანა დედაბოძების თავზე კი სწორად და ზევით მიდიოდა.

სახანობლების ერთმანეთზე დაწყობის დროს რომ მათ შორის სივრცე რჩებოდა, იქ, გასწვრივ აწყობდნენ დათილ, გრძელ ფიცრებს — ფარეკებს (ფარაქებსაც ეძახდნენ). ფარაქები და სახანობლები ერთმანეთზე გადაიბმოდა მათ შორის ხიდის მსგავსად ჩაკეტილი, სამკუთხად გათლილი, ორი მტკაველი სიგრძის მქონე მაგარი ხის ნაჭრით, რომელსაც ეძახდნენ წურმილს ანუ კადევ ფერცხალს. წურმელის მახვილი კუთხე (ბოლო) ერთი თავით ჩაჯდებოდა ფარეკის ნაპირში შესაფერად ჩაჭრილს ადგილებში, მეორე, აღმა მიმავალი ბოლო კი სახანობლის გვერდში. ამნაირად, სახანობლებისა, ფარეკებისა და წურმილების საშუალებით, სამიმხრიდან შუაგულისაკენ კიბე-კიბედ აღმა მიმავალი მოქცეული მწვერვალში იმდენად დავიწროვდებოდა, რომ დარჩენილი სივრცე ერთი ადგილი სიგრძე-სიგანისა და დარჩენილიყო, სადაც საკომი უნდა აგებულყო ოთხკუთხედ ჩაკეტილი მუხის ბრტყელი და სქელი ფიცრებისაგან ან კოდი უნდა ჩამოღმულიყო (საკომკოდი)“.

ამით მთავრდება მთხრობლების მიხედვით მოქცეულის აგება. „დახეილი მუხის ან სხვა მაგარი ჭილაგის ხის ჭერის“ დაყრა „ბანის მთელ სივრცეზედ“ „მოქცეულის დამთავრების შემდეგ“ ხდებოდა. სახანობლებს შორის დარჩენილი სივრცე შემდეგნაირად შეივსებოდა: „მოქცეულზე წურმილების ზევითა ბრტყელ თავზე (?) ფიცრებით დაიფარებოდა და შემდეგ აღმა მიცერებით ჭერი დაეყრებოდა, დაეწყობოდა“<sup>4</sup>.

მცირეოდენი მაგრამ მნიშვნელოვანი ცნობები მოქცეულის შესახებ ამავე „მასალებში...“ მოიპოვება შუაფხოს თემის სოფ. ახადის მცხოვრებ ზურაბ ხელაშვილის ნაამბობში, რომელიც უმთავრესად ფშაური საცხოვრებლის მეორე ტიპის, სახლ-ბოსლის აგებას ეხება.

„აქ სუ ბანური სახლები იცოდნენ და უფრო მეტად სახლ-ბოსელს ერთად აგებდნენ“ — ამბობს მთხრობელი და შემდეგ აგრძელებს; „მოქცეული სახლები აქაც იყო, ეხლაც კიდევ არი დარჩენილი, მაგრამ წესიერად აგებული მოქცეული აქ არავის ჰქონია. მოქცეული სახლები ფშავეში გვიან შემოსულა, უფრო — ქვევითა ფშავეში. ჩვენთან კი ისეთი ხის მასალა არსად არი და არც უწინდელ დროში იქნებოდა, როგორც ქვემოთა ფშავეში არი“.

მოქცეულის ზოგიერთი დეტალი ამ ტექსტში არაა მთლად ნათელი. მიუხედავად ამისა. აღწერილობაში სრულიად აშკარადაა გამოკვეთილი ფშაური მოქცეულის არსი, მისი ხუროთმოძღვრულ-კონსტრუქციული აღნაგობა.

იგი წარმოადგენს წაგრძელებულ ოთხმალიან სივრცეს სამი განივი თავხით. კერა (და ერღო-სარკმელი მის თავზე) მოთავსებულია მესამე მალში. იგი ოთხი ბოძითაა (ორი წყვილბოძით) განსაზღვრული, რომელთაც დედაბოძები ეწოდებათ. პირველ თავეს მხოლოდ ერთი ბოძი აქვს შედგმული. ახადელი მთხრობლის მიხედვით ამგვარად გადახურულ სახლს მოქცეული სახლი ეწოდება („მოქცეული სახლები აქაც იყო...“) ე. ი. გადახურვის სახელწოდება

<sup>4</sup> ხაზგასმა ივ. ჯავახიშვილისაა.

აქაც მთელ სახლზედაცაა გავრცელებული. სახლის ძირითადი ბირთვი (მოქცეულით გადახურული) გეგმაში წარმოდგენს დაახლოევებით კვადრატს.

განსაკუთრებულ ინტერესს ამ აღწერაში მოქცეულის (გვირგვინის) ფორმის თავისებურება იმსახურებს. იგი განსხვავებულია პარალელური წყობის ოთხკუთხოვნი გვირგვინისაგან, რომელიც ჩვეულებრივად სიმეტრიულ, წაკვეთილი პირამიდის ფორმის კონტურებშია ჩაწერილი. თუ გვირგვინში კოჭები ცენტრისაკენ ოთხივე მხრიდან სიმეტრიულად ინაცვლებენ, შარახეველი მარაულების აღწერით სახანობლების ცენტრისაკენ გადაადგილება მხოლოდ სამი მხრიდან: წინიდან და გვერდიდან ხდება, უკანამხრიდან კი ისინი თავისი ვერტიკალზე რჩებიან. სამ საფეხურად ასულ ამ ორიგინალურ გვირგვინს ზემოდან, ერთი ადლის სიგრძე-სიგანის ლიობზე ედგმებოდა საკომი — („ოთხკუთხივ ჩაკეტილი მუხის ბრტყელი და სქელი ფიცრებისაგან“) ან კოდი (საკომკოდი).

მთხრობლები ზუსტად განსაზღვრავენ საცხოვრებლის ყველა ძირითადი ელემენტის ზომას ადლებში. სამწუხაროდ, არაა გარკვეული ადლის სიგრძე. აღნიშნულია მხოლოდ რომ „საზომად ხმარობდნენ თავის ხელითვე წინდაწინ მოჭრილ ჯოხის ადლსა, გოჯისა, შაყრილი კელისა, გაშლილი კელისა და მტკაველის ნიშნებით“. ცნობილია, რომ ფშავ-ხევსურული ადლი საქართველოს ბარში გავრცელებული ადლის ნახევარს (ე. ი. დაახლ. 0,5 მეტრს) შეადგენდა.

ალ. ოჩიაურის მიერ ხევსურული სახლების აღწერის მიხედვით ადლი მართლაც ნახევარი მეტრი გამოდის. მაგრამ ფშაური მოქცეულის ზომები, განსაზღვრული მთხრობლების მიერ, არ შეიძლება ადლში გულისხმობდეს ნახევარ მეტრს, თუნდაც იმიტომ, რომ სახლის სიგანე არ შეიძლება იყოს 5 ადლი (2,5 მეტრი), ისევე როგორც სიგრძე მისი არ შეიძლება იყოს 15 ადლი (7,5 მეტრ). დაგვრჩენია ვიფიქროთ, რომ ადლი აქ ბარული ადლის ტოლია და უდრის დაახლ. 1 მეტრს.

### III. „მოქცეული“ ვაჟა-ფშაველას მიხედვით

„მოქცეული“ ჩვენთვის საჭირო მნიშვნელობით ნახსენებია ვაჟა-ფშაველას ერთ ნარკვევში:

„კარახელი რომ გარდაიცვალა, მთელი იმისი ქონება ცოლშვილის ხელში დარჩა... სამი თვალი სახლი დერეფნითურთ მიწური, მოქცეული ბოსელი, ზედ საბძელ-დადგმული“.

ეს ნაწყვეტი მ. ჭინჭარაულს მოყვანილი აქვს „ვაჟა-ფშაველას მცირე ლექსიკონში“<sup>5</sup>. ცნება „მოქცეული“ საილუსტრაციოდ, რომელიც ასეა განმარტებული: „მოქცეული — მოქცეული ბოსელი ხის კედლებიანი ბოსელი შიგნიდან კლება-კლებით (კონუსისებრ აშენებული“. მოქცეული გადახურვის არსი აქ ძირითადად სწორადაა განმარტებული. მაგრამ ჩვენ მიგვაჩნია, რომ ეს ცნება ამ კონტექსტში განსაზღვრავს არა ბოსლის, არამედ მიწურის ფორმას; მძიმე ამ წინადადებაში მიწურის შემდეგ კი არა, მოქცეულის

<sup>5</sup> მარტყოფელი გიგოლა ლექსიკონის მიხედვით ბარში დარბაზს სიგრძე აქვს 9 ადლი, სიგანე 5-6 ადლი. ეს ზომები ეხება გარეკახეთში გავრცელებულ სამშალოს (ორთავხიან, ორდღაბოძიან) დარბაზს იხ. „მასალები...“ გვ. 119.

<sup>6</sup> ე. ფშაველა, მცირე ლექსიკონი, თბ., 1971., გვ. 200.

<sup>7</sup> ალბათ უნდა იყოს „პირამიდისებრ“; კოჭების პირიზონტალური, პარალელური წყობით კონუსის ფორმა ვერ მიიღება.

შემდეგ უნდა იყოს („სამი თვალი სახლი ღერეფნითურთ, მიწური მოქცეული, ბოსელი, ზედ საბძელ დადგმული“). ასეთი შესწორების საფუძველს შემდეგი გარემოებანი გვაძლევენ: მოქცეული ბოსლები ფშავის ეთნოგრაფიულ სინამდვილეში საერთოდ არაა ცნობილი და ეს გასაგებიცაა, რადგან ბოსელი არ საჭიროებს მოქცეულ გადახურვას, საშუქ-საკომით: მასში არ ანთებენ ცეცხლს და გასანათებლად კი ჩვეულებრივად გამოიყენება მცირე ზომის შუკუმები. ამას გარდა ვაყას მიხედვით ბოსელს ზემოდან საბძელი ადგას, რაც გამორიცხავს პირამიდის ფორმით შემალღებული გადახურვის არსებობას. საბძელ-ბოსელი კი ფშავში მეტად გავრცელებულ სამეურნეო ნაგებობას წარმოადგენს. „მასალე-ბის“ 181 გვერდზე ვკითხულობთ: „საბძელი მუდამ ბოსელზე შენდება ფშავში“.

ამგვარად შეიძლება დავასკვნათ, რომ ვაყა-ფშაველას ნარკვევებშიც ფიქსირებულია მარტივი გვირგვინიანი მიწური სახლის ფართო გავრცელება, რომელიც მის დროს მოქცეულის სახელით იყო ცნობილი.

#### IV. მოქცეული ს. ს. ორბელიანის მიხედვით

ს. ს. ორბელიანის „ლექსიკონი ქართულის“ ასე თუ ისე ჩვენამდე სრულად მოღწეული ნუსხებიდან ცნება „მოქცეული“ მხოლოდ უკანასკნელ ორ, Z და A ტელნაწერშია შეტანილი შემდეგი რედაქციით:

„მოქცეული გამობრუნებული, გინა შჯულზე (მოს(რ)ული);

მოქცეული — შემორღვეული, გინა სახლი(ს) ერდო სივიწროეზე წამოსული (წამოყვანილი A) ZA“<sup>8</sup>.

სიტყვის სემანტიკის დასაზუსტებლად საჭიროა გავიხსენოთ, რომ „ერდო“ რომელიც სივიწროეზეა წამოსული, საბაჟ მხოლოდ ერთი მნიშვნელობით აქვს განმარტებული: „ერდო (1 მეფ. 9. 25) სახლის ზედაკერძო ბანი, ან უბრალოდ სახლის ბანი (BCD ნუსხა); ბანი“ კი — სახლის ერდოა, (ZAB). „ერდოს“ ჩვენთვის საინტერესო მეორე მნიშვნელობა, რომელიც XIX-XX ს-ის ეთნოგრაფიულ სინამდვილეშია ფიქსირებული და „ქართული ენის განმარტებით ლექსიკონში შესული („ბანში შუაუცეხლის თავზე ამოქრილი ადგილი, რომელსაც სარკმლისა და საკვამურის დანიშნულება აქვს“), ს. ს. ორბელიანისათვის და საერთოდ ძველი ქართული ენისათვის სრულიად უცნობია<sup>9</sup>.

ამგვარად, ს. ს. ორბელიანის ლექსიკონის მიხედვით „მოქცეული“ — სახლის მიწურ-ბანიანი სახურავია სივიწროეზე წამოსული. ეს განმარტება ზუსტად ემთხვევა ფშაური მოქცეულის შემოგანხილულ აღწერასა და ანაზოზს. ეჭვგარეშეა, რომ სახელოვან-ლექსიკოგრაფისათვის ცნობილი იყო ხის კოჭოვანი გვირგვინით დახურული მიწურ-ბანიანი სახლები, რომლებიც ახლა დარბაზის სახელითაა ცნობილი, რომ ეს სახლები ფართოდ იყო გავრცელებული XVIII ს-ის დასწყისშიც.

„მოქცეულის“ არსებობის ფაქტი ს. ს. ორბელიანის „სიტყვის კონაში“ კიდევ იმიტომაა მნიშვნელოვანი, რომ როგორც ზემოთ ითქვა, ამ ლექსიკონში

<sup>8</sup> „თხზულებანი“, ტ. IV<sup>1</sup>-IV<sup>2</sup> თბ., 1965-1966 წწ.

<sup>9</sup> იხ. ი. აბულაძე, ძველი ქართული ენის ლექსიკონი, თბ., 1973.

და საერთოდ ქართულ წყაროებში, არ მოიპოვება ქართული ხუროთმოძღვრების ისეთი უმნიშვნელოვანესი ობიექტის ცნება, როგორიცაა საცხოვრებელი დარბაზი<sup>10</sup>. დარბაზი — საბასთან მხოლოდ „სამეფო დიდ სახლს“ ნიშნავს. „სიტყვის კონაში“ არ მოიპოვება არა მხოლოდ „დარბაზი“ გლეხური სახლის მნიშვნელობით, არამედ ძველქართული საცხოვრებლის ამ ძირითადი ხუროთმოძღვრული სტრუქტურის ისეთი მთავარი დამახასიათებელი ნაწილებიც კი, როგორიცაა „გვირგვინი“, „დედაბოძი“, „ერდო“ (გვირგვინის ზენიტში საკვამურ-სარკმლის გაგებით), „კერა“ (შუაფენის ადგილის მნიშვნელობით). საბას „სარკმელი“ არ შეიძლება იყოს გაგებული, როგორც დარბაზული საცხოვრებლის პორიზონტული საშუა-საკვამური, რადგან მისი განმარტებით ეს ცნება ნიშნავს სახლთ სასინათლო გადასაჭურეტს“ (ZA). ცხადია, რომ გადასაჭურეტი — კედელში დაყოლებული ღობია. მიუხედავად იმისა, რომ საბას სიტყვის კონაში გლეხის საცხოვრებელი დარბაზი არ მოიპოვება, ეს ტერმინი მის დროს მაინც ფართოდ ყოფილა გავრცელებული „მოქცეულის გვერდით“. ამას უდავოდ ამტკიცებს ვახტანგ VI-ის „სამართლის წიგნი“. შედგენილია 1705—08 წლებში. ამ კანონების 209 მუხლში<sup>11</sup> ძმათა შორის ქონების გაყოფას რომ ეხება — ნათქვამია:

„გლეხის გაყრა ასრე არის: დარბაზი დერეფნით უფროსისა არის; კალო საბძელი — უმცროსისა“<sup>11</sup>.

„სამართლის წიგნი“ პირველი, ჩვენთვის ცნობილი ყველაზე ადრინდელი წერილობითი ძეგლია, რომელშიც დარბაზი — დერეფნიანი (უდავოდ მოქცეულიან — გვირგვინიანი) შენობა გლეხის საცხოვრებელადაა დასახელებული.

საბას „ლექსიკონი ქართული“ კი გერჯერობით პირველი წერილობითი წყაროა რომელშიც ცნება „მოქცეული“ ნახსენებია ძველქართული, გვირგვინით დახურული მიწურ-ბანიანი საცხოვრებლის მნიშვნელობით.

ი. აბულაძის „ძველი ქართული ენის ლექსიკონში“ „მოქცეულს“ ეს მნიშვნელობა არ იპოვება.

გასაკვირია ის გარემოებაც, რომ „მოქცეული“ არა აქვს შეტანილი თავის „ქართულ ლექსიკონში“ ნიკო ჩუბინაშვილს<sup>12</sup>. როგორც ჩანს, ნისტეას ბუნდოვანი იყო ამ ცნების, ჩვენთვის საჭირო მნიშვნელობა. ამ დაახლოებით ერთი საუკუნის მანძილზე (ს. ს. ორბელიანის სიტყვის კონის „შედგენიდან), როგორც ჩანს, ეს ტერმინი დარბაზული საცხოვრებლის მნიშვნელობით, საქართველოს ბარში ხმარებიდან გამოვიდა და შერჩა იგი მხოლოდ აღმოსავლეთის მთიანეთის მივარდნილ ადგილებს. 80 წლის ახადელი მთხრობლის ზურაბ ხელაშვილის აზრით, ხომ „მოქცეული სახლები ფშავში გვიან შემოსულა,

<sup>10</sup> თუ მხედველობაში არ მივიღებთ ქართლის ცხოვრებაში ნახსენებ „დარბაზოანს“, რომელიც ჩვენი აზრით დარბაზოვანი საცხოვრებლის უბანს უნდა ნიშნავდეს. ჩვენ მხედველობაში გვაქვს ლ. მროველის მიერ ნახსენები ეს ცნება ანისის ალბასთან დაკავშირებით, არდაველი სულტანის მიერ: („რომელმე ივლტოდა დარბაზოანთა და მუნ გამაგრდა, რომელმე ივლტოდა ქუბოანსა, რომელსა ქართუნობითა უხმობენ.“ „ქართლის ცხოვრება“ II, ს. ყაუხჩიშვილის რედაქციით, თბ., 1959, გვ. 100). რედაქტორი დარბაზის ცნებას განმარტავს როგორც „სასახლეს“, „დარბაზოანს კი როგორც „სასახლის ოთახს“, „დარბაზს“.

<sup>11</sup> თ. ე ნ ე ქ ი ძ ე, ვახტანგ VI-ის „სამართლის წიგნი“, თბ., 1955, გვ. 99.

<sup>12</sup> ნ. ჩ უ ბ ი ნ ა შ ვ ი ლ ი, „ქართული ლექსიკონი“, თბ., 1961.

უფრო — ქვეყანა ფშავში“... ვფიქრობთ, აქ უნდა იგულისხმებოდეს ის გარემოება, რომ სახლის ეს ტიპი შესულია ფშავში ქართლ-კახეთის რაიონებიდან. ასეთივე აზრი გამოთქვა ჩვენთან საუბარში ფშავ-ხევსურეთის ყოფაცხოვრებების შესანიშნავმა მცოდნემ ალ. ოჩიაურმაც.

ნიშანდობლივია ის გარემოება, რომ ნიკო ჩუბინაშვილის ლექსიკონში თუმცა არც „დარბაზის“ ცნება მოიპოვება გვირგვინიანი მიწურ-ბანიანი სახლის“ მნიშვნელობით („დარბაზი“ მასთან „სასახლეოა შინა უდიდესი პალატი ანუ სამეფოს გამოჩვენების სახლია“), მაგრამ სამაგიეროდ „გვირგვინმა“ მოიპოვა გადახურვის მნიშვნელობა: იგი აქ განმარტებულია როგორც „თავი შენობათა მრგულად ან ოთხკუთხედად, ვითა გუმბათი და მისთანანი (გვ. 185). უნდა ვიფიქროთ, რომ ამ განმარტებაში უმთავრესად დარბაზის გვირგვინი იგულისხმება. „გუმბათი“ ამ ლექსიკონში განმარტებულია, როგორც „კამარა მაღალი და მრგულად შეკრული, ვითარცა იქმნების ეკლესიათა ზედა და სხვ. „გუმბათი“ — მხოლოდ მრგვლადაა შეკრული და უმთავრესად ეკლესიათა ზედა“ კეთდება, გვირგვინი კი — ოთხკუთხადაც შეიძლება იყოს აგებული (როგორიც მოქცეულია) შენობის (და ეკლესიის) თავზე.

„ერლოს“ ცნება თუმცა ნ. ჩუბინაშვილის ლექსიკონშიც გაიგივებულია „ბანთან“, როგორც „სიტყვის კონაში“, მაგრამ მას აქ ემატება საკვამურის მნიშვნელობაც („კომლის ასავალი კერისა, ბუხრისა“). აქედან შეიძლება დავასკვნათ, რომ ნ. ჩუბინაშვილის ლექსიკონის მიხედვით XIX ს-ის საქართველოში ფართოდაა გავრცელებული მიწურ-ბანიანი, გვირგვინით გადახურული საცხოვრებელი, რომელსაც „მოქცეული“ უკვე აღარ ეწოდება ან ყოველ შემთხვევაში ეს ტერმინი ლექსიკონგრაფისთვის არაა ცნობილი ან გაუგებარია.

დაბოლოს სინანულით უნდა აღინიშნოს, რომ „ქართული ენის განმარტებით ლექსიკონში“ სიტყვა „მოქცეულის“ ეს საინტერესო მნიშვნელობა იგნორირებულია.

ტერმინი „მოქცეული“ გამოტოვებულია აგრეთვე ალ. ლლონტის „ქართულ კილოთქმათა სიტყვის კონაშიც“<sup>13</sup>, მიუხედავად იმისა, რომ წყაროებში მას ს. მაკალათიას „ფშავიკა“ აქვს დასახელებული. „დარბაზი“ ამ ლექსიკონში მოცემულ მეორე მნიშვნელობით — „გვირგვინიანი დიდი საოჯახო ოთახია ძველ მესხურ საცხოვრებელ სახლში, დამშვენებული დედაბოძითა, ბუხრის ქვით, მოხარატებული განჯინა-თაროებით, მოაჯირითა და სხვ.“. გაუგებარია, რატომ მხოლოდ მესხური, როდესაც დარბაზის, როგორც საცხოვრებლის კლასიკური ნიმუშები ქართლშია (და გარე-კახეთში) ცნობილი და მესხური დარბაზოვანები კი (დარბაზული კომპლექსები) არა ნაკლებ იყო გავრცელებული ჭავჭავთსა და წალკა-თრიალეთშიც? ამას გარდა: 1. სამცხე-თრიალეთის დარბაზებისათვის დედაბოძი სრულიადაც არაა ნიშანდობლივი და 2. ძველ-ქართული (და მათ შორის სამცხე-თრიალეთის) დარბაზებისათვის ძირითადი დამახასიათებელი — სახლის შუაში გამართული კერა იყო და არა კედლას ბუხარი.

ტერმინი „მოქცეული“ შინაარსობრივად ზუსტად გამოხატავს გადახურვის თავისებურებას: იგი მართლაც ოთხივე (ან სამივე) მხრიდან მოქცეუ-

ლია კერისაყენ, სახლის შუაგულისაყენ. გადახურვის გვერდები, ოთხი მხრიდან მოქცეული, ქმნიან წესიერი წაკვეთილი პირამიდის ფორმას. მარაულების აღწერაში ეს პირამიდა, რომელშიც მხოლოდ სამი მხარეა მოქცეული (მეოთხე კი ვერტიკალურად რჩება)— არაწესიერ სახეს იღებს.

სოფ. ქოლოთში (ქსნის ხეობა) მცხოვრები გაბო სარაული გვირგვინს ისე ახასიათებს, გეგონებათ იცნობსო „მოქცეულის“ საბასეულ განმარტებას: „თავე ხეებს შუა გაუკეთებდით გვირგვინს, რომელიც წოწოლა ბანი იყო“. „წოწოლა“ ხომ იგივე „სივიწროვებზე წამოსული“ ფორმაა, ბანი კი — იგივეა, რაც ერდო. მეორე ადგილას იგივე მთხრობელი პირდაპირ ამბობს „გვირგვინი თონესავით შემოიქცევოდაო“<sup>14</sup>.

ბებნისელი ვ. თევდორაშვილი ერდოს რვაკუთხოვან გვირგვინს უწოდებს. „წინათ დარბაზში რვაკუთხის ჰდეულებს ვაკეთებდით და იმას ერდოს ვეძახოდით“-ო<sup>15</sup>. გვირგვინის ეს სახე ხომ განსაკუთრებითაა „სივიწროვებზე წამოსული“?

ივ. ჯავახიშვილმა 1939 წელს საქართველოს არქიტექტორთა კავშირის თხოვნით წაიკითხა ლექციების ციკლი („მშენებლობის ხელოვნება ძველ საქართველოში“)<sup>16</sup>, რომელშიც პირველად გაუკეთა მეცნიერული ანალიზი მიხივე მოთავეობით და პროგრამით შეკრებილ „მასალებს საქართველოს შინამრეწველობისა და ხელოსნობის ისტორიისათვის“. ღინანულით უნდა აღინიშნოს, რომ შეგროვილ მასალებში მოცემული „მოქცეულის“ შესახებ, ლექციებში არაფერია ნათქვამი. ამგვარად, უცნობი დარჩა ამ უდიდესი ავტორიტეტის აზრი ჩვენი კვლევის ობიექტის შესახებ.

#### V. „მოქცეული“- და ვიტრუვიუსის კოლხური სახლი

როგორც ქვემოთ დავრწმუნდებით „მოქცეულის“ კონსტრუქციით იყო გადახურული რომელიც არქიტექტორისა და თეორეტიკოსის ვიტრუვიუსის (ძვ. წ. I საუკ.) მიერ აღწერილი კოლხური სახლი ტრაქტატში „ათი წიგნი არქიტექტურის შესახებ“. მოგვყავს ამ ნაწყვეტს ჩვენი ქართული თარგმანი:

კოლხები პონტოს მხარეში ტყის სიუხვის გამო აწყობენ მიწაზე მარჯნივ და მარცხნივ მთლიან ხეებს ერთმანეთს შორის მათი სიგრძის ტოლი მანძილის დატოვებით, მათ ზემოდან კი, თავსა და ბოლოს, გარდიგარდმო გასდებენ სხვა ძელებს, რომლებიც ამგვარად ზღუდავენ ბინის შინაგან სივრცეს. შემდეგ, ოთხივე მხარეს კუთხეებში შეუღლებული ხეების თანდათანობითი წყობით ამოჰყავთ რა ძირითა ძელების შეუღლად ხის კედლები, აგებენ ზევით კოშკებს, და შუალედებს კი, რომლებიც ხეებს შორის რჩება მათი ღისქის გამო, ამოავსებენ ფათხებითა და თიხით. ასევე (აგებენ) სახურავებსაც: გასდებენ რა ნიპარიდან დაცილებით გასაყარებს, რომლებიც ზევითკენ თანდათანობით მოკლდება, ოთხივე მხრიდან შუისკენ ამოჰყავთ პირამიდები, რომლებიც ფოთლები-

<sup>14</sup> იხ. „მასალები...“ გვ. 217. ხაზი ივ. ჯავახიშვილისაა.

<sup>15</sup> იქვე, გვ. 218.

<sup>16</sup> უფრო გვიან ეს ლექციები ცალკე წიგნად გამოქვეყნდა (ივ. ჯავახიშვილი, მასალები ქართველი ერის მატერიალური კულტურის ისტორიისათვის, I მშენებლობის ხელოვნება ძველ საქართველოში, თბ., 1946).

თა და თიხით დახურულნი წარმოადგენენ ბარბაროსთათვის ჩვეულებრივს კუსმაგვარ კოშკურ სახურავებს“.

ეს აღწერილობა ერთადერთი უძველესი წერილობითი დოკუმენტია ცენტრულ-გვირგვინული გადახურვების შესახებ. ამ კონსტრუქციულმა სისტემამ, რომელიც თითქმის მთელ ძველ მსოფლიოში იყო მეტ-ნაკლებად გავრცელებული, ბევრ რამეში განსაზღვრა ხუროთმოძღვრული ფორმების შემდგომი განვითარების თავისებურებანი.

„კოლხური სახლის“ ფორმები თვით ვიტრუვიუსს მიაჩნია უძველესი ნიმუშების მატარებლად: „ანგვარად, თუ ამ ნიმუშების მიხედვით ვიმსჯელებთ, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ეს მიღწევები გამოყენებული იყო უძველესი დროიდან“ — წერს იგი კოლხების, ფრიგიელებისა და სხვათა საცხოვრებლის აღწერის შემდეგ.

სოფელ შარახევში მცხოვრებ ქიტესა და პართელ მარაულების ნაამბობი მოქცეულის აგების შესახებ ჩაწერილია ვიტრუვიუსის კოლხური სახლის აღწერის 2000 წლის შემდეგ. მიუხედავად ამისა, ეკვი არავის შეეპარება იმაში, რომ ამ ორ დოკუმენტში აღწერილი გადახურვის კონსტრუქცია ერთი და იგივეა. ორივე მათგანი პარალელური წყობის ოთხკუთხოვან, ცენტრულ-გვირგვინულ, კოჭოვან გადახურვას წარმოადგენს, რომელშიც პირამიდის ფორმის საფეხუროვანი გადახურვის ჩონჩხი წარმოიქმნება მორების („შოლტების“, „სახანობლების“, „ასამაღლებლების“) თანდათანობით შუისკენ გადანაცვლებით. კოლხური სახლის გადახურვა, ისევე როგორც ს. მაკალათიას მიერ ფიქსირებული მოქცეულისა, და მსგავსი აღნაგობის გვირგვინებისა — სიმეტრიულია: მათში ოთხივე გვერდი პირამიდისა ერთნაირადაა მოქცეული ცენტრისაკენ. მარაულების აღწერილი მოქცეული კი — ასიმეტრიულია გრძივ ჭრილში, აქ კოჭები მხოლოდ სამი მხრიდან ინაცვლებენ ცენტრისაკენ, უკანა მხარე კი გერტიკალური რჩება. ეს განსხვავება პრინციპულად — სრულიად უმნიშვნელოა, მაგრამ ჰორიზონტულ-გვირგვინული გადახურვების ფორმათშექმნის კვლევისათვის მეტად საყურადღებო. რაკი ს. მაკალათიას აღწერილი და გრაფიკულად ფიქსირებული გვირგვინი ნამდვილად სიმეტრიულია („მოქცეული სახლის ეს გვირგვინი ისეთივეა, როგორიც არს ქართლის დარბაზის გვირგვინი“) უდავოდ შეიძლება მივიჩნიოთ, რომ მარაულების აღწერილი სამმხრივ მოქცეული სახე „მოქცეულისა“ ამ გადახურვის ერთ-ერთი სახეს სხვაობაა და არა ერთადერთი. ეს დასტურდება თუნდაც იმ უცილობელი ფაქტით, რომ ასეთი აღნაგობის მოქცეული რეალობაში არსად არაა შესწავლილი და ჭერჭერობით იგი უნიკალურ ფორმას წარმოადგენს. მოქცეულის ძირითადი სახე, რომელიც ქართლის, გარეკახეთისა და სამცხე-თრიალეთის დარბაზებშია შემორჩენილი — პარალელური წყობის ოთხკუთხოვანი გვირგვინია სიმეტრიული ფორმისა, როგორიც იგი ვიტრუვიუსის კოლხურ სახლშია აღწერილი.

ს. ს. ორბელიანის განმარტებაც არ უნდა იძლეოდეს საბაზს მოქცეულის ფორმის ასიმეტრიულად წარმოდგენისა: ცხადია, უფრო ბუნებრივად უნდა ჩაითვალოს, რომ „ერდო სივიწროვზედ წამოსული“ — სიმეტრიულია; რომ სივიწროვზე წამოსულია ოთხივე მხარე და არა მხოლოდ სამი მათგანი.

კიდევ ერთი, არა პრინციპული განსხვავება კოლხურ სახლსა და მოქცეულს შორის — მათ სიმაღლეშია: პარალელური წყობის ოთხკუთხოვანი გვირგვინი — მოქცეული უფრო დაბალი ჩანს როგორც მარაულების აღწერით („სამ მუხლად“), ისე ფიქსირებული რეალური ძეგლების მიხედვით; კოლხური სახლი კი უფრო მაღალია, რაც ბუნებრივ-კლიმატური პირობების განსხვავებით უნდა აიხსნას აღმოსავლეთ და დასავლეთ საქართველოს შორის: კოლხეთის ჰავა უხვი ნალექებით მოითხოვდა დაქანებულ სახურავს, მაშინ, როდესაც იბერიის მშრალი ჰავა შესაძლებლობას იძლეოდა უმნიშვნელო დაქანების მქონე მიწურ-ბანიანი სახურავის გამოყენებისა. კოლხური სახლის აღწერის ცოტა ზემოთ ვიტრუვიუსი წერს, რომ მას შემდეგ, რაც ადამიანები მიხვდნენ რომ ბრტყელი სახურავი ვერ უძლებდა წვიმებსა და ზამთრის უამინდობას „მათ დაიწყეს ქანობის კეთება და წყლის გადაყვანა თიხით შეღესილი დაქანებული სახურავების საშუალებით“.

კოლხური სახლი, მიუხედავად მედარებით მაღალი სახურავისა, არ შეიძლება ჩავთვალოთ კოშკურ საცხოვრებლად. როგორც ეს მ. ჯანდიერსა და გ. ლეჟავას მიაჩნიათ. „Л. Сумбадзе“, წერენ ისინი — в предложенной им реконструкции колхидского жилища также отклоняется от бытующей формы, допуская несоответствия с ясным текстом Витрувия — («Народная башенная архитектура», 1976, გვ. 52). სამსართულიანი სიმაღლის კოშკის სახითაა წარმოდგენილი ვიტრუვიუსის კოლხური სახლი გ. ლეჟავას ახალ წიგნშიც „ანტიკური ხანის საქართველო. არქიტექტ. ძეგლები“, თბ., 1979, ტაბ. XX XV ნახ. 1). ამავე ბრალდებას უყენებენ ავტორები ვიტრუვიუსის «ათი წიგნის» საქვეყნოდ ცნობილ კომენტატორებს: პერაროს (1684 და არა 1664, როგორც ავტორებთანაა), მარინის (1836) და შუაზს (1909): შეიძლება დავუმატოთ კიდევ ჯოკონდო (1511) და კარლო ამათი (1830), ნახაზებიც მათ ტაბულაში (ნახ. 29) არ მოიპოვება.

ავტორები პრინციპულად სწორად მიიჩნევენ მხოლოდ ერთადერთ ილუსტრაციას, შესრულებულს 1521 (და არა 1541) წელს ჩეზარე ჩეზარინოს (და არა ჩეზარინის) მიერ. ნახაზზე გამოსახულია ოთხსართულიანი ხის კოშკი, რომელსაც სრულიად არაფერი აქვს საერთო ვიტრუვიუსის ტექსტთან. სამეცნიერო ლიტერატურაში იგი კუროთადაა მიჩნეული. ჩეზარინომ ვერ გაიგო კოლხური სახლის აღნაგობა. ამიტომაც, რომ დღიდან მისი გამოქვეყნებისა მთელი 4 საუკუნის მანძილზე არავის გამოუყენებია იგი<sup>17</sup>. კოლხური სახლის შემდგომ კომენტარებს საფუძვლად პერაროს 1684 წ. შესრულებული ილუსტრაცია დაედო.

მ. ჯანდიერისა და გ. ლეჟავას რეკონსტრუქციით „კოლხური საცხოვრებელი კოშკი“ წარმოდგენს სამსართულიან კოშკურ ნაგებობას, თუმცა სართულთაშუა გადახურვები მასზე არაა ნაჩვენები.

ამ ნაგებობის ორტოგონალური გამოსახულება მოცემულია მ. ჯანდიერისა და გ. ლეჟავას შრომაში კიდევ 52 ნახაზზე (№ 1) და 61 ნახაზზე (№ 2). ამ უკანასკნელზე თითქმის შეიმჩნევა სართულთაშუა გადახურვების ფენილი. კოშკი

<sup>17</sup> უფრო ვრცლად იხ. Л. Сумбадзе, Колхидское жилище по Витрувию «Архитектурное наследие», № 11, М., 1958 გვ. 84. არც ეს გამოკვლევა და არც მისი მეორე გამოცემა (თბ., 1960), საიდანაც ამოღებულია მ. ჯანდიერისა და გ. ლეჟავას მიერ კვლევის ამ ნაწილის ილუსტრაციები, მათ ვრცელ ბიბლიოგრაფიაში არაა მოხსენიებული.

(*turges*) ანტიკურ ტექსტში ორგანოა ნახსენები. პირველ ფრაზაში «*возводят к верху башни*» ბუნდოვანია, ეს «კოშკები» სახურავის ფორმას ეხება თუ მთლიან სახლს? რაც შეეხება მეორე, ბოლო ფრაზას «*и варварским способом строят на башнях шатровые крыши*», იგი არაზუსტადაა თარგმნილი ფ. პეტროვსკის მიერ. მან მიიღო ჩვენი შესწორება (პოლიაკოვის ვარიანტი), რომელიც ასეა ფორმულირებული: «*Образуют столь обычные у варваров черепахообразные башенные крыши.*»<sup>18</sup>

ფშაური მოქცეულის აღნაგობა კიდევ ერთხელ ცხადყოფს იმას, რომ ვატრუვიუსის «ათ წიგნში» აღწერილი კოლხური სახლი არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება ყოფილიყო კოშკური. ყველაფერს რომ თავი დავანებოთ. ტექსტში ამ აღწერის წინაჲ და შემდეგაც ლაპარაკია პრიმიტიული ქოხების შესახებ. ზოგიერთ მთარგმნელს, მაგ., ზორგენფრეს, (1904), რომელიც ლათინურად გამოიყენა თავის ცნობილ ნაშრომში («*Известия древних писателей о скифии и Кавказе*»), და აქედან კი ივ. ჯავახიშვილმა გადმოიღო («შენებლობის ხელოვნება ძველ საქართველოში», თბ., 1963, გვ. 115)—სიტყვა *turres* ეცვლილი აქვს *изба*-თი («... *возводят избы...*, ... *строят сводчатые крыши своих изб...*»). ჩვენ ამის შესახებ ვწერდით, რომ «Очевидно этот термин («изба» более соответствует действительности, но врядли это обстоятельство может послужить достаточным основанием для искажения авторского текста: »

კოლხური სახლი სამსართულიანია რომ ყოფილიყო, ვიტრუვიუსს არ შეიძლება არ დაეწერა ამის შესახებ. ამ ტექსტში მიწაზე დადებული ოთხი ძელით „ზღუდავენ ბინის შინაგან სივრცეს“... ბინის შინაგანი სივრცე ამგვარად მიწაზეა და არა რამოდენიმე სართულში. მეორე მხრივ, თუ კოლხური სახლი ავტორებს ერთსართულიანად აქვთ წარმოდგენილი, სართულთაშუა გადახურვების გარეშე, როგორც ეს ძირითად ილუსტრაციასზეა ნაჩვენები (ნახ. 29—6)—უდავოა, რომ იგი არ შეიძლება ყოფილიყო ასეთი სიმაღლისა, ეს ეწინააღმდეგება ყოველ საღ აზრს, არაა გონივრული.

ვიტრუვიუსის კოლხური სახლი ამგვარად არაა კოშკური და ავტორების ყველა ის დასკვნა, რომელიც ამ არასწორ რეკონსტრუქციასზეა დაფუძნებული — არ შეიძლება ჩაითვალოს მისაღებად.

კოლხური სახლის რეკონსტრუქციაში ავტორები უშვებენ კიდევ ერთ აშკარა შეცდომას. ძეგლები ამ ნაგებობაში ჭდობითა აქვთ გადაბმული, რაც გამოორიცხავს შუალედებს, „რომლებიც ხეებს შორის რჩება მათი სისქის გამო“, რომლებსაც შემდეგ „ამოავსებენ ფაფხებითა და თიხით“<sup>20</sup>. მსგავსი არასწორი ინტერპრეტაცია ანტიკური ტექსტისა ვ. გაგოშიძისა და თ. ჩიქოვანის მიერ ჩვენ გავაჩივით ჯერ კიდევ 1968 წელს ნარკვევში „კოლხური სახლი, ვიტრუვიუსის მიხედვით და ქართული ხალხური საცხოვრებლის კვლევის პრობლემები“<sup>21</sup>, ნარკვევში, რომელიც „ხალხური კოშკური არქიტექტურის“ ავტორებს აგრეთვე შეუძინეველი ღარჩათ.

<sup>18</sup> Д. Сумбадзе, Колхидское жилище по Витрувию, Тб., 960. გვ. 24. 88. 48.

<sup>19</sup> იქვე. გვ. 25.

<sup>20</sup> ვიტრუვიუსი.

<sup>21</sup> „მაცნე“, 1968, № 4, გვ. 201-220.

VI. „მოქცეული“ და გვირგვინი; „მოქცეული სახლი და დარბაზი

ცხადი გახდა, რომ ფშავში ფიქსირებული და ს. ს. ორბელიანთან განმარტებული „მოქცეული“ წარმოადგენს დარბაზული საცხოვრებლის ძირითადი ბირთვის უმარტივეს, პარალელური წყობის ოთხკუთხოვან გვირგვინულ გადახურვას, „მოქცეული სახლი“ კი მიწურ-ბანიან დარბაზულ საცხოვრებელს, რომელიც უმარტივესი სახის გვირგვინითაა (მოქცეულით) გადახურული.

მოქცეულის ფორმითაა გადახურული გ. ნ. ჩუბინაშვილის მიერ პირველად გამოქვეყნებული „ქართლის დარბაზები“ (1926-27 წწ). დილომში. ნადარბაზევში, წილკანში; ასეთივე გვირგვინითაა გადახურული ლეგენდებით მოსილი თენოთ დარბაზი ს. ხიზაბაძეში (ასპინძის რ-ნი), რომლის დედაბოძათაც ცოცხალი (ფესვებგადგმული) ხე იყო გამოყენებული<sup>22</sup>.

კ. გვარამაძის ცნობით, არსებობდა ორგვარი დარბაზი: მარტივი, რომელსაც „ხეტყის შენობას“ ეძახდნენ და „გვირგვინი — დარბაზები“ ე. ი. მერცხლისბუდეური, რომელსაც კონუსისებრი შეხედულება ჰქონდა. ქვეშ განიერი იყო და ზევით კენ თანდათან შევიწროებული.

მეორე ძთხრობლის მიხედვით, პირველი სახის მარტივ გადახურვაა „გარეწლებზე“ დვეწდარმა (საწარბე) აქვს გადებული, შენობის მოსაყრელად (ზევით შესავიწროებლად) სახურავისა მასალები საქ. შინამრეწვ. და ხელოსნობის ისტორიისათვის“, ტ. I, თბ., 1976, გვ. 254) ცხადია, რომ პირველი სახის („ხეტყის შენობის“) გადახურვა — მოქცეულია, მეორისა კი — გვირგვინი.

მარტივი სახის გადახურვა (მოქცეული) ფართოდ იყო გამოყენებული არა მხოლოდ საქართველოს დარბაზოვნებში, არამედ სომხეთის „გლხა ტუნებში“ და განსაკუთრებით აზერბაიჯანის „ყარაღამებში“, სადაც მოქცეულის ფორმის გარდა, გვირგვინის სხვა სახე დღესდღეობით არცაა ცნობილი.

საინტერესოა ალინიშნოს, ის ფაქტიც, რომ ტაჯიკისტანსა (პამირსა) და მის მოსაზღვრე ჰინდუკუშის საცხოვრებლებში, რომელთა ფორმებიც, მეტისმეტ მსგავსებას ამჟღავნებენ ქართულ დარბაზებთან — გავრცელებულია გადახურვის მხოლოდ და მხოლოდ ერთი ფორმა — ოთხკუთხოვანი, კუთხური წყობის გვირგვინები<sup>23</sup>.

გვირგვინის ეს სახე თითქმის უცნობია ადერბაიჯანსა და ქართლში (თუ არ ჩავთვლით ქვის პრიმიტიულ გადახურვებს წირქოლის ტაძარსა და ლარგისის კოშკში)<sup>24</sup>. მაგრამ ფართოდაა გავრცელებული სომხეთსა და სამცხე-თრიალეთში.

პარალელური წყობის ოთხკუთხოვანი გვირგვინი — მოქცეული, გვირგვინული გადახურვების იმ დიდი ოჯახის წარმომადგენელია, რომელიც ფართოდ იყო გავრცელებული ძველი მსოფლიოს დიდ სივრცეებზე კორეიდან მოყოლებული ხმელთაშუა ზღვის დასავლეთ სანაპირომდე.


ჰორიზონტულ გვირგვინულ (საფეხუროვან-კოჭოვან) გადახურვათა ზოგად ტიპოლოგიაში გამოირჩევა ორი ძირითადი ჯგუფი: გრძივგვირგვინული (ოღური, შირვანული) და ცენტრულგვირგვინული (დარბა-

<sup>22</sup> Л. Сумбадзе, Грузинские дарбази, Тб., 1960, Таб. 10, 11.


<sup>23</sup> М. С. Андреев, Таджики Долины Хуф., Вып. 1, Сталинабад. 1953, ил. А. Писарчик, Примечания и дополнения XI, Жилище, гв. 486.

<sup>24</sup> Л. Сумбадзе, Грузинские дарбази, гв. 22.


1



2



3



ზული). გრძივ-გვირგვინულ გადახურვებში კოჭების გადანაცვლება შუა ხაზისაკენ მხოლოდ გვერდებიდან ხდება, მაშინ, როდესაც წინა და უკანა მხრის კოჭები კედლების ვერტიკალურ სიბრტყეში რჩებიან. ფორმა ასეთი გადახურვისა — ორფერდაა, თუ მხედველობაში არ მივიღებთ ოღურ გადახურვაში დატოვებულ შუა ვიწრო ზოლს, რომელიც მთლიანად ან ნაწილობრივ დახრილად კეთდება, ტორსოში ვერტიკალური ერდოსარკმლის მოსაწყობად [სურ. 3—1].

პარალელური წყობის ოთხკუთხევიან გვირგვინში და სიმეტრიული სახის მოქცეულში კი კოჭების გადანაცვლება ცენტრისაკენ ოთხივე მხრიდან ხდება [სურ. 3—3] ამგვარად, პერიზონტულ-გვირგვინულ გადახურვებში გვქონდა: ორმხრივ მოქცეული (ოღური) და ოთხმხრივ მოქცეული (დარბაზული) გადახურვა. ფშაური მოქცეულის შარახეულის ვარიანტის სახით

სურ. 3. ორმხრივ მოქცეული (ოღური), სამხრივ მოქცეული და ოთხმხრივ მოქცეული (დარბაზული) გადახურვები.

ჩვენ შემოგვემატა სამხმარივ მოქცეული გადახურვა — უკანა ვერტიკალური გვერდით. იგი მოგვევლინა დამაკავშირებელ რგოლად, რომელიც ერთ კონსტრუქციულ მთლიანობაში აბავს პირველ და მესამეს ფორმას (აურ. 3—2). იგი აუცილებლად უნდა არსებულებოდა, რადგან ზუროთმოძღვრულ-მხატვრული თვალსაზრისითაც, ჩვენი ღრმა რწმენით, მისი ფორმა უკეთ პასუხობს დიდი ოთხმალის დარბაზის წაგრძელებულ სივრცეს, ვიდრე სიმეტრიული გვირგვინი. ეს ფორმა უკეთესად უნდა პასუხობდეს ფუნქციასაც, რადგან წევა ჰაერისა კარებიდან ერდოსაკენ ხდება და ასიმეტრიული მოქცეული სწორედ კარებისაკენაა გაშლილი. ასიმეტრიული მოქცეული არც ტექნიკური თვალსაზრისით ქმნის რაიმე დამატებით სირთულეს.

სამფერდა მოქცეული საშუალებას იძლევა ერდო-სარკმელი გადახურვის უკანა მხარეს, ვერტიკალურ ნაწილში მოეწყოს, და ამით ააცილოს დარბაზს წვიმა. მაგრამ ერდოს მოწყობის ამ ხერხმა მოქცეულში ვერ პოვა გავრცელება შეიძლება იმიტომაც, რომ სინათლე სახლში შესულს პირდაპირ თვალში მოხედებოდა და ამგვარი განათება არც ინტერიერის მხატვრულ გააზრებას შეესატყვისებოდა.

გვირგვინულ გადახურვებში ვერტიკალური განათების მოწყობის პროგრესულმა იდეამ განვითარება პოვა ოდურ სისტემაში, სადაც სარკმელი შესასვლელის მხრიდან ეწყობა და კერა შეცვლილია ბუხრით. თაკარებიანი ოდის გადახურვის ერთი სახე დაქანებული შუა ნაწილით გარკვეულ მსგავსებას ამჟღავნებს სამფერდა მოქცეულთან.

ს. ს. ორბელიანის განმარტებაში არაა დაზუსტებული მოქცეულის სახე; გულისხმობს თუ არა ამ ცნებაში ლექსიკოგრაფი, მხოლოდ პარალელური წყობის ოთხკუთხედ გვირგვინს? „სიტყვის კონის“ განმარტება გვირგვინის ყველა სახეს უდგება, როგორც პარალელური ისე კუთხური წყობისას, როგორც ოთხკუთხოვან, ისე რვაკუთხოვან გვირგვინსაც; არსებითად ყველა ისინი „სივიწროზე წამოსული ერდოებია“. მაგრამ ტერმინის სემანტიკური არსი როგორც უკვე აღინიშნა, უფრო პარალელური წყობის ოთხკუთხოვან გვირგვინს უნდა უდგებოდეს, ე. ი. პირამიდული ფორმის სახურავს, რომელიც დახრილი გვერდებითაა მოქცეული კერისაკენ. რაკი ამას გარდა მთხრობელთა აღწერით ორივე ცნობილ მოქცეულში პარალელური წყობის ოთხკუთხოვანი გვირგვინია გამოყენებული, ჩვენ ვფიქრობთ, რომ უფრო სწორი იქნება მოქცეული ვუწოდოთ მხოლოდ ამ სახის გვირგვინს და მოქცეული სახლი კი — ისეთ დარბაზს (მიუხედავად მალეების რაოდენობისა), რომელიც მოქცეულითაა (პარალელური წყობის ოთხკუთხოვანი გვირგვინით) დახურული.

მოქცეულის სიმეტრიული სახე, ე. ი. პარალელური წყობის ოთხკუთხოვანი გვირგვინი ქართული დარბაზული საცხოვრებლის ძირითადი ფორმაა. ამ ამოსავალი, საწყისი წინაფორმიდან წარმოიშვა და განვითარდა გვირგვინული გადახურვების მთელი ოჯახი. საქართველოში გავრცელებული იყო გვირგვინული წყობის მრავალი სახე კუთხური წყობის უნიკალური თორმეტკუთხოვანი გვირგვინის ჩათვლით, რომლის ერთი ნიმუშიც ამშვენებს ქართული ხალხური ზუროთმოძღვრების და ყოფის მუზეუმის ექსპოზიციას. იგი აგებულია 38 რიგად დაწყობილი თორმეტკუთხედებისაგან 456 კოქის გამოყენებით. ძნელი დასაჯერებელია, რომ ეს კრისტალივით მოციმციმე გვირგვინ-გუმბათი პირდაპირი შთამომავალია უმარტივესი ოთხმხრივ მოქცეული წინაპრისა,

„ბარბაროსთათვის ჩვეულებრივი კუსმაგვარი კოშკური სახურავისა“ (ეიტ-რუეისი).

ქართველმა მშენებელმა მოქცეულის დაბალ. უმარტივეს ფორმასაც მოუწია საინტერესო ხუროთმოძღვრულ-მხატვრული გარდასახვა, რომელთა შორისაც განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს აჭარული ჯამეების ორ-სამ იარუსიანი (კასეტებიანი) თავანი — დიდოსტატ ლაზების ეს შესანიშნავი ნახელავი, რომლის ერთი ნიშნშიც შემოსხენებული პარკ-მუზეუმის ტერიტორიაზეა დამკვიდრებული. აღნაგობა ამ გადახურვისა იგივეა, რაც მოქცეულისა, მხოლოდ იმ განსხვავებით, რომ ყოველი რიგის (საფეხურის) ოთხი კოჭი აქ ერთმანეთში ნახევრად ჩაჭრის წყალობით მოთავსებულია ერთ სიბრტყეში.

აღსანიშნავია ს. მაკალათიას მოქცეულის (გვირგვინი) სიმცირე. იგი სამი წყვილი კოჭისაგან („სახანობლისაგან“) არის შეკრული და სიმაღლით 0,8 მ. არ აღემატება. გვირგვინის ფუძე უდრის 1,20 X 1,20 მ. ეს ზომები მსგავსი კონსტრუქციისათვის მინიმალურია, რადგან უფრო ნაკლები ზომების შემთხვევაში ბანის ზედაპირს აღარ ექნებოდა დაქანება.

საცხოვრებელი სივრცის ასეთი მცირე ნაწილის გადახურვა მოქცეულით (მისი ჰიგანე სათავისი სიგანის 1/3-ზე ნაკლებია), ცხადია ვერ შექმნის შთამბეჭდავ ხუროთმოძღვრულ-მხატვრულ ეფექტს.

შარახეველი დარბაზი დიდი ოთხმალიანი (სამთავხიანი) დარბაზია, მარტივი პარალელური წყობის ოთხკუთხოვანი გვირგვინით გადახურული. ეს გვირგვინი (მოქცეული) დაყრდნობილია უკანდან პირველ და მეორე თავხეებზე, მეორე მალის თავზე, რომლის შუაშიც კერაა მოთავსებული. ხელაშვილის მიხედვით მოქცეული „უფრო წესიერად აგებული 'შენობაა“, რომელშიც „გათლილი ხეებია“ გამოყენებული. ამიტომაც, რომ მას „მოქცეული სახლი“ უფრო გვიან (თავდაპირველად ქვემო ფშავში) შემოსულად მიაჩნია, სადაც უკეთესი სამშენებლო ხე იპოვებოდა.

შარახეველი მოქცეული სახლის გვირგვინის ჰიგანე სათავისი სიგანის 2/3-ს აღემატება. მისი მოცულობა ამდიდრებს საცხოვრებლის სივრცეს და ცხოველხატულობას მატებს მის ხუროთმოძღვრულ-მხატვრულ გამომეტყველებას.

ცნება „მოქცეული“ სემანტიკურად უფრო დიდი ზომის გვირგვინულ გადახურვას შეეფერება. ს. ორბელიანის განმარტებაც დიდ გადახურვას უნდა გულისხმობდეს რაკი „ერდო“ — მიწური ბანია ე. ი. გადახურვა, რომელიც სივითროეზე აღის, ალბათ იგი საკმაოდ უნდა იყოს შემალღებული ბანის ზედაპირიდან.

მსგავსი 4-6 მალიანი დიდი დარბაზები ჩვენ დავაფიქსირეთ 1945 წ. ქსნის ხეობის მთიანეთში. ყველაზე დიდის ფართობი (ს. ბალაანში და დუაჩიაში) 110 და 90 კმ. მ. აღწევდა. საინტერესოა აღინიშნოს, რომ ყველა ეს დარბაზი მხოლოდ პარალელური წყობის ოთხკუთხოვან გვირგვინს, ე. ი. მოქცეულს იყენებდა, რომელიც 5-6 წყვილი კოჭისაგანაა აგებული. გვირგვინის სხვა ტიპი ჩვენ აქ არ შეგვხვედრია. ამ მიწურბანიან დარბაზოვანებს აქ ერთობის სახლს ეძახიან. სახელწოდება „მოქცეული სახლი“ აქ ცნობილი არ ყოფილა<sup>25</sup>.

<sup>25</sup> მ. ი. ილინა დარბაზული სახლის ზოგად სახელწოდებად „ერდოიან“ სახლს გვთავაზობს (М. И. Ильин, Древнейшие типы жилищ Закавказья, М., 1946, გვ. 20.), რაც არ მიგვაჩნია მზანწეონილად. თუმცა დარბაზი მუდამ ერდოიანია (სარკმლიანი), მაგრამ ყველა ერდო

ზემოთ ითქვა, რომ მსგავსი გვირგვინული გადახურვები ძველ მსოფლიო-შიც ფართოდ იყო გავრცელებული.

დიდ ინტერესს წარმოადგენს მოქცეულის ფორმის გადახურვის არსებობა ეტრუსკების ქვის აკლამებში. „ეტრურიის ძეგლებში, — წერს ოგ. შუაზი, — ჩვენ ვხვდებით ხის გადახურვათა ტიპებს, განხორციელებულს ქვაში. რომ ეს წარმოადგენს ხის კონსტრუქციების ზუსტ მიბაძვას, აშკარად დასტურდება ტუფში გამოკვეთილი ერთ-ერთი აკლამის იმ პროპორციებით, რომელთაც ესოდენ უმნიშვნელო ცვლილება განუცდიათ ერთი მასალიდან — მეორეში გადატანის დროს. აღადგინეთ ამ გადახურვის ძირითადი კონსტრუქციები და თქვენ დაინახავთ რომ იგი გადაიქცევა სისტემად თანდათანობით გადანაცვლებული, ერთმანეთზე საფეხურებად დაწყობილი კოჭებისა, დაახლოვებით იმგვარად, როგორც ეწყობა ხის მორები კოლხიდის სახლებში, რომელთა შესახებაც ვიტრუვიუსი ლაპარაკობს (წიგნი II, თავი 1)<sup>26</sup> (იხ. ნახ. 4, 1, A).

აქ არ შეიძლება არ გავისვენოთ აგრეთვე სახლის ფორმის ეტრუსკული ტერაკოტის სანუშტე ურნა. პოჯო გაელადან (ძვ. წ. IV საუკ.) ოთხფერდა სახურავით, რომელსაც შუაში საკვამლე და სასინათლო ერდო აქვს დატანებული<sup>27</sup>. (ნახ. 4—3). ამ ურნის სახურავის გარე ფორმები უფლებას გვაძლევენ დავასკვნათ, რომ იგი წარმოადგენს მოქცეულს, ანუ კვადრატული გეგმის პარალელური წყობის დაბალ გვირგვინს, გადახურულს ქანობიან ბურგილით.

კოლხურ სახლს („მოქცეულს“) ადარებს აგრეთვე ვიოლე ლე დუკი ინდოეთის მსგავსი აღნაგობის ქვის გადახურვებს. „ინდოეთში მოიპოვება ქვის მთელი რიგი საკულტო ნაგებობებისა, რომლებიც უცნაურად გვაგონებენ ვიტრუვიუსის მიერ აღწერილ ხის პირამიდას, ე. ი. ხის მორებისაგან ან ბამბუკის ჯოხებისაგან აგებულ, ფუძიდან სახურავისაკენ ერთმანეთზე ჰორიზონტალურ საფეხურებად დაწყობით აშენებულ ნაგებობას“<sup>28</sup>.

#### VII. „მოქცეულის“ ადგილი ძველ ქართულ ხუროთმოძღვრებაში ისტორიაში

კოქოვანი კამარების კონსტრუქცია, როგორც ხეში, ისე ქვაში წარმოადგენს გადახურვის უძველეს სახეს, მათი განვითარების პირველ საფეხურს. „ჰორიზონტულ რიგებად დაწყობილი კონსტრუქციები, — წერს ოგ. შუაზი, — უნდა ჩაითვალოს საერთო იდეად არქიტექტურის ყველა არქაული სკოლებისათვის“. „მოქცეულის“ ცნებისა და მოქცეული სახლების არსებობა ქვეყნის ცენტრალური რაიონებიდან მოცილებულ მთიან ადგილებში კიდევ ერთხელ ადასტურებს მსგავსი სტრუქტურის საცხოვრებლის ძველთაძველობას.


ტერმინ „მოქცეულის“ გააზრება მთხრობელთა მიერ კიდევ ერთხელ გვარწმუნებს იმ აზრში, რომ დარბაზული ტიპის საცხოვრებლის მთავარი დამახასიათებელი ნიშანი — მისი გადახურვაა, გვირგვინია. ამის დამადასტურებელ ერთ-ერთ საბუთად ჩვენ მოგვყავდა ის ფაქტი, რომ მესხეთ-ჯავახეთის დამხმა-

გვირგვინის საფუძველზე როდია აგებული? ძალიან ხშირად ერდოიან სახლში ერდო საკომყოფითაა მოზღუდული. და უბრალო, ცოლნდრულ ღობეს წარმოადგენს.

<sup>26</sup> О. Ш у а з и, Строительное искусство древних римлян, М., 1938, გვ. 114.


<sup>27</sup> Всеобщая история архитектуры т. II, М., 1975, გვ. 412.

<sup>28</sup> В и о л л е Д ю к, Беседы об архитектуре, т. I, М., 1977, გვ. 36.




# УСТУПЧАТЫЕ ПЕРЕКРЫТИЯ У ЭТРУСКОВ


1. Перузия  
Гробница Волумниев




А




2. Терветери. Гробница Рельефов



2



3. Поджа Талла. Жерракотония  
урна



ნახ. 4. ეტრუსკული საფლავიანი გადახურვები. 1. აკლამა პერუზიაში. გეგმა, კრილი და კამერის პლანონი; 2. აკლამა ჩერეტერიში. „ოღური“ გეგმა და რელიეფიანი ბოძი. (B); 3. ტერაკოტის სანეშტე ურნა პოჯო გაელდან.

რე სათავეებში გასანათებლად დაყოლებულ გვირგვინის კონსტრუქციას ხალხი მოღარბაზულს უწოდებდა. ახლა შეიძლება დავუმატოთ ისიც, რომ „მოქცეულად“ იწოდებოდა, როგორც გადახურვის კონსტრუქცია, ისე მთელი სახლი, რომლის ცენტრალურ ნაწილშიც ეს გადახურვა იყო მოწყობილი. გადახურვის ხასიათმა განსაზღვრა სახლის ტიპი\*.

ლ. აღნიაშვილის მოწმობით („სპარსეთი და იქაური ქართველები“, თბ., 1896), ფერეიდანში მის დროს ჯერ კიდევ ხშირად შეხვდებოდათ ძველებური ჩვენი დარბაზების მსგავს 4, 6, 8 ბოძიან ერდოიან სახლებს. მათი მიბაძვით სხვებსაც დაუწყიათ ასეთი სახლების მშენებლობა, რის გამოც მათ „გურჯიფუშს“, ე. ი. ქართულად გადახურულს უწოდებდნენ. (გვ. 192). ჩვენი ღრმა რწმენით, ეს „გურჯიფუში“ სწორედ მოქცეული უნდა იყოს, გადახურვის ფორმა, რომლითაც იხურებოდა გარე კახეთის (ფერეიდანელთა თავდაპირველი სამყოფელი) — მიწურ-ბანიათი სახლები. მათი ერთი შესანიშნავი ნიმუში ორი მდიდრულად მოჩუქურთმებული ბოძ-ბალავრით დღემდე შემორჩენილი ს. უჯარმაში.

მოქცეულის არსებობის ფაქტი და მისი კონსტრუქციის ანალიზი კიდევ ერთხელ ადასტურებს იმ დასკვნას, რომ გადახურვის ეს სტრუქტურა, განსაკუთრებით მისი პირველადი, უმარტივესი ფორმა — პარალელური წყობის ოთხკუთხედიანი გვირგვინი, იგივე მოქცეული — ხეშია წარმოშობილი, როგორც ეს მიაჩნია მკვლევართა დიდ უმეტესობას (შუაზი, ვოდარი, ვიოლე ლე დუკი, მორკრაფტი და სხვ.). ამასთან ერთად ჩვენ დასაშვებად მიგვაჩნია სტრუქტურის მეორე სახის — კუთხური წყობის გვირგვინის — ქვაში ჩასახვის შესაძლებლობაც<sup>29</sup>.

მოქცეულის კონსტრუქციის ანალიზი კიდევ ერთხელ ადასტურებს იმ აზრს, რომ ეიტრუსკის მიერ აღწერილი კოლხური სახლის აღნაგობა პროტოტიპია დარბაზული საცხოვრებლისა, რომლის წინარესახეც ფშაურმა მოქცეულმა „სივიწროეზე წამოსული ერდოთი“ თითქმის დღევანდელამდე შემოგვინახა.

კოჭოვან-საფეხუროვანი გადახურვების ყველა სახესხვაობის არსებობა საქართველოში, მისი პირველადი ფორმიდან — მოქცეულიდან დაწყებული და უნიკალური 12-კუთხედიანი გვირგვინით გათავებული, — მათი უმარტივესი ფორმის გავრცელება კოლხიდაში ჯერ კიდევ ძვ. წ. პირველ საუკუნეში, მიწური საცხოვრებლების აღწერა ქსენოფონტეს „ანაბაზისში“ (ძვ. წ. V ს.). სამხრეთ-დასავლეთ ამიერკავკასიის ტერიტორიაზე, საფუძველს გვაძლევენ დავასკვნათ, რომ ამიერ კავკასიის ტერიტორია გვევლინებოდა ერთ-ერთ ძირითად კერად ხის კოჭოვან-საფეხუროვანი გვირგვინებისა და ამ კონსტრუქციებით გადახურული დარბაზული საცხოვრებლის წარმოშობა-განვითარებისა.

გვირგვინის ფორმათა ანალიზი და მათი ფართო გავრცელება როგორც

\* მინო მედრი თბილისური დარბაზული საცხოვრებლის აღწერას ასე ამთავრებს: „ყველა ამ სახლის სახურავს „დარბაზი ეწოდება“ (ვ. ბერიძე, თბილისის ზღვითმოსაზრება 1801-1917 წწ. ტ. 1, გვ. 65, დარბაზი აქ გაიგებებოდა გვირგვინთან.

<sup>29</sup> Л. Сумбадзе, Дарбазные перекрытия и их место в истории архитектуры. Моск. сг. 11 სერათაშორის სიმბოლოზე, თბ., 1977, გვ. 7).

სივრცეში, ისე დროში მოწმობენ, იმას, რომ მათი მარტოვი სახესხვაობანი შეიძლებოდა გაჩენილიყო სხვადასხვა ქვეყანაში. ერთმანეთისაგან დამოუკიდებლად. საამისო სტიმულს იძლეოდა მცდელობა, რაც შეიძლება მარტივად მოწყობილიყო კერის ზემოთ კვამლის ასასვლელად და სასინათლოდ, მოქცეული გადახურვა. —საფიწროვეზე წამოსული ერდო“.

როდის შეიძლებოდა ჩამოყალიბებულიყო კავკასიაში დარბაზული ტიპის საცხოვრებელი, რომლის მოცულობით-სივრცითი სტრუქტურაც ისეთივე იყო, როგორიც ეგეოსის სამყაროს მეგარონისა (დიდი, ჰიპეტრალური დარბაზი შუაში კერით, ოთხი (არქაულებში 2) ხის სვეტით, მიწურ-ბანიანი სახურავითა და ანტებიანი პორტიკით)?

დადგენილია, რომ ქართველ ტომთა წინაპრებს შორის სპილენძ-ბრინჯაოს კულტურის ადრეულ სტადიაზე (მესამე ათასწლეული პირველ ნახევარში) ფართოდ იყო გავრცელებული დარბაზ-მეგარონის ტიპის დერეფნიანი ორბალიანი საცხოვრებელი (ერთი დედაბოძით) და შუაში კერით. ჰქონდა თუ არა ამ სახლს ერდო? შეიძლება ვიფიქროთ, ამბობს ალ. ჯავახიშვილი, რომ ჩვეულებას ტიპის სახლების ცენტრალური ნაწილის და საერთოდ დარბაზული საცხოვრებლის კონსტრუქცია გენეტიკურად დაკავშირებულია ვიტრუვიუსის კოლხური სახლის ტიპის გადახურვასთან<sup>30</sup>. თუ რას ნიშნავს კონკრეტულად ეს გენეტიკური კავშირი, ტექსტში არაა განმარტებული. არ ჩანს ავტორის აზრი ამ საკითხზე არც ამ შენობის, პრინციპულად სწორი რეკონსტრუქციის სქემაზე<sup>31</sup>.

ჩვენი რეკონსტრუქციის მიხედვით, ამ სახლებს ცენტრალური ნაწილი კერის ზევით მოქცეულით ე. ი. პარალელური წყობის დაბალი ოთხკუთხოვანი გვირგვინითაა გადახურული. ამ ავეფორმის გვირგვინით (მოქცეულით) უნდა ყოფილიყო დახურული მეგარონის უძველესი ტიპი. მაგრამ, როგორც ჩანს, ამ კონსტრუქციამ კრეტა-მიკენის კულტურაში ვერ მიაღწია დიდ განვითარებას, რადგან ზე შეიცვალა უფრო გამძლე მასალით — ქვით, რომელშიც ჩამოყალიბდა ანტიკური საბერძნეთის კლასიკური ორდერული სისტემა.

კავკასიის მიწაზე კი დარბაზული საცხოვრებლის თემა ათასი წლების მანძილზე ხეში ვითარდებოდა პრიმიტიული მიწურ-ბანიანი სახურავის შენარჩუნებით. სწორედ ამის წყალობით მიაღწია საცხოვრებლის ამ სტრუქტურამ ქართულ მიწაზე კონსტრუქციულ-მხატვრული განვითარების მაღალ მწვერვალებს<sup>32</sup>.

უკვე იყო აღნიშნული, რომ მოქცეული სახლი და დარბაზი ერთი და იმავე ტიპის კერიანი, მიწურბანიანი, ერდოიან-გვირგვინიანი ძველქართულ საცხოვრებელია. უნდა ვიფიქროთ, რომ მას თავიდანვე მოქცეული სახლი ერქვა, რადგან ეს სახელი, საზოგადოდ გამოხატავს ამ ტიპის ნაგებობის, მისი გადახურვის, არსს, მის ძირითად დამახასიათებელ თავისებურებას, რომლითაც იგი გამოირჩევა ყველა სხვა სახის საცხოვრებლისაგან.

<sup>30</sup> А. И. Джавахишвили, Строительное дело и архитектура поселений Южного Кавказа V-III тыс. до н. э. Тб., 1973, გვ. 363.

<sup>31</sup> იქვე, ტბ. 13.

<sup>32</sup> Л. Сумбадзе, Дарбазы—древнейшей тип грузинского народного жилища и его место в истории архитектуры, Тб., 1964, გვ. 8.

„მოქცეული“ თავდაპირველად პარალელური წყობის ოთხკუთხედიან გვირგვინს ეწოდებოდა — ხის გუმბათური გადახურვის უმარტივეს და უძველეს სახეს. ორივე მოქცეული სახლი, რომელთა გადახურვაც ჩვენთვის ცნობილია — სწორედ ამ სახის გვირგვინითაა დახურული. მისი სიმეტრიული და ასიმეტრიული ვარიანტით. „მოქცეულის“ ცნება ყველაზედ უფრო მეტად, სწორედ ამ სახის გვირგვინს უდგება.

უნდა ვიფიქროთ, რომ შემდგომში ეს სახელი სხვა სახის გვირგვინებზედაც გავრცელდა, რომელთა მრავალწახნაგოვან ვარიანტებსაც მოგვიანებით გვირგვინი შეარქვეს. ცნება „მოქცეულის“, როგორც პირველი ნაწილი — მიმართულების პრევერბი «მო» (сo значением всторону к говорящему), ისე მისი ძირი «ქც» (გადაქცევა — пре вращать) მომდინარეობს ქართულ-ზანური ენობრივი ეპოქიდან და გვხვდება ქართული დამწერლობის უძველეს ძეგლებში.<sup>33</sup> ილ. აბულაძის «ძველი ქართული ენის ლექსიკონში» დამოწმებულ წყაროებში ცნება „მოქცეული“ გადახურვის მნიშვნელობით არსადაა გამოყენებული. მოქცეულიან (ერდოსარკმლიან) სახლს «დარბაზი» მოგვიანებით უნდა შეერქმეოდა, როგორც მეორე, «ზედმეტი სახელი». თავდაპირველად ეს სახელწოდება ალბათ დიდი ფართობის მალალ გვირგვინიან მოქცეულებს მიეკუთვნა. გენეტიკურად «დარბაზის» ცნება არაა არავითარ კავშირში ერდო-სარკმელთან, გვირგვინთან; იგი ქართულად — სამეფო დიდ სახლს (საბა), სასახლეთა შინა უდიდეს პალატს (ნ. ჩუბინაშვილი) ნიშნავდა. კიდევ ერთ საბუთად იმისა, რომ «დარბაზის» ცნება არ იყო დაკავშირებული გვირგვინიან სახლთან, შეიძლება მოვიყვანოთ ის, რომ ძველებური სვანური საცხოვრებლის ზედა სართულს («მაჟიბს») — დარბაზსაც უწოდებდნენ. ნიშანდობლივია, რომ დარბაზის სახელი შეურქმევიათ არა ძირითადი საცხოვრებელი სათავსოსათვის — «მაჩუბისათვის», არამედ მყორეხარისხოვან, სამეურნეო სათავსისათვის, რომელიც ძირითადად განკუთვნილია საქონლის საკვების შესანახავად.<sup>34</sup> ეს გარემოება ჩვენი აზრით, იმით უნდა აიხსნას, რომ «მაჟიბი»-ერთიან, დიდ სივრცეს წარმოადგენს ბევრად მალალს ვიდრე «მაჩუბი», რომლის შინაგანი სივრცე, ამას გარდა დანაწევრებულია საქონლის სადგომის გარშემო შემოვლებული ტიხრებით — «ლეჭვინდრით».

«მაჟიბისათვის» «დარბაზის» შეერქმევაში ხომ არ ითამაშა რაიმე როლი იმ გარემოებამაც, რომ მას ყოველთვის კარები აქვს დაყოლებული თივით დატვირთული, უღელ-ხარ-შებმული მარხილის შესატანად («დარ-ვეზე» ხომ თავდაპირველად ალაყაფის კარს ნიშნავდა)?<sup>35</sup>

ნიშანდობლივია, რომ დარბაზულ საცხოვრებელს ტრადიციით განიერი კარები ჰქონდა დაყოლებული. მთელ აღმოსავლეთ საქართველოში, გავრცელებულია აზრი, რომ ძველად, დარბაზში ხის უზარმაზარი მორი უღელი ხარით შეჰქონდათ კერისათვის. მესხეთის დარბაზოვანებში კარი იმ სიგანე უნდა ყოფილიყო, რომ შიგ თავისუფლად გასულიყო ხურჯინ-გადაკიდებული ცხენი. „დარბაზი“ ქართულ ენაში თავდაპირველად ხომ არ შეერქვა დიდკარიან (ფართოკარიან) შენობას, რომელიც ცხადია ფართობითაც

<sup>33</sup> Г. Климов, Этимологический словарь картвельских языков, М., 1964, გვ. 136.

<sup>34</sup> ზაფხულის პერიოდში საცხოვრებლად მას მხოლოდ ბალსზედა სვანეთში იყენებენ.

<sup>35</sup> ტერმინი „დარვაზა“ ალაყაფის კარის მნიშვნელობით დღემდე ხმარებაშია საინგილოს ქართველებს შორის: „დარვაზა მალალი, ხისკარბოანი ქიშკარი“. ნ. როსტიაშვილი, ინგილოური ლექსიკონი, თბ., 1968.

დიდი იქნებოდა? დარბაზის სახელი ძველად, ალბათ 3-4-5 მალიან, მაღალ მოქცეულიან, დიდი ოჯახის საცხოვრებელ სახლს შეარქვეს, რომელშიც ერთ პერქვეშ სამი-ოთხი თაობა ცხოვრობდა და რომლის ფართობიც ზოგჯერ 100 კვ. მეტრს აღემატებოდა, რომელთაც ქსნის ხეობაში, „ერთობის სახლს“ უწოდებდნენ. შემდეგ, უკვე XVII საუკუნიდან, ალბათ ეს სახელწოდება ყველა გვირგვინიან-ერდოიან სახლზე გავრცელდა (ვახტანგ VI კანონები), თუმცა მის პარალელურად თანაარსებობდა „მოქცეული სახლიც“<sup>36</sup>.

ჩვენამდე მოაღწია დარბაზული საცხოვრებლის ორმა ძირითადმა სტრუქტურამ: 1 კვადრატული ფორმის სათავსმა, რომლის მოქცეულიც (გვირგვინიც) სათავსის მთელ ფართობს ხურავს და 2. წაგრძელებული გემის სათავსმა, რომელშიც გვირგვინით იხურება 2—3. (4—5) მალიანი სივრცის მხოლოდ ერთი (უკანიდან მეორე) მალი. პირველი მათგანი XIX—XX საუკუნეებში ძირითადად სამცხე-თრიალეთის კომპლექსურ საცხოვრებლებში (დარბაზოვანებში) იყო გავრცელებული მეორე კი — ქართლსა და გარეკახეთში, აღმოსავლეთის მაღალმთიანეთის ჩათვლით (სამხრეთ-ოსეთში, განსაკუთრებით ქსნის ხეობაში, ფშავსა და ერწო-თიანეთში — „მოქცეული სახლების“ სახით). დარბაზის პირველი სახე (კვადრატული ფორმისა) უფრო არქაული ნიშნების მატარებელია, თუმცა მეორე მათგანის სტრუქტურა, როგორც დავინახეთ, ქართულ მიწაზე ჯერ კიდევ მტკვარ-არაქსის კულტურაში იყო ცნობილი. წაგრძელებულ (მეგარონის ტიპის) დედაბოძებიან დარბაზების ძველ ობიექტებში გამოყენებულია მხოლოდ პარალელური წყობის ოთხკუთხოვანი გვირგვინი (მოქცეული), უბოძო (კვადრატულ) დარბაზებში კი მოქცეულის პარალელურად შენდებოდა კუთხური წყობის ოთხკუთხოვანი გვირგვინებიც.

გვირგვინის ზომები დედაბოძიან დარბაზებში მეტისმეტად მერყევია. დაწყებული ორი-სამი წყვილი ლატნისაგან შეკრული ერდოთი, რომელიც ოდნავ სცილდება ბანას ზედაპირს და გათავებული რამდენიმე მეტრის სიმაღლის გვირგვინებით.

მოქცეულის ანალიზი საშუალებას გვაძლევს წამოვაყენოთ ჩვენი მოსაზრება მიწურ-ბანიანი, 2-3 მალიანი, ბოძებიანი, ერდო-გვირგვინიანი დარბაზული საცხოვრებლის ჩასახვა-განვითარების შესახებ.

კვადრატული (ან მასთან ახლო) გეგმის მქონე სახლის ფართობის გაზრდის საჭიროებამ გამოიწვია მისი წაგრძელება და საყრდენის გამოყენება მიძივ, მიწურ-ბანიანი გადახურვის მალეების შემცირების მიზნით. დიდი ოჯახის ყოფაცხოვრების პირობები მოითხოვდა კერის განთავსებას სამყოფის შუაში (მისი კედელთან მიტანა ორჯერ ამცირებდა კერის ფრონტს). კერის კვამლია მოსაცილებლად, მის ზევით საჭირო იყო ერდო-სარკმელი, რომელიც თან საცხოვრებელს გაანათებდა კიდევ. თავზე (თავებზე), რომლებზედაც გადახურვის კოჭები უნდა დაეწყო, არ შეიძლებოდა შენობის ღერძზე გრძელად გადებულიყო, როგორც ეს აღმოსავლეთ მთიანეთის სახლებში იყო მიღებული. რადგან კერის თავზე, შუაში ერდო ველარ მოეწყობოდა. ამიტომ დარბაზებში თავზე (ერთი ან რამდენიმე), შენობის სიგანეზე გადებული, რომ გრძივ ღერძზე საცხოვრებლისა ერთ-ერთი მალის შუაში-კერა და მის

<sup>36</sup> ბაგრატი კურაპალატის სამართალში (XI ს.) საუფროსო სახლი (რომელსაც ვახტანგ VI-ის კანონებში დარბაზი ეწოდება) მოხსენიებულია როგორც თავი სახლი (115, თუ გლენი გაიყარნენ. უხუცესსა ძმასა ანუ თავერსა ხლი ანუ ერთი ვენაჟი ანუ უფროსნი ჭურნი ... „ქართული სამართლის ძეგლები“, ი. დოლიძის გამოც., ტ. 1, თბ., 1964, გვ. 469.

ზემოთ ერდო სარკმელი მოეწყო. ქართლ-კახური კლასიკური დარბაზი (მეგარონის ტიპისა) სამშალაინია (ორთავიანი), ორი (უმეტესად), სამი (ხშირად), ან ოთხი (იშვიათად) დედაბოძით. რაკი დარბაზის სიგანე ექვს მეტრს იშვიათად აღემატება (თავზე, როგორც კანონი, უჭრია, ერთიანი), ამიტომ მის დასაყრდნობად, კონსტრუქციულად სრულიად საკმარისია ერთი ბოძი; ორი ბოძის გამოყენება თავისი ქვეშ უმთავრესად ხუროთმოძღვრულ-მხატვრული მოსახრებითაა გამოწვეული.

საკვამლე და სანათური ღიობი მიწურ-ბანიან სახურავში შეიძლება ორნაირად გაკეთდეს: 1. კოდის („საკომკოდის“) — ამოფულუროვებული ხის ნაკერის ჩასმით და 2. მოქცეულის (სივიწროვზე წასული ერდოს) აგებით. გარე კახეთში ხის კოდის მაგიერ ზოგჯერ ძირ-ამოტეხილ ქილას ან ქოცოს იყენებდნენ. პირველი წესი გვაძლევს ერდო-ბანიან სახლს ბრტყელი ჭერით, მეორე კი — მოქცეულს, რომელიც გვირგვინის სახეს იღებს და საბოლოოდ დარბაზული საცხოვრებლის ნიშანდობლივი გადახურვის ფორმად იქცევა. შევნიშნავთ, რომ მოქცეული სახლი, პრიმიტიული, განუვითარებელი გვირგვინის ჩანასახით ჯერ კიდევ არ არის დარბაზი და თავისი აღნაგობით უფრო უახლოვდება ერდო-ბანიანი სახლის ტიპს, ვიდრე დარბაზს, რომლის შინაგან სივრცეშიც გვირგვინი ბატონობს.

გვირგვინის ზომებს 3(4-5) მალიან დარბაზებში განსაზღვრავს მალის სიღრმე, რომელიც ჩვეულებრივად სამყოფის სიგანის ნახევრიდან — ორ მესამედამდეა. მინიმალური სიმაღლე კი გვირგვინისა პრიმიტიულ დარბაზებში (მოქცეულებში) ისაზღვრება მიწურ-ბანიანი გადახურვის სისქით: ერდო-სარკმელი უნდა ასცდეს ოდნავ მაინც ბანის ზედაპირს, რომელიც უნდა უზრუნველყოფილი იყოს საკმარისი ქანობით ერდოდან კედლებსაკენ. რაც უფრო მაღალია გვირგვინი, ცხადია, ბოლის წვეცა უკეთესია და სინათლეც მეტი შემოდის.

სწორედ ერდო-სარკმლისა და ბანიანი გადახურვის ტექნიკური გაუმჯობესებისაკენ (ერდო-სარკმლის ამალეებისაკენ და ბანისათვის საკმარისი ქანობის უზრუნველყოფისაკენ) მისწრაფებამ მიიყვანა დარბაზის მშენებელი, სამშენებლო ტექნიკის განვითარების იმდროინდელი დონის პირობებში, — მოქცეულს — (სივიწროვზე წასული ერდოს) გამოყენებაზე.

სამშენებლო ტექნიკის განვითარებას თან მოჰყვა იმ „აუცილებლის“, რასაც ადამიანი აშენებდა, თანდათანობითი გადაზრდა „მოხერხებულში“ და „მოხერხებულისა“ კი — „ლამაზში“<sup>37</sup>. კოლხური სახლის სახურავი უკვე „გუმბათურ“, კამაროვან ფორმას იღებს, იგი უკვე ნამდვილი მოქცეულია სივიწროვზე წასული, რომლის საფუძველზედაც გაიშალა გვირგვინის უფრო რთული და მაღალმხატვრული სახეები, ჩამოყალიბდა ძველქართული საცხოვრებლის სამი ძირითადი სტრუქტურა: კი ბ უ რ- გ უ მ ბ ა თ ო ვ ა ნ ი (მესხური დარბაზი) კი ბ უ რ- კ ა მ ა რ ო ვ ა ნ ი (სამცხური ოდა) და კი ბ უ რ- გ უ მ ბ ა თ ო ვ ა ნ ი ბ ო ძ ე ბ ზ ე (ქართლის დარბაზი)<sup>38</sup>.

დარბაზული საცხოვრებლის მაღალმხატვრულ დონემდე განვითარებამ გამოიწვია ის, რომ ტერმინმა „დარბაზმა“, რომელიც XVII ს-ის დასასრული-

<sup>37</sup> ვიქტუვიუსი...

<sup>38</sup> ლ. ს უ მ ბ ა ძ ე, სამცხე-თრიალეთის თავარებიანი ოდა, „მაცნე“, ისტორიის სერია, № 4, თბ., 1976, გვ. 77.

დან მაინც ფართოდ იყო გავრცელებული „მოქცეულის“ პარალელურად, XIX საუკუნეში თითქმის მთლად გამოდევნა ხმარებიდან უფრო ძველი, ქართული წარმოშობის სახელწოდება. დარბაზული საცხოვრებლის არქიტექტურულ-მხატვრული აღნაგობა და გვირგვინების მდიდარი ფორმები, როგორც ქართლ-კახური, ისე სამცხური სახესხვაობისა, უნდა ვიფიქროთ, რომ — XVII — XIX საუკუნეების მანძილზე იყო განვითარებული და ხუროთმოძღვრულ-მხატვრულ სრულყოფილებამდე აყვანილი.

Л. З. СУМБАДЗЕ

### «МОКЦЕУЛИ»

(к генезису дарбазного жилища)

Резюме

«Мокцеули» — реликтовая форма простейшего четырехугольного, центрично-венчатого перекрытия древнегрузинского жилища, со световым отверстием посередине.

По С. С. Орбелиани «мокцеули» — суживающееся кверху перекрытие. Жилище с подобным перекрытием исследуется на основании обмерного и этнографического материала с привлечением историко-литературных источников.

На основании анализа форм перекрытия «мокцеули» колхидского дома, описанного Витрувием, гвиргвини (венца) древне-грузинского дарбази, еще раз подтверждается мнение о том, что простейшая форма «мокцеули» — прототип дарбазного перекрытия — зарождена в дереве; что подобную форму (в зачаточном виде) имело перекрытие жилища Куро-Араксского периода (III тыс. л. до н. э.) и возможно, крито-микенский мегарон (III—II тыс. л. до н. э.)

Высокохудожественные варианты гвиргвини являются логическим развитием «мокцеули».

Архитектурно-художественная структура дарбазных жилищ Кар-тли-Кахети, Месхети и богатые формы их перекрытия должны были быть развиты и доведены до художественного совершенства на протяжении XVII—XIX вв. Старые понятия «мокцеули сахли», «мокцеули» окончательно исчезают и заменяются терминами «дарбази» (в значении крестьянского жилища) и «гвиргвини» (в значении венчатого перекрытия).

წარმოადგინა საქართველოს სსრ მეცნიერებათა  
აკადემიის აკადემიკოსმა ვ. ბერიძემ.

## გალერი სილოგავა

### შარსის ციხის ერთი ქართული წარწერა

XIX ს-ის შუა ხანებიდან ცნობილია, რომ ყარსის (ისტორიული კარის; ამჟამად თურქეთშია) ციხეზე არსებობდა ორი ქართული წარწერა — ერთი, მოთავსებული სომხურ და გვიან ჩასმულ თურქულ წარწერებთან ერთად ციხის მთავარი შესასვლელის კარების გარშემო და მეორე — მოთავსებული შიდაციხის (ციტადელის) შესასვლელის ერთ-ერთი კოშკის კედელზე. ჩვენი შესწავლის საგანს შეადგენს შიდაციხეზე მოთავსებული წარწერა.

ქართულ ნარატიულ წყაროებში კარის ერთ-ერთი უადრესი მოხსენიება განეკუთვნება გიორგი II-ის (1072-1089) დროს, როდესაც „მომადლა ღმერთ-მან [გიორგი მეფესა], აღიღო ქალაქი კარისა, ციხე-ქუეყანა, და სიმაგრენი ვანანდისა და კარნიფორისანი, და იოტნა თურქნი მის ქუეყანისანი“<sup>1</sup>; ხოლო დავით აღმაშენებლის ისტორიკოსის ცნობით, კარი გიორგი II-ს გადასცა „აღმოსავლეთის ზორვარმა“ გრიგოლ ბაკურიანის ძემ<sup>2</sup> და გიორგი II-მ „დაუტევნა კარს აზნაურნი შავშნი“<sup>3</sup>. დიდი თურქობის დროს, ივ. ჯავახიშვილის

<sup>1</sup> მატჩანე ქართლისა, „ქართლის ცხოვრება“, ტ. I, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყ ა უ ხ ჩ ი შ ვ ი ლ ი ს მიერ, თბ., 1955, გვ. 317 (ქვემოთ — ქ<sup>1</sup>ცა, I); შდრ. ქ<sup>1</sup>ცა, IV, 153. უფრო ადრინდელი ცნობები კარის და კარის ქვეყნის შესახებ შემონახულია ხელნაწერთა ანდრძ-ძინაწერებსა და ეპიგრაფიკულ ძეგლებში. როგორც ჩანს, ამ ადრეულ ხანას უნდა განეკუთვნებოდეს ციხეზე არსებული მეორე ქართული წარწერა, რომელიც დ. ბაქრაძის ცნობით, კარის ქართულ ეკლესიაზე იყო თავდაპირველად მოთავსებული (იხ. აქვე, შენ. 14). მაგრამ ეს ცნობები ჩვენი შესწავლის საგანს — ყარსის ციხის XIII ს-ის წარწერას დიდად უსწრებენ წინ და ჯათ აქ არ შევხებით.

<sup>2</sup> ივ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, ქართველი ერის ისტორია, წ. II, თბ., 1965, გვ. 160; ქ<sup>1</sup>ცა, I, 318<sup>11</sup>. ორი ისტორიკოსის მიერ ამ ფაქტის განსხვავებულად გადმოცემის მოტივების შესახებ იხ. М. Д. Лордкипанидзе, Из истории византийско-грузинских взаимоотношений (70-е годы XI в.), «Византийский временник», 40, 1979, გვ. 92—95).

<sup>3</sup> ქ<sup>1</sup>ცა, I, 318<sup>11</sup>. როგორც ჩანს, თავისი ამ მოქმედების (ბიზანტიის ციხე-სიმაგრის საქართველოს მეფისათვის გადაცემის) გასაძარტლებლად გრიგოლ ბაკურიანის ძეს ბიზანტიის იმპერატორისაგან მოუპოვებია „ოქრობეკედი ერთი უბრალოებისათვის კარს თავადობისა ჩემისა“ (აქ. შ ა ნ ი ძ ე, ქართველთა მონასტრები ბულგარეთში და მისი ტიპიკონი. ტიპიკონის ქართული რედაქცია, თბ., 1971, გვ. 122, № 6). გრიგოლ ბაკურიანის ძის მიერ მოპოვებულ სხვა ოქრობეკედების ერთ ნაწილთან ერთად, იგი ინახებოდა კონსტანტინოპოლში, „დიდსა შინა ეკლესიასა“, ე. ი. სოფაშოში და იყო „კელსა ქუეშე“ სის ძიერ დაარსებული პეტრიწონის მონასტრის მამასახლისისა, „რაჟთა მომავალსა შინა ეამსა, ოღესცა საქმარ იყოს, გამოიღებდნენ და უჩუენებდნენ“ (აქ. შ ა ნ ი ძ ე, დასახ. ნაშრომი, გვ. 125). „კარს თავადობის“ დროს „უბრალოებისათვის“ ოქრობეკედის მოპოვების როგორც განსაკუთრებული შემთხვევის მაჩვენებელია შე. დეგი ფაქტი: პეტრიწონის მონასტრისათვის დატოვებულ ძრავალრიცხოვან ოქრობეკედებში, ოქრობეკედთა „სწორებში“ (ე. ი. ასლებში), „ნასყიდის ნაწერებში“, „ბიჭაყებში, პრახტიკონებში, პერიერუზონებში, წიგნებში, კელით წერილებში, პარადოდოციონებსა და აპოტიქსებში (სულ დასახლებულია 60-ზე მეტი სხვადასხვა საბუთი, რომელთა სახელები აღნიშნულია ხან ქართული და ხან ბიზანტიური დიპლომატიკური ტერმინებით; მაგ., „გელით წერილი“ და „აპოტიქსი“) გრიგოლ ბაკურიანის ძე ასახელებს „უბრალოდ ყოფის“ კიდევ 3 ოქრობეკედს — ორი განეკუთვნება „ულოლარისოდ დადგრომას... სამეფოჲსა განძისათვის, რომელი წარვაგეთ კომანთა გამოყვანებასა შინა“ და მესამეა „ოქრობეკედი... უბრალოებისათვის თემისა ზმოლინაჲსა“ (აქ. შ ა ნ ი ძ ე, დასახ. ნაშრომი, გვ. 123, № 7, 8).

11. „მ ა ც ნ ე“, ისტორიის სერია, 1980, № 1

მიხედვით 1074-1080 წლებში, ქართველებმა კარი კვლავ დაკარგეს<sup>4</sup> და ამჯერად, როგორც ჩანს, დიდი ხნით, რადგან მისი შემდგომი ხსენება ქართულ წყაროებში მხოლოდ თამარის დროს ჩანს. ზაქარია მხარგრძელს, მანდატურთუხუცესსა და ამირსპასალარს, ლაშა გიორგის დროინდელი მემკვიდრის ცნობით, „დიდმან თამარ მეფეთ-მეფემან გაალაშქრებინა მისსა ბედსა ზედა და აილო კარი“<sup>5</sup>. მეორეგან, ამავე ავტორის მიერ „მისსა ბედსა ზედა“ განმარტებულია, როგორც „გიორგის შობასა ზედა გაილაშქრა და აილო კარი: ესრე ჩნდა ბედნიერობა ამისი და თამარ მეფისა“<sup>6</sup>.

თამარის მეორე ისტორიკოსი დაწვრილებით გადმოგვცემს თამარის დროს კარის ალების შესახებ:

თამარმა „ოცდაშესამდე, გინა-თუ მეოთხედ, აღმაელობასა მეფობისა მისისა წელიწადსა იკითხა საქმე კარისა. რამეთუ მრავლით უამითგან პბრძოდეს სარგის თმოგუელი, შალვა თორელი და მესხნი, გარნა ვერარა ღონე ქმნეს აღებისა, რამეთუ ზამთრის მესინეარებისაგან და სიციეისა უღონო იყვნეს მიდგომად. ხოლო უამსა ყინვისასა წყლისაგან განყინულისა ვერ შეუძლებდეს ბრძოლად, ვარე შემოუსუნეს ყოველნი ციხენი და სოფელნი, და ავი მხოლოდ მარტოა პქონდათ სპარსთა. ამისთვის განიზრახა კეთილისა გონებითა და წარაუღინა დაეით ზემოთ ლაშქრობა. წაატანა ზაქარია და ივანე, და უბრძანა, რათა დადგენ მუნ და ძლიერად ეომონ. და სანგრძლად იქმნა ესე, და თჳთ თამარ დადგა ჯაეახეთს, და მუნ მოელოდა ამბავსა მათსა.

ხოლო ივანი მივიდეს და ებრძოდეს უკუე შეკრულსა მას ღობესა წყლისათჳს და მრავალსა შინა დღეთა განტესეს ადგილი იგი. და გამოიცალა წყალი და მის თანა უმრავლესნი მოქალაქენიცა. ხოლო დაშთომილთა მათ ითხოვეს დაეითისაგან, რათა თჳთ თამარ მივიდეს და მას მიენდგენ, რამეთუ ეშინოდათ სიტყუათა მათთვის გინებისათა, რომელთა ციხით გამოიტყოდეს პირველ.

მაშინ მოაქსენეს ესე ყოველი თამარს. ხოლო იგი მივიდა, და მოისუნეს ცისოყანათა მათ კლიტენი წინაშე ძისა მისისა გიორგისა და მერმე თამარის წინაშე და ითხოვეს მშვიდობასა და ფიცსა, რათა არა განსცეს კარი, ეითარ ანისი და დეინი, არაშედ საშეფოდ და იმჭიროს. ამისთვის მისცა სიტყუა მტკიცე და უბრძანა ძესა ოვხსა გიორგის, რათა შევიდეს და თჳთ მოითუალოს ქალაქი და ციხე. რომელი-ესე ესრეთ იქმნა. და ესე ერთი ქალაქი და ციხე თჳსად და იმჭიროა“<sup>7</sup>.

როგორც ვხედავთ, კარი თამარის დროს სამეფოდ „დაიმჭირეს“, ისე, რომ იგი სამფლობელოდ არაეისტვის არ გადაუციათ. იბნ ალ-ასირის ცნობით, ეს მოხდა 1206-7 წელს<sup>8</sup>, ვარდანის ცნობით — 1206 წელს<sup>9</sup>, ხოლო ბასილი ეზოს-მოძღვრის მიხედვით — თამარის მეფობის ოცდამესამე თუ ოცდამეოთხე წელს, ე. ი. ან 1207, ან 1208 წელს<sup>10</sup>. „ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანის“ ცნობით, კარის მცველად მეფემ „დაუტევა... ახალციხელი ივანე, და აჩინა მონაპირედ, და უბოძა ათაბაგობა და ამირთა-ამირობა, რომლისათჳსცა დიდი წყება შეექმნა თურქთა; და დიდად აგებდა, რომელ წარულო თურქთა გარეშე-მონი ქუეყანანი, აიხუნა და მიითუალნა. და წარმოგზავნა მახარობელი მეფესა წინაშე და დაიმადლა“<sup>11</sup>. ამის შემდეგ კარი კარგა ხანს იყო ახალციხელების

<sup>4</sup> იე. ჟ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, დასახ. ნაშრომი, გვ. 161.

<sup>5</sup> ლაშა გიორგის-დროინდელი მემკვიდრე, ქცა, I, გვ. 370<sub>18-18</sub>.

<sup>6</sup> ქცა, I, გვ. 369<sub>13-14</sub>.

<sup>7</sup> ბასილი ეზოსმოძღვარი, ცხოვრება მეფეთ-მეფისა თამარისი, ქცა, II, გვ. 143<sub>12-144</sub>.

<sup>8</sup> იე. ჟ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, დასახ. ნაშრომი, გვ. 274.

<sup>9</sup> იქვე.

<sup>10</sup> აქედან ჩანს, რომ ბასილი ეზოსმოძღვართან თამარის მეფობის წლები ათვლილია მისი ერთმეფობიდან (1184 წ.) და არა თანამოსაყდრედ კურთხევიდან (1178 წ.).

<sup>11</sup> ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი, ქცა, II, გვ. 92<sub>5-6</sub>.

გამგებლობაში, ხოლო „მისი მიმდგომნი ქუეყანანი“, როგორც ჩანს, მათ ზამთლობელოდაც ჰქონდათ. ეს კარგად ჩანს შემდეგი ფაქტორიდან: გვიან, XIII ს-ის დასასრულს, როგორც ჟამთაღმწერელი გადმოგვცემს, საღუნმა „იყიდა მრავალნი ქუეყანანი, და უბოძეს მეფეთა კარი. და დაჯდა კარსა, და მისი მიმდგომი ქუეყანანი მოივერაგა ახალციხელთაგან, და ასული ახალციხელისა ცოლად მოიყვანა“<sup>12</sup>. აქ, როგორც ვხედავთ, დიფერენცირებულად არის წარმოდგენილი საღუნის მიერ კარის და მისი მიმდგომი ქვეყნის მოპოვება — კარი საღუნს „მეფეთა უბოძეს“, ხოლო „მიმდგომი ქუეყანა“ მან ახალციხელთაგან „მოივერაგა“ და როგორც ჩანს, მემკვიდრეობით სამფლობელოდ მიიღო ახალციხელის ასულის ცოლად მოყვანის გზით.

წარწერა, რომელიც ჩვენი შესწავლის საგანს წარმოადგენს განეკუთვნება ქართველთა მიერ კარის ფლობის ბოლო პერიოდს და, როგორც ქვემოთ დავინახავთ, გადმოგვცემს მათი აქ მოღვაწეობის ერთი ფაქტის — ციხის ერთ-ერთი კოშკის აგების შესახებ.

როგორც ცნობილია, ყარსი და ყარსის ოლქი, ბათუმ-ბაიაზეთ-არდაგანის ოლქებთან ერთად, რუსეთის მფლობელობაში გადმოვიდა 1878 წლის სან-სტეფანოს საზავო ხელშეკრულებით და იგი მის შემადგენლობაში იყო 1918 წლის მაისამდე, სანამ ყარსი არ დაიკავეს თურქეთის ჯარებმა რუსეთის I მსოფლიო ომიდან გასვლის შემდეგ. სამწუხაროდ, ყარსის სიძველეების ფიქსაცია და შესწავლა თუნდაც იმ მოცულობით, როგორც ეს ტაო-კლარჯეთში 1917 წელს ექ. თაყაიშვილის ხელმძღვანელობით მოწყობილი ექსპედიციის დროს განხორციელდა, ვერ მოესწრო. ვერ მოხერხდა სრულად შესწავლა, აგრეთვე, ყარსის ეპიგრაფიკისა — როგორც ქართული, ისე სომხური და სხვა წარწერებისა. ხოლო ამჟამად ეს წარწერები, მათი დიდი და უმნიშვნელოვანესი ნაწილი მაინც, როგორც ქვემოთ დავინახეთ, არ არსებობს; ასე რომ ყოველი ახალი ფაქტი, უცნობი საარქივო მასალა, ან მივიწყებული ცნობა მათ შესახებ ჩვენთვის ძვირფასია და საყურადღებო. ამ ინფორმაციის ძირითადი მიზეზია ის, რომ საქართველოს სახელმწიფო მუზეუმში, ე. ვეილენბაუმის კუთვნილ ფოტოსურათებში მიკვლეულ იქნა ყარსის ციხის ერთ-ერთი ფოტოსურათი, რომელზეზედაც ჩანს ქართული წარწერაც, რომლის შესახებ აქამდე ან ცნობა გვქონდა მხოლოდ, ან ფრაგმენტულად გამოცემული ტექსტი მოგვეპოვებოდა. ტექსტის გამართვაში გვშველის, აგრეთვე, დ. ბაქრაძის არქივში დაცული გამოუქვეყნებელი მასალა.

სხვაზე ადრე ყარსის სიძველეთა შესახებ ცნობებს გვაწვდის გიორგი ავალიშვილი. 1820 წელს იერუსალიმიდან თბილისში მომავალი გ. ავალიშვილი ყარსში იყო ორ დღეს — 23 და 24 ივნისს. „ქალაქი ესე კარსი არს უკანასკნელი ბუდე ოსმანთა საფაშოჲსა და მეზობელი დიდისა კარსიისა სამზღუართა“<sup>13</sup>, — წერს იგი. ჩვენთვის საინტერესო ციხის შესახებ აღნიშნავს შემდეგს: „ციხეჲ ესე არს მომადლოსა კლდეჲსა ზედა მდგარ და აქედამ შთაყოლებულნი კედელნი მისნი იპყრობენ თჳს შორის ჩინებულთა მოწესეთა, ვაჰართა და მოქალაქეთა თათართა. უზემოესსა ნაწილსა ციხისა ამისსა არს საკუთარი მომც-

<sup>12</sup> ჟამთაღმწერელი, ქცა, II, გვ. 273-4.

<sup>13</sup> გ. ავალიშვილი, მგზავრობა თბილისიდან იერუსალიმად, ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, გაბეჭდვით, ლექსიკონი და საძიებლები დაურთო ელ. მეტრეველმა, თბ., 1967, გვ. 338.

რომ ციხე (ე. ი. შიდაციხე, ციტადელი. — ვ. ს.), პერობილი მხოლოდ ფაშისა და მახლობელთა მისთა მიერ. არარაჲ იპოვნების აქა ღირსი შენიშვნისა — განაგრძობს გ. ავალიშვილი, გარდა ერთისა უადრესთა საუკუნეთა შინა პალატიანთა მეფისა არშოტის მიერ თლილისა ქუთა აღშენებულისა ეკლესიისა, სახელთა ზედა 12-თა მოციქულთასა<sup>14</sup>, რომელთა რელიეფური გამოსახულებები მოთავსებულია ეკლესიის გუმბათის ყელზე გარედანო. „ქალაქსა ამას, კვესა შინა დაშენებულსა და ფრიად იწრო უწმინდურ-უსაძაგლესსა, ჰშთამოუღის თეს შორის მომცროჲ მდინარეჲ განწყოფელი ციხისა ქალაქისაგან, შემოვლის თუთქემის სრულიად ქალაქისა ამის გარემოსა და ერთეს არფაჩაისა“<sup>15</sup>. როგორც ვხედავთ, ყარსის წარწერების შესახებ გ. ავალიშვილი არაფერს აღნიშნავს, თუმცა მოგზაურობის დროს სიძველეთა დათვალიერებისას მას ეპიგრაფიკული ძეგლებისათვისაც მიუქცევია ყურადღება და ასახელებს კიდევ ზოგიერთს, ხოლო ზოგიერთის ტექსტიც მოჰყავს თავის ჩანაწერებში<sup>16</sup>.

ყარსის ციხის წარწერის ფრაგმენტული ტექსტი პირველად გამოსცა ვენეციელმა მხითარისტმა ნერსეს სარგისიანმა ჟურნალ «ბაზმავეჰ»-ში. ამ ჟურნალში 1863-1864 წწ. გამოქვეყნდა მისი «დიდი და მცირე სომხეთის აღწერა», რომელიც შეიცავს ავტორის მიერ 1843-1853 წწ. მოგზაურობის დროს შეკრებილი მასალები.

<sup>14</sup> გ. ავალიშვილი, დასახ. ნაშრომი, იქვე. ეს უნდა იყოს ის ეკლესია, რომელიც სომხური საისტორიო ტრადიციის მიხედვით აშენდა X ს-ის I ნახევარში (Н. О. Э м и н, Армянские надписи в Карсе, Ани и в окрестностях последнего, М., 1881, გვ. 4—5) და რომელიც უკვე მეჩეთად გადაქცეული თურქეთის ბატონობის დროს, ხელახლა აკურთხეს რუსულ მართლმადიდებელურ ეკლესიად 1879 წლის 6 იანვარს მიქაელ მთავარანგელოზის სახელზე (Е. Вейденгаузм, Путеводитель по Кавказу, Тифлис, 1888, გვ. 406). ამ ეკლესიის ფოტოსურათები (6 ც., ორ-ორი სურათი ორი სხედასხვა ხედისა გარედან და ორიც შიდა ხედისა საკურთხევლისაკენ), გადაღებული XX ს-ის დასაწყისში, ინახება კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტში ექ. თაყაიშვილის პირად სააქიფო ფონდში (№ 352, 1, 2; 20, 21; 5, 22). ყარსის სომხური კათოდრალური ეკლესიის ფოტო: D. Hills, My travels in Turkey, London, 1964, გვ. 15. დ. ჰილზის წიგნში თავმოყრილი ცნობები თურქეთის საქართველოს ქართული სიძველეების შესახებ გამოცემულია ქართულადაც: დ. ჰილზი, ჩემი მოგზაურობანი თურქეთში, «მომოხილველი», 6—9, თბ., 1972, გვ. 130—143 (თარგმანი რ. გაჩეჩიძისა).

დ. ბაქრაძის მოსაზრებით, ყარსში ქართული ეკლესიაც ყოფილა, რომლისაგან დარჩენილი „ძველი“ ქართული ასომთავრული წარწერანი ქვის ფრაგმენტი „აფხაზთა მეფეთ-მეფის“ მოხსენიებით (სახელი არ იკითხებაო) მას უნახავს „ქალაქის შესავალის ალაყაფის კარის მალა“ (ვახუშტი, საქართველოს ისტორია, ნაწ. I, ტფ., 1885, გვ. 150—დ. ბაქრაძის შენიშვნა; Дм. Б а к р а д з е, Историко-этнографический очерк Карсской области, ИКОИРГО, т. VIII, 1881, № 1, გვ. 202). წარწერის ფრაგმენტული ტექსტი მას მოჰყავს თავის დღიურში (ხელნაწერთა ინსტიტუტი, დ. ბაქრაძის სააქიფო ფონდი, № 32, 50 v), რომლის მიხედვითაც იგი გააოსცა ექ. თაყაიშვილმა (МАК, XII, 1909, გვ. XI); ჩვენი საყარადლო აღდგენებით ეს ტექსტი ასეთია: „ქ აღიდენ ღ(მერთან) [....] აფხ(ა) ზო[ა] მ(ე)ფისა წყალობით[ა] [...ადგენენ] [ე ლეაია] ეაე [...]-ოთგანესა (ან: ჩუენისა) [...].“ ამ წარწერას, დ. ბაქრაძე, დამწერლობის მიხედვით, ათარიღებს X—XI ს-ით (იხ. ხელნაწერთა ინსტიტუტი, დ. ბაქრაძის პირადი სააქიფო ფონდი, № 32, 50 v).

<sup>15</sup> თ. ავალიშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 338.

<sup>16</sup> ასეთია, მაგალითად, იერუსალიმის აბრაჰამის ეკლესიის კარბქის ქართული წარწერა 1599 წლისა (გ. ავალიშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 045—046). ხოლო ყარსის სხლობლად მდებარე კიოიქლიისი ეკლესიის წარწერის შესახებ აღნიშნავს: ეკლესიის „ბქისა თავსა არს ქუაჲ წერილიანი ქართულითა მთავრულთა ასოებითა და სომხურთაჲ; გარნა კელთა ჰიერ დროჲსა ყოვლისა განმქარებელისა და მასთანა კელთაგანცა უკეთილ-სახურთათა არიან წერილნი ესე გატუდებულ და არ შესაძლო წარკითხვად მათსა. იტყვან არზრუ-კარსელნი სოქხნი, სენოზნი წინაპართა მიერ თესთა, თჳმარ მეფისაგან აღშენებასა ამ ეკლესიისასა“ (გ. ავალიშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 338, შენ. 1; იხ. აგრეთვე, იქვე, გვ. 046).

ბის პუბლიკაციას. «აღწერა» 1864 წელს გამოქვეყნდა ცალკე წიგნადაც ვენეციაში<sup>17</sup>. ნერსეს სარგისიანის პუბლიკაციის მიხედვით ფრაგმენტული წარწერის ქართული ტექსტი ფრანგული თარგმანით 1861 წელს გამოსცა მ. ბროსემ<sup>18</sup>. 1881 წლის 23 ივლისს, როგორც მისი საველე დღიურიდან ჩანს, წარწერა აღგიღზე შეუსწავლია დ. ბაქრაძეს<sup>19</sup>. იმავე წელს მან გამოაქვეყნა ცნობა ყარსის ქართულ წარწერებზე და მათ შორის ამ წარწერის შესახებაც, ხოლო თვით წარწერის ტექსტი არ გამოუცია<sup>20</sup>. 1909 წელს წარწერის ფრაგმენტული ტექსტი, მაგრამ ამ დროისათვის არსებულ პუბლიკაციებთან შედარებით მაინც უფრო შევსებული სახით, გამოაქვეყნა ე. თაყაიშვილმა<sup>21</sup>. მისივე, აღნიშვნით, მან ეს პუბლიკაცია მოამზადა დ. ბაქრაძის დღიურში დაცული ტექსტისა და „პოდანტოი ინსპექტორის“ დავით ვასილის ძე ქუთათელაძის მიერ მისთვის გადაცემული წარწერის ტექსტის გადმონაწერის მიხედვით<sup>22</sup>. ამგვარად, ამჟამად არსებობს წარწერის ტექსტის ოთხი გამოცემა (ნ. სარგისიანისა — 2, მ. ბროსესი და ე. თაყაიშვილისა) და ერთი გადმონაწერი (დ. ბაქრაძისა). აქედან წარწერის *de visu* შესწავლას ემყარება ორი გამოცემა (ნ. სარგისიანისა) და გადმონაწერი (დ. ბაქრაძისა). ჩვენ მიერ გამოსაცემად მომზადებული ტექსტი, გარდა ამ გამოცემებისა და დ. ბაქრაძის არქივში დაცული გადმონაწერისა, ემყარება წარწერის ფოტოს, გადაღებულს 1875 წ. ო. ა. ქურქიანის მიერ. ეს ფოტო, როგორც აღინიშნა აღმოჩნდა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ს. ჯანაშიას სახელობის საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ეთნოგრაფიის განყოფილებაში, ევგ. ვეიდენბაუმის კუთვნილი ძველი ფოტოსუ-

<sup>17</sup> ნ. შ ა რ გ ი ს ი ა ნ, *Сборникъ древнихъ надписей въ Грузіи*, 1864, გვ. 103. ჩვენ ვსარგებლობთ ამ გამოცემით, რადგან ჟურნალ „ბაზმევეკ“-ის ის ნომრები ვერ მოვიპოვეთ. უნდა აღნიშნოს, რომ ნერსეს სარგისიანს დიდი ღვაწლი მიუძღვის სამხრეთ საქართველოს — ტაო-კლარჯეთი, აგრეთვე, ყარსის, ანისის და სხვ. ქართული სიძველეების შესწავლაში. აკად. ე. თაყაიშვილი აღნიშნავდა: „უნდა მიუზღოს დიდი პატივი დაუღალავესა, უანჯარო და პატიოსანი მკვლევარის ნერსეს სარგისიანის ხსოვნას: მას საზოგადოდ გულმოდგინედ აქვს გადმოღებული ხან კალკით და ხან ხელით, წარწერები, რომლებიც შეუძნეველია და რომლებიც მის დროს კარგად უფიქროს დაცული“ (ე. თ ა ყ ა ი შ ვ ი ლ ი, 1917 წლის არქეოლოგიური ექსპედიცია სამხრეთ საქართველოში, თბ., 1960, გვ. 6).

<sup>18</sup> M. B r o s s e t, *Inscriptions géorgiennes et autres recueillies par le Père Nersès Sargisian, MAIS, t. VIII, № 10, SPb., 1864, გვ. 21.*

<sup>19</sup> ხელნაწერთა ინსტიტუტი, დ. ბაქრაძის პირადი საარქივო ფონდი, № 32, 50 v.

<sup>20</sup> Д. Б а к р а д з е, *Историко-этнографический очерк...*, გვ. 202.

<sup>21</sup> МАК, XII, 1909, გვ. XI.

<sup>22</sup> უნდა აღინიშნოს, რომ დავით ვასილის ძე ქუთათელაძეს, „პოდანტოი ინსპექტორს“ ოლთისში, სხვა წვლილიც მიუძღვის ქართული ეპიგრაფიკული ძეგლების შესწავლისა და შეკრების საქმეში. ე. თაყაიშვილის ცნობით (ე. თ ა ყ ა ი შ ვ ი ლ ი, *არქეოლოგიური ექსპედიცია კოლა-ოლთისში* და ჩანგლში 1907 წელს, პარზი, 1938, გვ. 7—8), დ. ქუთათელაძეს XX ს-ის დასაწყისში (1907 წ.-მდე, ე. თაყაიშვილის მიერ კოლა-ოლთისში ექსპედიციის მოწყობამდე) თბილისში განოუზგავნია ოლთისის ციხის ეკლესიის საკურთხეველის ქვის კვარცხლბეკი, რომელზედაც ამოკვეთილია ქართული წარწერები. ერთ-ერთ წარწერაში დავით ქურაპალატი მოხსენიებულია ჯერ კიდევ მაგისტროსის ხარისხით დაე ..., წარწერა 973—977 წწ. თარიღდება. სხვა მხრივაც არის ეს ძეგლი უნიკალური — ჩვენ არ მოგვეპოვება ეკლესიის საკურთხეველის კვარცხლბეკის საშენებლო წარწერა და ისიც ასეთი ადრინდელი ხანისა. კვარცხლბეკი ინახებოდა საქართველოს საისტორიო-საეთნოგრაფიო საზოგადოების მუზეუმში, უნივერსიტეტის პირველ კორპუსში; ამჟამად დაცულია საქართველოს სსრ ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმში (№ 173). სამწუხაროდ, მისი წარწერების პუბლიკაციაში (ე. თ ა ყ ა ი შ ვ ი ლ ი, *დასახ. ნაშრომი*, გვ. 48) ტექსტი სწორად წაკითხული არ არის (გაოტოვებულია მთლიანად დავით მაგისტროსის წოდება...) და ამიტომაც არც ძეგლია სათანადოდ შეფასებული.

რათების ფონდში<sup>23</sup>. ესაა 133 X 93 მლმ. ზომის ყავისფერი ფოტოსურათი დაკრული 180 X 130 მლმ. ზომის მუყაოს ოთხკუთხა ფურცელზე. სურათის ზურგზე მელნით აწერია: «Армянская и грузинская надписи на пятнадцатой башне восточ(ной) внутренней стены г. Карса. Фотография О. А. Куркчянца. 1875 г.», ზემოთ ფაქსიმილეთი — «От Е. Г. Вейденбаума»<sup>24</sup>.

ფოტოსურათზე წარმოდგენილია ყარსის ციხის ერთერთი კოშკის ზედა ნაწილის ფრაგმენტი. კოშკი აშენებულია ფლეთილი ქვების თითქმის ოთხკუთხა კვადრებით, რომელთა წყობა სწორ ჰორიზონტალურ რიგებს ქმნის (სურ. 1). ნ. სარგსიანის მიხედვით, ეს უნდა იყოს დასავლეთი მხარე ყარსის ციტადელის ჰიმერისა, რომელსაც „ბერიმ ფაშა გაფური“ ეწოდებოდა<sup>25</sup>. სურათის ცენტრში გამოსახულია სომხური რელიეფური ასომთავრული წარწერა, შესრულებული ხუთ სტრიქონად და მოთავსებული ქვის სამ ფილაზე. ეს ფილები დაახლოებით თანაბარი ზომისაა და ისინი თითქმის კვადრატის ფორმისანი არიან. შუა ფილაზე ტექსტი გადარეცხილია, ხოლო გვერდით ფილებზე, განსაკუთრებით მარცხენაზე, კარგად არის შემორჩენილი და თავისუფლად იკითხება<sup>26</sup>. შუა ფილის ზემოთ ჩასმულია ვიწრო მოგრძო ფილა (სიგრძით, თითქმის შუა ფილის სიგანის ზომისა), ამოკვეთით შესრულებული ორსტრიქონიანი სომხური წარწერით<sup>27</sup>; ხოლო ამ ფილის ზემოთ ჩასმულია ხაჩქარის ორნამენ-

<sup>23</sup> ფოტოსურათზე ყურადღება მივაქცევინა საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის უფროსმა მეცნიერ-თანაშრომელმა ნ. ნ. სილოგავამ (28. I. 1978), რისთვისაც უღრმეს მადლობას გვავსენებთ.

<sup>24</sup> აქვე ფოტოსურათზე წარწერილია სამი სხვადასხვა საინვენტარო ნომერი: 297—010/737 — საერთო საქუთუში ნომერი 1926 წელს ჩატარებული აღრიცხვის მიხედვით; 523 ბ (ფანქარი) — მუზეუმის ეთნოგრაფიის განყოფილების ნომერი და 14—10—ეგვ. ვეიდენბაუმის კოლექციის ნომერი, საიდანაც ჩანს, რომ ეს ფოტო კავკასიის მუზეუმში შემოვიდა [19]10 წელს.

ვევენო ვუსტაიხი ქე ვეიდენბაუმი (1843—1913) იყო ცნობილი კავკასოლოგი, დ. ბაქრაძესთან ერთად დამაარსებელი კავკასიის ისტორიისა და არქეოლოგიის მოყვარულთა საზოგადოების (დაარსდა 1881 წ.), თავმჯდომარე კავკასიის არქეოგრაფიული კომისიისა 1904—1906 წწ. და 1914 წ.-დან. მისი ღირსი პირადი არქივი დამის მიერ შედგენილი კართოტეკა კავკასიის მოღვაწეთა ვრცელი ბიო-ბიბლიოგრაფიული ლექსიკონისა აშემაღ დატულია კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტში. იხ. მასზე: Л. М. Меликсет-Бекоев, Е. Г. Вейденбаум, как кавказовед, «Известия Кавказского Музея», т. XII, Т., 1919 (ცალკე ამონაბედი გვ. 1—17).

<sup>25</sup> ს. შარეჩიხიანი, დასახ. ნაშრომი, გვ. 103; Н. Эмин, დასახ. ნაშრომი, გვ. 5.; შტრ. М. Grosset, დასახ. ნაშრომი, გვ. 21.

<sup>26</sup> წარწერის ტექსტის გამოცემები: 1) ს. შარეჩიხიანი, დასახ. ნაშრომი, გვ. 103; 2) Н. Эмин, დასახ. ნაშრომი, გვ. 5—6; წარწერაში აღნიშნულია 1236 წელს, რუსუდანის მეფობის დროს, აშირა მუშრფ აბრაჰამის მიერ ყარსის ციხის მეორე კოშკზე ჩატარებული რაღაც სამუშაოს შესახებ (ტექსტი, როგორც აღინიშნა, ძალზე ნაღლულია).

<sup>27</sup> ეს წარწერა, როგორც ჩანს, ძალზე დაზიანების გამო თითქმის არ იკითხებოდა, და არ გამოცემულა. ნ. სარგსიანს დამის მიხედვით სხვა გამოცემულებს მოჰყავთ ყარსის ციხის კიდევ ორი სომხური წარწერა, რომლებიც დასახელებული წარწერების მახლობლად იყვნენ თითქმის განლაგებული, მაგრამ ისინი კ. ჭურჭიანის ფოტოზე არ მოხვედრილან. ერთი — 1234 წლის წარწერა ყარსის კოშკების აგების შესახებ რუსუდანის მეფობის დროს (ს. შარეჩიხიანი, დასახ. ნაშრომი, გვ. 104; Н. Эмин, დასახ. ნაშრომი, გვ. 6, № 2) და მეორე — იმავე 1234 წლის წარწერა, რომელშიც აღნიშნულია, რომ რუსუდანის მეფობისა და ივანეს ათაბაგობის დროს კოშკები (ყიფჩიქ) აშენეს ყარსელმა ქრისტიანებმა თავიანთი ფულით (ს. შარეჩიხიანი, დასახ. ნაშრომი, გვ. 104; Н. Эмин, დასახ. ნაშრომი, გვ. 6, № 3). დ. ბაქრაძე ყარსის ციტადელის კოშკებზე ხუთი სხვადასხვა სომხური წარწერის და ორი ხაჩქარის არსებობას მიუთითებს (ხელნაწერთა ინსტიტუტი, დ. ბაქრაძის პირადი საარქივო ფონდი, № 32, 50 ვ).




სურ. 1.

ტული ბორღურებით და შუაში დიდი ზომის რელიეფური „აყვავებული“ ჯვრით, რომელიც მთლიანად ავსებს ფილის ცენტრალურ ნაწილს. ხაჩქარის ზედა კიდე, დახრით მარჯვენა მხრისაკენ, გადატეხილია; გადარეცხილ-გადაცრეცილია, აგრეთვე, მისი ქვედა მარჯვენა ნაწილიც<sup>28</sup>. ხაჩქარით მთავრდება კოშკის ზედა ნაწილში ქვის ფილების წყობა.

ასომთავრული ქართული წარწერა (სურ. 2), შესრულებული ოთხ სტრიქონად, ამოკვეთილია ქვის ფილაზე, რომელიც მოთავსებულია ხაჩქარის მარცხნივ და მარჯვენა კიდით უშუალოდ მას ეკვრის. იგი ჩასმულია ზემოდან ქვების მესამე წყობაში. მის ზემოთ მოთავსებულია შედარებით მომცრო ზომის

<sup>28</sup> ხაჩქარი, როგორც ჩანს, უწარწერო იყო.

მოგრო ფილა, რომელზეც ამოკვეთილია ერთსტრიქონიანი ქართული ასომთავრული წარწერა და წარწერის ტექსტი მთლიანად ავსებს ფილის ზედაპირს. იგი შეიცავს მხოლოდ თარიღის აღნიშვნას. ამრიგად, ქართული წარწერა ამოკვეთილია ორ ფილაზე, ხუთ სტრიქონად, ოდნავ კიდურწაისრული ასოებით<sup>29</sup>.



სურ. 2.

პირველ, ერთსტრიქონიან ფილაზე ასოები, მეორე ფილის ასოებთან შედარებით, მოზრდილია, მაგრამ ორივე ფილის წარწერა შესრულებულია ერთი ხელით. განკვეთილობის ნიშნებად დასმულია ორწერტილი ყოველი სიტყვის შემდეგ. წარწერის შემსრულებელი სიტყვების დაქარაგმებას მიმართავს, როგორც ჩანს, მხოლოდ ერთ შემთხვევაში — პირველ სტრიქონში („ქკა“) და აქ ქარაგმის ნიშნად დასმულია კიდურწაისრული, განივი, სწორი ხაზი<sup>30</sup>. ფილის ზედაპირის დაზიანების გამო წარწერის ტექსტი ნაკლულია: პირველ ფილაზე მისი ზედა მარჯვენა კილის გადარეცხისა, თუ გადაცრეცხის შედეგად დაზიან-

<sup>29</sup> აღსანიშნავია, რომ კიდურწაისრულობა XIII საუკუნისათვის, რა დროსაც ეს წარწერა განკვეთილია, უკვე არ წარმოადგენს ქართული წარწერების დამწერლობის დამახასიათებელ ნიშანს. ივ. ჯავახიშვილი ასეთი დამწერლობით შესრულებულ ძეგლებს მიიჩნევს „გადაგვარებული“ ტუბუნეტივანი დამწერლობის ნიმუშებად (ივ. ჯავახიშვილი, ქართული პალეოგრაფია, თბ., 1949, გვ. 125). კერძოდ, როგორც თვითონვე აღნიშნავს, ქართული დამწერლობის ერთერთი ასეთი ძეგლია ანისის 1218 წლის წარწერა ეტიფანე კათალიკოსისა (იხ. Н. Я. Марр, Надпись Епифанія, католикаса Грузин, ИИАН, 1910, № 17, გვ. 1433—1442), რომლის პალეოგრაფიული ნიმუშები მსგავსია ყარსის ციხის წარწერის ნიმუშისა.

<sup>30</sup> შეიძლება ქარაგმის ნიშნები დასმული იყო რიცხვების აღმნიშვნელი ასოების თავზეც, როგორც ეს მიღებული იყო საერთოდ, მაგრამ ფილაზე ის აღგლეხი სადაც პათი არსებობდა მოსალოდნელი გადატეხილია და ჩვენც მათ არ აღვადგენთ, რადგანაც წარწერის ტექსტის დადგენისათვის ამ ნიშნებს მნიშვნელობა არა აქვს.

წარწერის ფრაგმენტული ტექსტის ამჟამად არსებულ გამოცემათა<sup>30</sup> გარდა, როგორც აღენიშნეთ, ჩვენ განყარგულებაში იყო, აგრეთვე, დ. ბაქრაძის არქივში დაცული გადმონაწერი წარწერის ასევე ფრაგმენტული ტექსტისა<sup>31</sup> და ო. ქუჩქიაძის მიერ გადაღებული წარწერის ფოტოსურათი. ამ მასალებზე დაყრდნობით წარწერას მთლიანი სახით ჩვენ ასე ვკითხულობთ:

ተፈጥሮ: ል: ጊ:

[illegible]

3. კითხვასხეობებში აღინიშნება ლიტერით ბქ.



ტიკულ მოვლენად მიიჩნეეს და სავარაუდოდ თელოს, რომ რომელიდაც ქართული გრამატიკული სკოლა ანბანში ზ-ის მერვე ადგილს მიუჩენდა ჭ-ს ნაცვლად<sup>37</sup>.

სტრქ. 2. ამ სტრიქონის პირველი სამი სიტყვა არსებულ გამოცემებსა, გადმონაწერსა და ფოტოსურათზე ერთნაირად არის წარმოდგენილი და მისი წაკითხვა ექვს არ იწვევს. მეოთხე სიტყვა, რომელიც კარის ამირას სახელს გადმოსცემს, გადაღის წარწერის მესამე სტრიქონზე. ეს სიტყვა ფოტოზე დაზიანებული სახითაა წარმოდგენილი — ნაკლულია ასოები მეორე სტრიქონის ბოლოს და მესამე სტრიქონის დასაწყისში. ასევე დაზიანებული ყოფილა იგი ნ. სარგისიანისა და დ. ბაქრაძის მიერ მისი ადგილზე შესწავლის დროს. კარის ამირას სახელის გადმოცემი სიტყვის პირველი ორი ასოა „რა“ — ასეა ფოტოზე, გამოცემებში და გადმონაწერებში. ამთ შემდეგ ფოტოზე ჩანს კვალი კიდევ ერთი, ან ორი ასოსი. ნ. სარგისიანი აქ ორ-წერტილს სვამს იმის ნიშნად, რომ არ იკითხება 2 ასო. დ. ბაქრაძის გადმონაწერით „რა“-ს შემდეგ რაღაც გაურკვეველი მოხაზულობის ასოა და მის შემდეგ „რ“. ე. თაყაიშვილთან „რა“-ს შემდეგ იკითხება „არა“<sup>38</sup>. ფოტოზე, როგორც აღინიშნა, ერთი, ან ორი ასოს კვალი ჩანს. ფართობის მიხედვით, ჩვენ ვთვლით, რომ უფრო სწორი იქნება თუ აქ ერთ ასოს ვიგულისხმებო, რადგან ის ასო, რომელიც დ. ბაქრაძის გადმონაწერის მიხედვით გაურკვეველი მოხაზულობისაა და თითქოს სტრიქონის სიგანის ნახევარი ეკავა, როგორც ჩანს, შემთხვევით დასპული ხაზია. ფოტოზე წარმოდგენილი მოხაზულობის მიხედვით, თითქოს უფრო სწორი იქნება მეორე სტრიქონის ბოლოს ვ-ის ადგილზე და მაშინ კარის ამირას სახელს დასაწყისი უნდა წავიკითხოთ, როგორც „რაჲ“. თუმცა, ვიმეორებთ, „ვ“-ს წაკითხვა პირობითია და შეიძლება აქ საკმაოდღემო სულ სხვა ასო — „ზ“ ან „ლ“ იყოს. ამირას სახელი, როგორც აღინიშნა, გადაღის მე-3 სტრიქონზე. აქ სტრიქონის დასაწყისში დაზიანებულია ერთი ასო „შ“ (მოტეხილია ნაწილობრივ მისი ზედა განივი ხაზი), რომელიც გამოტოვებულია ნ. სარგისიანთან და დ. ბაქრაძესთან. „შ“-ს მოსდევს „ალამ“, რომელიც მარჯვნიდან ორწერტილითაა გამოყოფილი მომდევნო სიტყვისაგან; ეს ასოები ფოტოზე გარკვევით ჩანან და მათი წაკითხვა ექვს არ იწვევს. ნ. სარგისიანი „ალამ“-ს ნაცვლად კითხულობს „აგამ“. ამრიგად, კარის ამირას სახელი აღდგება, როგორც „რაჲმალა“<sup>39</sup>.

სტრქ. 3. ამ სტრიქონის პირველი დამოუკიდებელი სიტყვაა „აღვაშენე“, ამოკვეთილი „მალამ“-ს შემდეგ. ფოტოზე დაზიანებულადაა წარმოდგენილი მისი ბოლო ასო „ე“ და პირველი ასოს — „ა“-ს ქვედა ნაწილი. ნ. სარგისიანის გამოცემით, თითქოს აქ იკითხებოდა მზალოდ „აე“, ხოლო „აშენე“ ჩასმულია მრგვალ კავებში, როგორც სიტყვის გადასული და გამოცემლის მიერ აღდგენილი ნაწილი. დ. ბაქრაძე და მისი მიხედვით ე. თაყაიშვილმა აქ კითხულობენ „აღვაშენე“, ე. ი. თითქოს „აღვაშენე“ გადმოცემული ყოფილა დაქარავებით. მაგრამ ფოტოზე გარკვევით იკითხება „აეაშენე“. როგორც ჩანს, „ა“-ში შეწიალებული იყო „ლ“, რადგან „ა“-სა და „ე“-ს შორის, ისე მიჩრთია ეს ასოები ამოკვეთილი, რომ ადგილი კიდევ ერთი ასოსათვის („ლ“) არ რჩება. ამიტომ „ა“-ში შეწიალებული „ლ“, ისევე როგორც თვით „ა“-ს ქვედა ნაწილი, ო. ქურჭიანის მიერ წარწერისათვის ფოტოს გაღებების დროს მოტეხილი ყოფილა, თუმცა, „ლ“-ს მოხაზულობის კვალი თითქოს შეიმჩნევა „ა“-ს მუცელში. ამრიგად, აქ სიტყვა „აღვაშენე“ გადმოცემული იყო სრული, დაუქარავებელი სახით. ამის შემდეგ ამ სტრიქონში მთლიანად გადასულია დაახლოებით 4—5 ასო. ეს ასოები, როგორც ჩანს, ქმნიდნენ ერთ, დამოუკიდებელ, ცალკე სიტყვას, რომლის ბოლო ასოს „ი“-ს შემდეგ ვანკვეთილობის ნიშნად დასმული ორწერტილის ერთი, ქვედა წერტილი გარკვევით ჩანს ფოტოზე. ასევე გარკვევით ჩანს ფოტოზე მისი მომდევნო სიტყვა „ეხე“, რომელიც ასევე ორწერტილებში ყოფილა ორივე მხრიდან ჩასმული. ფოტოზე ამ ორწერტილებიდან სიტყვის ორსავე მხარეს სახეზეა თითო წერტილი (მარცხნივ — ქვედა და მარჯვნივ — ზედა). „ესე“-ს, მის წინ „ი“-ს და კიდევ 4—5 ასოს ადგილას გამოცემებში და დ. ბაქრაძის გადმონაწერში დასმულია მრავალწერტილი. „ესე“-ს წინ ამოკვეთილი იყო „ი“-ზე დამთავრებული სიტყვა, რომელიც გადმოსცემდა იმას, თუ რა აღაწერა კარის ამირად. ცნობილია, რომ ყარსის ციხეზე შემონახულ სხვა სამ სომხურ წარწერაში აღნიშნულია კოშკების აგებაზე, ან მათი მშენებლობის დასრულებაზე — 1236 წელს

<sup>37</sup> H. Я. М а р р, დასახ. ნაშრომი, გვ. 1440.

<sup>38</sup> ე. თაყაიშვილთან წარწერის სტრიქონების არასწორი დაყოფის გამო ამირას სახელი კი არ გადაღის მეორედან მესამე სტრიქონზე, არამედ მთლიანად გადმოცემულია მეორე სტრიქონის ბოლოს და იკითხება, როგორც „რაჲარაჲამ“.

<sup>39</sup> ხოლო თუ „ე“-ს ნაცვლად მეორე სტრიქონის ბოლოს „ზ“-ს ან „ლ“-ს ვიგულისხმებთ: „რაზმალა“, ან „რალმალა“.

ამირა მუშრიფ აბრაჰამის მიერ<sup>40</sup>, 1234 წელს ყარსელი ქრისტიანებისა და იმავე 1234 წელს ასევე ყარსელი ქრისტიანების მიერ (ამჟერად, სხვა კოშკისა)<sup>41</sup>. 1238 წლის წარწერაშიც, როგორც ჩანს, კოშკის აგებაზე („აღმშენებაზე“) იყო საუბარი. ზემოაღნიშნული მონაცემების გათვალისწინებით (სიტყვა მთავრდება „ი“-ზე, იგი შედგებოდა 4—5 ასოსაგან...), წარწერის მესამე სტრიქონის შუაში, ნაკლულ ადგილას აღვადგენთ სიტყვას „ქოშკი“. ეს სიტყვა, ისე როგორც ამ წარწერის მეორე ფილაზე ამოკვეთილი ყველა სიტყვა, გადმოცემული იქნებოდა დაუქარაგმებელი სახით. როგორც აღინიშნა, მას მოსდევს სიტყვა „ესე“, რომელიც მოჰდევნო სიტყვისაგან გამოყოფილია ორწერტილით.

**სტრქ. 4.** ამ სტრიქონის დასაწყისში ფოტოზე ვარკვევით იკითხება „ეფოზა“, რომლის პირველი ასო „მ“ ამოკვეთილია მე-3 სტრიქონის ბოლოს, სადაც იგი ასევე ვარკვევით იკითხება. ნ. სარგისიანმა მე-4 სტრიქონის დასაწყისს კითხულობს, როგორც „ფოზისა“, ხოლო „მე“-ს აღადგენს მე-3 სტრიქონის ბოლოს მრავალ კავებში ჩასმით. როგორც ჩანს, „მეფოზა“-ს შემდეგ უნდა აღვადგინოთ „სა“ და მივიღებთ „მეფოზასა“. მართლაც, მომდევნო სიტყვის პირველი ასო „ი“-ს წინ ფილაზე ამოტეხილია დაახლოებით 2 ასოს ადგილი, რაც შესაძლებელს ხდის აქ აღვადგინოთ „სა“. დ. ბაქრაძისთან „მეფოზასა“ გადმოწერილია მთლიანად სახით, დაზიანებათა გარეშე და თანაც, შეცდომით, მთელი სიტყვა მოთავსებულია მე-3 სტრიქონის ბოლოს. ასევეა ეს სიტყვა წარმოდგენილი ე. თაყაიშვილისეულ პუბლიკაციაში. სატყვა „მეფოზასა“, როგორც ჩანს, მომდევნო სიტყვისაგან გამოყოფილი იყო ორწერტილით. ამ მომდევნო სიტყვის პირველი ასოა „რ“, მის შემდეგ კიდევ ჩანს სამი ასოს ნაწყვეტები, რომელშიც „უსუ“ იკითხება და მთლიანად ამ სიტყვის პირველი 4 ასო იქნება „რუსუ“. ამ სიტყვის დანარჩენი ასოების ნაწყვეტები საშუალებას გვაძლევს მთლიანად სიტყვა წავიკითხოთ, როგორც „რუსულანისა“. ნ. სარგისიანთან და შაჰასადაშე, ბ. ბროსესთან, ეს სიტყვა მთლიანად გამოტოვებულია და არც მინიშნებაა იმაზე, რომ მის ადგილას რამე ეწერა. დ. ბაქრაძის გადმონაწერში აქ იკითხება „რსნ“ (ე. ი. „რუსულან“, დაქარაგმებით), ხოლო ე. თაყაიშვილისეულ პუბლიკაციაში, როგორც ჩანს, დ. ქუთათელაძისეულ გადმონაწერზე დაყრდნობით — „რსდნ“ (ე. ი. „რუსულან“, აქაც დაქარაგმებით). მაგრამ, როგორც აღინიშნა, ფოტოზე წარმოდგენილი მონაცემებით აქ სიტყვა „რუსულანისა“ იკითხება მთლიანად, დაუქარაგმებელი სახით. როგორც აღინიშნა, ამ წარწერის შემსრულებელს საერთოდ ახასიათებს სიტყვების მთლიანი, დაუქარაგმებელი გადმოცემა და მას მეფის სახელიც ასევე გადმოჰყვია. ბუნებრივია ამ სიტყვის და მასაჰადაშე მთლიანად სტრიქონის ბოლოს დასმული იქნებოდა ორწერტილი და მას ჩვენც აღვადგენთ.

**სტრქ. 5.** ყველა გამოცემასა და გადმონაწერში, ისევე, როგორც ფოტოზე ვარკვევით ამ სტრიქონის დასაწყისში იკითხება „წელსა“, რომელიც მომდევნო სიტყვისაგან გამოყოფილია ორწერტილით. ამის შემდეგ ფოტოზე იკითხება „მე“ და „ფ“-ს თავის მარცხენა ნაწილი. ნ. სარგისიანთან და ნ. ბროსესთან „წელსა“-ს შემდეგ დასმულია მრავალწერტილი და წარწერის ტექსტი აქ წყდება; ხოლო დ. ბაქრაძის გადმონაწერსა და ე. თაყაიშვილისეულ პუბლიკაციაში იკითხება „მეფ“, შემდეგ დასმულია მრავალწერტილი და წარწერის ტექსტი მათთან აქ წყდება. ამის შემდეგ ბოლოდღე წარწერის ტექსტს ჩვენ ვარაუდით აღვადგენთ, რადგან ფოტოზე ეს ადგილი პირწმინდად გადასულია. „მეფ“, კონტექსტის მიხედვით, მთლიანი სახით უნდა აღდგეს, როგორც „მეფ[ოზისა]“. ამის შემდეგ აღვადგენთ ორწერტილს, რადგან ამ წარწერაში ყველგან, სადაც კი შემორჩენილია სიტყვათა გაყოფის ადგილები (ტექსტში ასეთი ადგილი ცხრაა), დასმულია ორწერტილი. ბუნებრივია სიტყვებს „წელსა მეფ[ოზისა]“ უნდა მისდევდეს „მათისა“<sup>42</sup>, რომელსაც აღვადგენთ დაუქარაგმებელი სახით, რადგან, როგორც არაერთხელ აღინიშნა, ამ წარწერაში, ერთის გარდა, სიტყვები საერთოდ არ არის დაქარაგმებული (ფოტოზე მთლიანი სახით წარმოდგენილია წარწერის 9 სიტყვა, ტექსტი, როგორც ჩანს, შედგებოდა 12—13 სიტყვისაგან; აქედან მოღწეული 9 სიტყვიდან დაუქარაგმებელია 8 და მხოლოდ ერთი სიტყვა „ქრონიკონსა“-ა დაქარაგმებული პირველ სტრიქონში). „წელსა მეფოზისა მათისა“ მოითხოვს, რომ მის შემდეგ აღნიშნული იყო თუ მეფობის რომელი წელია. ჩვენი ვარაუდით, აქ აღნიშნული იქნებოდა რუსულანის მეფობის მე-16 წელი, ე. ი. ივ, რომლის

<sup>40</sup> იხ. აქვე, შენ. 26.

<sup>41</sup> იხ. აქვე, შენ. 27.

<sup>42</sup> შდრ. გიორგი III-ის შესახებ სამთავისის 1168 წლის წარწერაში: „... აღე(ა)შ(ე)ნ(ე) კ(ა)-რისბჟე ესე ს(ა)ლ(ო)ცე(ე)ლ(ა)დ მ(ე)ფ(ო)ზისა მ(ა)თისა, [ინ]დ(ი)კტ(ო)ნსა მ(ე)ფ(ო)ზისა მ(ა)თისსა იბ, კ(რონი)კ(ო)ნი იყო ტჰმ“ (გ. ს. ო. ხ. ა. შ. ვ. ი. ლ. ი., სამთავისის ტაძარი, „მაღნე“, 1968, № 3, გვ. 193; მ. ი. ს. ი. ე. ე., სამთავისი, თბ., 1973, გვ. 94).

ასოები ორივე მხრივ და ორივე ასო ცალ-ცალკე ჩასმული იქნებოდა ორწერტილებში, როგორც ეს წარწერის პირველ სტრიქონში რიცხვების გაღმაცემის შემთხვევაში გვაქვს. ივ-ს, ანუ რუსულანის მეფობის მე-16 წელს, ჩვენ აქ აღვადგინეთ შემდეგი მოსაზრებით: წარწერის პირველი სტრიქონიდან ვიცი, რომ კოწიკი ამირამ ალაშენა 1238 წელს: ცნობილია, რომ რუსულანი გამეფდა 1222 წელს გიორგი ლაშას გარდაცვალებისთანავე. ლაშა გიორგის-დროინდელი მემკვიდრის ცნობით: „მოკულა გიორგი მეფე ბაგვაჲს იანვარსა თურამეტსა, ღღესა ორშაბათსა. კრონიკონი იყო ოთხას ორმოცდარი“<sup>43</sup>. იმავე წყაროს ცნობით: „ესრე ღმრთისა ნებით დარჩომილი ამასვე სამეფოსა შინა რუსულან დასუეს მეფედ მასვე წელიწადსა“<sup>44</sup>. მაშასადამე, თუ რუსულანი 1222 წელს გამეფდა, 1238 წელს იქნებოდა მისი მეფობის 16 (ე. ი. მე-16) წელი და წარწერის ტექსტის დასასრულს ამ ასოებს აღვადგენთ. მე-5 სტრიქონში, მისი მოცულობის თითქმის ნახევრის აღდგენისას, მივიღეთ 21 ასო, რაც კარგად უთანხმდება სხვა სტრიქონებში ასოთა საერთო რაოდენობას<sup>45</sup>.

ამრიგად, საარქივო მასალების (დღიური, ფოტოსურათები...) და არსებული გამოცემების ურთიერთშეჯერების საფუძველზე, შესაძლებლობა მოგვეცა მთლიანი სახით აღგვედგინა XIII ს-ის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი და საყურადღებო ქართული ეპიგრაფიკული ძეგლი. წარწერის ტექსტის მონაცემები საშუალებას გვაძლევს გავაკეთოთ რამდენიმე დასკვნა:

1. 1238 წლისათვის, მიუხედავად იმისა, რომ ამ დროს საქართველოში ზონოლოგები ბატონობდნენ, კარი ჯერ კიდევ საქართველოს მეფის სრულ გამგებლობაში ითვლებოდა და იგი იყო აქ უმაღლესი ხელისუფალი. ამასვე ადასტურებს ყარსის ციხის სომხური წარწერები.

2. კარი, როგორც ჩანს, ბოლომდე, სანამ იგი საქართველოს სამეფოში შემოდიოდა, დარჩა სამეფო სამფლობელოდ, რომლის მართვა-გამგებლობას მეფე ახორციელებდა მის მიერ დანიშნული მოხელის — ამირას მეშვეობით. ნარატიული წყაროებით ცნობილ ამ ფაქტს კარგად ადასტურებს ეს წარწერაც.

3. კარის ციხე, რომელიც წარმოადგენდა ერთ-ერთ ფორპოსტს საქართველოს სამხრეთ საზღვარზე, როგორც ჩანს, ცენტრალური ხელისუფლების განსაკუთრებული ყურადღებისა და ზრუნვის ობიექტი იყო — მასზე არსებული ეპიგრაფიკული ძეგლები გადმოგვცემენ ამ ციხის არაერთხელ შეკეთების, მისთვის კომპლექსისა და ზღუდეების აგების შესახებ; ერთ-ერთი ასეთი ფაქტი დაუტყვეს ამ წარწერასაც\*.

<sup>43</sup> ლაშა გიორგის-დროინდელი მემკვიდრე, ქცა, I, გვ. 371-გ.

<sup>44</sup> იქვე, გვ. 371-დ-18.

<sup>45</sup> ფოტოანბეჭდები ო. ქურქჩიანის ფოტოსურათიდან დააწადა საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ფოტოლაბორატორიის თანამშრომელმა ნიკო ანდრონიკაშვილმა, ხოლო ყარსის ციხის წარწერის გრაფიკული მონახაზი შესრულებულია ჩვენ მიერ ფოტოს მიხედვით.

\* ეს წერილი გადაცემული იყო გამოსაქვეყნებლად, როდესაც საშუალება მოგვეცა გავცნობოდით ერევნელი მეცნიერის პ. მურადიანის წიგნს „სომხეთის ქართული ეპიგრაფიკა“ (Պ. Մ. ՄԱՐԱԴԻԱՆԻ, Հայաստանի վրացիներն ու թուրքագրությունները, Երևան, 1977). აქ ავტორს, მისთვის ხელმისაწვდომ მასალაზე (ნ. სარგისიანისა და MAK-ის გამოცემები) დაყრდნობით წარმოდგენილი აქვს ყარსის ციხის ამ წარწერის ტექსტის შემდეგი აღდგენა და წაკითხვა: „ქ(რონი)კ(ონ)სა უნჲ. მე კარისა ამრამან აბრაჰამ(?) აღე(ა)შენე [ხურჯი (ბქე?) ესე] მეფობასა რ(უ)ს(უ)ლან [დედოფლისას], წელსა მეფ[ობისა მისისა ივ-სა]“ (გვ. 84). როგორც ვხედავთ, ეს ტექსტი არსებითად განსხვავდება ყარსის ციხის წარწერის წინამდებარე სტატიაში დადგენილი ტექსტისაგან; განსხვავება, როგორც ჩანს, განპირობებულია წარწერის ტექსტის აღსადგენად პ. მურადიანის მიერ მოხმობილი მასალის შეზღუდული ხასიათითაც.

В. И. СИЛОГАВА

## ГРУЗИНСКАЯ НАДПИСЬ КАРССКОЙ КРЕПОСТИ

## Резюме

С середины XIX века известно, что на Карсской крепости (ныне в Турции) находились две грузинские надписи, которые были утеряны еще в конце того же столетия. Одна из них — надпись Карсского эмира 1238 года, содержала интересные историко-хронологические сведения. В специальной литературе представлен неполный и неточный текст этой надписи. Сопоставляя данные архивных материалов (дневники, фотоснимки...) и существующих публикаций, представилась возможность полного восстановления текста этого важного эпиграфического памятника XIII века. Текст надписи, по-видимому, следует читать следующим образом:

**«В хроникон 458 (= 1238 г.).**

**Я, амира Карса Рамвала, построил эту [башню] в царствование Русу[дан, в 16-ый] год ее цар[ствования]».**

Данные текста надписи дают возможность сделать следующие заключения:

1. В 1238 году, несмотря на то, что в это время в Грузии господствовали монголы, Карс еще находился под полным владычеством царя Грузии и он являлся здесь высшим правителем. Это подтверждают и армянские надписи Карсской крепости.

2. Карс, видимо, пока он входил в состав грузинского царства, до конца, оставался царским доменом, который управлялся эмиром — назначенным царем правителем. Этот факт, известный по нарративным источникам, полностью подтверждается и этой надписью.

3. Карсская крепость, которая являлась одним из форпостов на южной границе грузинского царства, видимо, находилась под постоянным пристальным вниманием и под особой опекой центральной власти — находящиеся на ее стенах эпиграфические памятники сообщают о неоднократном ремонте и строительстве башень и укреплений в ней. Об одном таком факте сообщает и эта надпись.

წარმოადგინა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის  
ვ. კეკელიძის სახ. ხელნაწერთა ინსტიტუტმა

ალენე კავალაშვილი

## ლესთაგის მოხატულობის კბიტორული პორტრეტები

ლესთაგის ღვთისმშობლის სახელზე აგებული ეკლესია მდებარეობს მესტიის ჩრდილო-დასავლეთ ნაწილში ე. წ. ჩართოლანების უბანში. ფერდობზე მდგარი კოშკისებური პროპორციების მქონე ეკლესიისაკენ გზა ვიწრო ქუჩით მიემართება სამხრეთ-დასავლეთის მიმართულებით. ორსართულიანი ეკლესიის დარბაზში შევდივართ ჩრდილოეთის ფასადზე გამართული ქვის კიბით. აღმოსავლეთის მხრიდან გაჭრილი კარით შეიძლება მოხვედრა ქვედა სართულში, სადაც ორი სხვადასხვა პერიოდის საძვალე გაირჩევა. მთავარ კრიპტაზე ეკლესიის დარბაზია აღმართული, ხოლო მოგვიანო ხანის საძვალეზე დასავლეთის მიწაშენი.

დარბაზული ტიპის ეკლესიის შიგა სივრცე მთლიანად ყოფილა დაფარული კედლის მხატვრობით, რომლისაგანაც დღეს ქტიტორთა გამოსახულებანი, ცალკეული კომპოზიციების მცირე ფრაგმენტები და დეკორაციული ფარდის ნაშთებია დარჩენილი.

საკურთხევლის აფსიდის ფრაგმენტულ მოხატულობაში სარკმლის ორივე მხარეს განაწილებული ექვტი მღვდელმთავრის ფიგურიდან დაუზიანებლად შემონახულია სამხრეთის კალთაზე გამოსახული ბასილ კესარიელი. აქვე გაირჩევა ორი მღვდელმთავრის ფიგურის კონტური, ჩრდილოეთის კალთაზე კი მხოლოდ იოანე ოქროპირის სახელის აღმნიშვნელი წარწერაა დარჩენილი მღვდელმთავრებს ხელში გაშლილი გრაგნილები უპყრიათ. ქვემოდან მეორე რეგისტრში შემორჩენილია „ოდიგიტრიის“ ტიპის ღვთისმშობლის („ელეუ-სა“) და მთავარანგელოზის წელამდე გამოსახული ფიგურები. სარკმლის ქვემოთ არსებულ სიბრტყეზე, მღვდელმთავართა რიგში, ჩართულია მაცხოვრის „ხელთუქმნელი ხატი“, ხოლო ტრაპეზთან ფარდის ზოლში ჩაჭრილია „ზვარაკი“ — ფეშხუმზე მწოლარე ყრმა მაცხოვარი. ტრაპეზის საფასადო ნაწილზე გამოსახულია „ჯუარი ქრისტესი“, ძლევის ჯვრის იკონოგრაფიული სქემის სახით.

ეკლესიის კედლებზე მაცხოვრის „ათორმეტი დღესასწაულის“ ციკლიდან მხოლოდ უმნიშვნელო ფრაგმენტებია დარჩენილი, რომელთაგან უკეთ გაირჩევა სამხრეთის კედელზე განაწილებული მაცხოვრის განბანების სცენა „შობის“ კომპოზიციიდან.

ლესთაგის კედლის მხატვრობაში რეგისტრების და კომპოზიციების გამოყოფად ვიწრო წითელი ზოლები გამოდის. მხოლოდ ერთადერთ შემთხვევაში — საკურთხეველში გვაქვს კიბური ორნამენტისაგან შედგენილი დეკორაციული ზოლი. მოხატულობის საერთო მხატვრულ გადაწყვეტაში შედიოდა ჭარბი დეკორაციული ელემენტებით გაფორმებული კანკელის მხატვრობა. დეკორაციულ აქცენტებად გვევლინებიან ჩარჩოებით შემოსაზღვრული, და-

მოუციდებელი ფუნქციის მქონე, ორნამენტები. ასეთებია: კარის თაღის სისქისა და მისი ტიშპანის მოსართავი ელემენტები, აგრეთვე, დასავლეთის კედელზე ქტიტორთა შორის, კარის ზემოთ გამოსახული ორნამენტი. ლენტაგის მოხატულობაში შედარებით უკეთ არის დაცული სამხრეთისა და დასავლეთის კედლებზე განაწილებული ქტიტორული გამოსახულებები.

სამეცნიერო ლიტერატურაში ცნობას ლენტაგის ქტიტორებზე პირველად ე. თაყაიშვილთან ვხვდებით. მკვლევრის დაკვირვებით საერო პირები მხოლოდ დასავლეთის კედელზე ყოფილან წარმოდგენილი, რომელთა შორის არჩევს ასლან მჯაფარასძის წარწერას<sup>1</sup>.

ნ. ჩოფეკაშვილს სპეციალურად არ შეუსწავლია ამ საერო პირთა ჩაცმულობა, მაგრამ სამკაულთან დაკავშირებით მას ლენტაგის ქტიტორი ქალების ბეჭდები და საყურეები XVI საუკუნის პარალელურ მასალად მოაქვს<sup>2</sup>.

მ. ბერძნიშვილი შედარებით ვრცლად მიმოიხილავს ლენტაგის ქტიტორებს, მკვლევრის აღნიშვნით: „ეკლესიაში მოთავსებულია ექვსი ისტორიული პირის ფრესკა. ოთხი სამხრეთის კედელზე და ორიც დასავლეთისაზე“<sup>3</sup>.

ამავე დროს მ. ბერძნიშვილმა პირველმა გააიგივა ლენტაგის ქტიტორები №№ 6<sup>4</sup> და 106<sup>5</sup> სვანურ დოკუმენტებში მოხსენიებულ პირნათელ ჯაფარაიძესა და მის ვაჟებთან დოდოლ, ივანე, ასლანთან და კედლის მხატვრობის წინასწარული თარიღის (XV ს.)<sup>6</sup> გათვალისწინებით აღნიშნული დოკუმენტების შედგენის ხანა XV საუკუნით განსაზღვრა<sup>7</sup>.

ვ. სილოგავამ ლენტაგის ფრესკული წარწერები პალეოგრაფიული ნიშნებით XVII საუკუნით დაათარიღა და უარყო მ. ბერძნიშვილის მიერ შემოთავაზებული სვანურ დოკუმენტებში მოხსენიებულ პირნათელ და ასლან ჯაფარაიძეების იდენტიფიკაცია კედლის მხატვრობის ქტიტორებთან<sup>8</sup>.

ასეთია მოკლედ ჩვენი ქტიტორების ირგვლივ სამეცნიერო ლიტერატურაში გამოთქმული მოსაზრებანი, რომლებიც ქრონოლოგიური თვალსაზრისით განსხვავდებიან ერთმანეთისაგან.

ჩვენი წერილის მიზანს შეადგენს კრიტიკულად შევაფასოთ ზემოაღნიშნული მოსაზრებანი და შეძლებისდაგვარად გავარკვიოთ ამ საერო პირთა ვინაობა და ქრონოლოგია.

ლენტაგის ღვთისმშობლის ეკლესიის ფრაგმენტულად შემორჩენილი მოხატულობის შესწავლამ გვაჩვენა, რომ ქტიტორთა გამოსახულებები ჩრდილო-

<sup>1</sup> ექ. თაყაიშვილი, არქეოლოგიური მოგზაურობა ლეჩხუმ-სვანეთში 1910 წელს, პარიზი, 1937, გვ. 299.

<sup>2</sup> ნ. ჩოფეკაშვილი, ქართული კოსტიუმი, თბ., 1964, გვ. 157.

<sup>3</sup> მ. ბერძნიშვილი, სვანური დოკუმენტები, როგორც წყარო XIV-XV საუკუნის სვანეთის სოციალური ისტორიისათვის, ქართული წყაროთმცოდნეობა, II, თბ., 1968, გვ. 109.

<sup>4</sup> პ. ივგოროყეა, სვანეთის საისტორიო ძეგლები, ნაკვეთი 11, თბ., 1941, გვ. 13.

<sup>5</sup> იქვე გვ. 95-96. პ. ინგოროყეა ორივე დოკუმენტს პალეოგრაფიული ნიშნების მიხედვით XIV ს-ის დასასრულით XV ს-ის დასაწყისით ათარიღებს.

<sup>6</sup> მ. ბერძნიშვილის აღნიშვნით მხატვრობის თარიღი (XV ს.). ხელოვნებათმცოდნეთა წინასწარულ თვალსაზრისს წარმოადგენს. ასევე წინასწარულია მოხატულობის XVI საუკუნით დათარიღების ვარაუდიც.

<sup>7</sup> მ. ბერძნიშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 108-111.

<sup>8</sup> ვ. სილოგავა, ქტიტორთა ფრესკული წარწერები ზემო სვანეთში, სვანეთი, 1, მასალები მატერიალური და სულიერი კულტურის შესწავლისათვის, თბ., 1977, გვ. 74.

ეთის, სამხრეთის და დასავლეთის კედლებზეა განაწილებული<sup>9</sup> და არა მხოლოდ სამხრეთისა და დასავლეთისაზე, როგორც ეს სამეცნიერო ლიტერატურაშია აღნიშნული.

ქტიტორთა პორტრეტულ გამოსახულებებს ახლავს მათი ვინაობის აღმნიშვნელი ვრცელი წარწერები შესრულებული ნეიტრალურ, ღია ფონზე, წითელი საღებავით. ამ მხრივ გამონაკლისს შეადგენს დემეტრე ჩართველანის წარწერა, რომელიც ვარდისფერი საღებავითაა შესრულებული.

როგორც წესი. ქტიტორთა ვინაობის მაუწყებელი წარწერები გამოსახულების თავის დონეზეა განაწილებული მის ორივე მხარეს. ერთადერთ გამონაკლისს წარმოადგენს სამხრეთის კედელზე გამოსახული პირველი ქტიტორი, რომლის ვედრებით გაწვდილი ხელის ასწვრივ — კედლის საკმაოდ ფართო მონაკვეთზე მისი ვინაობის განმსაზღვრელი წარწერა თავისუფლად ნაწილდება (სურ. 1, I), რაც შეეხება დანარჩენ ფიგურებს ისინი ერთმანეთთან ახლოს დგანან და მათი მავედრებელი ხელები წინ მდგომ ფიგურებში იჭრებიან. ამიტომ არის, რომ მათი ვინაობის მაუწყებელი წარწერა მცირე ფართობის გამო გამოსახულების ორსავე მხარეზე ნაწილდება (სურ. 1, II, III). ქტიტორთა იდენტიფიკაციის თვალსაზრისით, საჭიროდ მიგვაჩნია ამ პორტრეტების განხილვის დაწყება სამხრეთის კედლიდან, მიუხედავად იმისა, რომ ისინი არ არიან მთავარი ქტიტორები. ქვემოთ ვაჩვენებთ, რომ მხოლოდ ასეთი გზით შეიძლება დავადგინოთ ჩრდილოეთის კედელზე წარმოდგენილ ქტიტორთა ვინაობა, რომელთა სახელების აღმნიშვნელი ფრაგმენტირებული წარწერები და თითოეული ფიგურის მცირე ნარჩენებია შემორჩენილი. ამავე დროს ვაჩვენებთ, რომ სწორედ ეს პირები არიან კედლის მხატვრობის მთავარი ქტიტორები.

სამხრეთის კედლის აღმოსავლეთ ნაწილში განოახულია საკუთრებელებისავენ ვედრებით მიმართული ქტიტორი ქალის ფიგურა (სურ. 1, I). მისი წარწერა შემდეგს გვაუწყებს:

1. **ᲞᲠᲚᲠᲚᲚᲚᲚᲚ**

2. **ᲚᲚᲚᲚᲚ ᲚᲚᲚ**

**ᲛᲚ ᲛᲚ ᲚᲚ**

1. „**მჟაფარ (ა)სისია**<sup>10</sup>

2. **ას(ო)ლსა ჯიმაღ**

3. **შის<sup>11</sup> შ (ენდო) ს ღ (მერთმა) ნ**“

შემდეგი ქტიტორი ქალის თავის ორსავე მხარეზე განაწილებული საკმაოდ გაფერმკრთალებული წარწერა ფრაგმენტულადაა შემორჩენილი (სურ. 1, II).

**ყღჟყღჟ Ლ ᲚᲚ**

**ᲚᲚᲚᲚᲚᲚ ᲚᲚᲚ Ლ Ლ**

**ᲛᲚ ᲚᲚ Ლ :**

1. „**ჟორჟო Ლ ის<sup>12</sup>**

2. **ასო (ლ)სა პ(ი)რნა Ლ თ(ელისა)**


3. **შ (ენდო)ს ღ (მერთმა)ნ**“

<sup>9</sup> სამხრეთის ფსალზე გვიანი რესტავრაციის დროს ცემენტის შეღვსილობაზე არსებული წარწერის თანახმად, ლუბაჯის დანგრეული ეკლესია 1916 წელს აღუდგენია ივანე ჩართოლანს. ამ სარესტავრაციო სამუშაოების დროს ჩამოღებულ ცემენტის თხელ ხსნარს დაუფარავს ისედაც დაზიანებული კედლის მხატვრობის გარკვეული ნაწილი—განსაკუთრებით ჩრდილოეთის კედელზე აქა-იქ შემორჩენილი მოხატულობის ფრაგმენტები, რომლებიც მკვლევართათვის შეუძნელებელი დარჩა. მათი გამოვლენა შეეძლოთ ხანგრძლივი დაკვირვების შედეგად.

<sup>10</sup> მ. ბე რ ძ ნ ი შ ვ ი ლ ის წაკითხვით: ჯაღარს ძისა, იხ. მისი დასახ. ნაშრომი, გვ. 110.

<sup>11</sup> მ. ბე რ ძ ნ ი შ ვ ი ლ ს **ᲛᲚ**—(„შის“) ასოთა კომპლექსი ვერ შეუძენევია, იხ. მისი დასახ. ნაშრომი, გვ. 110.

<sup>12</sup> ან ეურეჟულის. მ. ბე რ ძ ნ ი შ ვ ი ლ ს აღნიშნული წარწერა ვერ შეუძნევეია და მომდევნო ქტიტორის თანხმობა წარწერას მიიჩნევს ამ ქტიტორი ქალის ვინაობის განმსაზღვრელად. იხ. მისი დასახ. ნაშრომი, გვ. 110. ვ. ს ი ლ ო გ ა ვ ა აქ კითხულობს, მხოლოდ „ჟო“ მარცვალს, იხ. მისი დასახ. ნაშრომი, გვ. 73.



ပုံ ၁. ၁.

მესამე ქტიტოტრის (ს.ჯრ. 1, III) წარწერა ასე იკითხება:

ህገብዓቱ ። ገጠ፤ር፤

ፕላንቤት፡፡ ፆፊ

6 5 6 0 6

**1. „პირნ(ა)თ(ე)ლ || ისა**

## 2. ახლოსა || მრ (მ)<sup>13</sup>

პ. ს. შ (ეუნდო) ს ლ (მერთმა)ნ“

სამხრეთ კედლის მეოთხე ქტიტორის ვინაობის განმსაზღვრელი წარწერიდან ქარაგმის ნიშანი და ორი ასოს უმნიშვნელო ფრაგმენტია დარჩენილი<sup>14</sup> (სურ. 1, IV).



სურ. 2.

დასავლეთის კედელზე კარის ორსავე მხარეს არსებულ სიბრტყეებზე განაწილებული ორი ქტიტორი მამაკაცის ფიგურა ერთმანეთის საწინააღმდეგო მიმართულებითაა წარმოდგენილი. კარიდან მარჯვნივ გამოსახული შვე

13 ან მრ(ბ) ს. როგორც აღვნიშნეთ მ. ბ ე რ ძ ნ ი შ ვ ი ლ ი ა მ წარუერას უორეს (უერუეს) ვინაობის მაუწყებლად მიიჩნევს. კითხულობს მხოლოდ წარუერის მარცხენა ნაწილს და აღნიშნავს: „აქ დაკარგულია პირნათელის ასულის სახელი“. ხოლო მეკლევარს მესამე კტორიო ქალის — მარიამის (მარიხის) სახე და თავსაბურავი ვერ შეუშჩნეია და იგი მამაკაცად, კეროდ პირნათელ მკეთარასძის ძედ — ლოდლად მიუჩნეეია. იხ. მისი დსახ. ნაშრომი, გვ. 110. ე. ს ი ლ ო გ ა ე ა ს, წარუერის მარჯვენა მხარის ნაწილობრივი დაზიანებებს გამო, ასეთა მოხაზულობის მხოლოდ უმნიშვნელო ფრაგმენტები გაუჩჩნეია და მხედრულ ტრანსლიტერაციაში აღადგენს „პირნათელ მკეთარასძის ასულსა“. რად იმ მცირე მონაკვეთზე ვერ დაეტეოდა. იხ. ე. ს ი ლ ო გ ა ე ა, დსახ. ნაშრომი, გვ. 73.

<sup>14</sup> შ. ბერძენიშვილი ამ გამოსახულებასაც პირნათელ მჯაფარასძის ძედ, კერძოდ—ივანედ პოჩნევს. იხ. მისი დასახ. ნაშრომი, გვ. 110. კედლის მხატვრობაზე გვიანი ხანის რესტავრაციის დროს, ჩამოღებული ცემენტის თხელი ხსნარის ქვეშ გაირჩევა ქალის თავსაბურავის ნარჩენები (სურ. 1, IV). ექვტარება, რომ აქაც ქალაი გამოსახული, საჯარალოა, პირნათელ მჯაფარასძის ძედ, რომელიც ქალიშვილი. ივანე მჯაფარასძე კი მისი საპირისპირო მხარეზე ყოფილა წარმოდგენილი.

წვერ-ულვაშიანი მამაკაცი, რომელსაც მარჯვენა ხელში გრაგნილი უპყრია, ხოლო მარცხენა ვედრების ნიშნად მკერდთან აქვს აღმართული, თავისი დგომითა და პოზით სამხრეთის კედელზე განაწილებულ ქტიტორთა რიგს აგრძელებს, მიუხედავად იმისა, რომ დამოუკიდებელი მოჩარჩოება აქვს (სურ. 2). ამ საერო პირის თავის ორსავე მხარეზე არსებული, ვარდისფერი საღებავით შესრულებული, ორსტრიქონიანი წარწერა<sup>15</sup> ასე იკითხება:

ზს<sup>1</sup>ჯ<sup>2</sup> || ღ<sup>3</sup> ი<sup>4</sup> ხ<sup>5</sup>ტ<sup>6</sup>ო<sup>7</sup>ზ<sup>8</sup>ზ<sup>9</sup>

ს<sup>10</sup> ჰ<sup>11</sup>ს<sup>12</sup> || ი<sup>13</sup> ნ<sup>14</sup>

1. „... ლააჲ || დ(ემეტრ)ე ჩართველ (ან) ს შ(ეუნდო)ს || დ(მერთმა)ნ“

დასაღვთ კედლის ჩრდილო მონაკვეთზე გამოსახული ჭაბუკის თავის ორსავე მხარეს განაწილებულია ორსტრიქონიანი წარწერა (სურ. 3.)

ბ<sup>1</sup>ჯ<sup>2</sup>ტ<sup>3</sup>ფ<sup>4</sup>ჯ<sup>5</sup> || ბ<sup>6</sup>ს<sup>7</sup>ს<sup>8</sup>ბ<sup>9</sup>ს<sup>10</sup>ჯ<sup>11</sup>

ზს<sup>12</sup>ზს<sup>13</sup>ნ<sup>14</sup>ს<sup>15</sup> || ჰ<sup>16</sup>ს<sup>17</sup> ი<sup>18</sup> ნ<sup>19</sup>

1. „მჯაფა || რასძესა

2. ასლანს || შ(ეუნდო)ს || დ(მერთმა)ნ<sup>16</sup>“

საყურთხველისაქენ ვედრების პოზით მიმართული ასლანის ფიგურა ზურგით დგას ზემოხსენებულ ქტიტორთა რიგის მიმართ. იგი თავისი დგომით და პოზით მკაფიოდაა გამიჯნული აღნიშნული მწკრივისაგან, რაც იმაზე მეტყველებს, რომ ეს საერო პირი ზემოხსენებულ ქტიტორთა ჯგუფში არ შედის.

საყურადღებოა ერთი გარემოება. სამხრეთის კედელზე გამოსახულ ქტიტორთა რიგში მხოლოდ ქალები არიან წარმოდგენილი. ეპეგარეშეა, რომ

<sup>15</sup> წარწერის პირველი სტრიქონის მარცხენა მხარეს ბათქაში ჩამოქცეულია და ტექსტის გარკვეული ნაწილი დაზიანებულია. მ. ბ ე რ ძ ნ ი შ ვ ი ლ ს შემქმნარტული საქტიტორო წარწერა ვერ შეუძენევია და აღნიშნული პიროვნება პირნათელ მჭაფარასძედ მიუჩნევია. იხ. მისი დასახ. ნაშრომი, გვ. 110. ვ. ს ი ლ ო გ ა ვ ა აღნიშნავს: „კედლის შემქმნარტულ ს გამო იკითხება მისი მხოლოდ მეორე ფრაგმენტები“. მკვლევარმა გარკვეული ასოები ვერ გააჩია, როგორცაა: პირველი სტრიქონის მარცხენა ნაწილში „ლასის“ მუცელი და „სანი“, მარჯვენა ნაწილში „თანო“. მეორე სტრიქონში „სანი“, ხოლო პირველი სტრიქონის მარჯვენა ნაწილში გარკვეულ ასო-ნიშნებს არასწორად კითხულობს ხ(ჩ) ს ნაცვლად ჭ(წ)-ს ბ(რ)-ს ნაცვლად ბ(მ)-ს რის გამოც იძლევა წარწერის არაზუსტ წაკითხვას და გარკვევით წარმოდგენილი სახელისა და გვარის (დემეტრე ჩართველანის) ნაცვლად აზრობრიად გაუმართავ ტექსტს გვთავაზობს: „... აა დე წამ... ...ველ შ(ეუნდო)ს დ(მერთმა)ნ“. ამავდროს პირველ სტრიქონში-ას შემდეგ მ-ს ისევ „ა“-დ კითხულობს. (იხ. ვ. ს ი ლ ო გ ა ვ ა, დასახ. ნაშრომი, გვ. 74).

<sup>16</sup> მ. ბ ე რ ძ ნ ი შ ვ ი ლ ი წარწერას მეორე განსხვავებით კითხულობს „მჯაფა რას ძისაჲ ასლანს შს ღნ“, იხ. მისი დასახ. ნაშრომი, გვ. 110. ვ. ს ი ლ ო გ ა ვ ა ს ნაშრომში მ. ბერძნნიშვილის წაკითხვის ამ მეორე განსხვავების ციტირების დროს კორექტურული შეცდომა დაშვებულია: „მჭაფარასძისაჲ“. იხ. ვ. ს ი ლ ო გ ა ვ ა ს დასახ. ნაშრომი, გვ. 74.

ისინი მეორე ხარისხოვანი კტიტორებია. ამავე დროს ჩვენ მიერ განხილულ კტიტორთა ფიგურებს შორის არ ჩანს პირნათელ მჯაფარასძე — პიროვნება, ვისი სახელის ან გვარის საშუალებითაც განსაზღვრულია ზემოხსენებულ საერო პირთა ვინაობა. ყოველივე ამან და ასლანის ფიგურის ქალთა რიგისადმი ზურგით დაყენებამ გვაფიქრებინა, რომ ეკლესიაში გამოსახული უნდა ყოფილიყო, აგრეთვე, კტიტორ მამაკაცთა დამოუკიდებელი რიგი, რომელიც ჩრდილოეთის კედელზე იქნებოდა განაწილებული, რადგან ეს კედელი, როგორც წესი საქტიტოროა. ამ გარემოების გამო დავიწყეთ აღნიშნულ კედელზე შემორჩენილი მოხატულობის ფრაგმენტების შესწავლა.

ჩრდილოეთის კედელზე მხოლოდ ქვედა რეგისტრშია შემორჩენილი მხატვრობის მცირე ნარჩენები. მათგან გარკვეული ნაწილი დაფარულია გვიან ხანაში ჩატარებული რესტავრაციის დროს ჩამოღობილი ცემენტის თხელი ხსნარით. კედლის მხატვრობის მცირე ფრაგმენტებზე დავიკრებამ გვიჩვენა, რომ ამ კედელზე მოხატულობის ქვედა რეგისტრი, სამხრეთის კედლის ქვედა რეგისტრის მსგავსად დაუნაწევრებელია და ერთი მთლიანი ფრიზის სახითაა წარმოდგენილი (სურ. 4). მის დასავლეთ კუთხეში შემორჩენილია წითელი საღებავით შესრულებული ასომთავრული წარწერის ფრაგმენტი (სურ. 4, I):

ⲕⲁⲕⲥⲣⲥ

ⲛⲉⲥ ⲛⲉⲥ

1. „მჟაფა . . . .“

2. ი (ვა)ნეს შ(ეუნდო)ს . . . .“

წარწერა ამჟერადაც გამოსახულების ორსავე მხარეს ყოფილა განაწილებული, რადგან შემორჩენილი ფრაგმენტების შემდეგ გავარჩიეთ წითელი თავსაბურავის მონახაზი. ხოლო ქვემოთ მკლავის და კაბის მცირე ნარჩენები. მსგავსად ასლანის წარწერისა იგი ასეთი შინაარსისა უნდა ყოფილიყო:

1. „მჟაფა // [რახმება]

2. ი(ვა)ნეს შ(ეუნდო)ს // [დმერთმან]“

რეგისტრის შუა ნაწილში შემორჩენილია წითელი თავსაბურავის ნაშთები, შავ წვერ-ულვაშიანი ახალგაზრდა მამაკაცის სახის ქვედა ნაწილი, მხრის მონახაზი, ვედრების ნიშნად გაწვდილი მარცხენა მკლავი და ფრაგმენტირებული ყვავილოვანი სამოსი. მისი სახის ღონეზე მარცხენა მხარეს მოთავსებულია კტიტორის ვინაობის აღმნიშვნელი, წითელი საღებავით შესრულებული, წარწერის ფრაგმენტი ორსტრიქონად (სურ. 4, II):

... || ⲫⲥⲁⲛⲥⲁ

... || ⲛⲥⲥ ⲛⲉⲥ

1. „... ფარასძ

2. . . . . ლას შ(ეუნდო)ს [დმერთმან]“

წარწერა ამ შემთხვევაშიც გამოსახულების თავის ორსავე მხარეს არის მოთავსებული, სადაც პირველი სტრიქონის ფრაგმენტი „...ფარასძ“, წინა წარწერების ტექსტის მსგავსად, გვარს უნდა აღნიშნავდეს. მაშინ ტექსტი ასეთი სახის იქნება:

1. „[მჟა] // ფარასძ[ესა]

2. . . . . // ლას შ(ეუნდო)ს [დმერთმან]“

რეგისტრის აღმოსავლეთ ნაწილში არსებული, ცემენტის თხელი ხსნარით დაფარული, მოხატულობის ფრაგმენტების ოდნავი დასველების შემდეგ მკაფიოდ გამოჩნდა მამაკაცის წითელი ფერის თავსაბურავი. ჰალარაშერეული შავი წვერით შემოსილი ყბის და საკმაოდ მაღალი კისრის ნაწილი. გამოსა-



Fig. 4.

ხულების თავის მარჯვენა მხარეს შემორჩენილია წითელი საღებავით შესრულებული წარწერის ფრაგმენტები, რომელთაგანაც ყველაზე მკაფიოდ გაირჩევა „ენის“ თუ „ინის“ ტარი და „ლასი“ — „|ზ“ (სურ. 4, III).

ამ გამოსახულების წინ გაირჩევა ეკლესიის მოღელის სახურავი და საკმაოდ დიდ ფართობზე განაწილებული ასომთავრული წარწერის ნარჩენები. რომელიც რეგისტრის თითქმის მთელ სიმაღლეზე ნაწილდება (სურ. 4, III). ეპეგარეშეა, აღნიშნული ცალკეული ასოების ან ასოთა ჯგუფების სახით შემორჩენილი ფრაგმენტები, ვრცელი საქტიტორო წარწერის ნაშთია, რომელიც აღარ იკითხება. უნდა აღინიშნოს, რომ ასეთი ვრცელი წარწერა, რაც უდავოდ საქტიტორო ყოფილა, ამ მხატვრობის არც ერთ საერო პირს არ ახლავს. ეს გარემოება საფუძველს გვაძლევს დავასკვნათ, რომ ეკლესიის მოღელის საერო პირი, რომელიც მამაკაც კტიტორთა თავშია დაყენებული და რომლის წინ ვრცელი საქტიტორო წარწერა ყოფილა მოთავსებული, უპირველესი კტიტორია. თუ იმასაც გავითვალისწინებთ, რომ სამხრეთის კედელზე გამოსახულ კტიტორ ქალთა წარწერებში ხაზგასმით არის აღნიშნული, რომ ისინი პირნათელ მჯაფარასძის ასულებია, მაშინ შეგვიძლია ვიფიქროთ, რომ მამაკაცთა რიგში გამოსახული პირველი კტიტორი პირნათელია. ასეთ იდენტიფიკაციას მხარს უჭერს ამ გამოსახულების კუთვნილი წარწერის ფრაგმენტი, რომელიც მისი სახელის ბოლო ნაწილს უნდა წარმოადგენდეს. თუ გავითვალისწინებთ ლექსთაგის საქტიტორო წარწერების საერთო აღნაგობას, სადაც ჯერ გვარია დასახელებული შემდეგ სახელი, რომელსაც მოსდევს ღმრთისაგან შენდობა, ბუნებრივია პირველ კტიტორთანაც ანალოგიური მდგომარეობა ვიგულისხმეთ. მართლაც სახელის აღმნიშვნელ ბოლო ორ ასოს ქვემოთ დაქარაგმებული „ღნ“ ასოები და ტექსტის დამთავრების ნიშანია შემორჩენილი (სურ. 4, III).

ეს პროვინება უდავოდ მჯაფარასძეა, რადგან იგი სწორედ ამ გვარის კტიტორებს მეთაურობს. ყოველივე ზემოთქმული უფლებას გვაძლევს პირველი კტიტორის წარწერის ფრაგმენტი ასე აღვადგინოთ:

[მჯაფარასძისა]

1. „[მჯაფარასძესა]

[სახელი]

2. [პირნათელ]

[ს პნ] ი რ

3. [ს<sup>17</sup> შეუნდოს] ღ(მერთმა)ნ“.

ჩრდილოეთის კედელზე გამოსახულ მამაკაცთა კტიტორული ფიგურების ფრაგმენტულობის მიუხედავად მაინც ჩანს ამ მწყრივის ასაკობრივი თანმიმდევრობა. კტიტორთა შორის უპირველესი და ბუნებრივია ვიფიქროთ ამ სახლის მამა — პირნათელ მჯაფარასძე, მისი ქალარა შერეული წვერის ფარგმენტის გათვალისწინებით. ჰარმაგი მამაკაცია. მომდევნო შავ წვერ-ულვაშიან კტიტორს სრული ასაკის იერი აქვს. მესამე კტიტორის — ივანე მჯაფარასძის გამოსახულებიდან წარწერის გარდა, ქუდისა და კაბის მცირე ფრაგმენტებია დარჩენილი. ამდენად, მის წლოვანებაზე მსჯელობა არ შეგვიძლია. რაც შეეხება მეოთხე კტიტორს — ესლან მჯაფარასძის იგი უწყვერული ქაბუკია.

საყურადღებოა, რომ №№ 6 და 106<sup>18</sup> სევანურ დოკუმენტებში დასახე-

<sup>17</sup> მსგავსი გადმოტანა ერთი ასოსი დასტურდება ეკლესიის სამხრეთის კედელზე პირნათელის ქალწულის მარამის (მარისის) წარწერაში, ამდენად, ჩვენი აღდგენა ეფიქრობთ, საფუძველს მოკლებული არ უნდა იყოს.

<sup>18</sup> პ. ი ნ გ ო რ ო უ ე ა, დასახ. ნაშრომი, გვ. 13, 95.

ლებულ პირნათელ ჯაფარაიძესთან ერთად მოხსენიებული მისი ვაჟები: დოდილი, ივანე, ასლანი ისეთივე თანმიმდევრობით არიან წარმოდგენილი, როგორც ლეხთაგის კედლის მხატვრობაში გვაქვს. ამიტომაც გვგონია, რომ პირნათელ მჯაფარასძის შემდეგ გამოსახული ქტიტორის სახელის ბოლო ნაწილი „ლას“ აღვადგენოთ, როგორც „დოდი||ლას“. მაშინ მისი თანმხლები წარწერა სრული სახით ასე აღდგება:

1. „[მჯა] // ფარასძ[ესა]

2. [დოდი] // ლას შ(უენდო)ს [ღმერთმან]“

ვფიქრობთ, რომ ლეხთაგის ეკლესიაში გამოსახული პირნათელი და მისი ვაჟები — დოდილ, ივანე<sup>19</sup>, ასლანი და სევანურ დოკუმენტებში დასახელებული პირნათელ ჯაფარაიძე და მისი ვაჟები დოდილ, ივანე და ასლანი ერთი და იგივე პიროვნებანი არიან.

მ. ბერძნიშვილი პირველი მკვლევარია, რომელმაც გააიგივა სევანურ დოკუმენტებში მოხსენიებული და ლეხთაგის მხატვრობაში ასახული პირნათელ და ასლან მჯაფარაიძეები. ამ საკითხის შესწავლამ დაგვარწმუნა, რომ მ. ბერძნიშვილის მიერ ქტიტორთა ვინაობის გარკვევის დროს დაშვებული ცალკეული უზუსტობების მიუხედავად ეს იდენტიფიკაცია იმთავითვე სწორ მეცნიერულ საფუძველზე იდგა.

ვ. სილოგავამ ლეხთაგის ფრესკული წარწერები პალეოგრაფიული ნიშნების მიხედვით XVII საუკუნით დაათარილა. მკვლევარი იზიარებს პ. ინგოროყვას მიერ პალეოგრაფიული ნიშნებით განსაზღვრულ სევანური დოკუმენტების თარიღს — XIV—XV საუკუნეებს. ამის საფუძველზე დოკუმენტებში მოხსენიებული და კედლის მხატვრობაში ასახული პირნათელ და ასლან მჯაფარაიძეები სხვადასხვა პერიოდის მოღვაწეებად მიაჩნია და უარყოფს მ. ბერძნიშვილის იდენტიფიკაციას.

ვ. სილოგავა ლეხთაგის ფრესკული წარწერების დათარიღების დროს მხოლოდ ზოგადი განცხადებით იფარგლება. მისი სიტყვებით: „ლეხთაგის ლამარიას ფრესკული წარწერები პალეოგრაფიული ნიშნებით XVII ს-თ თარიღდება“. მთავარ დასაყრდენს ასეთი დათარიღებისათვის წარმოადგენს ასომთავრულით დაწერილ ტექსტში მხედრული „ანის“ შერევა<sup>20</sup>. შემდეგ დასძენს: „ეს წარწერები სხვა პალეოგრაფიული ნიშნებითაც XVII ს-საა“<sup>21</sup>. სამწუხაროდ, ის „სხვა პალეოგრაფიული ნიშნები“ ავტორს აღარ მოაქვს. ვფიქრობთ, დავას არ უნდა იწვევდეს, რომ ვ. სილოგავას მიერ ამგვარი განცხადებებით ძეგლის დათარიღება და საკითხის ირგვლივ არსებული თვალსაზრისის უარყოფა არადაამაჯერებელია.

ვნახოთ მისი „დათარიღებისათვის მთავარი დასაყრდენი“ — ასომთავრულში მხედრული „ანის“ ჩართვა რამდენად შესაფერი არგუმენტი ძეგლის დათარიღებისათვის. ვ. სილოგავას განცხადებით, „მხედრული ანი, მოზრდილი დაწერილობით, ისე, რომ იგი ასომთავრულის გრაფიკის პროპორციული, ხოლო ზოგჯერ მათზე უფრო მომცრო ზომისა იყოს, XVII ს-დან გვხვდება ასომთავრულით დაწერილ ზოგიერთ წარწერაში“<sup>22</sup>. ამის მაგალითად მოაქვს

<sup>19</sup> პირნათელს ვაჟთა ასაკობრივი თანმიმდევრობა გვარწმუნებს, რომ ივანე დოდილზე უმცროსია, ხოლო ასლანზე უფროსი, რაც კარგად შეესატყვისება სევანურ დოკუმენტებში დასახელებულ თანმიმდევრობას.

<sup>20</sup> ვ. სილოგავა, დასახ. ნაშრომი, გვ.74.

<sup>21</sup> იქვე.


<sup>22</sup> იქვე.

იერუსალიმის ჯვრის მონასტრის 1643 წლის წარწერები<sup>23</sup>. უნდა შევნიშნოთ, რომ ჯვრის მონასტრის ასომთავრულ წარწერებში არც ერთი ა(ე), რომელიც „ანად“ იკითხება, არ არის მის გვერდით განაწილებულ მთავრულ ასო-ნი-ნანთა პროპორციული<sup>24</sup>.

ა(ე) „ანის“ ნაცვლად, რომ მხოლოდ XVII საუკუნიდან არ გვხვდება ამის საილუსტრაციოდ გამოდგება ხელნაწერი A — 619, რომელიც XVI ს-ის I ნახევარს განეკუთვნება<sup>25</sup> და სამეცნიერო ლიტერატურაში კარგად ცნობილი, საქართველოს ხელოვნების მუზეუმის ქსოვილებისა და ნაქარგების ფონდში დაცული ანჩელი ეპისკოპოსის იოანეს კუთვნილი ოლარი. აღსანიშნავია, რომ ეს ოლარი თარიღს შეიცავს (ქსჩინ სა **ფხვ** — სა ქრ/ო/ნი-კ/ო/რისა ფლბ-სა = 532.780 + 532 = 1313 წ/ევ<sup>26</sup>. ამ ოლარის 1312 წლის წარწერაში ა (ე), რომელიც „ანად“ იკითხება, სიმალლით ცალკეულ შემთხვევაში სტრიქონის ტოლია, უმეტესად კი მომცრო ზომისაა (სურ. 5). მსგავსი ვითარება დასტურდება ლესთაგის ფრესკულ წარწერებში.

ამრიგად, ლესთაგის წარწერების დათარიღების ის „მთავარი დასაყრდენი“, რაც ვ. სილოგავას ა (ე) „ანის“ შენაცვლება-არგუმენტად მოაქვს, უსაფუძვლოა. ვ. სილოგავას მიერ განსაზღვრული ლესთაგის საქტიტორო წარწერების თარიღი XVII ს., რაც კედლის მხატვრობის თარიღიც გამოვიდოდა, მიუღებელია.

ლესთაგის ეკლესიის მხატვრობის თარიღის შესახებ სამეცნიერო ლიტერატურაში გამოთქმული სამი სხვადასხვა თვალსაზრისი XV<sup>27</sup>—XVI<sup>28</sup>—XVII<sup>29</sup>



სურ. 5.

<sup>23</sup> ვ. სილოგავა, დასახ. ნაშრომი, გვ. 74.

<sup>24</sup> Е. Такайшвили. Образцы надписей и стенной росписи монастыря Св. Креста близ Иерусалима, сборник материалов вып. XIII, Тифлис, 1913, გვ. 155.

<sup>25</sup> ზ. ალექსიძე, არსენი საფარელის „განყოფისათვის ქართლისა და სომხეთისა“, ქართული წყაროთმცოდნეობა, IV, 1973, გვ. 127-130.

<sup>26</sup> ქრონიკონი XIII მოქცევით უნდა ვიანგარიშოთ, რადგან XIV მოქცევის შემთხვევაში 1844 წელს მივიღებთ. გარდა ამისა ოლარზე არსებული წარწერებიდან ყველაზე გვიანია შეკეთების დროის თარიღიანი წარწერა, რომელიც 1652 წელს განეკუთვნება ამის შესახებ იხ. ვ. თაყაიშვილი, არქეოლოგიური მოგზაურობა სამეგრელოში, ტ. II, ტფ., 1914, გვ. 181-185, ქ. დავეითაშვილი, ქართული ნაქარგობის უძველესი ნიმუში, „ძეგლის მეგობარი“, 22 თბ., 1970, გვ. 30-33. ხელოვნების მუზეუმის ქსოვილებისა და ნაქარგობის ფონდი № 1359 (ო. 76).

საუკუნეები გვაეალდებულებს ჩვენი მოხატულობა ამ პერიოდის ნიმუშებს შევადაროთ. საქმეს ის ართულებს, რომ ამ ხანის ძეგლები ამჟღავნებენ დიდ ტენდენციას არქაული იკონოგრაფიული სქემების გამეორებისადმი, თუმცა მათში მანკ ალიბეჭდება შედარებით მოგვიანო ხანის სტილისტური ნიშნები. ამის მიუხედავად ამა თუ იმ თემის ტოპოგრაფიაც გარკვეულად დაგვეხმარებოდა ლეხთაგის ფრაგმენტული მოხატულობის თარიღის განსაზღვრაში. ასეთად მიგვაჩნია მაცხოვრის ხელთუქმნელი ხატის — „მანდილიონის“ — არა იკონოგრაფია, არამედ მისი ტოპოგრაფია.

ლეხთაგის მოხატულობაში სარკმელსა და ტრაპეზს შორის არსებულ სიბრტყეზე გამოსახულია მაცხოვრის „მანდილიონი“. საყურადღებოა, რომ ამ თემის ზუსტად ამდაგვარი ტოპოგრაფია გვხვდება XII—XIII საუკუნეების შემდეგ ძეგლებში: კაზრეთის ისპიანში (XIII ს.), თანლილში (XII—XIII სს)<sup>30</sup>, ხობში (XIII ს.), ქობაირში (XIII ს.), სოფ. ხეს წმ. ბარბარეს ეკლესიაში (XIII—XIV სს.)<sup>31</sup>.

XIV ს.-ის I ნახევრიდან „მანდილიონის“ თემა კონქის საკვექ თაღში გადადის (უბისი XIV ს. I ნახ.)<sup>32</sup>, ხოლო XIV ს.-ის შუა წლებში — თაღში ინაცვლებს ადგალს (სორი)<sup>33</sup>. XVI—XVII სს. ის მოხატულობანი, რომლებშიც „მანდილიონია“ გამოსახული, იმეორებენ XIV ს.-ის II ნახევრის ტოპოგრაფიას და ამ თემას თაღში ანაწილებენ (ლატალის თარინგზელი XVI ს., გრემი XVII ს.)

როგორც ვნახეთ, საკურთხეველის სარკმელსა და ტრაპეზს შორის არსებულ სიბრტყეზე განაწილებული „მანდილიონის“ თემა XIV ს.-ის და მის მომდევნო ხანის არც ერთ ძეგლში არ დასტურდება. ლეხთაგის ფრაგმენტული მხატვრობა „მანდილიონის“ ტოპოგრაფიის გათვალისწინებით XIII ს.-ის ძეგლებთან პოულობს მსგავსებას.

ლეხთაგის კედლის მხატვრობაში ჩვენს ყურადღებას იპყრობს ერთგვარად მონუმენტური ფიგურები, ალბეჭდილი სამოსის დრაპირების დეკორაციული ელემენტებით, რითაც XIII ს.-ის კედლის მხატვრობის ნიმუშებთან ამჟღავნებს მსგავსებას. ეს შთაბეჭდილება კიდევ უფრო ძლიერდება, საკურთხეველის აფსიდში რეგისტრის გამყოფი, კიბური ორნამენტით შედგენილი ფართო დეკორაციული ზოლით. ეს დეკორი თავისი საერთო იერით განსხვავდება შედარებით მოგვიანო ხანის მსგავსი კიბური ორნამენტისაგან, იმით, რომ მას არ გააჩნია დამატებითი ფერადოვანი ზოლები.

გარდა ამისა ლეხთაგის მხატვრობაში ხაზი ნახატის მთავარი გამომსახველი საშუალება, ტეხილი კი არ არის, როგორც ეს გვიანი ხანის კედლის მხატვრობისათვისაა დამახასიათებელი, არამედ მისი განვითარება მწყობრი და ერთგვარად დენადია. ეს დეტალიც ძეგლის ადრეულობაზე მიუთითებს.

<sup>27</sup> მ. ბ ე რ ძ ნ ი ვ ი ლ ი, დასახ. ნაშრომი, გვ. 127.

<sup>28</sup> ნ. ჩოფიკაშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 157.

<sup>29</sup> ე. სილოგაძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 74.

<sup>30</sup> თანლილის მეორე პერიოდის მხატვარი ზუსტად იმეორებს „მანდილიონის“ თავდაპირველ სახეს.

<sup>31</sup> ი. ყიფშიძე, ზემო სვანეთის სოფ. ხეს ეკლესიის მხატვრობის იკონოგრაფიული სქემის თავისებურება, შანე, ისტორიის სერია, III, 1975, გვ. 46-54.

<sup>32</sup> შ. ამირანაშვილი, უბისი, მასალები ქართული კედლის მხატვრობის ისტორიისათვის, ტფ., 1929, ტაბ. XXIII.

<sup>33</sup> შ. ამირანაშვილი, ქართული ხელოვნების ისტორია, თბ., 1961, გვ. 355.

ზემო აღნიშნულის გვერდით ჩვენს ფრაგმენტულ მოხატულობაში შეინიშნება ისეთი დეტალები, რომლებიც პალეოლოგთა სტილის კედლის მხატვრობისათვისაა დამახასიათებელი. ასეთია კარის თავზე გამოსახული ორნამენტული მოტივი, რომელიც ჩარჩოშია ჩაწერილი. ჩარჩოში ჩასმული ორნამენტი, რომელსაც ფუნქციურად დამოუკიდებელი მხატვრული სახე აქვს. გეხდება უბისის<sup>34</sup>, წალენჯიხის, ნაბახტევის<sup>35</sup> კედლის მხატვრობაში. აგრეთვე ლესთაგის კარის თაღში განაწილებული, სამკუთხედებში ჩაწერილი მცენარეული დეკორის მსგავსი მოტივი ფართოდაა გავრცელებული უბისის<sup>36</sup>, ხობის, წალენჯიხის მოხატულობაში.

ლესთაგის ფრაგმენტულად შემორჩენილი კედლის მხატვრობის თარიღის განსაზღვრაში გადამწყვეტი მნიშვნელობა ქტიტორთა სამოსის ენიჭება, რადგან მხატვრობაში ყველაზე კარგად ქტიტორთა პორტრეტული გამოსახულებებია დაცული. მათი სამოსის და თავსაბურავების გავრცელების ქრონოლოგიური საზღვრების გარკვევა, ცხადია, კედლის მხატვრობის თარიღსაც განსაზღვრავს.

ლესთაგის მამაკაც ქტიტორთა ჩაცმულობისათვის დამახასიათებელია წელზე მომდგარი, ბოლო გაფართოებული მცენარეული და გეომეტრიული მოტივებით დეკორირებული კაბა<sup>37</sup> (სურ. 2, სურ. 4, II), რომლის გულისპირი სამკუთხადაა ჩაჭრილი. გულისპირი, ფართო სარტყელი, ქობა და ყოშები ძვირფასი ქვებითა და მარგალიტებითაა შემკული. გულისპირის ქვეშ მოჩანს „ფესუელი“<sup>38</sup> სამოსი.

მჭაფარასიეების წითელი ფერის თავსაბურავი ე. წ. „ზარისებური“<sup>39</sup> ფორმისაა, რომლის ქვედა ნაწილი ბეწვითაა გაწყობილი (სურ. 3). ამ კონუსისებური ფორმის ქუდის ზედა ნაწილი პატარა მორჩებით გაფორმებული დიდი ზომის კოპით მთავრდება. წითელი წერტილებით გაწყობილი (თვლებით?) ორი მოხრილი, ფრთის ფორმის მქონე, ღერი ამკობს თავსაბურავს. როგორც ძეგლის შესწავლამ დაგვარწმუნა მჭაფარასძეთა თავსაბურავების ფორმა იდენტურია ასლან მჭაფარასძის თავსაბურავისა, რომელიც ყველაზე უკეთესადაა შემორჩენილი (სურ. 3,4).

რაც შეეხება დემეტრე ჩართველანის ქტიტორულ გამოსახულებას — მჭაფარასძეებისაგან იგი განსხვავდება მხოლოდ ქუდით, რომელიც წაკვეთილი კონუსის ფორმისაა და მისი ორივე მხარე დაბლა დაშვებულ მსხვილი ნაკვეთებით ფორმდება<sup>40</sup> (სურ. 2).

როგორც ვიცით, სამეცნიერო ლიტერატურაში ლესთაგის მხატვრობის თარიღი XV, XVI, XVII საუკუნეებით არის განსაზღვრული. ეს გარემოება გვაი-

<sup>34</sup> შ. ამირანაშვილი, უბისი, ტაბ. LXI, LXVI, LXXXI, LXXX, XCI.

<sup>35</sup> ი. ლორთქიფანიძე, ნაბახტევის მხატვრობა, თბ., 1973, ტაბ. 71.

<sup>36</sup> შ. ამირანაშვილი, უბისი, ტაბ. XIII.


<sup>37</sup> მხოლოდ ერთ შემთხვევაში (ასლანი) გეხდება ზოლიანი კაბა (სურ. 3).

<sup>38</sup> ასე უწოდებს სამოსს ქვეშ არსებულ ჩასაცმელს ივ. ჯავახიშვილი, იხ. მისი მასალები ქართული ერის მატერიალური კულტურის ისტორიისათვის, ტ. III-IV, თბ., 1962, გვ. 37, 66.

<sup>39</sup> ასე უწოდებს ასეთი ფორმის ქუდებს ნ. ჩოფიკაშვილი, იხ. მისი დასახ. ნაშრომი, გვ. 157.

<sup>40</sup> ის ფაქტი, რომ სხვადასხვა სახლის წარმომადგენელს ერთნაირი კაბები მოსავთ, მაგრამ მათი ქუდები არსებითად განსხვავდებიან ერთმანეთისაგან, ხომ არ უნდა მოგვანიშნებდეს იმაზე, რომ თითოეული სახლისათვის (გვარისათვის) რეგლამენტირებული იყო გარკვეული ფორმის ქუდი, მსაზღვრებლის შესაბამისი ინსიგნიებით.

ძულებს ჩვენი ქტიტორთა სამოსი ზემოთ დასახელებულ საუკუნეებში გავრცელებულ ჩაცმულობას შევადაროთ. XV ს-ის კარგად დათარიღებული ნაბახტევის ქტიტორთა სამოსიდან ჩვენთვის საყურადღებოა ქუცნა ამირეჯიბის ჩაცმულობა<sup>41</sup>, რომელიც არსებითად განსხვავდება ლეხთაგის ქტიტორთა სამოსისაგან. ქუცნას აცვია კისერთან მრგვალად ამოღებული, ბოლომდე ჩახსნილი, გრძელი კაბა, სამოსის ფართო სახელოები მაჭებთან ვიწროვდება.



სურ. 6.


მარგალიტებით შემკული მრგვალად ამოჭრილი გულისპირიდან მოჩანს ღია ფერის ქვედა სამოსი. წინ სქელ მარყუჟად განასკველი ქსოვილის ფართო ქამრის ზოლები გვერდებზე თავისუფლად ეშვება (სურ. 6, I). მსგავსადაა

<sup>41</sup> ალექსანდრეს ჩაცმულობა არ გამოდგება ჩვენთვის შესაძარებელ მასალად, რადგან მას ლორატული საკოსი მოსავს.

შემოსილი გომართის XV ს. კედლის მხატვრობის ქტიტორი—ზვიადი (სურ. 6, II). რაც შეეხება ამავე პერიოდის ქტიტორს, ზაზა ფანასკერტელს, მისი კაბა ქუცნა ამირეჯიბის კაბის მსგავსია, მაგრამ მისი გულისპირი სამკუთხადაა ამოჭრილი. ამ მხრივ იგი არც ლესთავის ქტიტორების სამოსის გულისპირთან ანალოგიულობას მსგავსებს.

XVI ს-ის მამაკაც ქტიტორთა სამოსი მსგავსებას იჩენს ქუცნა ამირეჯიბის ჩაცმულობასთან (ობჩა, ბუგეული), მაგრამ მათი თავსაბურავები განსხვავდებიან (სურ. 6, III, V).

XVII ს-ის მამაკაცთა სამოსი არსებითად განსხვავდება როგორც ლესთავის, ისე XV—XVI სს. ჩაცმულობისაგან. ამ ხანაში მამაკაცთა სამოსში ფართო გავრცელებას პოულობს მოსასხამები (სურ. 6, X, XV). როგორც მოსასხამები, ისე ჩაჭრილი კაბების გულსპირები, ჩაფრასტებით იკვრება. საყურადღებოა, რომ ამ ხანიდან როგორც მამაკაცებს, ისე ქალებს აცვიათ ქუსლიანი ფეხსაცმელები. თუნდაც ამ ნიშნებითაც ისინი არსებითად განსხვავდებიან ჩვენს ქტიტორთა ჩაცმულობისაგან.



სურ. 7.

ლესთავის ქტიტორთა (მამაკაცთა) სამოსი დიდ მსგავსებას პოულობს მღვიმევის XIII ს-ის 80-იანი წლების<sup>42</sup> კედლის მხატვრობის ქტიტორთა სამოსთან (სურ. 7, I, III). კახაბერისა და რატის კაბების გულის პირი სამკუთხადაა ჩაჭრილი ლესთავის ქტიტორთა კაბების მსგავსად მათი სამოსის გულის პირი, ძვირფასი ქვებითა და მარგალიტებით შემკული ფართო ზოლებითაა გაწყობილი ისეთივე წესით, თვლების მონაცვლეობით და ფერადოვანი გამით, როგორც ლესთავში გვაქვს. გარდა ამისა დიდი მსგავსება ჩანს მჭაფარასების, რატისა და კახაბერის თავსაბურავების ფორმათა შორის.

ლესთავის ქტიტორი ქალებიდან მხოლოდ ორია მოსასხამიანი, დანარჩენი ორი კი მოსასხამის გარეშეა წარმოდგენილი. მცენარეული დეკორით შემკულ მოსასხამებს ცრუ სახელოები აქვს (სურ. 1, I, II). მათი წელზე მომდ-

<sup>42</sup> იხ. ან. მესხიძე ნ. ჩოფიკაშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 35-36, შენ. 75.

გარი და ქობისაყენ ოდნავ გაგანიერებული კაბები ქტიტორ მამაკაცთა სამოსის მსგავსია<sup>43</sup> (სურ. 1, 2, 3). იმ განსხვავებით, რომ ქალებს კაბების ყელზე მომდგარი გულისპირი სწორი ხაზით ბოლოვდება და დამატებითი შემკულობა არ გააჩნია (სურ. 1). მათი თავსაბურავები გამჭვირვალე ქსოვილის კუბასტს წარმოადგენს, რომელიც წითელი თვლებით გაწყობილი მოხრილი ღერებით არის შემკული. სამკაულებიდან აღსანიშნავია რკალზე დაკიდებული წითელი და ცისფერი ქვებით შედგენილი საყურეები. თითებზე უხვად (თითქმის ყველა თითზე, ზოგ შემთხვევაში თითოზე ორიც კი) აქვთ აცმული სხვადასხვა ფორმის ბეჭდები (სურ. 1).

ლესთაგის ქტიტორ ქალთა მოსახლამის ცრუ სახელოები რაიმე ქრონოლოგიურ მითითებად არ გამოგვადგება, რადგან აღრეული შუა საუკუნეებიდან მოყოლებული XVII სს. ჩათვლით ქალთა სამოსში ცრუ სახელოები გვხვდება<sup>44</sup>. ამ შემთხვევაში ჩვენთვის კაბების გულისპირის თარგა საინტერესო. XVI—XVII საუკუნეებში კაბის გულისპირი ჩაჭრილია, საიდანაც მოჩანს ქვედა სამოსი. გარდა ამისა, როგორც მოსახლამები, ისე კაბები უმეტესწილად ჩაფრასტებით იკვრება. ამ პერიოდის ქალის სამოსში ხვდება ქსოვილის ფართო სარტყლებს, რომლებიც წინ არიან შეკრული და ტოტებით დაბლა ჩამოშვებული (სურ. 6, XI, XII, XIII, XVII). ზემოჩამოთვლილი არც ერთი ელემენტი არ დასტურდება ლესთაგის ქალთა სამოსში. დამატებითი შემკულობის გარეშე წარმოდგენილი, ყელზე მომდგარი, სწორი ხაზით გაფორმებული გულისპირი გვხვდება მღვიმევის XIII ს-ის კედლის მხატვრობის ქტიტორის—რუსუდანის სამოსში (სურ. 7, II)<sup>45</sup>. ლესთაგის ქტიტორ ქალთა სამკაულში ჩვენს ყურადღებას იქცევს ხელების ბეჭდებით უხვად შემკობა, რაც დადასტურებულია მხოლოდ შუაფეოდალური ხანის ერთადერთ მაგალითში (თამარ მეფის ქტიტორული გამოსახულება ბეთანიაში).

რაც შეეხება კუბასტის მოსართავ ელემენტებს — დეკორატიულ მოხრილ ღერებს, ჩვენთან ვერ მოეძებნა პარალელი. ერთადერთი მსგავსება ჩანს კვიპროსის ერთ-ერთ ფერწერულ ხატზე გამოსახულ ქტიტორი ქალის თავსაბურავთან, რომელზეც მსგავსი ღერებია გამოსახული. ხატი 1356 წლით თარიღდება<sup>46</sup>.

ლესთაგის ქტიტორ ქალთა თმის დაყენების წესი განსხვავდება XVI, XVII სს ქალთა თმის ვარცხნილობისაგან. ლესთაგში ქალებს თმები ყურს უკან აქვთ გადატანილი, მსგავსად აღრეული ხანის თმის დაყენების წესისა. როგორც ცნობილია, გვიან ხანებში თმები ნაწნავებადაა წინ ჩამოშვებული (ოზჩა, ბუგეული, წალენჯიხა, მარტვილი, ცაიში, ნიკორწმინდა (იხ. სურ. 6, IV, VI, VIII, XI, XII, XIII, XVI, XVII).

ასეთივე სხვაობა ჩანს მამაკაცების ულვაშის დაყენების წესში. ლესთაგის ქტიტორებს ულვაშის ბოლო დაბლა აქვთ დაშვებული. გვიან ხანაში კი

<sup>43</sup> ამის გამო მიუჩნევა მ. ბერძენიშვილს მოსახლამის გარეშე გამოსახულ მარამ (მარბს) მჭაფარასძე და ანონიმი ასული პირნათელის ვაჟებად

<sup>44</sup> ნ. ჩოფიკაშვილი, ქართული კოსტიუმი, გვ. 41-49.

<sup>45</sup> ხელოვნების მუზეუმის ფონდში დაცულ მღვიმევის ქტიტორების ასლზე ძეგლიდან ჩანს კაბის სწორხაზოვანი გულისპირი და მოსახლამის ზედა ნაწილი. ნ. ჩოფიკაშვილი აქ ოქროქსოვილთა შემკულ კაბის გულისპირს ხედავს. მეცლევარს ვერ შეუმჩნევა მოსახლამი. იხ. ნ. ჩოფიკაშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 48.

<sup>46</sup> Сокровища Кипра, М., 1976, Таб. X и X а.

ნაბახტევიდან მოყოლებული XVII ს-ის ჩათვლით, როგორც ჩანს, შეიცვალა ულვაშის დაყენების წესი და ისინი ზევით აპრენილი წაწვეტებული ბოლოებით გამოისახებიან (სურ. 6, I, III, V, VII).

ზემოთქმულის საფუძველზე დავასკვნით: ლექთაგის ფრაგმენტული კედლის მხატვრობა, რომელშიც მკაფიოდაა აღბეჭდილი პროვინციული სამხატვრო სკოლის ტრადიციები, ნათლად ავლენს XIII—XIV სს. მ მიჯნის სტილისტურსა და იკონოგრაფიულ ნიშნებს და საფიქრებელია, მისი ყველაზე გვიან ხანა XIV ს-ის I ნახევარი იყო.

Е. К. КАВЛЕЛАШВИЛИ

## КТИТОРСКИЕ ПОРТРЕТЫ ЦЕРКВИ В ЛЕХТАГИ

### Резюме

Внутреннее пространство Лехтагской церкви, находящейся в Верхней Сванети в Местиа, было полностью оформлено росписью. До нас дошли лишь изображения ктиторов, небольшие фрагменты композиций и следы декорационного занавеса.

О ктиторских портретах и, соответственно, о дате росписи в научной литературе высказаны три совершенно различных мнения (XV, XVI, XVII вв.). Вместе с тем, изображения исторических лиц исследователи заметили только на южной и северной стенах.

В статье показано, что ктиторские изображения распределены на северной, западной и южной стенах. На северной стене представлены главные ктиторы — Пирнател, Додил и Иванэ Мджапарасдзе. На противоположной стене — дочери Пирнатэла, а на западной стене — младший сын Пирнатэла — Аслан и Деметре Чартвелани.

Изображения Пирнатэла Мджапарасдзе и его сыновей в росписи представлены в той же возрастной последовательности, что и в сванских документах №№ 6 и 106. Это дало возможность автору идентифицировать лиц, упомянутых в историческом документе и изображенных в росписи церкви Лехтаг.

В одеяниях ктиторов Лехтагской церкви выявляется сходство с одеяниями ктиторов в Мгвимевской росписи, датируемой 80-ми годами XIII века.

Сравнительный, стилистический и иконографический анализ росписи позволяет определить дату памятника концом XIII, первой половиной XIV веков.

წარმოადგინა საქართველოს სსრ ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმი.

## ილია ანთელავა

### ნიკორწმინდის „დაწერილის“ დათარიღებისათვის

ნიკორწმინდელის დაწერილი გამოსცა და დაათარიღა თ. ჟორდანიამ<sup>1</sup>. იგი უეჭველად თელიდა, რომ დოკუმენტის გამცემი იყო კახაბერყოფილი კირილე, ძე ერისთავთ-ერისთავის რატისა<sup>2</sup>. პალეოგრაფიულადაც იგი დოკუმენტს XI საუკუნეს მიაკუთვნებდა. სამწუხაროდ, დაწერილის დედანი დაკარგულია და დღეს ძნელია მსჯელობა მისი პალეოგრაფიული ნიშნების შესახებ. თ. ჟორდანიას იმდენად დასაბუთებულად მიაჩნდა აზრი, რომ დოკუმენტის გამცემი კახაბერყოფილი კირილე იყო, რომ არ ჩაუთვლია საჭიროდ ტექსტის უფრო ღრმა პალეოგრაფიული და ტექსტოლოგიური ანალიზი ჩაეტარებინა. შემდგომი ხანის მკვლევრებს კი აღარ ჰქონდათ დოკუმენტის პალეოგრაფიული შესწავლის საშუალება.

თ. ჟორდანიას მიერ გადაწერილი პირის გარდა არსებობს ს. კაკაბაძის მიერ გადაწერილი პირიც, რომელმაც ხელი შეუწყო დოკუმენტის შემდგომ გამომცემლებს ტექსტის გამართვაში.

ი. ჭავჭავაძე იზიარებდა აზრს, რომ ნიკორწმინდელის დაწერილი XI ს.-ის ძეგლია, მაგრამ საეკვოდ მიაჩნდა თ. ჟორდანიას აზრი მისი კახაბერყოფილი კირილესთვის მიკუთვნების შესახებ<sup>3</sup>.

ნიკორწმინდელის დაწერილი ვრცლად შეისწავლა და ტექსტი გამოსცა მ. ბერძენიშვილმა<sup>4</sup>. მკვლევარმა დოკუმენტი ასევე დაათარიღა XI საუკუნით, უფრო ზუსტად 1060—80 წლებით. საამისო არგუმენტად მკვლევარმა მოიტანა შემდეგი ფაქტები: 1. საბუთში არ გვხვდება ბიზანტიური ფული ბოტინატი, რაც იმაზე უნდა მიგვანიშნებდეს, რომ დოკუმენტი ბოტინატის მოჭრამდეა შედგენილი; 2. დაწერილში იხსენიება ვინმე იოანე ლიპარიტის ძე, რომელიც უნდა იყოს ბაგრატ IV-ისა და გიორგი II-ის თანამედროვე იოანე ბალვამი; 3. დოკუმენტში „გაურკვეველ კონტექსტში“ მოხსენიებული კახაბერი უნდა იყოს XI ს. მოღვაწე კახაბერ კახაბერის ძე; 4. დაწერილში მოხსენიებული ვინმე ვარაზგაჩე უნდა იყოს ბიზანტიური წყაროების მიხედვით ცნობილი ვარაზგაჩე, რომელიც ბიზანტიაში მოღვაწეობდა.

მკვლევრის პირველი არგუმენტი საკმაოდ სათუთაა. დოკუმენტში ამა თუ იმ ფულის მოუხსენებლობა სრულიადაც არ ნიშნავს, რომ დოკუმენტი ამ ფულის მოჭრამდეა შექმნილი. ა. მ. ბოტინატი არ მოიხსენება გრიგოლ სურამე-

<sup>1</sup> თ. ჟორდანიას, ქრონიკები, II, გვ. 44-49.

<sup>2</sup> იქვე, გვ. 43.

<sup>3</sup> ი. ჭავჭავაძის ვილი, საქართველოს ეკონომიური ისტორია, ტ. 1, ტფ., 1930, გვ. 101.

<sup>4</sup> მ. ბერძენიშვილი, ნიკორწმინდის „დაწერილი“, მასალები საქართველოსა და კავკასიის ისტორიისათვის, ნაკვ. 34, თბ., 1962.

ლის დაწერილში, მაგრამ იქ მოიხსენება დუკატი<sup>5</sup>, რომლის მოჭრა უსწრებდა ბოტინატის მოჭრას<sup>6</sup>. ასეთივე მდგომარეობაა „კელმწიფის კარის გარიგებაში“<sup>7</sup> და სხვ. შესაძლოა ნიკორწმინდის წინამძღვარს არ ჰქონდა ხელთ ბოტინატი. ეს არგუმენტი, ფიქრობთ, ნაკლებ საფუძველს გვიქმნის დაწერილის დათარიღებისათვის.

არ არის ნათელი ასევე, რა კავშირი უნდა ჰქონოდა გარდა სახელისა, ბიზანტიაში მოღვაწე ვარაზეაჩეს იმერეთის სოფელ ფუთში ორი გლეხის შემწირველ ვარაზეაჩესთან.

დოკუმენტის დათარიღების შესახებ არსებული მასალების შესწავლამ დაგვარწმუნა, რომ გამომცემელთა ერთადერთი სერიოზული არგუმენტი დაწერილის XI საუკუნით დათარიღებისათვის არის იოანე ლიპარიტის ძისა და კახაბერის მოხსენიება. რომლებიც იდენტიფიცირებული არიან იოანე ბაღვაშთან და კახაბერ კახაბერისძესთან. ეს იდენტიფიკაცია ძალზე საეჭვოა.

ნიკორწმინდელის დაწერილში მოხსენიებული საკმაოდ მრავალრიცხოვანი პირებიდან ერთადერთი პიროვნება, რომელიც მოიხსენიება ერისთავთ-ერისთავის ტიტულით. არის ვინმე მიქელი. არც იოანე ლიპარიტის ძის და არც ვინმე კახაბერის მიმართ დოკუმენტის შემდგენელი არ თვლის საჭიროდ ერისთავთ-ერისთავის ტიტული იხმაროს. შეუძლიათ მიგვითითონ, რომ ეს შემთხვევითი ფაქტია, მაგრამ თვალში საცემია ერთი გარემოება: ერისთავთ-ერისთავი მიქელ დოკუმენტში მოიხსენიება ორჯერ და დოკუმენტის გამცემს არც ერთხელ არ ავიწყდება მისი ერისთავთ-ერისთავობა: „და მუნვე ზნაკუას ერისთავთ-ერისთავმან მიქელ წორბელისაგან და ვახტანგისაგან იყიდა მიწა ტყიანი...“<sup>8</sup> „და ერისთავთ-ერისთავმა მიქელ შემოსწირა, წიგნი სენაქსარა ა.“<sup>9</sup>. ეს ფაქტი გამორიცხავს შემთხვევითობას და საშუალებას გვაძლევს ვამტკიცოთ, რომ დოკუმენტში მოხსენიებული პირებიდან მხოლოდ ერთია ერისთავთ-ერისთავი და ეს პიროვნება ვინმე მიქელია. მ. ბერძნიშვილი ვარაუდობს, რომ მიქელი „ადგილობრივი“ საგვარეულოს, ე. ი. კახაბერიძეების წარმომადგენელი უნდა იყოს<sup>10</sup>, მაგრამ სამწუხაროდ, ეს ვარაუდი ვერ ხსნის კითხვას: რატომ არ არიან მოხსენიებულნი ერისთავთ-ერისთავებად იოანე და კახაბერი.

დოკუმენტში მოიბოვება ზოგიერთი საყრდენი, რომელიც გამორიცხავს მის მიკუთვნებას XI საუკუნისათვის. მოვიტანოთ სათანადო ადგილი მ. ბერძნიშვილის გამოცემიდან: „2. ი-ე ლიპარიტის [ქემან შემოსწირა] სტავრაი ლომოან ბერძ... და უკიდავს. 3. კახაბერსა.... ს. ცოლმან ზაზი შე[მოსწირა] [ბა]ლდადური აფი ა და შეგვე[რე]ნ კუართი ა და სასთაული ბ.“<sup>11</sup> მოტანილ ადგილში ი. დოლიძემ „ბერძ“.... აღადგინა, როგორც „ბერძ[ნული]“<sup>12</sup>.

ხსენებული კონტექსტიდან გამომავლად დასკვნა, რომ კახაბერის ცოლმა, სახელად „ზაზიმ“ შესწირა ნიკორწმინდას ბალდადური ქსოვილი „აფი“, საიდანაც მონასტერში შეეკრეს ერთი კვართი და ორი სასთაული.

<sup>5</sup> ი. დოლიძე, ქართული სამართლის ძეგლები, II, გვ. 43.

<sup>6</sup> იხ. გ. ჯაფარიძე, ოქროს მონეტის ტერმინოლოგია, XI—XIII სს. საქართველოში, მაცნე, № 3, 1976. გვ. 91.

<sup>7</sup> ქართული სამართლის ძეგლები, II, გვ. 84.

<sup>8</sup> მ. ბერძნიშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 34.

<sup>9</sup> იქვე, გვ. 37.

<sup>10</sup> იქვე, გვ. 29.

<sup>11</sup> მ. ბერძნიშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 33.

<sup>12</sup> ქართული სამართლის ძეგლები, III, გვ. 27.

უნდა აღინიშნოს, რომ სიტყვა „კახაბერსა“ საერთოდ არ უნდა ეკუთვნოდეს იმ წინადადებას, სადაც ქსოვილის შეწირვაზეა საუბარი. ციტირებული ადგილიდან არ გამომდინარეობს, რომ ვინმე „ზაზი“ კახაბერს მეუღლეა. „კახაბერსა“ უნდა ეკუთვნოდეს წინამავალ წინადადებას, სადაც „ლომონი სტავრის“ შეწირვაზეა საუბარი. გამომცემლებს როგორღაც შეუშინევთ დარჩენიათ, რომ „და უკიდავს“ უნდა შესწორებულიყო, როგორც „დაუკიდავს“. წინადადება რომ აზრობრივადაც და გრამატიკულადაც გაიმართოს, ვფიქრობთ, მან ასეთი სახე უნდა მიიღოს: „იოანე ლიპარიტის [ძისა სულისათვის?] სტავრაი ლომონი ბერძნული დაუკიდავს კახაბერსა“. იმ პირის სახელი, ვისმა ცოლმაც მონასტერს ბალდადური ქსოვილი შესწირა, წაშლილია და მისგან მხოლოდ ბოლოკიდური „ს“ არის დარჩენილი („კახაბერსა...ს ცოლმან“).

განვიხილოთ მეორე წინადადება: „...ს ცოლმან ზაზი შე[მოსწირა] [ბა]-ლდადური აფი“. რას ნიშნავს „აფი“? თ. ჟორდანია ვარაუდობდა, რომ ეს შეიძლება ყოფილიყო „ქაფი“<sup>13</sup>. მიუხედავად ამისა მან ეს სქოლიოში აღნიშნა კითხვის ნიშნით და ტექსტში არ შეუტანია. „ქაფი“ სულხან-საბას განმარტებით „სამხარილიე ჯავშანია“, რომლისგანაც ცხადია კვართსა და სასთაულს ვერ შეეკრავდნენ. მ. ბერძნიშვილმა „აფი“ განმარტა, როგორც „ქსოვილი ერთდაგვარი“<sup>14</sup>. მკვლევარს არ მოუტანია რაიმე საბუთი იმის დასამტკიცებლად, რომ ქსოვილი „აფის“ სახელწოდებით ნამდვილად არსებობდა. ხანგრძლივი ძიების მიუხედავად ვერც ჩვენ ვერ მივაკვლიეთ ქსოვილს ამ სახელწოდებით. საფიქრებელია, რომ მონასტრისათვის შეწირული ქსოვილის სახელი არის არა „აფი“, არამედ „ზაზი“, რომელიც ქალის სახელადაა მიჩნეული. „ზაზი“ უნდა იყოს ის ქსოვილი, რომელიც გვხვდება „ზეზი“, „ზეპეზის“ სახელწოდებით<sup>15</sup>. „ზაზი“ „ზეზის“ ვარიანტული სახელი უნდა იყოს, თუ აქ გრაფიკულ შეცდომასთან არ გვაქვს საქმე, რაც ასე ხშირია ჩვენთვის საინტერესო დოკუმენტში (მაგ., ხაბასტა-ტაბასტა, საყნისი — საყნისი, საჯი-ლი — საჯადი და სხვა)<sup>16</sup>.

„ზეზი“ ი. აბულაძის განმარტებით არის «ბისონი»<sup>17</sup>. დ. ჩუბინოვის ლექსიკონში «ზეზი» განმარტებულია, როგორც «галун. виссон, драгоценная ткань»<sup>18</sup>. ბ. ლომინაძის განმარტებით, ბისონის ქსოვილად გამოიყენებოდა სკარამანგი, ზეზი, ოქსინო, ოქროქსოვილი, სტავრა, დიბა და სხვა.<sup>19</sup> ნათელია, რომ კვართი და სასთაული შეუეკრავთ ზეზისაგან და არა არასტებული ქსოვილისაგან, «აფისაგან».

თუ „აფი“ ქსოვილის სახელწოდება არ არის, მაშ რას ნიშნავს ეს სიტყვა?! ნათელია, რომ ქსოვილი ზეზი, რომელიც უცნობი პირის ცოლმა (რომლის სახელი ასევე უცნობია) შესწირა მონასტერს, „ბალდადური“ ყოფილა. ეს კი საშუალებას გვაძლევს აღვადგინოთ „აფი“, როგორც „[ალ]აფი“. წინადადება, ჩვენი აზრით უნდა გამოიყირებოდეს ამგვარად: „.....ს ცოლმან ზეზი (ზაზი)

<sup>13</sup> თ. ჟორდანია, ქრონიკები, II, გვ. 44.

<sup>14</sup> მ. ბერძნიშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 41.

<sup>15</sup> ი. აბულაძე, ძველი ქართული ენის ლექსიკონი, თბ., 1973, გვ. 16.

<sup>16</sup> იხ. მ. ბერძნიშვილი, დასახ. ნაშრომი.

<sup>17</sup> ი. აბულაძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 165.

<sup>18</sup> Д. Чубинов, Грузино-русский словарь, СПб., 1887, гв. 519.

<sup>19</sup> ქართული საბჭოთა ენციკლოპედია, ტ. II, თბ., 1977, გვ. 415.

შე[შოსწირა] [ბა]ლდადური [ალ]აფი ა და შეეკე[რე]ნ კუართი ა და სას-  
თაული ბ“.

წინადადების ამგვარი აღდგენა ნებისმიერი არ არის. მას შემდეგ, რაც ზაზი გაგებულ იქნა ქსოვილის სახელად, ცხადია ძნელია ქსოვილის აღმნიშვნელად ვიგულისხმეთ „აფიც“, რომელიც ვერც წყაროებში და ვერც სპეციალურ ლიტერატურაში ვერ დავადასტურეთ ქსოვილის სახელად.

როგორც ჩანს, უცნობი პირის ცოლს „ბალდადური ალაფიდან“ მოყოლილი „ზეზის“ ერთი ნაპერი შეუწირავს მონასტრისათვის კუართისა და სასთაულის შესაკერად, რომელთაც მართლაც ძვირფასი ქსოვილებსაგან კერავდნენ. „ბალდადური ალაფი“ კი თავისთავად მიგვიითმებს XIII ს-ის 60-იან წლებზე და არა XI ს-ის 60—80-იან წლებზე. რკონის დაწერილში აღნიშნულია: „ბალ[დადური ა]ლაფი ყუელა იეფად იყო“<sup>20</sup>. „ბალდადს ნაშოები ოქრო“ მოიხსენიება ძაგან აბულეთის ძის დაწერილში<sup>21</sup>. „ბალდადური ალაფი“ დაკავშირებულია კონკრეტულ ისტორიულ ფაქტთან, მონღოლთა მიერ ბალდადის აღებასთან და მოოხრებასთან 1258 წელს. ამ ლაშქრობაში ქართველებიც მონაწილეობდნენ და დიდი ალაფიც იშოვეს. ეპითაღმწერლის ცნობით: „ხოლო სიმდიდრისა და ალაფისა მაშინ პოვნილთა ვინ-მე მიუთხრნეს? რამეთუ აღივსნეს თათარნი და ქართველნი ოქროთა, ვერცხლითა, თუალითა, მარგალიტითა, პატიოსნითა ლარიითა და შესამოსლითა“<sup>22</sup>. (ზაზი ჩვენია. — ი. ა.) „პატიოსანი ლარი“ სწორედ ძვირფას ქსოვილს ნიშნავს. როგორც ვხედავთ, „ბალდადურ ალაფში“, ქართველებს სხვა ძვირფასეულობასთან ერთად ქსოვილებიც წამოუღიათ, ხოლო „ზეზი“, როგორც აღვნიშნეთ, სწორედ ძვირფასი ქსოვილი, „ლარია“.

საფიქრებელია, რომ ნიკორწმინდის მონასტერს შესწირეს სწორედ „ბალდადურ ალაფში“ მოყოლილი „ზეზი“.

ამგვარი გაგება ცხადია, საფუძველს აცლის იოანე ლიპარიტის ძისა და კახაბერის იდენტიფიკაციას, რაც ზემოთ მოტანილი მასალის მიხედვით ისედაც საეჭვოა.

ვინ უნდა იყვნენ იოანე და კახაბერი?! ნიშანდობლივია, რომ თუ ტექსტის ჩვენეული აღდგენა სწორია, ეს პირები ერთად იხსენიებიან. იოანეს „ლომონ სტავრას“ კახაბერი „უცილებს“ მონასტერს. იოანე და კახაბერი იხსენიებიან იერუსალიმის ალაპებში: „ი/ოვან/ე და კახაბერ... ჩამ/ო/ლ/ო/ცვი/თა. შემოსწირა მ/ო/ნასტერსა ორი ათასისა დრ/ა/მა ღიდსა დაჰ[ირება]სა შინა მონ[ასტრი]სასა“<sup>23</sup>. ეს ალაპი უეჭველად მიეკუთვნება XIII ს-ის უკანასკნელ მეოთხედს<sup>24</sup>. თავის მხრივ, იერუსალიმის ეს ალაპი ათარიღებს სინას მთის მოსახსენებელსაც, სადაც მოიხსენიებიან კახაბერი და იოანე<sup>25</sup>. იმავე მოსახსენებელში არის ვინმე ლიპარიტიც<sup>26</sup>. სინას მთის მოსახსენებელში კახაბერი და იოანე მოიხსენიებიან, როგორც მიცვალებულნი.

<sup>20</sup> ქართული სამართლის ძეგლები, II, გვ. 58.

<sup>21</sup> იქვე, გვ. 70.

<sup>22</sup> ეპითაღმწერელი, ქართლის ცხოვრება, II, თბ., 1959, გვ. 233.

<sup>23</sup> ე. მ. გ. ტ. რ. ე. ე. ლ. ი., მასალები იერუსალიმის ქართული კოლონიის ისტორიისათვის, თბ., 1962, გვ. 80.

<sup>24</sup> იქვე, გვ. 113.

<sup>25</sup> ი. ჭ ა ე ა ხ ი შ ე ი ლ ი, სინას მთის ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა, თბ., 1947, გვ. 247; იხ. ე. მ. გ. ტ. რ. ე. ე. ლ. ი., დასახ. ნაშრომი, გვ. 118.

<sup>26</sup> ი. ჭ ა ე ა ხ ი შ ე ი ლ ი, დასახ. ნაშრომი, გვ. 247.

გვინდა ყურადღება მივაპყროთ ერთ დეტალს. ნიკორწმინდელის დაწერილში „ლომონ სტავრის“ შეწირვის სუბიექტი არის კახაბერი. სწორედ მან „დაუკიდა“ მონასტერს იოანე ლიპარიტის ძის „სტავრა“. ასევე იერუსალიმის ალაპში შეწირვის სუბიექტად კახაბერი ჩანს, რადგან ალაპი გაჩენილია იოანესა და კახაბერის სახელზე, ხოლო შემომწირველად ერთი პირი იგულისხმება („შემოსწირა“ და არა „შემოსწირნეს“). საფიქრებელია, რომ კახაბერი იოანეს ძმა იყო და ზრუნავდა როგორც ძმის, ისე საკუთარ „სულზეც“.

რაც შეეხება „ბაღდადურ ალაფში“ მოყოლილ „ზეზს“, ის შემწირველს შეეძლო მისი მოპოვებიდან წლების მერეც შეეწირა და ეს არ უშლის ხელს ნიკორწმინდელის დაწერილის XIII ს-ის დასასრულით დათარიღებას.

„ბაღდადური ალაფი“, იოანესა და კახაბერის იდენტიფიკაცია მიგვითითებენ, რომ ნიკორწმინდელის დაწერილი შედგენილი უნდა იყოს XIII ს-ის ბოლო მესამედსა და XIV ს-ის დასაწყისში. ამ თარიღზე მიგვითითებს ერისთავთ-ერისთავი მიქელიც. როგორც ცნობილია, დავით ნარინის გარდაცვალების შემდეგ დასავლეთსაქართველოში ტახტზე ავიდა მისი ძე კონსტანტინე, „რომლის მეფობასა წინააღმდეგა ძმა მისი მიქელ და დაიპყრა ქუეყანა რაჭისა და არგუეთი“<sup>27</sup>. ამითვე უნდა აიხსნას, რომ ნიკორწმინდელის დაწერილში არსად არ ფიგურირებს მეფე და უმაღლეს პირად დოკუმენტში მოხსენიებულთა შორის სწორედ ერისთავთ-ერისთავი მიქელი მოჩანს.

თუ ჩვენი დოკუმენტი მართლაც XIII ს-ის ბოლო მესამედით და XIV ს-ის დასაწყისით დათარიღდება, შესაძლებელია კიდევ ერთი პიროვნების იდენტიფიკაცია. ჩვენს დოკუმენტში აღნიშნულია: „შემოსწირა .....კობასტი..... ინვე შუშანმან“<sup>28</sup>. სახელი შუშანი არ არის პოპულარული დასავლეთსაქართველოში. შუა საუკუნეების წყაროებში ჩვენ მას ვერსად წავაწყდით. იგი გვხვდება ერთგან, კერძოდ, ლაბეჭინის სახარების ცნობილ მინაწერში, რომელიც თარიღდება XIII ს-ის მიწურულით: „ბაღმელაძისა სახლი და მამული ნახევარი შუშანასა სალოცველად და სააღაპოდ შემოწირულია“<sup>29</sup>.

გვინდა ზაზგასმით მივუთითოთ, რომ ლაბეჭინა და ნიკორწმინდა გეოგრაფიულად ძალზე ახლოს არიან ერთმანეთთან. ლაბეჭინის სახარების მინაწერში მოხსენიებული „ზემო აგარა“ უნდა იყოს ნიკორწმინდელის დაწერილის „ზედა აგარა“. ხოლო ზნაკვის აგარა კი ქვემო აგარა<sup>30</sup>. გეოგრაფიული სიახლოვე, შემომწირველის საკმაოდ იშვიათი სახელის დამთხვევა და ზემოაღნიშნული სხვა ფაქტები მიგვითითებენ, რომ ნიკორწმინდელის დაწერილი და ლაბეჭინელის მინაწერი დაახლოებით ერთ დროს უნდა იყოს შედგენილი. ნიკორწმინდელის დაწერილში არ მოიხსენიება არც ერთი ფულის ნიშანი, რომელიც უცხო იყოს XIII საუკუნისათვის. კონსტანტინატი, დუკატი, აჟურა და სხვა XIII საუკუნეშიც გვხვდება<sup>31</sup>. იგივე შეიძლება ითქვას საწყაოებზე (გრივი, კაბიწი, ლიტრა და სხვა).

<sup>27</sup> ქაბთაღმწერელი, გვ. 295.

<sup>28</sup> მ. ბერძენიშვილი, დასაზ. ნაშრომი, გვ. 33.

<sup>29</sup> ე. თაყაიშვილი, არქეოლოგიური მოგზაურობა ლეჩხუმ-სვანეთში 1910 წელს, ბაროზი, 1937, გვ. 21.

<sup>30</sup> იხ. თ. ბერაქე, რაქა ფეოდალურ ხანაში, საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის კრებული, V, თბ., 1975, გვ. 137.

<sup>31</sup> იხ. თ. ლომოური, ფული შოთა რუსთაველის ეპოქაში, კრებ. შოთა რუსთაველის მატერიალური კულტურა, თბ., 1938, გვ. 296; გეორგიკა, ტ. VIII, გვ. 272.

ცხადია, ლიპარიტის ძეობა თავისთავად სრულებით არ მიგვეითებებს ამა თუ იმ პირის ბაღვაშთა საგვარეულოსადმი კუთვნილებაზე, ისევე როგორც სახელი კახაბერი კახაბერის ძეობაზე. „ტბეთის სულთა მატთანეში“ მოხსენიებულია ვინმე იოანე კახაბერიძე<sup>32</sup>, რომელსაც არავითარი კავშირი რაჭის ერისთავების საგვარეულოსთან არა აქვს. წყაროებში მოიხსენიებიან ლიპარიტის ძე, ლიპარტიანის ძე, რომელთაც ცხადია ბაღვაშებთან არაფერი აქვთ საერთო<sup>33</sup>.

ამრიგად, ნიკორწმინდის დაწერილში არ არის არც ერთი ფაქტი, რომელიც აუცილებლად XI საუკუნეზე მიგვეითებდეს, მაშინ როდესაც, საკმაო რაოდენობის ფაქტები დაგვიგროვდა მის XIII საუკუნის უკანასკნელი მესამედისა და XIV საუკუნის დასაწყისისათვის მისაკუთვნიებლად. ასეთებია. „ბაღდადური ალაფი“, ერისთავთ-ერისთავის მიქელის იდენტიფიკაცია და სხვ. ყოველივე ეს საფუძველს გვაძლევს დოკუმენტი დავათარილოთ XIII ს-ის დასასრულით და XIV ს-ის დასაწყისით.

ტექსტის შემდგომი დახვეწისათვის ინტერესმოკლებული არ იქნება ერთი შენიშვნა. მკვლევრებს გამოცემული აქვთ: „მუნვე საწირეს ნადარბაზევსა ძულსა უკანაჲთ მოვიგე მიწაჲ“<sup>34</sup>. ვფიქრობთ, რომ აქ უნდა გვქონოდა „ნადარბაზევსა ძულსა უკანაჲთ“.

И. П. АНТЕЛАВА

## К ДАТИРОВКЕ «ПИСАНЬЯ НИКОРЦМИНДЕЛИ»

### Резюме

В специальной литературе «Писанье Никорцминдели» датируется 60—80 гг. XI в. По мнению автора документ датируется последней четвертью XIII в. — началом XIV в.

<sup>32</sup> ტბეთის სულთა მატთანე, ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, გამოკვლევა და საძიებლები დაურთო თ. ენუქიძემ, თბ., 1977, გვ. 92.

<sup>33</sup> ე. თაყაიშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 235 და სხვ.

<sup>34</sup> მ. ბერძენიშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 37; ქართული სამართლის ძეგლები, III, გვ. 33.

წარმოადგინა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის სამეცნიერო ინფორმაციის განყოფილებამ

Д. Л. МУСХЕЛИШВИЛИ

## ИЗ ИСТОРИЧЕСКОЙ ГЕОГРАФИИ ДРЕВНЕГО КАВКАЗА

Данные лингвистики показывают, что современное аборигенное население Кавказа, несмотря на разновременные более или менее интенсивные инородные влияния, в основном является автохтонным. Археология, со своей стороны, подтверждает длительное и последовательное развитие материальной культуры, начиная с древнейших времен до образования классовых обществ, когда письменные источники проливали достаточный свет на этническую карту этого края. Правда, в археологии Кавказа есть еще культурно-хронологические периоды, генетическая связь материальной культуры которых пока не совсем ясна, однако это можно объяснить сдвигами в социально-экономическом развитии общества с одной стороны, а с другой — инфильтрацией инородного этнического элемента, который, постепенно ассимилировавшись, существенно не менял этнического облика аборигенов.

Следует отметить, что чем дальше проникает наш взгляд вглубь веков, тем яснее выявляется этническая пестрота населения. Так, например, изучение исторической топонимики Грузии со всей очевидностью убеждает нас, что в глубокой древности на этой территории рядом с грузинскими племенами жили также племена негрузинского происхождения, в частности, черкесско-адыгейские в Западной и вейнахско-дагестанские в Восточной Грузии. Археология подтверждает это наблюдение. В течение многовековых и многогранных взаимоотношений, в результате которых одни племена, более слабо организованные, исчезали или ассимилировались с другими, происходил процесс постепенного укрупнения этно-территориальных образований. Весь этот процесс протекал в определенной естественно-экологической среде. Это последнее обстоятельство в значительной степени обуславливало развитие указанного процесса, с определенного этапа которого то или иное племя или народность, находившиеся в лучших естественно-экологических условиях или лучше приспособленные к ним, получают преимущество. Впоследствии процесс этот протекает под знаком политической и культурной гегемонии этого племени или народности. В конце концов возникает общество с однородной культурой, расселенное на единой территории.

Таковыми этно-территориальными образованиями представляются локальные археологические культуры Кавказа в эпоху поздней брон-

---

\* Доклад прочитан 12. VI. 1979 г. в Милане на Первом международном симпозиуме, посвященном культуре Закавказья.

зы и раннего железа. Этническая идентификация, по крайней мере, некоторых из них, как будто стоит на твердой почве. Так, ретроспективный анализ археологических культур, распространенных на территории Западной и Восточной Грузии, показывает, что первая, называемая колхидской культурой, в основном принадлежит западно-грузинским племенам, а также абхазам, вторая же — восточно-грузинская — представляет собой материальную культуру восточно-грузинских племен. Однако на самой восточной периферии нынешней Грузии (Кахети) констатируется своеобразная археологическая культура, которая, по нашему мнению, принадлежала одному из племен древнеалбанской народности Кавказа.

Интересно отметить, что в смежных зонах распространения соседних культур, как правило, встречаются смешанные археологические комплексы, содержащие элементы обоих культурных ареалов, что несомненно указывает на уже известное нам интенсивное взаимодействие разных племен и народностей.

Во второй половине I тысячелетия до н. э. в результате указанного выше интенсивного этногенетического процесса, на базе этнокультурных образований позднебронзовой и раннежелезной эпох в Закавказье постепенно складываются четыре политических организации, четыре государства: Колхида в Западной Грузии, Иберия или Картли в Восточной Грузии, Албания на территории нынешней Азербайджанской ССР и Армения.

Ни одно из этих государств этнически не было однородным. С точки зрения этнографической и этнической пестроты особенно выделялись Колхида и Албания. Это обстоятельство в значительной степени определяло их относительную слабость по сравнению с Арменией и Иберией. Правда, племена горной части Картлийского царства (Иберии) еще в первых веках нашей эры отличались от населения низинных районов не только с точки зрения социального развития, но и этнически, однако уже Страбон отмечает, что они были сильно иберизованы. На это указывает то, что греческий географ другого имени, кроме «иберов», для населения горной Иберии не знает. Мощная экономика иберов или собственно картвелов, основанная на интенсивном земледелии и скотоводстве, обуславливала прочную зависимость горных племен, а это в свою очередь, как и взаимная инфильтрация населения горной и низинной зон, определяло и ускоряло процесс их этнической нивелировки.

В Армении протекал аналогичный этногенетический процесс, в результате которого к началу нового летоисчисления общегосударственным языком для разных племен и народностей Армянского царства был уже армянский.

Однако, кроме внутригосударственных этнических процессов, интенсифицируются подобные взаимоотношения в пограничных зонах закавказских государств. Эти явления были обусловлены как политическими, так и экономическими факторами. Наиболее активными в этой связи являются Армения и Картли (Иберия).

Так, например, еще в начале II века до н. э. Арташес I, царь Армении, сумел расширить свои владения за счет соседних народов. В частности, у иберов он отнял южные провинции: предгорье Париадра и Хорзену (бассейн верхнего течения р. Чорохи), а также Гогарену (ущелья рек Алгети, Кциа и Дебеда-чай).

Эти провинции на протяжении долгих веков являлись яблоком раздора между Картлийским и Армянским царствами. Армянское политическое влияние, видимо, сказывалось и на этнической судьбе этих провинций. Так, например, хотя сами древнеармянские историки (Фавстос Бузанд, Мовсес Хоренаци, Иоанн Драсханакертци) коренное население Гогарены — гугаров — считали не армянским, а грузинским, однако с ним, видимо, смешивалось и армянское население. Во всяком случае, в V—VI веках, когда эта древнегрузинская провинция являлась неотъемлемой частью Картли, христианское богослужение здесь проводилось на грузинском и армянском языках.

Политическое влияние Армении распространялось также на южные области Албании.

Несмотря на то, что в первые века своего существования картлийскому царству приходилось сдерживать натиск своего могучего южного соседа, само оно постепенно и неуклонно расширяло сферу своего влияния, как на восток в сторону Албании, так и на запад в пределы Колхиды, а позднее, возникшего на ее развалинах западно-грузинского Эгрисского царства. Эта политическая диффузия, обусловленная экономическими факторами, усугублялась постепенной инфильтрацией восточногрузинских племен, картов, что постепенно влекло за собой проникновение и на восток и на запад восточногрузинского языка, культуры и социальных отношений. Особенно усиливается этот процесс после принятия в Картли в начале IV века христианства в качестве государственной религии. Так как языком христианской церкви царства Картли был грузинский, то на той территории, где христианство распространялось по его инициативе, литературным и церковным языком был грузинский. Это вело также к распространению соответствующей культуры и, в конечном итоге, к постепенной ассимиляции аборигенов.

Грузинская христианская церковь стала мощным орудием в руках правителей Картли. После церковного раскола с Арменией в начале VII века, православная грузинская церковь с успехом соперничала с армяно-григорианской не только в смежных с Арменией областях, например, в Гогарене и Тао-Тайке (др. Хорзена), но и в Западной Албании. В Эгрисском царстве она также с успехом соперничала с греческой православной церковью, язык которой западно-грузинскому населению был совершенно чужд.

К этому времени Картлийское царство стояло уже на пути интенсивного развития феодальных отношений. Таким образом, вместе с проникновением восточногрузинского этнического элемента, несущего с собой свой язык, письменность и культурные традиции, в от-

меченные выше области распространялись также характерные для Картли социальные отношения. Уже в V веке, при царствовании в Картли Вахтанга Горгасали, Западная Грузия, так же как и западные провинции Албании, присоединяются к Картлийскому царству. Столицей этого обширного государства стал Тбилиси, роль которого в межнациональных отношениях Закавказья с этого времени быстро растет. Если в первых веках н. э. экономическим центром Закавказья можно считать столицу Армении Арташата, а с V века — Двин, то уже в начале VII века эту роль вместе с Двином берет на себя и Тбилиси, о чем свидетельствуют как исторические источники, так и данные палеозоологии.

В последующие века, несмотря на завоевания арабов, в особенности с IX—X веков, после перемещения международных торговых магистралей на север, роль Тбилиси еще больше возрастает. Однако теперь с ним соперничают новый армянский город Ани, взявший на себя взамен Двина роль политического центра южного Закавказья, а также Барда (Партав) — значительный экономический центр правобережной Албании.

К этому времени на базе расцвета феодальных отношений в Закавказье на месте древних государств возникли феодальные княжества и царства: княжество куропалатов в юго-западной Грузии, «абхазское» царство в западной Грузии, Кахетское княжество и Эретское царство в восточной Грузии. На территории Армении возникло Анийское царство. Кроме того, на территории древней Албании появились мусульманские княжества Ширвана и Арана.

Начались нескончаемые междоусобные войны за расширение сфер влияния и за гегемонию в Закавказье.

Активная роль в этой борьбе вновь принадлежала грузинским и армянским династиям. Конечной целью этой борьбы было объединение всего Закавказья. Действительно, в результате многовекового социального и экономического развития, Закавказье, да и весь Кавказ, стал как бы единым культурным миром. Это хорошо понимали политические и культурные деятели той эпохи. Свидетельством тому служит этнологическая концепция епископа Леонтия Мровели (Руисского), по мнению которого все коренное население Кавказа произошло от восьми братьев, сыновей Торгома, правнука Ноя. Все они получили определенные уделы Кавказа, и от них произошли все малые и большие народы этого края. Концепция просвещенного епископа являлась идеологическим обоснованием политического курса правителей Грузии, которые, после объединения к началу XI века почти всех грузинских земель, наметили реальную политическую программу объединения всего Кавказа.

Для характеристики тенденции общественного развития важно указать, что к этому времени термин «картвели», означавший раньше коренного жителя Картли, кроме узкоэтнического, приобретает также культурно-политическое значение: «картвелами» (грузинами) называются все те, кто, невзирая на этническое происхождение, ис-

поведывал грузинское (диофизитское) христианство и приобщался к социальным отношениям грузинского общества. Поэтому «картвелами» становились широкие слои феодального класса кавказских народов, которые вовлекались в общую политическую борьбу за объединение Кавказа.

Интересно отметить, что как грузинские, так и армянские политические деятели понимали, что при развитии тогдашних социальных и экономических отношений решающим звеном для осуществления этой большой политической программы было владение центральной областью Грузии, этнографической Картли с центром в Тбилиси, которым тогда владел арабский эмир. Поэтому, по меткому выражению современного источника, разгоралась борьба между грузинами и армянами «из-за Картли».

Обстоятельства не благоприятствовали армянам. В то время как Грузия объединилась, Анийское царство распалось на составные части, которые не смогли противостоять византийской экспансии и в XI веке исчезли одна за другой.

Грузия, напротив, устояла не только против византийцев, но и выдержала опустошительные нашествия турок-сельджуков, и под руководством известного политического деятеля Давида Строителя в начале XII века объединила весь Кавказ. С этого времени берет начало знаменитая формула, характеризующая крайние точки территории государства грузинских царей, владеющих «от Никопсии до Дербента». Центром этого большого феодального государства стал город Тбилиси.

К этому же времени, в результате развития отмеченных выше этнических и культурных взаимоотношений, завершилось в основном складывание этнической карты Кавказа. Дальнейший процесс эволюции шел под знаком последующего этнического и культурного сближения народов этого края. Однако процесс этот в начале XII века был прерван нашествием монголов. Былое единство распалось. Начался экономический регресс и социальная стагнация. Собственно Грузия в XV веке раздробилась на мелкие этно-политические образования, которые не успели раствориться в едином котле грузинской национальности. В таком положении застала ее Россия, вышедшая в XVIII веке к рубежам Кавказа. Именно под ее эгидой в первой половине XIX века завершилось вторичное объединение Кавказа.

Представил отдел исторической географии Института истории, археологии и этнографии им. И. А. Джавахишвили АН Грузинской ССР

## სვანეთი ძველად და ახლად

(„სვანეთი“-ს I და II ნაკვეთის გამოქვეყნების გამო)

საქართველოს მთიანეთის სოციალურ-ეკონომიკური და კულტურული პროგრესის საკითხი ჩვენი რესპუბლიკის ხელმძღვანელი ორგანოების ყოველდღიური ზრუნვის საგანია. ამ მზრუნველობის ერთ-ერთი გამოვლინებაა სვანეთის კომპლექსური შესწავლის კომისიის მუშაობა, რომელიც ჩამოყალიბდა 1971 წელს საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმთან აკადემიის განსვენებული პრეზიდენტის აკად. ილია ევუქას ინიციატივით და რომლის თავმჯდომარეობით ფართო მასშტაბის მუშაობა გაიშალა საქართველოს კპ ცკ დადგენილებიდან გამომდინარე ღონისძიებათა განხორციელების მიზნით.

კომისიის მოღვაწეობა იმთავითვე ორი ძირითადი ხაზით წარმართა: 1. ახალი ადგილობრივი ბუნებრივი რესურსების გამოვლენა სვანეთის ეკონომიკის შემდგომი აღშავლობის უზრუნველსაყოფად და 2. ახალი წყაროების მოპოვება საქართველოს ამ მკვიდრი ისტორიული რეგიონის წარსულის შესწავლის გაღრმავების მიზნით.

ამ ხნის მანძილზე კომისიის მიერ, რომელსაც ახლა აკად. შ. ძიძგური ხელმძღვანელობს, ჩატარდა მნიშვნელოვანი სამუშაოები. საკუთარე, სვანეთის კომპლექსური შესწავლის კომისიის ექსპედიციამ (ხელმძღვანელი ისტ. მეცნ. კანდ. მ. ჩართოლანი) დღიდან თავისი დაარსებისა (1972 წ.) გამოვლინა, მეცნიერულად აღწერა და სამუშეოდო საცდებში შეიტანა უმთავრესად სრულიად ახალი მასალა, რომელიც მოიცავს რიგ უნიკალურსა და განსაკუთრებული მეცნიერული ღირებულების ძეგლს. ექსპედიციის მიერ პასპორტიზებულია ორასამდე საცხოვრებელი კომპლექსი, აღწერილია, აღრიცხული, დასუფთავებული, დანომრილი და კლასიფიცირებული 4572 დასახელების 8750 ნივთი, რომელთა შორის ექვსასზე მეტი მხოლოდ ხატ-ჭავრია. მოპოვებული მასალის ცალკეული ნიმუშები დაამუშვენებდა მსოფლიოს ნებისმიერი მუზეუმის კოლექციებს. განსაკუთრებით აღსანიშნავია სხვადასხვა სახის წარ-

წერები, რომლებიც შეიცავენ სრულიად ახალ ინფორმაციას სვანეთის ისტორიის მნიშვნელოვანი მხარეების შესახებ.

ცნობილია, თუ რა დიდ სიძნელეს განიცდის სვანეთის მკვლევარი საერთოდ წყაროების სიმცირის, ხოლო ზოგი პერიოდისათვის თითქმის სრულიად უქონლობის გამო. ეს ითქმის განსაკუთრებით VIII—XI სს. შესახებ. ასეთ ეთარებაში სვანეთის კომპლექსური შესწავლის კომისიის ექსპედიციის მიერ მოპოვებულ ზემოთ აღნიშნულ მასალებს პირველხარისხიანი მეცნიერული წყაროს მნიშვნელობა აქვთ — ისინი ახალ შუქს ჰფენენ სვანთა სოციალური ორგანიზაციის, მატერიალური კულტურის და სულიერი ცხოვრების ისტორიას. ამის საბუთია „სვანეთი“-ს I (1977 წ.) და II (1979 წ.) ნაკვეთები, რომლებიც წარმოადგენენ ძირითადად ზემოხსენებული ექსპედიციის მიერ მოპოვებულ მასალაზე დაწერილი წერილების კრებულს.

„სვანეთი“-ს I ნაკვეთი იწყება მისი რედაქტორის მ. ჩართოლანის წერილით „სვანეთის მატერიალური და სულიერი კულტურის ძეგლების შესწავლისათვის“, რომელშიც შეჯამებულია ექსპედიციის მიერ ოთხი წლის მანძილზე შესრულებული სამუშაოები, მოცემულია მოპოვებული მასალის ზოგადი მიმოხილვა და მათი მეცნიერული მნიშვნელობის შეფასება. ავტორი არ ჯერდება საანგარიშო მოხსენებების ფარგლებით და აქა-იქ პრინციპულ საკითხსაც სემს. ასე მაგ., იგი შედარებით ვრცლად ეხება სვანეთის საცხოვრებელ ნაგებობებს და მცდელობს ამ რიგის მონაცემების მიხედვით დაახასიათოს სვანთა სოციალური ორგანიზაციის თავისებურებანი მათი მშენებლობის დროისათვის. ამასთან კავშირში მ. ჩართოლანს მოჰყავს საინტერესო სტატისტიკა იმის შესახებ თუ რამდენი კოშკიანი სახლი ეკუთვნოდა თავისუფალ მეთემეს, რამდენი სოციალურად დაწინაურებულ ვარგს, ითვალისწინებს მათი გავრცელების არეალს და ნ. ბერძენიშვილის სათანადო დებულებების

მოშედეგებით ასკენის, რომ ბალსზემო სვანეთში ფეოდალურმა ფეხი ვერ მოიყიდა. თვით ტერმინ ვარგის იმ თავისებური მნიშვნელობის გათვალისწინების გარეშე, რომელიც ამ ტერმინს სვანეთში ჰქონდა, ავტორისეული ეს მსჯელობა რამდენადმე წინააღმდეგობრივია. ტერმინ ვარგის შესახებ არსებული ლიტერატურის გათვალისწინება მეტ სიცხადეს შეიტანდა ავტორის შეხედულებებში ამ საკითხზე.

განსაკუთრებული მნიშვნელობის მქონეა „სვანეთი“-ს ამავე ნაკვეთში მოთავსებული მ. ჩართოლანის მეორე წერილი — „ჩხუდანი — სვანური სახლის კერა“, რომელიც დაწერილია სვანეთში მის მიერვე მიკვლეული უნიკალური ძეგლის ისტორიულ-შედარებითი შესწავლის შედეგად.

სვანეთის მატერიალური კულტურის ჩვენამდე მოღწეული ძეგლები შედარებით კარგად არის შესწავლილი, რაც თვალნათლივ ჩანს მ. ჩართოლანის ზემოთ დასახელებული პირველი წერილიდანაც. მაგრამ დღეს საქართველოს მთიანეთში საოჯახო სალოცავის მიგება ქვის კერპის სახით შეფასებული უნდა იყოს როგორც მნიშვნელოვანი მეცნიერული აღმოჩენა. ამ რიგის კერპის არსებობას ავტორი სავსებით სამართლიანად უკავშირებს, ერთი მხრით, დიდ ოჯახს და მისთვის დამახასიათებელი ოჯახის მფარველის კულტს — მეზიარს. ამ კულტის გენეზისი, ავტორისეული დასაბუთებით, უკავშირდება ქართველი ხალხის წინაქრისტიანულ რწმენა-წარმოდგენათა სისტემას; იგი განვითარების შემდეგ საფეხურზე შეერწყა ქრისტიანობას და „სახლის ანგელოზი“-ს სახე მიიღო.

ეს სრულიად ახალი მასალა საშუალებას იძლევა დავადგინოთ ქართველი ხალხის უძველეს რწმენა-წარმოდგენათა სისტემის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი, ჩვენამდე უცვლელად მოღწეული ელემენტი, მასთან დაკავშირებულ წარმოდგენათა განვითარების ძირითადი საფეხურები და ის ადგილი, რომელიც მას ეჭირა სვანთა ეთნოგრაფიულ ყოფაში ისტორიული პერსპექტივის თვალსაზრისით სულ ახლო წარსულამდე.

ასევე უძველეს რწმენა-წარმოდგენათა ამსახველი მასალის შესწავლისადმი მიძღვნილი ლ. ბედუიძის წერილი „სვანურ ავეჯზე მოცემული ზოგიერთი სიმბოლური გამოსახულების შინაარსის ანსისათვის“, რომელშიც ავტორი ეთნოგრაფიულ ყოფაში შემონახულ ნივთებზე მოცემულ გამოსახულებებს იხილავს არქეოლოგიური და ფოლკლორული მონაცემების შუქზე, რაც საშუალებას აძლევს მას თვალი გაადევნოს სხვადასხვა კულტის, პირველყო-

ლისა ხარის კულტის განვითარების პროცესებს საქართველოში და დაადგინოს რიგი პარალელური სხვა ხალხების ყოფიდან.

რელიგიურ რწმენა-წარმოდგენათა ისტორიის პრობლემას ეძღვნება მ. მაკალათიას წერილი „წარმართულა ხასიათის ზოგიერთი საკულტო ძეგლი სვანეთში“, რომელშიც განხილულია ძირითადად სხვადასხვა ცხოველთა გამოსახულებანი საკულტო ნივთებზე და ხატზე შეწირული რქები. ავტორის მიერ მიკვლეულ მასალას ახალი შუქი შეაქვს ქართველი ხალხის წინაქრისტიანული ეპოქის რწმენა-წარმოდგენათა საკითხში და, რამდენადაც საქმე ეხება მატერიალური კულტურის ძეგლებს, ხელს უწყობს ცალკეული კულტების შესწავლას მათი განვითარების პროცესში.

უაღრესად საყურადღებოა ექსპედიციის მიერ მიკვლეული არქეოლოგიური მასალა, რომელიც განეკუთვნება ბრინჯაოს, ანტიკური ხანისა და შუა საუკუნეების სხვადასხვა ეპოქას. მასში განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს მხატვრული ხელოვნობის ნაწარმი, საკუთარივე ბრინჯაოსაგან ნაკეთები ცხვრის, ძაღლის, ცხენის, სხვადასხვა ფრინველის გამოსახულებანი. დასახელებულ მასალას მიეძღვნა არქეოლოგ შ. ჩართოლანის წერილი „სვანთა უძველესი რელიგიური რწმენა-წარმოდგენები არქეოლოგიური მასალის შუქზე“. ამ არქეოლოგიური მონაცემების მეცნიერულ შესწავლას ხელს უწყობს სვანეთში ჯერ კიდევ კარგად შემონახული ეთნოგრაფიული მასალა. ავტორის დებულების მნიშვნელობა სვანეთში ძველად ტოტემისტურ შეხედულებათა სისტემისა და სათანადო რიტუალის არსებობის შესახებ განპირობებულია პირველყოვლისა იმით, რომ ახლა უკვე კარგად დათარიღებული მატერიალური კულტურის ძეგლების მეშვეობით დასტურდება აქამდე მხოლოდ ეთნოგრაფიის მონაცემების მიხედვით აღწერილი ფაქტები. ამასთან ერთად დგინდება ტოტემისტური კონცეფციის ადრინდელი ფორმები, რასაც გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს ტოტემიზმის მეცნიერული შესწავლისათვის მისი განვითარების პროცესში.

ზემოხსენებულ წერილებს, გარდა იმისა, რომ ისინი შუქს ჰფენენ ქართველი ხალხის სულიერი კულტურის განვითარების უძველეს საფეხურებს და მათს ადგილს ქართველი ხალხის ეთნოგრაფიულ ყოფაში, თეორიული და მეთოდოლოგიური მნიშვნელობაც გააჩნიათ — ეს არის ერთ-ერთი უტყუარი წყარო გადმონათვის ბუნების სწორად გაგებისათვის და ამავე დროს დამაჯერებელი არგუმენტი იმ სკეპტიციზმის წინააღმდეგ, რომელსაც იჩენს ზოგი მკვლევარი (მათ შორის ეთნოგრაფი?!).

გადმონაშთების მდგრადობისა და ამდენად, ისტორიულ კვლევაში მათი დიდი წყარო-მეცოდნეობითი მნიშვნელობის მიმართ.

შ. შუკეანის წერილი „მიწათმოქმედების კულტურა სვანეთში“ ეთნოგრაფიის პეტუალურ თემას ეხება — მასში დასმულია მეურნეობის ამ დარგის გენეზისისა და სვანთა სამეურნეო ყოფაში მისი ადგილის საკითხი. ავტორი უმთავრესად ლიტერატურული წყაროების მიხედვით ადგენს სვანეთში მიწათმოქმედების ძირითად დამახასიათებელ ნიშნებს და არა პერსპექტიულად მიიჩნევს დებულებას ბრინჯაოს ხანაში მიწათმოქმედებასთან შედარებით მესაქონლეობის უპირატესობისა და უკანასკნელის წამყვანი მნიშვნელობის შესახებ. სამიწათმოქმედო ტრადიციებისა და სათანადო ემპირიული ცოდნის მაღალი დონის გათვალისწინებით ავტორი მხარს უჭერს მოსაზრებას იმის შესახებ, რომ სვანეთი საქართველოსა და კავკასიის სინამდვილეში წარმოადგენდა მიწათმოქმედებისა და მარცვლოვანი კულტურების წარმოშობა-განვითარების ერთ-ერთ კერას.

მიწათმოქმედება სვანეთში, ისევე როგორც საქართველოს მთიანეთის სხვა რეგიონებში, მართლაც ტრადიციულია. რაზედაც არქეოლოგიური მასალა მიუთითებს. უფრო მეტის იქნება შეიძლება: იმის გამო, რომ საქართველოს მთიანეთში და მათ შორის სვანეთში არც საკმაო რაოდენობის სახნავი ფართი იყო და არც მეურნეობის ამ დარგის ფართოდ განვითარებისათვის საკმარისი კლიმატური პირობები, მიწათმოქმედებამ აქ საკმაოდ ინტენსიური ხასიათი მიიღო (ხელოვნური ტერასირება. მორწყვა, თესლბრუნვა...). მაგრამ, როგორც არაერთხელ აღინიშნა ეთნოგრაფიულ ლიტერატურაში, მიწათმოქმედების ტრადიციულობა და ინტენსიურობა მის წამყვანობის საბუთად ვერ გამოდგება. რომ ეს ასეა, კარვად ჩანს „სვანეთი“-ს II ნაკვეთში მოთავსებული სპეციალური წერილებიდან, რაზედაც უფრო დამაჯერებელი ქვევით გვექნება საუბარი.

ვ. სილოგავას მიერ მიქცეული და გამოქვეყნებული პალეოგრაფიული მასალა — „ქტიტორთა ფრესკული წარწერები ზემო სვანეთში“ უთუოდ ახალსა და საყურადღებო ცნობას შეიცავს XI-XVI სს. სვანეთის შესახებ. წარწერებში მოხსენიებულია მრავალი ისტორიული პირი, მათ შორის ცნობილი მხატვარი თეოდორე. განსაკუთრებული ინტერესის აღმძვრელია ის წარწერები, რომლებიც ისეთ სოციალურ ტერმინებს შეიცავენ, როგორიცაა მაგ. აზნაური. ავტორი არ იზიარებს ზოგი წარწერის ძველებურ წაკითხვას და საამისო საბუთად მოჰყავს. ამ ოცნის ტერმინებს ჩვენ

პ. ინგოროყვას პუბლიკაციითაც ვიცნობთ, მაგრამ ვ. სილოგავას მიერ გამოქვეყნებული ეს მასალა ზოგჯერ უფრო აღრინდელ წარწერას წოდებდა და ამით არის იგი ძვირფასი. მხედველობაში გვაქვს პირველყოვლისა კალაში იფარის მთავარანგელოზის ეკლესიის 1096 წლით დათარიღებული წარწერა, რომელშიც ნათქვამია, რომ ეს ეკლესია შეამკო და მოხატა „ამისა კევისა ყო(ე)- ლთა: დ(ი)ლთა და მ(ი)რ(ე)-თა, შ(ი)ლთა და მომე(ა)ლთა მათთა“. აშკარაა, რომ „დიდი“ და „მცირე“ სოციალური მდგომარეობის მნიშვნელობით არის ნახმარი, ისევე როგორც პ. ინგოროყვას მიერ გადმოცემულ წარწერებში.

თუ გავიხსენებთ, რომ პ. ინგოროყვას მიერ გამოცემული წარწერები ძირითადად XIV-XV ს-ით არის დათარიღებული და, შეიძლება, როგორც ამას ნ. ბერძენიშვილი ფიქრობდა, რომდენადმე გვიანდელი დროისაც იყოს, ვ. სილოგავას მიერ გამოცემული ამ წარწერების მნიშვნელობა უფრო გასაგები გახდება. ამასთან ერთად ეთნოგრაფიულ ლიტერატურაში გამოთქმულ დებულებას, რომ სვანეთში „...სოციალური დიფერენციაციის პროცესი ზემო მოყვანილი საბუთების შედგენის პერიოდისათვის დიდი ხნის დაწყებული იყო“ (რ. ხარაძე, 1964), ახალი არგუმენტი დაემატება.

ასევე საყურადღებო მასალებისა და წერილების შემცველია „სვანეთი“-ს II ნაკვეთი, რომელიც ვარკვეულ ნაწილში აგრძელებს წინა ნაკვეთის თემატიკას, მაგრამ ძირითადად სვანეთის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების საკითხებისადმი მიძღვნილ საინტერესო წერილებს შეიცავს. ამ რიგის ნარკვევებს ეკუთვნის ბ. ბლაგაჟის, მ. იოსელიანისა და დ. ციციშვილის წერილი „სვანეთის ტერიტორიაზე ჩატარებული და მომავალი გეოფიზიკური კვლევების შესახებ“, რომელშიც მოყვანილი დაკვირვების შედეგებს დიდი მნიშვნელობა აქვთ პადროლექტროსადგურების მშენებლობისათვის, სასარგებლო მადნების გამოვლინებისათვის და საერთოდ სვანეთის მეურნეობრივი კულტურის შემდგომი განვითარებისათვის.

ბ. გოიშვილას წერილი „ცანის მადნიანი ველის გეოლოგიის საკითხებისათვის“ მიეძღვნა სვანეთში წლების მანძილზე წარმოებულ გეოლოგიური ძიების შედეგებს, დადგენილია საკუთრივ ცანის მადნიანი ველის ფარგლებში მრავალრიცხოვანი მინერალოგიური შემადგენლობითა და წარმოშობის დროით სხვადასხვა მადნიანი ერთეულები, კერძოდ, კვარცისა და არსენობირიტის ძარღვები, მათი განვითარების ძირითადი მიმართულებანი და ცურუნგა-

ლისა და ჰოროზის ველის გამადნების პროცესების თავისებურება. ეს მასალაც სვანეთის ეკონომიკის შემდგომი პროგრესის ინტერესებს ემსახურება.

მრავალმხრივ ინტერესს იწვევს გ. გველსიანისა და ე. კობახიძის წერილი „ზემო სვანეთის ბუნებრივი პირობებისა და რესურსების სამეურნეო შეფასება“, რომელსაც მნიშვნელობა აქვს არა მარტო სვანეთის ეკონომიკური მომავლისათვის, არამედ მისი სამეურნეო ყოფის ისტორიის შესწავლისთვისაც, თუმცა ამ უკანასკნელი პრობლემის მიმართ ავტორები არაერთაზრად პრეტენზიას არ აცხადებენ. წერილში მოცემულია ზემო სვანეთის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების ბუნებრივი პირობების დახასიათება, საიდანაც ირკვევა, რომ საქართველოს ამ კუთხის ეკონომიკური ჩამორჩენილობის ერთ-ერთ ძირითად პირობას წარმოადგენს ბუნებრივი გარემოს არახელსაყრელი ფაქტორები, რასაც არ შეეძლო უარყოფითი გავლენა არ მოეხდინა სვანეთის სოციალურ-ეკონომიკური სისტემის სტრუქტურაზე. ამ ფაქტორთა შორის აღსანიშნავია სამიწათმოქმედო ფართობის სიმცირე, კლიმატურ-ნიადავობრივი თავისებურებებით გამოწვეული მარცვლეულ კულტურათა დაბალი მოსავლიანობა და სხვ.

ისტორიულ-ეთნოგრაფიული კვლევისათვის საყურადღებოა ამ მონაცემებთან ერთად, ზემო სვანეთის ეეოგრაფიული ლანდშაფტის ის თავისებურება, რომელიც გულისხმობს ხეობათა განლაგებას უმთავრესად განედური მიმართულებით, რასაც დიდი მნიშვნელობა აქვს მეურნეობის ისეთი ძირითადი დარგების განვითარებისათვის, როგორიცაა მიწათმოქმედება და ნაწილობრივ მესაქონლეობაც. ზემო სვანეთის ბუნებრივ პირობათა ერთ-ერთ დამახასიათებელ ნიშან-თვისებას წარმოადგენს, აგრეთვე, რელიეფი და სიმაღლე. ყოველივე ამან განაპირობა ზემო სვანეთის მოსახლეობის სამეურნეო ყოფაში მესაქონლეობის დაწინაურება და მისი წამყვანი ადგილი შედარებით მიწათმოქმედებასთან, რომელიც აქაც, ისევე როგორც საქართველოს მთამალაშში, საერთოდ ძველთაგანვე ტრადიციული და მაღალგანვითარებული იყო. ზემო სვანეთის გეო-მორფოლოგიური ეს თავისებურებანი კიდევ ერთხელ მიუთითებენ იმაზე, თუ რაოდენ ისტორიულად მდარია და სამეურნეო განვითარების პროგნოზირების თვალსაზრისით მიუღებელი მიწათმოქმედების მიჩნევა საქართველოს ამ კუთხის მეურნეობის წამყვან დარგად.

სვანეთის ტერიტორიის ზონებად დაყოფას ბუნებრივი პირობებისა და ნიადაგურ-კლიმა-

ტური რესურსების მიხედვით მნიშვნელობა აქვს აგრეთვე სვანეთში იმ სამი ისტორიულად ჩამოყალიბებული რეგიონის ბუნების გასაგებად, რაზედაც თავის დროზე ჯერ კიდევ ექთაყაიშვილი მიუთითებდა.

ა. თამლიანის წერილში „სვანეთის სოფლის მეურნეობა და მისი განვითარების ძირითადი მიმართულებანი“ დაწერილებით არის დახასიათებული სვანთა სამეურნეო ცხოვრების სურათი და მისი შემდგომი განვითარების პერსპექტივები. უთუოდ ანგარიშსასაწყევია ავტორის მიერ მოყვანილი ცნობა იმის შესახებ, რომ 1975 წლის 1 იანვრისათვის სვანეთში მიწის საეარგული ფართობის 82,0% საძოვარს ეკიარა, 14,8% სათიბს და მხოლოდ 2,7% სახნავს. ავტორის სამართლიანი დასკვნა იმის შესახებ, რომ სვანეთში მიწათმოქმედების განვითარება არ შეიძლება რენტაბელური იყოს, შეუქა ჰყენს აგრეთვე სვანთა მეურნეობრივი ცხოვრების ისტორიულ ვითარებას, რასაც თავისი გავლენა უნდა მოეხდინა სოციალური ორგანიზაციის განვითარების თავისებურებაზე. ამ მხრივ საყვებით გამართლებულია ავტორის შემდეგი დებულება: „მართალია, სვანეთის რაიონებში უძველესი დროიდან მისდევდნენ მარცვლეულის მოყვანას..., მაგრამ ის მაინც ვერ აკმაყოფილებდა მასზე მოთხოვნილებას, ამჟამად კი მისი წარმოება სვანეთის რაიონებისათვის მიზანშეწონილი და არარენტაბელურია“.

საყურადღებოა ავტორის წინადადება იმ მეცხოველეობის შემდგომი განვითარების შესახებ, რომელთა შორის მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს ნახირის სტრუქტურის სრულყოფის აუცილებლობას, რამდენადაც მეცხოველეობის განვითარების ყველა შესაძლებლობა, რომელიც სვანეთს გააჩნია, ჯერ კიდევ არ არის სრულად გამოყენებული.

შ. ახვლედიანის წერილიც „ხეხილოვან კულტურათა გაადგილება და მისი ინტენსიფიკაციის გზები სვანეთში“ ეხება სვანეთის მეურნეობრივი განვითარების პროცესში მეხილეობის ადგილის საკითხს. სამისო ბუნებრივი პირობების ანალიზის შედეგად ავტორი დასაბუთებულად გამოყოფს რამდენიმე ზონას და შესაბამისად ზონალობისა ხეხილის სხვადასხვა ჯიშის გაადგილების პერსპექტივებს სახავს, რაც კიდევ ერთხელ მიუთითებს სვანეთის შიგნით სხვადასხვა ბუნებრივ-მეურნეობრივი ზონის არსებობას. როგორც ეტყობა ეს გარემოება გარკვეული ფაქტორის როლს ასრულებდა ერთობლივი სვანეთის შიგნით ცალკეული რეგიონების ჩამოყალიბების პროცესში, რომლებიც განსხვავდებოდნენ ერთმანეთისაგან განვითარების ხასიათით.

გ. ზამთარაძის წერილი „ზემო სვანეთის მარშუტიანი მდგომარეობები და მათი გაუმჯობესების ზოგიერთი ღონისძიება“ შეეხება მცენარეული საფარის საკითხს, დაკავშირებულია სვანეთში მეცხოველეობის განვითარების პერსპექტივების საკითხთან, ითვალისწინებს სვანეთის ბუნებრივ-კლიმატურ პირობებს და ასევე შეიცავს პრაქტიკულ რეკომენდაციებს სვანეთში მეცხოველეობის ბაზის შემდგომი განმტკიცებისათვის.

მ. გეგეშიძის წერილში „მთის რეგიონების სოციალურ-ეკონომიკური განვითარების პერსპექტიული დაგეგმვის მეთოდის საკითხები“ პრობლემის შესახებ ზოგადი მსჯელობაა გაშლილი. ავტორის დავიკრებით, „სვანეთის კომპლექსური შესწავლა ეკონომიკური და სოციალურ-კულტურული საკითხების ფართო წრეს მოიცავს“. ამ თეზისის დასაბუთების შემდეგ იგი ეხება სვანეთის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების შიდა რეგიონალური პროგრამების საკითხს და სამართლიანად აღნიშნავს „მთის პირობებში მეურნეობის მასშტაბებისა და, საერთოდ, სააწარმოო ძალთა განვითარების შეზღუდულობას, რასაც თავის დროზე სვანეთის მრავალი მკვლევარი მიუთითებდა“. ამასთან ავტორის აზრით, ამ გარემოებას არ გამოუწვევია „ქართული მთური მეურნეობის ხარისხობრივი ჩამორჩენა“. მ. გეგეშიძის მსჯელობაზე, ამ საკითხის შესახებ აქ აღარ შეეჩერდებით — ეს საკითხი საქმოდ დაწვრილებით და კონკრეტული მასალის ანალიზის საფუძველზე განხილულია უფრო კომპლექტურ წერილებში, რომელთა ნაწილი „სვანეთის“ პირველ ნაკვეთშია მოთავსებული, ხოლო ნაწილი — მეორეში. აღნიშნავთ მხოლოდ, რომ ავტორი ეხება სვანეთის წარსულის ეთნოგრაფიული შესწავლის საკითხებსაც და შენიშნავს თითქმის საქართველოში ეთნოგრაფიული მეცნიერება მხოლოდ „გვაროვნული წყობილების ძიების სურვილით იფარგლება“. იგი არ ითვალისწინებს იმ კარგად ცნობილ ფაქტს, რომ ფიქშიელთა თითქმის საქართველოს მთიანეთში XIX ს-ში ჯერ კიდევ მიმდინარეობდა გვაროვნული წყობილების დამშლის პროცესი, ეთნოგრაფიულ ლიტერატურაში კარგა ხანია უარყოფილია. ამას ადასტურებს „სვანეთის“ ამავე ნაკვეთში მოთავსებული ედ. ხოშტარიას წერილი, რომლის სიტყვით „ქართველ ეთნოგრაფთა... მიერ ჩატარებული სავანგებო კვლევის შედეგად სამეცნიერო ბრუნვაში შეტანილი და განზოგადებული იქნა სვანეთის ეთნოგრაფიული ყოფის უძვირფასესი მასალა, და ამასთან ბოლო მოეღო მცდარ შეხედულებას სვანეთში გვაროვნული წყობილების განადგურებული არსებობის შესახებ“...

დ. ონიანის წერილში „სვანეთის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების პერსპექტივებისათვის“ სამართლიანად არის აღნიშნული, რომ შრომითი რესურსების გამოყენება სვანეთში უნდა წარიმართოს ამ კუთხის მეურნეობრივი პროფილის შესაბამისად. იგი ამოდის იმ კარგად ცნობილი დებულებიდან, რომ სვანეთი მუდამ წარმოადგენდა საქართველოს ორგანულ შემადგენელ ნაწილს და დასძენს: „მიუხედავად ამისა, მთის პირობები (მთის სული), მაინც ანელებდა აქ ცივილიზაციის ყველა სიკეთის ავკარგიანობით შეღწევის პროცესს. ძველი ყოფის გადმონათქვამის ერთგვარი არსებობა მთის ეკონომიკას ღიძნავს უნარჩუნებად არაქალ ხასიათს“. ეს თავისებურება, რაც ავტორის გამოთქმით განპირობებული იყო „მთის სულით“, გამოიხატება „კუთხის სოციალურ-ეკონომიკური ურთიერთობის სპეციფიკურ ხასიათში“. ჩანს, რომ ამ სპეციფიკურობას მეურნეობის განვითარების შესაძლებლობები განსაზღვრავენ. მაგრამ ამასთან ისიც არის აღსანიშნავი, რომ საწარმოო ძალთა შეზღუდულობას, რაზედაც „სვანეთი“-ს ორივე ნაკვეთის რიგ წერილშია საუბარი, არ შეეძლო გზა გადაეღოთ ცივილიზაციისათვის. ცნობილია, რომ სვანეთი არა მარტო სახიზარი იყო, რომელმაც გადაარჩინა ქართული ხელოვნების შედევრები ვატაცება-განადგურებას, არამედ გამოირჩეოდა ქართული ხელოვნების მაღალმხატვრული ნიმუშების ადგილობრივი წარმოებითაც.

ავტორი უფრო დამაჯერებლად ასაბუთებს დებულებას, რომ „სვანეთის ეკონომიკაში მეცხოველეობას დიდი ზეგავლენით წონა აქვს“, რომ „აქ განვითარების შედარებით მცირე პერსპექტივები მიწათმოქმედებას გააჩნია“, რომ „მთის ბუნებრივი პირობები არ იძლევა აქ წარმოების ფართო მასშტაბებით გაშლის შესაძლებლობას, რამაც განაპირობა სვანეთის ეკონომიკური განვითარების დონის მკვეთრი ჩამორჩენა საქართველოს ბარის რაიონებთან შედარებით“. ყველა ამ პირობას, ბუნებრივია, გარკვეული დალი უნდა დაესვა სვანთა სოციალურ ორგანიზაციაზედაც.

ამ რიგის მონაცემების ანალიზის შედეგად ავტორი ასაბუთებს პრაქტიკულ რეკომენდაციებს, რამაც უნდა უზრუნველყოს სვანეთის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების ახალი აღმავლობა.

ჩამოყალიბებული კონცეფციით, მდიდარი მასალითა და განზოგადებთა მნიშვნელობით გამოირჩევა კ. კაკაბის წერილი „მოსახლეობის თანამედროვე მიგრაცია სვანეთში, რომელიც შეეხება დღეს მსოფლიოს ყველა მთიანი რაიონისათვის დამახასიათებელ მოვლენებს. ავტო-

რი გამოდის რა სვანეთის მევეთრად გამოვლენილი ზონლობიდან, რაც, ჩანს საქართველოს ამ კუთხის შიგნით ცალკეული რეგიონების გამოყოფას უწყობდა ხელს, განასხვავებს სვანეთის სხვადასხვა რეგიონიდან მომდინარე მიგრაციას მისი ბუნების მიხედვით და ხაზს უსვამს სეზონური და სტიქიური მიგრაციის თავისებურებას. წერილში გარკვეულია მიგრაციის მიზეზები და მიმართულება, ქალაქების მიმზიდველი როლი ამ პროცესებში. მართალია, ჩვენში დღეს ჯერ კიდევ არ არის ბოლომდე დამუშავებული მოსახლეობის მიგრაციის თეორიისა და პრაქტიკის ყველა პრობლემა, ავტორმა შეძლო კონკრეტული მასალის გაანალიზების შედეგად დაესახა რიგი მეცნიერულად დასაბუთებული რეკომენდაცია: რაც უთუოდ ხელს შეუწყობს მიგრაციის პროცესებში ადამიანის ჩარევას და მათთვის სასურველი მიმართულებას მიცემას.

ასევე მაღალ დონეზე არის დაწერილი ტ. კინკაძის წერილი „სვანეთის ახალგაზრდობის პროფესიული ადაპტაციის სოციალური ასპექტები“, რომელშიც ავტორი პროფესიული ორიენტაციისა და დროის ბიუჯეტის გამოყენების შესახებ მის მიერ შეკრებილი მონაცემების ანალიზის შედეგად ასაბუთებს რიგ რეკომენდაციას. ამას გარკვეული მნიშვნელობა აქვს ახალგაზრდობის პროფესიული ორიენტაციის ოპტიმიზაციისათვის.

ედ. ხოშტარას წერილი „სვანეთის ადგილას ქართულ ფეოდალურ სოციალურ-პოლიტიკურ სისტემაში მთისა და ბარის ურთიერთობის შექმნა“, შეეხება საქართველოს ისტორიის ერთ-ერთ ღერძულ საკითხს. ავტორის მიზანს შეადგენს სვანეთის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების გზების შესახებ არსებული ეთნოგრაფიული ლიტერატურის კრიტიკული მიმოხილვა და ამ საკითხზე თავისი მოსაზრებები დასაბუთება. ავტორი მიიჩნევს, რომ სვანეთის განვითარების ადრეულ საფეხებზე თეოკრატიული ხასიათის სატაძრო თემი საეკლესიო შეესატყვისებოდა მთის ადრეკლასობრივი საზოგადოების ბუნებას, მაგრამ საკამათოდ მიაჩნია ამ თემის ტიპოლოგიური მიმსგავსება ძველი აღმოსავლეთის სამყაროსთან. იგი არ იზიარებს დებულებას, რომ ამ ტიპის თემი მთამაღალში ფეოდალური ბარის გავლენის შედეგი იყო. განსაკუთრებული ყურადღებით ედ. ხოშტარია იხილავს განვითარებული ფეოდალური საქართველოს დროის სვანეთის ურთიერთობას ბართან, სვანეთის სოციალ-ეკონომიკური განვითარების თავისებურებას და სვანთა საერისთავოს საკითხს. ავტორი, მიიჩნევს, რომ სვანეთში აზნაური და ვარკი იმავე სოციალური ტეალობის წოდებრივი

ტერმინებია რაც ბარში, ამავე დროს შესაძლებლად თვლის XI-XII ს-ის სვანეთის საზოგადოება დაახასიათოს, როგორც „ადრეფეოდალურ საფეხურზე მკვიდრად შემდგარი ორგანული ნაწილი ქართული ფეოდალური სოციალურ-პოლიტიკური სისტემისა“; რომლის აღგავლობას „არ შეიძლება არ დაეჩქარებინა გვაროვნული წყობისდროინდელი ინსტიტუტების საფუძვლიანი რღვევა და ფეოდალური წესების შემოღება“. ეს უკანასკნელი დებულება ძირითად ნაწილში არსებითად არ განსხვავდება ეთნოგრაფიული მასალის შექმნა XIV-XV ს-ის სვანეთის შესახებ არსებული ლოკუმენტების შედეგად მიღებული დასკვნისაგან, რომლის შესახებ ზევით იყო საუბარი.

სწორადაა შენიშნული საქართველოს ბარის განვითარებული ფეოდალიზმის გავლენა მთაზე, აქ ფეოდალიზაციის პროცესების დაჩქარებაზე, მაგრამ რამდენად შეძლება ფეოდალურ ურთიერთობათა ეს იმპორტი იმ სხვაობის ლოკალიზაციას, რომელიც მთასა და ბარს შორის არსებობდა მათი ისტორიული ორგანული ერთიანობის პირობებშიც კი?

სვანეთში დამოწმებული სოციალური ტერმინების თვალსაზრისით საყურადღებოა ს. მარჯანის წერილი „სვანეთის მატანიის“ ჩვენამდე მოღწეული ნუსხების ურთიერთდამოკიდებულების საკითხისათვის“, რომელთა შორის ყურადღებას იპყრობს „მატიანეს“ 2401 ნუსხა მასში ნახმარი ტერმინებით „ბატონი“ და „დიდებული აზნაური“; ამ ტერმინების რეალური შინაარსის დადგენა ახალ შუქს შეიტანდა სვანთა საზოგადოებრივი ყოფის ისტორიის შესწავლის საქმეში.

კრებულის მონაწილე წერილი „ისტორიისა და კულტურის ძეგლები სვანეთში“ მ. ჩართლანს ეკუთვნის. ესეც, ისევე, როგორც წინა კრებულის მისი პირველი წერილი, ძირითადად ექსპედიციის მუშაობის მოკლე ანგარიშს წარმოადგენს, მაგრამ ამასთან ერთად მასში ავტორი საგანგებოდ ეხება სვანეთის მატერიალური კულტურის ძეგლებს, როგორც მათი შემქმნელი საზოგადოების სოციალური ორგანიზაციის შესწავლის ერთ-ერთ წყაროს. წერილში მოტანილი ახალი მასალებიდან საინტერესოა ნაგებობათა სახეობების მიხედვით გარკვეული რაიონების გამოყოფა, რომელშიც კარგად ჩანს საცხოვრებელი კომპლექსების დიფერენციაცია წოდებრივი ნიშნის მიხედვით.

„სვანეთი“-ს მეორე ნაკვეთის ბოლო წერილი „ზემო სვანეთის გრაფიკები“ ვ. სილოგავას ეკუთვნის. კედლის შელესილობაზე აღბეჭდილი წარწერების სერიაში, რომელთაც მიაკვლია ექსპედიციამ, მრავალი საყურადღებო ცნობაა საქართველოს ამ კუთხის ისტორიისა და კულტურის შესახებ.

რიისა და ისტორიული პიროვნებების შესახებ. ისინი შეიცავენ ასომთავრული, ნუსხური, გარდამავალი მხედრული და მხედრული დამწერლობის ნიმუშებს მოყოლებული XI ს-დან ვიდრე XVIII ს-მდე. ცალკეა აღსანიშნავი ს. ჟიბიანის (უწყული) ლამაზი სახ. ეკლესიაში მოთავსებული წარწერა, რომელშიც მოხსენიებულია „გიორგი მამასახლისი“. წარწერას მიიწი ვამოცემელი ათარღებს პალეოგრაფიული

ნიშნების მიხედვით, XI ს-ით. აქაც ეთნოგრაფიულ მასალასთან ამ ცნობის შეპირისპირებას შეუძლია ახალი სიტყვა თქვას სევანთა სოციალური ორგანიზაციის ისტორიის შესახებ.

„სვანეთი“-ს I და II ნაკვეთი უთუოდ მიუთითებს იმ დიდ მუშაობაზე, რომელიც ჩაატარა სვანეთის კომპლექსური შესწავლის კომისიამ და იმ ფართო პერსპექტივებზე, რომლებიც ამ მუშაობას აქვს.

#### ალექსი რომაძე

### ტბეთის სულთა მატიაწე. ტექსტი გამოსაცემად მოამზად, გამომკვლევა და საძიებლები დაურთო თინა ენუშიძე, 1977 (გვ. 172 ტაბულები), გამომცემლობა „მეცნიერება“

„ტბეთის სულთა მატიაწე“ საქართველოს ისტორიის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი დოკუმენტური წყაროა, ინახება სსრკ მეცნიერებათა აკადემიის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტის ლენინგრადის განყოფილების ქართულ ბელწაწერა ფონდში. ტექსტი თავმოლოწკლულია, ადგილ-ადგილ დაზიანების გამო არ იკითხება. დაწერილია ეტრატზე ნუსხა-ხუტურით. აქვს გრაგნილის ფორმა. შინაარსით იგი წარმოადგენს ტბეთის ეკლესიაში შედგენილ სულთა მოსახსენებლების სიას, რომელშიც შეტანილია 903-ზე მეტი შემწირველის პერსონალური მოსახსენებელი ტბეთის ეპარქიიდან, უმთავრესად ოჯახობრივ, 6 სოფლიდან კი შემომწირველთა მოსახსენებლები სოფლობრივია, პერსონათა დაუსახელებლად. ამ სახით აქ გვაქვს სამხრეთ საქართველოს ისტორიული თემების კლარჯეთ-მავშეთისა და აჭარის მოსახლეობის გარკვეული ნაწილის თავისებური აღწერა, ხოლო როგორც ასეთი ტიპის წყაროებში, ამ სიაშიც მეტ-ნაკლებად მოიპოვება ცნობები მხარის ისტორიული გეოგრაფიის, ონომასტიკონის, მოსახლეობის განლაგების, სამეურნეო-სოციალური მდგომარეობისა და სხვათა შესახებ. ტბეთის ეკლესია და მისი ისტორიული სამწყსოს დიდი ნაწილი ამჟამად თურქეთის ტერიტორიაზეა, ეს ვითარება განსაკუთრებულად ზრდის მეცნიერთა ინტერესს ტბეთის წარსულის შესახებ წყაროების მოპოვებისა და გამოცემისადმი. ტბეთის ეს დოკუმენტი სამეცნიერო ლიტერატურაში ცნობილია 1878 წლიდან (დ. ბაქრაძე), მაგრამ მისი პუბლიკაცია მოხდა ამჟამად.

სარეცენზიო ნაშრომის ერთი გადათვალიერებითაც კი მკითხველი რწმუნდება, რომ მის

ხელთა ისტორიული დოკუმენტის ყოველმხრივ გამართული გამოცემა, შექმნილი თავდაღებული შრომით, დიდი ცოდნითა და გამოცდილებით. თ. ენუქიძეს საზოგადოება იცნობს საქართველოს ისტორიის წყაროების სხვა მაღალხარისხიანი პუბლიკაციებთან. არ შეცდებით თუ ვიტყვით, რომ სარეცენზიო ნაშრომი ისეთთა რიგს განეკუთვნება, რომელთა ნაკლოვანებებზე რეცენზენტს სათქმელი არაფერი აქვს. ეს ფაქტი მეცნიერებისათვის დიდად სასიხარულოა, ნიშნა საგანგებოდ აღვნიშნო.

ნაშრომის პირველი ნაწილი (I—V თავები) მოიცავს გამოკვლევას, ახლავს ვრცელი რუხიუმე რუსულ და ინგლისურ ენებზე. მეორე ნაწილი დათმობილი აქვს ტექსტს და საძიებლებს.

პირველ ნაწილში ავტორს მოაქვს ცნობები ტბეთის საეპისკოპოსო ეკლესიის აშენების (X ს.), მისი ეპარქიის საზღვრების და ამ საეკლესიო ცენტრის პოლიტიკური თავგადასავლის შესახებ. ამ ნაწილშივე, ძველის ტექნიკურ-არქეოგრაფიული დაწვრილებით აღწერის შემდეგ, განხილულია ძველის დასათურების საკითხი. ავტორი დასაბუთებულად უარყოფს ძველის ძველებურ სათურს და თელის, რომ მას უნდა ეწოდოს არა მიჭიხანის (მაჭახლის) ხეობის სულთა მატიაწე (პ. ინგოროყვა. საურ. კავბაძე...), არამედ ტბეთის სულთა მატიაწე, რადგან ძველი ნაპოვნია ტბეთში (გვ. 10), ხოლო მასში შესული მოსახსენებლები ეკუთვნის არა მხოლოდ მიჭიხანის (მაჭახლის) თემის, არამედ ნაწილობრივ კლარჯეთისა და აჭარის მცხოვრებლებს (გვ. 33). და განაგრძობს: „სამეცნიერო ლიტერატურაში

სავსებით მართებულად დამკვიდრდა ტრადიცია, რომლის მიხედვით სულთა მატიანეებს, ეძლევათ იმ ეკლესიის ან მონასტრის სახელი, სადაც შედგა ეს მატიანე“ (გვ. 11). ამას დავუმატებდით, რომ სულთა მატიანეთა დასათურება მომდინარეობს არა მხოლოდ სამეცნიერო ლიტერატურის „ტრადიციით“, არამედ თვით წყაროდანაც. ე. ი. სულთა მატიანეშივეა მოცემული მატიანის კუთვნილება ეკლესიის თუ მონასტრის მიხედვით. ასე მაგ., „მოსახსენებელი და მატიანე პატროსნისა წმიდისა მონასტრისა ღმრთივ დამყარებულისა სინისაჲ“<sup>1</sup>.

ტბეთის სულთა მატიანე უთარიღოა. ვფიქრობთ, ავტორმა სწორად განსაზღვრა მისი ქრონოლოგია XII—XVII სს-ით, ხელის (დაწერილობის) ნიმუშების ფოტოების დართვით გვიჩვენა სხვადასხვა ქრონოლოგიური ფენა და ერთ ფენაში სხვადასხვა განსხვავებული ხელით შესრულებული ტექსტები. საქმე ისაა, რომ სულთა მატიანე თავისი სპეციფიკით ისეთი „ოკუპენტია, რომელიც არ შეიძლება ერთდროულად შემდგარიყო. სულის მოსახსენებლები მას ემატებოდა დროთა განმავლობაში. ამასთან ერთად, იყო ერთბაშად გადაწერის შემთხვევებაც. საღრთოდ, შესაძლოა ახ ზოგჯერ დაბოლოება, იწერებოდა ერთდროულად და ა. შ.

ქართული სულთა მატიანეები ემსგავსებიან ბიზანტიაში და აღმოსავლეთის სხვა მართლმადიდებელ ეკლესიაში გავრცელებულ სულთა მატიანეებს (ძვ. ბერძ. „დმოტიონი“, „სინოდოკონ“). მაგრამ მათ აქვთ ეროვნული თავისებურებანიც.

ტბეთის სულთა მატიანე განეკუთვნება საყოველთაო, საერთო ტიპის სულთა მატიანეებს. ის არ ჰგავს, მაგალითად, ნიკორწმინდის სულთა მატიანეს, სადაც ჩაწერილია მხოლოდ მეფეების, მათი ოჯახის წევრებისა და მაღალი სამღვდელოების მოსახსენებლები. ტბეთის მატიანის მოღწეული ნაწილი მთლიანად, როგორც თ. ენუქიძეც აღნიშნავს, უკავია მხოლოდ და მხოლოდ მშრომელი მოსახლეობის მოსახსენებლებს. ხოლო დასაწყის ნაწილში (რომელიც მოღწეული არაა), როგორც წესი, იქნებოდა მოსახსენებლები მეფეების, კათალიკოს-პატრიარქების და ადგილობრივი ეპისკოპოსებისა. ასეთი პირები თავიანთ თანამდებობათა გამო ავტომატურად ითვლებოდნენ ეკლესიისა და სახელმწიფოს წინაშე დამსახურებულ ადამიანებად და ამიტომ წინ შეჰქონდათ სულთა მატიანეში. მათთვის საეალდებუ-

ლო არ იყო მატერიალური შეწირულება გაეღოთ კონკრეტულად ამ ეკლესიისათვის.

მკითხველს დიდ სიამოვნებას ანიჭებს გამოკვლევის ის ნაწილი, სადაც ავტორი ძველის საისტორიო ღირებულებას არკვევს. ერთობ მშრალი მასალიდან მან გამოავლინა და მიუთითა არაერთი საყურადღებო ცნობა, რითაც მკითხველს გაუადვილა ტექსტის მოხმარება, ასე მაგალითად, მოსახსენებლებში დასახელებული გვარებისა და პიროვნებათა სადაურობის აღმნიშვნელი სახელების მიხედვით მან ტბეთის საეპისკოპოსოს ვრცელ ტერიტორიაზე მიაკვლია 13 გეოგრაფიული პუნქტი: აკრიე-ლიდან — ს. აკრია, ბზათელიდან — ს. ბზათა და მსგავსად ამისა, სოფლები: დაბა. ერგე, ზენდიდი, კიბე, კილნათი, ოლაურა, სინდაეთი, სმადა, ჩახმატი, ხება, ჭოჭო. ამ წყაროთი ვეცნობით სხვა 8 გეოგრაფიულ პუნქტსაც, რომლებიც ტექსტში პირდაპირ არის დასახელებული: აფხაზეთა, ეფფრათი, ზედვაკე, სისოეთი, ქალაქი, ჩიქუნეთი, ჩხუტუნეთი, ხერთვისი. ამ ადგილების არსებობა სხვა წყაროებით ცნობილი არ იყო, ხოლო საინტერესო ისაა, რომ ამთავან ბევრი ღვთაეც მოქმედი სოფელია: ხერთვისი, ბზათა, ხება, დაბა, აკრია, სინდეთი, ზედვაკე, ეფფრათი თურქეთის ტერიტორიაზეა, ხოლო ჩხუტუნეთი, ჩიქუნეთი, კიბე, კილნათი, ოლაური (ოილაური), ერგე სამქონთა საქართველოს ტერიტორიაზეა. ისიც აღსანიშნავია, რომ ძველში დასახელებულ გვართაგან ბევრი ღვთაეც (ყოცხალი გვარია საქართველოს სამხრეთ ტერიტორიაზე.

ავტორმა ქართულ ონომასტიკურ კვლევას დიდძალი ფაქტი შესძინა იმით, რომ გამოკვლევაში და საძიებლებში აღრიცხა და დააჯგუფა გვარები დაბოლოების მიხედვით. განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს გვარების წარმოებაში ავტორის მიერ შემჩნეული თავისებურება. რომელზედაც ის საგანგებოდ მიაქცევს მკითხველის ყურადღებას: ეს არის გვარის განსხვავებული დაბოლოებანი ერთი და იმავე გვარიდან გამოსული მამაკაცისათვის („მე“, „შეილი“) და ქალისათვის („ურ“, „ულ“). ვფიქრობთ, ავტორი მართალია, როცა მამაკაცის სახელისაგან წარმომდგარ ქალის გვარის აღმნიშვნელ სახელს (მაგ., მამრ. ვაბრიჩისძე, დედრ. ვაბრიჩიული მარინე) განიხილავს არა დამოუკიდებელ გვარად, არამედ მამაკაცის გვარისადმი ამ ქალის კუთვნილების აღმნიშვნელ სახელად (გვ. 40-41). ეს ფაქტი გარკვეულად მიგვანიშნებს მთაში გვარების წარმო-

<sup>1</sup> ივ. ჯავახიშვილი, სინის მთის გვ. 242.

ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა, თბ., 1947,

შობის გზებზე. ავტორი წერს: „როგორც უკვე აღნიშნული გვექონდა, ტბეთის სულთა მატიანის ძირითადი ქრონოლოგიური ფენა XII-XIII საუკუნისა შედგენილია უფრო ადრინდელი აღაპების ერთ სულთა მატიანედ გავრთიანების შედეგად“ (გვ. 35). მოტიანილ წინადადებაში სიტყვა „აღაპების“ ნახმარია უადგილოდ, მის მაგიერ უნდა იყოს სიტყვა „მოსახსენებლების“, როგორც ეს ადრე. ავტორისვე მიერ მითითებულ მსგავს წინადადებაში სწორადაა ნახმარი. რაკი ეს ლაფსუსა კორექტურაში გატანილი არაა და შეიძლება მკითხველმა თავისით ვერ შეამჩნიოს, ამიტომ საჭიროდ გვანთ მასზე ყურადღების შეჩერება.

აღაპი და მოსახსენებელი (სახსენებელი) სულის ორი სხვადასხვანაირი მომსახურობის სახეობაა, მათი შეკეთაც ცალ-ცალკე ჩდება. აღაპი შეიცავდა მოსახსენებელს პურის ჰამით, მაშინ როცა მოსახსენებელი პურის ჰამს არ გულისხმობდა. თავის მხრივ არსებობდა აღაპისა და მოსახსენებლის მრავალგვარი სახეობა. ისეთი სულის მოსახსენებელი, რომელიც „სულთა მატიახეში“ ჩაწერას გულისხმობდა, იმაში გამოიხატებოდა, რომ ეკლესიაში დაწესებულ დღეს მღვდელმსახური წირვა-ლოცვის დროს მატიახეში ჩაწერილობის გამოითხოვდა „ცოდვების შენდობას“, „სულის განსვენებას“ და ა. შ. რაკი სულთა მატიახე საერთოდ ვრცელი იყო, ამიტომ ხშირად მოსახსენებლებს პერსონალურად არ კითხულობდნენ.

სარეცენზიო გამოცემაში დედნის ტექსტს პარალელურად მისდევს თვით დედნის საუცხოო ფოტო. ეს მკითხველს უადვილებს ტექსტის ღელანში შემოწმებას, ამასთან უზრუნველყოფს ძეგლის მატერიალურ დაცვას. მხედველობაში თუ მივიღებთ ხელნაწერის დღევანდელ ფიზიკურ მდგომარეობას, რომ „ეპიტაფის ზოგი ადგილი განეკუთვნება და ოდნავი შეხებითაც კი იზღუბა“ (გვ. 9), ადვილი შესაძლებელია, ეს საინტერესო ძეგლი ამ გამოცემით შემორჩეს ისტორიას. ეს გარემოება დიდად ზრდის ამ გამოცემის ღირებულებას და გვარწმუნებს მის დროულობაში.

დედნისეული ტექსტი ავტორის ამოუკითხავს სრულყოფილად, ვერ შევხედებით დამახინჯებულ წაკითხვას, სტრიქონების ან სიტყვების გამოტოვებას. მაქსიმალურად დაჭ-

ლეულია დედნის ძნელი ადგილების ამოკითხვა. ტექსტის ადვილად ათვისებას ემსახურება გამოცემაში დედნის აბზაცების უცვლელად გადმოტანა და მათი დანომვრა. საძიებლების შესახებ უნდა ეთქვას, რომ ის ამდენად ზედმიწევნითი და თემატურად მრავალმხრივია, რომ სცილდება ჩვეულებრივი საძიებლების ფარგლებს და წარმოგიძღვება დამოუკიდებელ ნაშრომად, სადაც ანატომიურად ხედავს მკითხველი მთელ ძეგლს — ტბეთის სულთა მატიახეს. აქ არის საძიებელი 16 თემაზე. ყურადღებას იპყრობს საძიებლები მამაკაცისა და დედაკაცის საკუთარ სახელებზე, გვარების დაღება დაბოლოებების მიხედვით და სხვ.

გვაქვს მცირე შენიშვნა ტექსტის მიმართ: ტბეთის სულთა მატიახის ტექსტში „ძე“-ზე დაბოლოებულ გვარებში, როგორც წესი „ძე“, შერწყმულია მის წინ მდგომ ნათესაობით ზრუნვაში დასმულ სიტყვასთან და ერთად იწერება, ასეც არის გამოცემაში („სულსა კანკარასძისი, გვ. 66: თეთისძისი...“ ზომ არ შეიძლებოდა დაგვეცვა ის გამოწვევები, რომლებიც ამ მხრივ ძეგლს ახასიათებს, ე. ი. სადაც არ არის ძე შერწყმული, ის ასე უცვლელად გადმოგვეცა. მაგ., „სულსა გუნდა-რის ძისა... № 62; VI კეფის I-ზე „ძე“ ცალკეა, ეს კეფი მთლიანად დაწერილია ერთი ხელით; ასევე II კეფის I-ზე სხვადასხვა ხელით ჩაწერილ ზოგ მოსახსენებელში „ძე“ ცალკეა და ა. შ. ასეთის უცვლელად გადმოცემა (ან მასზე სათანადო მითითება). ვფიქრობთ, საჭიროა არა მხოლოდ დედნის საკითხავის დაცვისათვის, არამედ ისეთი ფაქტის ფიქსირებისათვისაც, რომელიც კვებმარება ქართული თანამედროვე გვარების წარმოშობის ისტორიის გარკვევაში. საბედნიეროდ, ამ შენიშვნასაც ნახევრად ძალა ეყარება, რადგან ამ გამოცემის წყალობით მკითხველს თვითონვე აქვს საშუალება წაიკითხოს ფოტო-დედანი.

სარეცენზიო ნაშრომის ღირსებებზე კიდევ შეიძლებოდა ლაპარაკი, მაგრამ ყოველივე ზემოთქმული, ვფიქრობთ, საკმარისია იმის საფუძლად, რომ თინათინ ენუქიძის მიერ მომზადებული „ტბეთის სულთა მატიახის“ გამოცემა ჩაითვალოს ისტორიული წყაროს საწინამშო გამოცემად.

**ბაბილინა ლოვინაძე**

<sup>2</sup> „უნდა ვთქვათ, რომ მატიახის ტექსტის ნებში ერთი ხელით ერთ კრებულად (მატიახედ) ლით შედგენილი მოსახსენებლის პირს“, გვ. 13.

ძირითადი ფენა წარმოადგენს XII-XIII საუკუნე- გადაწერილი სხვადასხვა დროს სხვადასხვა ხე-

## Д. С. РАЕВСКИЙ, «ОЧЕРКИ ИДЕОЛОГИИ СКИФО-САКСКИХ ПЛЕМЕН»

(Опыт реконструкции скифской мифологии) М., «Наука», 1977

Древнейший период истории населения Кавказа тесно связан с Северным Причерноморьем, огромные просторы которого в I тыс. до н. э. заселяли ираноязычные племена восточноиранской группы, известные под собирательным названием «скифы». Еще Страбон писал, что горную часть Иберии населяют воинственные племена, сходные образом жизни с бытом скифов и сарматов, «с которыми они пахотятся и в соседстве, и в родстве; и в случае какой-нибудь тревоги набирают... воинов как из своей среды, так и из тех народов» (XI, 33). У многих авторов как классической, так и византийской эпох находим сведения, отождествляющие Скифию с Кавказом. Эта традиция нашла отражение в трудах историков и лингвистов начала XX века, создавших теорию о родстве предков грузин со скифо-сарматскими племенами (Н. Я. Марр, Н. А. Джавахишвили).

